ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

აკადემიური წერა

სახელმძღვანელო

თბილისი

2016

აკადემიური წერა (მეხუთე გადამუშავებული გამოცემა)
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2016. გვ. 168.

წიგნში განხილულია აკადემიური წერის სასწავლო კურსით გათვალისწინებული ყველა საკითხი. თითოეულ თემას ერთვის: ა. სამახსოვრო - ქართული მეტყველების კულტურის ის ძირითადი საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია აკადემიური ნაშრომის შესაქმნელად; ბ. ცოდნის შესამოწმებელი კითხვები; გ. სავარჯიშო მასალა; დ. რეიტინგული და საბოლოო გამოცდის ტესტის ნიმუშები.

წიგნი განკუთვნილია აკადემიური წერის კურსის შემსწავლელთათვის.

ავტორები: ასოც. პროფ. **მაია კიკვაძე;**
ასოც. პროფ. **ნანა ცეცხლაძე;**
ასოც. პროფ. **ნათელა ფარტენაძე;**
ასისტ. პროფ. **მზია ხახუტაიშვილი;**
ასისტ. პროფ. **დიანა ახვლედიანი.**

პროფესორ მამია ფაღავას საერთო რედაქციით

რეცენზენტები: პროფესორი **რამაზ ხალვაში**
ასოცირებული პროფესორი **მაია ბარამიძე**

ISBN - 978-9941-9275-9-1

რედაქტორისაგან

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლიდან „აკადემიური წერა“ 3 კრედიტის მოცულობით შემოღებულია სავალდებულო საგნად. შესაბამისად, იგი ისწავლება უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველ კურსზე. დამუშავდა სილაბუსი, გამოიკვეთა საგნის სწავლების ძირითადი პრინციპები.

პირველ ეტაპზე გაჩნდა გარკვეული სიძნელეები, რომელთა დაძლევაც აუცილებელი იყო „აკადემიური წერის“ წარმატებით სწავლებისათვის. გაითვალისწინეს რა შექმნილი მდგომარეობა, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, შეედგინათ სახელმძღვანელო, რომელშიც თანმიმდევრულად იქნებოდა განხილული სილაბუსით გათვალისწინებული ყველა საკითხი; თანდათან იკვეთებოდა საჭირბოროტო საკითხები და მათი სწავლების უკეთესი სტრატეგიები, რის გამოც საჭირო ხდებოდა წიგნის გადამუშავება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 31 ივლისის №79-ე დადგენილებით **აკადემიური წერის** წიგნი სახელმძღვანელოდაა აღიარებული. ამჯერად წიგნი მეხუთედ გადამუშავდა.

სახელმძღვანელოში მასალა საინტერესოდაა დალაგებული: ყოველ საკითხს ახლავს სავარჯიშოები, ცოდნის შესამოწმებელი კითხვები და ტესტები. ამ ტიპის ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა სამახსოვროს სახით „ქართული ენის პრაქტიკული კურსის“ ზოგიერთი აუცილებელი საკითხის შეტანა, რომელთა ცოდნის გარეშე, ვფიქრობთ, წარმოუდგენელია „აკადემიური წერის“ წარმატებული სწავლება. ასეთებია: „არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელის, ზმნის, ზმნიზედის მართლწერა“, „პუნქტუაცია“, „პარონიმია“, „უცხო სიტყვათა გადმოცემის წესები ქართულში,“ „პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მართლწერა“ და სხვა.

სახელმძღვანელო, ვფიქრობთ, კარგ სამსახურს გაუწევს როგორც „აკადემიური წერის“ შემსწავლელ სტუდენტებს, ასევე მასწავლებლებსაც.

წიგნი, ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული შეცდომებისაგან. ყველა საქმიან შენიშვნას ავტორები მადლიერებით მიიღებენ და გაითვალისწინებენ მომდევნო გამოცემებში.

პროფესორი **მამია ფაღავა**
22 ივლისი, 2016 წელი

შესავალი

1. ქართული ენა - ქართველთა საერთოეროვნული ენა. ქართული არის ქართველი ერის (ქართველების, სვანების, მეგრელ-ჭანების) ერთიანი, საერთოეროვნული ენა. იგი ქართველურ ტომთა სასაუბრო ენაცაა და სამწერლობოც. სამწერლობო ენას სალიტერატურო ენასაც უწოდებენ. ამ ენაზე იწერება სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ნაშრომები, მხატვრული ლიტერატურა, გამოდის ჟურნალ-გაზეთები... ქართულად ისწავლება საგნები საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში... ამ ენაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში. ერთი სიტყვით, ქართული საქართველოს სახელმწიფო ენაა. მის უფლებებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია.

ქართული ერთ-ერთი უძველესი, უმდიდრესი და მაღალგანვითარებული ენათაგანია. მას სულ მცირე 1500 წლის ისტორია აქვს. ქართულ ენაზე ძველთაგანვე შექმნილა მდიდარი სასულიერო, მხატვრული, ფილოსოფიური და სხვა სახის ლიტერატურა.

ქართული სამწერლობო ენა მშობლიურია სხვა ქართველური ტომებისთვისაც. ქართველური ტომები უხსოვარი დროიდან კომპაქტურად სახლობდნენ ერთ საერთო მიწა-წყალზე, საიდანაც იწყება მათი ერთობის შეგნება, რაც ენობრივი ერთიანობითაც იყო განპირობებული (შ. ძიძიგური).

ქართული ენის მიმართ ქართველმა კაცმა იმითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება, რომ მას **დედაენა** უწოდა. ენის დაკავშირება დედის ცნებასთან ერის ცხოვრებაში მისი როლის მანიშნებელიცაა.

ქართულ ენას, როგორც ძვირფას ეროვნულ საუნჯეს, ხოტბა-დიდებას ძველთაგანვე ასხამდნენ. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო ძეგლია **„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.**

ჩვენი ერის ღირსეული შვილები ყოველთვის სათანადოდ აფასებდნენ მშობლიურ ენას. ვინც მშობლიურ ენას არ აფასებს, პატივს არ სცემს, აკნინებს მის მნიშვნელობას და უპირატესობას უცხოურ ენებს ანიჭებს, იგი ფეხქვეშ თელავს თავისი ხალხის უძვირფასეს საუნჯეს, ღალატობს თავის ქვეყანას. **„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის,“** – ბრძანებდა დიდი ილია. **„ერის ცხოვრება, მის ისტორია დაცულ არს ენით... რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას,“** – გვმოძღვრავდა მანამდე გრიგოლ ორბელიანი.

„დედაენა არის ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა,“ – აცხადებდა იაკობ გოგებაშვილი.

ცნობილი მეცნიერი, პოლიგლოტი, აკადემიკოსი ნიკო მარი ასე აფასებდა ქართული ენის შესაძლებლობებს: **„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით“.** ქართული ენა არის **„მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ცოცხალი სამწერლობო ენა.“**

„ქართულ ენაში ასახულია ... მისი შემქმნელი და მატარებელი ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება,“ – მიუთითებდა აკადემიკოსი ვარლამ თოფურია.

ილია ჭავჭავაძის სიტყვებითვე დავასრულებთ: „ქართველებისათვის **„დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროს ქალაქს – „დედაქალაქს“, მკვიდრს და ბოძს სახლისას – „დედაბოძს, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – „გუთნის დედას“.**

მოყვანილი ამონარიდები გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მოღვაწეები მშობლიურ ენას, **დედაენას.** ქართული ენის შესაძლებლობების წვდომა, მისი ღრმად დაუფლება ქართველი კაცის ღირსებაა, გაფრთხილება და მოვლა კი – უპირველესი მოვალეობა.

2. ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ქართული ენის კულტურულ-

-ისტორიული მნიშვნელობა უაღრესად დიდია. მასში დაუნჯებულია ქართველი ხალხის ისტორია, მისი მდიდარი წარსული, საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებები.

ქართულმა ენამ განვითარების მეტად გრძელი და საინტერესო გზა განვლო, ხელი შეუწყო ქართველ ტომთა ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მას დიდი ხნის განმავლობაში გადაშენებით ემუქრებოდნენ დიდი იმპერიების ენები, მაგრამ დევნისა და შევიწროების მიუხედავად, ძირეულად არ შეცვლილა მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ქართული ენა ყველა ქართველური ტომის მშობლიური ენაა, რომელ ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ ისინი შინ. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი კაცის აზროვნებაში ცნება **„ქართული“ ერთიანი საერთო ნიშნის – ეროვნული მთლიანობისა და კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრი იარაღი იყო**. საერთო სამწერლობო ენამ კი უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნებასა და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. საერთო სალიტერატურო ენის საფუძველზე წარმოიქმნა ნაციონალური კულტურა. საერთოეროვნული კულტურის შექმნას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამაც. შემთხვევითი არ არის, რომ **IX–X** საუკუნეებში **სინას** მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ქრისტიანეთა და უფროის ყოველთასა, ყოველთა ქართველთათვის“...

ერთიანობისკენ სწრაფვა მომდევნო საუკუნეებშიც იგრძნობა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: **„თუ ჰკითხავთ ვინმე ქართლელს, იმერელს, მესხს, ჰერ-კახელს, „რა სჯული ხარო**, მოგვიგებს: – **„ქართველი“**. თუ მათ ჰკითხავთ, **„რა ენა და დამწერლობა იციო,“**მოგიგებს მყის: – „ქართული“ და არ იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა **იბერთასა ან მესხთა,** ან **ჰერ-კახთასა,** არამედ „ქართულსა“.

ძველთაგანვე ქართველებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, ბიზანტიელებთან, სპარსელებთან, სომხებთან, სირიელებთან... მრავალი ლიტერატურული თუ სხვა ხასიათის ძეგლი უთარგმნიათ ქართველ მოღვაწეებს **ბერძნულიდან, სპარსულიდან, ძველი სომხურიდან, სირიულიდან, ლათინურიდან...** აღვნიშნავთ, რომ **ზოგიერთი ძეგლის დედანი დაკარგულა და ოდენ ქართულ თარგმანებში შემონახულა ის**.

ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოსა **(გელათი, შატბერდი...)** და მის ფარგლებს გარეთ **(იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონის მონასტერში, პეტრიწონში...)** დაარსდა სამწიგნობრო კერები, სადაც ქართველი მოღვაწეები წმინდა წიგნებს სხვადასხვა ენიდან რუდუნებით თარგმნიდნენ, ყალიბდებოდა ძველი და ახალი აღთქმის რედაქციები, იწერებოდა ორიგინალური სასულიერო, ისტორიული, ლიტერატურული, ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები. ამ კერებში შექმნილი არაერთი ორიგინალური თუ თარგმნილი ძეგლი ქართული მწერლობისა და, ზოგადად კულტურის, უძვირფასესი განძია.

ქართული ენის სტრუქტურით, მისი ბუნებითა და ისტორიით დაინტერესდნენ უცხოელი სწავლულებიც. ევროპულ ენებზე მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული ქართული ენის გრამატიკის, ლექსიკისა და ისტორიის შესახებ.

1629 წელს რომში, ლათინურ ენაზე დაისტამბა **სტეფანე პაოლინისა** და **ნიკიფორე ირბახის** (ირუბაქისძე) **„ქართულ-იტალიური ლექსიკონი.“ 1643** წელს კი ლათინურ ენაზევე დაიბეჭდა **ერიხ მარია მაჯოს „ქართული ენის გრამატიკა“;** ესაა ქართული ენის გრამატიკის შექმნის პირველი ცდა. **1834** წელს პარიზში გამოქვეყნდა **მარი ბროსეს „ქართული ენის გრამატიკა,“ 1837** წელს კი – **„ელემენტი ქართული ენისა.“**

ქართული ენის სტრუქტურას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა ავსტრიელმა მეცნიერმა **ჰუგო შუხარდტმა.** აღსანიშნავია მისი წვლილი **ხანმეტი ლექციონარის** შესწავლაში. **1928** წელს დაიბეჭდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის, **რ. მეკელაინის ქართულ-გერმანული, 1937** წელს კი – **გერმანულ-ქართული** ლექსიკონები. **1930** წელს ლაიფციგში გამოვიდა პროფ. გეორგ

დეეტერსის კაპიტალური შრომა **ქართველური ენების ზმნის** შესახებ, **1962** წელს კი დაისტამბა პროფ. **კ. შმიდტის „ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი“** (მეორე შევსებული გამოცემა **–1998** წ.), **1964** წელს გამოვიდა პროფ. **გიორგი კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“** (რუსულ ენაზე). ეს იყო ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა. **1936** წელს ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ნორვეგიელი პროფესორის, **ჰანს ფოგტის, „ქართული ენის გრამატიკა“...** საზღვარგარეთ კიდევ მრავალი შრომა დაიბეჭდა ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ. ყველა მათგანზე საუბარი, ბუნებრივია, აქ შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დღესდღეობით საქართველოს გარეთ ქართველოლოგიური კვლევა მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ: **გერმანიაში, პოლონეთში, ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, რუსეთში, აშშ-ში** და ა. შ. ამ დაინტერესების მიზეზი ისიცაა, რომ ქართული ენისა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ცივილიზაციის ფესვების ძიება.

3. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი. ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა თანამედროვე გრამატოლოგიის აქტუალური პრობლემაა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები:

1. XI საუკუნის ქართველი მემატიანე **ლეონტი მროველი** წერს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული.“

2. **V საუკუნის** სომეხი ისტორიკოსის – **კორიუნის** თხზულებაში **„ცხოვრება მესროპ მაშტოცისა“** დაცულია ცნობა, რომ მესროპ მაშტოცმა შექმნა **სომხური დამწერლობა,** შემდეგ კი – **ქართული** და **ალბანური.**

3. ქართული ტრადიციული ცნობის მიხედვით, ფარნავაზ მეფემდეც გვქონია დამწერლობა, რომელიც ქართველ ქურუმებს შეუდგენიათ ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთა შინა ფარნავაზამდე...წერილნი მათნი არს წერილნი ხუცურნი... (ცნობა თ. ბაგრატიონს ამოუწერია ანტონ II კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან „მატიანე შემეცნებათა“ და შეუტანია თავის შრომაში).

ამ ცნობების საფუძველზე მეცნიერებაში შემუშავდა ქართული ანბანის შექმნის რამდენიმე თეორია.

პირველი მკვლევარი, რომელმაც სარწმუნოდ მიიჩნია ქართული ანბანის შექმნის სომხური ვერსია, იყო აკად. კ. კეკელიძე. მისი აზრით, ქართული ანბანი შექმნილი უნდა იყოს **ქრისტიანულ ხანაში** ბერძნულ და სომხურ დამწერლობათა საფუძველზე **მესროპ მაშტოცის** მონაწილეობით. ამ თეორიის **უსაფუძვლობაში** პირველად ეჭვი შეიტანა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მან საგანგებოდ შეისწავლა კორიუნის თხზულება და დაასაბუთა, რომ **მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია მასში მოგვიანებითაა ჩამატებული სხვა მელნით, კერძოდ, იგი VI საუკუნის დამლევის ჩანართია.** ამას ადასტურებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, **ლაზარი პარფეცის** შრომაც, რომელშიც იგი **მესროპ მაშტოცს მიიჩნევს ოდენ სომხური ანბანის შემქმნელად.** ასევე, სხვა სომეხი ისტორიკოსების – **ფავსტოს ბუზანდისა** (**V** ს.) და **მხითარ აირივანელის** ნაშრომებშიც **მესროპ მაშტოცი** არსად **არაა მითითებული ქართული დამწერლობის შემქმნელად.** პირიქით, მხითარ აირივანელი ქართული დამწერლობის შემქმნელად ფარნავაზ მეფეს ასახელებს.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი კიდევ უფრო სარწმუნო გახდა მომდევნო კვლევა-ძიებით. კერძოდ, **პროფ. ალ. აბდალაძემ** გამოიკვლია, რომ კორიუნის შრომაში მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ცნობა ჩამატებულია. სახელდობრ: **428 წელს** სომხეთის სამეფო გაუქმდა. სომხეთის კათალიკოს **საჰაკისა** და **მესროპ მაშტოცის** მეთაურობით დაიწყო დიდი მოძრაობა სომხეთის სახელმწიფოს აღსადგენად. კორიუნის ცნობით, **მაშტოცმა** ამ მიზნით იმოგზაურა დასავლეთ სომხეთში, იგი ეახლა ქართლის მეფესაც. სომეხი მემატიანეების შრო-

მებში ისიცაა აღნიშნული, რომ მაშტოცს ორჯერ უმოგზაურია ქართლსა და ალბანეთში. იგი სომხურ წერა-კითხვას ასწავლიდა ქართლის სოფლებში, სადაც სომხები ცხოვრობდნენ. ალბათ, ამის გამო ტენდენციურად განწყობილმა წრეებმა შექმნეს ლეგენდა მესროპის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნის შესახებ. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით **VII საუკუნის** დასაწყისში, როცა **ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული და სომხური ეკლესიები.**

მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსიის უსაფუძვლობა დაასაბუთეს ასევე სხვა ქართველმა მეცნიერებმაც: **რამაზ პატარიძემ, ზურაბ სარჯველაძემ** და სხვ. ცნობილი გახდა ის ფაქტიც, რომ **მესროპს ქართული და ალბანური არ სცოდნია.** გაირკვა ისიც, რომ თვით **სომხური ანბანის შემქმნელი სირიული და ბერძნული დამწერლობების გარდა იცნობდა და იყენებდა ქართულსაც.**

მიუხედავად ყოველივე ამისა, დღეისათვის ქართული ანბანის შექმნის სომხურ ვერსიას იზიარებს ბევრი სომეხი და უცხოელი მკვლევარი.

ქართული დამწერლობა ბერძნულიდან მომდინარედ მიაჩნდა **დ. ბაქრაძეს.** იგი აღნიშნავდა, რომ ქართული ანბანი ბერძნულის გავლენით შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში, ფარნავაზამდე ბევრად უფრო ადრე შეიქმნა. ამ თეორიას მხარს უჭერდა **პავლე ინგოროყვაც.** საკითხი სპეციალურად არ უკვლევია **აკად. აკ. შანიძეს,** მაგრამ **აკად. გიორგი წერეთლის** შრომის –**„არმაზის ბილინგვის“** რეცენზიაში წერდა: **„ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისას უთუოდ ანგარიშგასაწევია ბერძნული ანბანის ზეგავლენა.“**

აკად. თამაზ გამყრელიძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანი **ბერძნულიდან** მომდინარეობს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველი ქართული ანბანი ბერძნულ დაწერლობას ჰგავს შემდეგი ნიშნებით:

1. **წერის ანბანურობით** (სისტემაში როგორც ხმოვანთათვის, ისე თანხმოვანთათვის ნიშნების არსებობა);
2. **წერის მიმართულებით [მარცხნიდან მარჯვნივ];**
3. **სისტემაში ასო-ნიშანთა რიგით;**
4. **ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობებით.**

ყოველივე ეს და ისიც,რომ ძველი ქართული ასომთავრული ანბანი დადასტურებულია ოდენ ქრისტიანობის შემდეგდროინდელი ძეგლებით, სარწმუნოს ხდის მოსაზრებას, რომ **ქართული ანბანი მომდინარეობს კლასიკური ბერძნული ანბანიდან** და **იგი ქრისტიანობის შემონატანია.**

ზ. სარჯველაძე და კ. დანელიაც იზიარებენ ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის იდეას.

ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართული დამწერლობის სემიტურიდან მომდინარეობის ვერსიასაც. ამ თეორიას მხარს უჭერდა გერმანელი მეცნიერი **ფრიდრიხ მიულერი** (XIX ს), ხოლო ჩვენში – **სარგის გორგაძე.**

ქართული ანბანის **სემიტურიდან** მომდინარეობის თეორია ჩამოაყალიბა **ივ. ჯ**ავახიშვილმა ნაშრომში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია **(1926).** მკვლევარმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია ჩვ.წ. აღ-მდე **VII** ს-ში. ივ. ჯავახიშვილი გრაფიკული შედარების მეთოდით იკვლევდა ქართული დამწერლობის წარმომავლობის საკითხს. ასო-ნიშანთა გარეგნული მსგავსება, ბუნებრივია, საკმარისი ვერ იქნება ამა თუ იმ დამწერლობის გენეზისის დასადგენად. დიდი მეცნიერი სიფრთხილისათვის თავის **თეორიას უწოდებდა ჰიპოთეზას,** რომლის სისწორე მომავალს უნდა გაერკვია, თუმცა დაბეჯითებით აცხადებდა, რომ **ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი უნდა ვეძიოთ შორეულ წარსულში, მცირე აზიაში და არა საბერძნეთში.** ივ. ჯავახიშვილის დებულებები გაიზიარა **რამაზ პატარიძემ,** ოღონდ მიიჩნია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია ჩვ. წ. აღ-მდე **V** ს-ში.

ქართული დამწერლობის **სემიტურიდან მომდინარეობის** დასაბუთებას **1940** წ. მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი **„არმაზის ბილინგვის“** შესწავლის

შემდეგ შეეცადა გიორგი წერეთელიც. მკვლევარმა შეისწავლა აღნიშნული ძეგლი და მიიჩნია, რომ ბილინგვა შესრულებულია **არამეული** დამწერლობის იმ სახეობით, რომელსაც პირობითად შეიძლება **„არმაზული არამეული“** ვუწოდოთ. გ. წერეთელი ცდილობდა დაედგინა, რომ **„არმაზულ არამეულსა“** და **ქართულ ანბანებს** უთუოდ აქვს საერთო: ასოთა მოხაზულობა ერთნაირია, მაგრამ ზოგი ქართული ასო უფრო ძველია, ვიდრე არმაზული, ამიტომ ქართული დამწერლობა არ შეიძლება მივიჩნიოთ არმაზულის შემდგომ საფეხურად, **ისინი ერთმანეთის მონათესავე უნდა იყოს და მომდინარეობდეს საერთო წყაროდან,არამეულიდან.**

ქართული დამწერლობის სემიტურიდან წარმომავლობას ეღობება მრავალი დაბრკოლება, რომელთა შორის მთავარია ის, რომ **ძველი ქართული ანბანი** და **სემიტური სტრუქტურულად განსხვავებული წერითი სისტემებია. ქართული ასომთავრული ანბანი, ანუ ისეთი დამწერლობა, რომელშიც როგორც თანხმოვანთათვის, ისე ხმოვანთათვის გრაფიკული ნიშნები არის შექმნილი, ხოლო სემიტური კონსონანტური სისტემაა, სადაც გრაფიკული ნიშნები მხოლოდ თანხმოვანთათვის** (კონსონანტებისათვის) **არის შექმნილი, ხმოვანი კი სისტემაში არაა აღნიშნული.**

ასევე განსხვავებულია წერის მიმართულებაც. სემიტურში წერის მიმართულება **მარჯვნიდან-მარცხნივაა,** ქართული კი მისდევს **კლასიკურ ბერძნულს – მარცხნიდან მარჯვნივ.** ცნობილია, რომ არქაულ ბერძნულშიც წერის მიმართულება მისდევდა სემიტურს (მარჯვნიდან მარცხნივ), შემდგომ კი ყოველ მომდევნო სტრიქონზე იცვლებოდა (მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ...), ბოლოს ჩამოყალიბდა კლასიკური მიმართულება, მარცხნიდან მარჯვნივ წერა.

აღვნიშნავთ, რომ წერის ქართულ და სემიტურ სისტემებს შორის მსგავსების მიზეზი, ალბათ, ბერძნული ანბანის წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ, იგი ხომ ფინიკიურის (ამიტომაც იხსენებდა ჰეროდოტე ბერძნულ ანბანს როგორც კადმიურს, უკავშირებდა მას ფინიკიელ კადმეს, რომელსაც ანტიკური ტრადიცია მიაწერს ფინიკიურის საფუძველზე ბერძნული ანბანის შექმნას საბერძნეთის ქალაქ ბეოტიაში), ხოლო ქართული – ბერძნულის საფუძველზეა შექმნილი. გარეგნული მსგავსებაც აქაა საძიებელი.

და ბოლოს: მაინც როდის შეიქმნა ქართული დამწერლობა? ამ თარიღის შესახებ ქართველოლოგიაში აზრთა სხვაობაა, კერძოდ, **კ. კეკელიძის** აზრით, **იგი უნდა შექმნილიყო ახ. წ. აღ. 420-422 წლებში. ივ. ჯავახიშვილმა** კი მიიჩნია, რომ **ქართული ანბანი შექმნილია ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში.**

პ. ინგოროყვას ვარაუდით, **„ქართული ანბანი გამომუშავებულია მცირე აზიაში არქაული ბერძნული ალფაბეტის საფუძველზე 284 წელს ჩვენს ერამდე.“**

რ. პატარიძის დაკვირვებით, ქართული დამწერლობა შექმნილია წარმართულ ხანაში, **დაახლოებით 403-284 წლებში,** რადგანაც მასში გათვალისწინებულია უნიფიცირებული ბერძნული ანბანის (**ჩვ. წ. აღ. 403 წ.**) **პრინციპებიც.** ასევე ირკვევა, რომ ძვ. წ. აღ. **284** წ. ფარნავაზ მეფეს ქართული ანბანი შემოუღია, როგორც სახელმწიფო დამწერლობა.

ზ. სარჯველაძის ვარაუდით, ქართული ანბანი **IV ს-ის II ნახევარში, ან V საუკუნის დამდეგს** უკვე გვქონდა. ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღება რომ ვივარაუდოთ, მაშინ „არმაზის ბილინგვას“ სხვაგვარი ახსნა დასჭირდებაო. ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შემოღებისა, ალბათ, გულისხმობს სახელმწიფო საჭიროებისათვის ბერძნული ან არამეული (იმ დროისათვის გავრცელებული) დამწერლობების გამოყენებას, სხვაგვარად ძნელად აიხსნება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნულ-არამეული დამწერლობის ძეგლები, ქართული კი – არა. თუკი ამ დროისათვის ქართული დამწერლობა არსებობდა, მაშინ არმაზის ბილინგვაზე იბერთა სამეფო კარის ამბავი რატომ იქნებოდა ბერძნულად და არამეულად დაწერილი?!

აკად. თ. გამყრელიძე წერილში **„მწიგნობრობა ქართული“** (1987 წ.) მიუთითებს, რომ ქართული ასომთავრული შექმნილი უნდა იყოს **IV საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის და-**

საწყისში. მოგვიანებით წიგნში **„წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“(1990** წ.) მკვლევარი აღნიშნავს, რომ **არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა ან გამოაძევა მანამდე არსებული წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა.**

ქართული დამწერლობის შემოღება ქრისტიანობის ხანაში სარწმუნოდ მიაჩნია პროფ. **კორნელი დანელიასაც.**

როგორც ვხედავთ, ქართული დამწერლობის შექმნის თარიღის შესახებ ქართველოლოგიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი რამ ნათელია, ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები (ბოლნისის სიონის, პალესტინის, მცხეთის ჯვრის... წარწერები) ქრისტიანობის ეპოქისაა. ქრისტიანობამდელი ხანის წერილობითი ძეგლები არ მოგვეპოვება, ამიტომაც უფრო სარწმუნო ჩანს მოსაზრება, რომ ქართული დამწერლობა ქრისტიანობის შემონატანია და შექმნილია ბერძნული ანბანური დამწერლობის საფუძველზე, ისევე როგორც ბევრი სხვა ანბანური სისტემა.

ბოლოს ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: **მაინც როგორ გავიგოთ ლეონტი მროველის ცნობა,** რომ **ფარნავაზმა... „შექმნა მწიგნობრობა ქართული“?** თუ გავითვალიწინებთ, რომ „მწიგნობრობა“ ზოგადად წერა-კითხვას ნიშნავს, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ **ფარნავაზ მეფემ ქართლში შემოიღო მწიგნობრობა იმდროისათვის გავრცელებული რომელიმე წერითი სისტემის მიხედვით. სხვაგვარად: ფარნავაზმა შემოიღო სხვათა ენაზე წერა, რაც გავრცელებული მოვლენა იყო ძველ დროში.**

4. ქართული ანბანის განვითარების საფეხურები. ქართულმა დამწერლობამ სამი საფეხური გაიარა, ესაა: **ასომთავრული,** იგივე **მრგლოვანი, ნუსხური** და **მხედრული.**

V-IX საუკუნის ძეგლები (წარწერები, ხელნაწერები) ასომთავრულითაა შესრულებული. IX საუკუნიდან გვაქვს ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. მისი უძველესი ძეგლია ატენის სიონის წარწერა (**835** წ.). ქართული ანბანის ამ სახეობითაა შესრულებული სინური მრავალთავის ანდერძი (**864** წ.), სინური ოთხთავი (**978** წ.), სინური პარაკლიტონი (**954** წ.), ოშკის ბიბლია (**978** წ.), ჭილ-ეტრატის იადგარი (**X**ს.) და მრავალი სხვა. არის ხელნაწერები, რომელთა ერთი ნაწილი მრგლოვანითაა დაწერილი, მეორე – ნუსხურით. ასეთია, მაგალითად, სვანური მრავალთავი (**X**ს.), სინური ლიტურგიკული კრებული (**X** ს.)... ზოგიერთი ხელნაწერის ტექსტი ასომთავრულით დაუწერიათ, ანდერძი კი – ნუსხურით; არის პირიქითაც: ძეგლი ნუსხურითაა გადაწერილი, ანდერძი კი – ასომთავრულით. გვაქვს ძეგლები, რომლებშიც ასომთავრულ ტექსტში გადამწერლის გამორჩენილი ადგილები ნუსხურით შეუვსიათ. საზოგადოდ, ნუსხურით გადაწერილ ხელნაწერებში მრგლოვან ასოებს ერთგვარ სამკაულად იყენებდნენ. ასომთავრულით წერდნენ სათაურებს, იწყებდნენ აბზაცებს და ა. შ.

ძველ ქართულში გვაქვს ტერმინი **ასომთავარი:** „და ყოველი ასომთავარი ოქრომელნითა დაწერილი“ (**X-XI** საუკუნეების ოთხთავი). აქედანაა ნაწარმოები ტერმინი **ასომთავრული.** უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება ტერმინი **მრგლოვანი** (**XI** საუკუნის სვინაქსარის ფრაგმენტები).

ნუსხური ნაწარმოებია ტერმინისაგან **ნუსხა:** „ნუსხა ჩქარად წერილ არს,“ – წერს საბა ორბელიანი. **ნუსხა** დედანსაც ერქვა. **ნუსხური,** როგორც ქართული ანბანის ერთ-ერთი სახეობის სახელი, ძველ ხელნაწერებში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი.

მხედრული ანბანის უძველეს ნიმუშებს **X** საუკუნით ათარიღებენ (გ. აბრამიშვილი, ე. მაჭავარიანი, ზ. ალექსიძე). მხედრულით შესრულებული პირველი ძეგლია **ატენის სიონის 982-986** წლების წარწერა. მხედრული თანდათან ვრცელდება **XI-XII** საუკუნეებში.

ამრიგად, უკვე **X** საუკუნეში გვერდიგვერდ არსებობს ქართული ანბანის სამი სახეობა: **ასომთავრული, ნუსხური** და **მხედრული. ასომთავრულსა** და **ნუსხურს ხუცურსაც** უწოდებენ, რაკი მათ უპირატესად ეკლესიაში იყენებდნენ. შესაბამისად, მხედრულს იმიტომ უწოდებდნენ, რომ დამწერლობის ამ სახეობით იქმნებოდა საერო ძეგლები.

თემა I. აკადემიური წერის საგანი, მიზნები და ამოცანები. მისი მიმართება მეცნიერების სხვა დარგებთან; აკადემიური წერის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

1.1. აკადემიური წერა

აკადემიური წერა თანამედროვე უმაღლეს სკოლაში მეტად აქტუალური პრაქტიკული დისციპლინაა. იგი შედარებით ახალი საგანია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი პირობა წერითი კომპეტენციის ამაღლებაა, რადგან მეცნიერები წერას მიიჩნევენ სწავლების ხერხად, რომელსაც მოსწავლეთა და სტუდენტთა თვითშეგნების სრულყოფა, ცნობიერების კარდინალური გარდაქმნა შეუძლია. ვისაც წერის კულტურა არ აქვს, ა. ლურიას ცნობილი გამოკვლევების თანახმად, მას არც აზროვნების უნარი შესწევს, ვინც მას დაეუფლება, შეძლებს აზროვნების დონის ამაღლებასაც.

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმების პირობებში, განსაკუთრებით ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ, აუცილებელ მოთხოვნად იქცა საუნივერსიტეტო განათლებაში ისეთი კურსის შემოტანა, რომელიც სტუდენტს განუვითარებს კრიტიკული აზროვნების, სინთეზისა და შეფასების უნარებს. განათლების კომპლექსური მიზნებიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია **არგუმენტირების, შეფასების უნარისა და კრიტიკული აზროვნების** ჩამოყალიბება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ,,აკადემიური წერა", რომელიც 2004-2005 სასწავლო წლიდან იკითხება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში.

ტერმინი ,,აკადემიური" უკავშირდება **აკადემიას,** რომელიც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებას. მაგ.: მეცნიერებათა აკადემია. **აკადემია** გახლავთ ზოგიერთი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის სახელწოდებაც: სამხატვრო აკადემია, საზღვაო აკადემია (ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი 427-347 წლებში ათენელი აკადემის მამულში დასახლებულა და იქ ფილოსოფიას ასწავლიდა. ამ სკოლას 800 წელი უარსებია. სწორედ იმ დროიდან შეურქმევიათ სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებისთვის აკადემია). რაც შეეხება თავად ,,აკადემიურს", იგი ნიშნავს 1. **სასწავლოს,** აკადემიური წელი// საათი// წარმატება; 2. **ძირითად წყაროებთან შეჯერებულს, სრულს** (მეცნიერული გამოცემა: ,,ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემა); 3. **საუკეთესოს// სანიმუშოს** (თეატრი) (ქეგლ).

,,აკადემიური წერის" კურსი ემყარება ბენჯამინ ბლუმის ,,საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიას," რომლის მიხედვით, სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში ეტაპობრივად უნდა დაეუფლოს ცოდნის საფეხურებს, ჯერ შეიძინოს ცოდნა, შემდეგ კი აქციოს აქტიურ პროცესად (გამოყენება და ანალიზი),მომდევნოა შედეგის მიღების ეტაპი (სინთეზი და შეფასება), რომელიც მას განუვითარებს შემოქმედებითს აზროვნებას და გამოუმუშავებს შეფასების უნარს. ბლუმის ტაქსონომიას ასეთი სახე აქვს:

1. ცოდნა: ინფორმაციის ათვისება;

2. გაგება-წვდომა: ინფორმაციის გაგება, მისი ინტერპრეტაცია, სხვა სიტყვებით გადმოცემა, გააზრება და განზოგადება;

3. გამოყენება: მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ახალ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში გამოყენება;

4. ანალიზი: მონაცემების დაჯგუფება ლოგიკურ ქვეჯგუფებად, მათ შორის ლოგიკური კავშირის დადგენა;

5. სინთეზი: ლოგიკური ქვეჯგუფების ახლებური, პროდუქტიული სინთეზი; პრობლემის გადაჭრის ახალი გზის მოძიება;

6. შეფასება: პირველ ხუთ დონეზე შეძენილი ცოდნის, უნარების, გაგებისა და გამოცდილების გაერთიანება.



დასავლეთი ევროპის ქვეყნებში ეს კურსი უკვე ნახევარი საუკუნეა ისწავლება. სტუდენტმა კონსტრუქტივისტული მიდგომით თავად უნდა ააგოს ცოდნა, იგი პასიური მსმენელი არ უნდა იყოს. მხოლოდ ამ გზით ჩამოუყალიბდება მას კრიტიკული აზროვნების უნარი, შეძლებს საკუთარი აზრისა და პოზიციის დამაჯერებლად, არგუმენტირებულად და შთამბეჭდავად გადმოცემას.

კურსის მიზანია, სტუდენტს წერის მოსამზადებელ ეტაპზე ჩამოუყალიბოს მსმენელის თუ მკითხველის ასაკის, სოციალური სტატუსის, ინტერესების სფეროს გათვალისწინების ჩვევა. მას უნდა შეეძლოს განსხვავებული და მსგავსი თვალსაზრისების დაჯგუფება, ანალიზი, სინთეზი და **საკუთარი პოზიციის გამოკვეთა.** იგი უნდა დაეუფლოს აკადემიური წერის მთავარ პრინციპს, შესავალშივე წარმოადგინოს თეზისი, ანუ გამოკვეთოს საკუთარი პოზიცია და ყველა არგუმენტი თუ ქვეარგუმენტი მასვე დაუკავშიროს; მან მსჯელობა ლოგიკურად უნდა ააგოს, შეარჩიოს შესა-

ბამისი სტილი, ფლობდეს წერის სტრატეგიებს (გეგმის შედგენა, ნაწერის კორექტირება, ტექსტის სათანადო გაფორმება). სტუდენტმა უნდა მოახერხოს ასევე ტექსტის ტრანსფორმაცია, ერთისა და იმავე შინაარსის სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის შექმნა და მისი გაფორმება, განსხვავებული შინაარსისა და მოდელის ესეს წერა.

ინფორმირება, დარწმუნება და საკუთარი პოზიციის გამოკვეთა წერითი ნაშრომის აუცილებელი მოთხოვნებია.

აკადემიური წერის კურსში ისწავლება თემის შერჩევის სტრატეგიები, ინფორმაციის შეკრება, დაჯგუფება, ორგანიზება და გაანალიზება, სათაურის შერჩევა; საგანგებო ყურადღება ეთმობა ფუნქციური სტილის დიფერენციაციას, სათანადო სტილის შერჩევას და მისგან **გადახრის** (გადახვევის) გაანალიზებას.

აკადემიურად შესრულებული ნაშრომი, ბუნებრივია, დაზღვეული უნდა იყოს გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომებისაგან. ეს კი სტუდენტისგან ითხოვს სალიტერატურო ენის ნორმების, გრამატიკის ძირითადი წესებისა და გამონაკლისების საფუძვლიან ცოდნას და მის პრაქტიკაში რეალიზაციას, ტიპობრივი შეცდომების თავიდან აცილებას.

კურსში შეისწავლება ნაწერის რედაქტირება, კორექტურა და მასთან დაკავშირებული პირობითი ნიშნები. ამასთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან პლაგიატის თავიდან აცილებას, სწორად პერიფრაზირებას და ციტირებას, ლიტერატურის დამოწმების მსოფლიოში აღიარებულ წესს. აქვე განიხილება რეცენზიის, ანოტაციის, რეზიუმეს, თეზისების თუ საბაკალავრო ნაშრომის წერის ტექნიკაც. **ფუნქციური წერა** ამ კურსის განუყოფელი ნაწილია.

1.2. აკადემიური წერის მიმართება მეცნიერების სხვა დარგებთან

აკადემიური წერა მჭიდროდ უკავშირდება ენათმეცნიერების და გრამატიკის დარგებს.

მორფოლოგიასთან კავშირი. სიტყვათა ფორმაცვალების წესების, სახელური და ზმნური კატეგორიების წარმოების ცოდნა გვეხმარება აზრის ისე გამართვასა და გადმოცემაში, რომ შეცდომები თავიდან ავიცილოთ.

სინტაქსთან კავშირი. დახვეწილი, აკადემიური წერისათვის აუცილებელია სიტყვათა შეწყობა-შეკავშირების, კავშირების სწორად გამოყენების, წინადადების აგების, სიტყვათა რიგის, სასვენი ნიშნების ხმარების წესების ცოდნა.

მეტყველების კულტურასთან კავშირი. მეტყველების კულტურა საერთო კულტურის შემადგენელი ნაწილია. იგი განიხილავს ,,პიროვნების მიერ იმ ენობრივი ნორმების ფლობას, რომლებიც სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისი დონისთვის არის მიღებული და სავალდებულო“ (არაბული, 2005:8).

მეტყველებაში იგულისხმება როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაცია. აღნიშნული კურსი გულისხმობს ენობრივი ნორმების ფლობას, სრულფასოვან კომუნიკაციას. მეტყველების კულტურასთან მას ანათესავებს ასევე ფუნქციური სტილის და ტერმინოლოგიის საკითხებით დაინტერესება.

სტილისტიკასთან კავშირი. ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება. მეტყველების სტილის დასადგენად აუცილებელია ჩვეულებრივ და განსაკუთრებულ შესაძლებლობათა დაპირისპირება. ლინგვოსტილისტიკას სწორედ ენის განსაკუთრებული შესაძლებლობანი აინტერესებს. უშუალოდ სტილისტიკის საგანია ფუნქციური სტილის საკითხებიც, რომლებიც **აკადემიური წერისთვის** ერთობ აქტუალურია.

ტექსტის სტილისტიკა, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ,,არკვევს, თუ სად და როგორ ფუნქციონირებენ ტექსტის კატეგორიები და პარამეტრები, როგორ შეასრულა ტექსტმა თავისი ფუნქცია სხვადასხვა ჟანრსა და სტილში“ (სერგია, 1989:8).

ტექსტის ლინგვისტიკასთან კავშირი. აკადემიური წერის საგანი ფუნქციური ტექსტების შექ-

მნაა, ტექსტის ლინგვისტიკა კი არკვევს მათს არსს, ფუნქციას, სტრუქტურას, პარამეტრებს, საზღვრებს.

ლექსიკოლოგიასთან კავშირი. აკადემიური წერა ახლოს დგას ლექსიკოლოგიასთან. ცალკეული ფუნქციური სტილის (სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი) ტექსტის შექმნისას აუცილებელია სიტყვების, როგორც ლექსიკური ერთეულების, პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება, რაც უშუალოდ ლექსიკოლოგიის საგანია. მდიდარი ლექსიკური მარაგი აუცილებელია სათქმელის სრულყოფილად და ექსპრესიულად გადმოსაცემად.

რიტორიკასთან კავშირი. რიტორიკა წარმოადგენს ,,კარგად თქმის ხელოვნებას და კარგად თქმის მეცნიერებას"(კვინტილიანე). იგი აერთიანებს შემეცნების ორ სახეს: ესთეტიკურს და სამეცნიეროს. რიტორიკის კურსში საქმის ქაღალდების წარმოების წესებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა; აქვე შეისწავლება ფუნქციური სტილის საკითხებიც.

პრაგმატიკასთან კავშირი. პრაგმატიკა (ბერძ. Pragmatos, საქმე, მოქმედება) არის „მეცნიერება ენის გამოყენების,",,კონტექსტუალობის შესახებ." აკადემიური წერა, რიტორიკა, სტილისტიკა და პრაგმატიკა ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. პრაგმატიკას აინტერესებს ამ ენობრივი საშუალებების პრაქტიკული მიზნებით გამოყენება.

1.3. აკადემიური წერის თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება

აკადემიური წერის კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება წერის სტრატეგიები, სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი ტექსტის შექმნა, სტილის სახეობების ამოცნობა, მასალის მოგროვება-ორგანიზაცია, სათაურის შერჩევა; ესეს მოდელები და ტიპები; სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკა; ციტირებისა და პერიფრაზირების, ლიტერატურის დამოწმების წესები და ა. შ.

რაც შეეხება ამ დისციპლინის პრაქტიკულ დანიშნულებას, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში არაერთი ტიპის ტექსტს ვხვდებით, თავადაც გვიწევს მათი შექმნა, საქმიანი ქაღალდების შედგენა; ,,ელექტრონული ქსელის მეშვეობით კი დროის, ენერგიის, ფინანსების სოლიდურ ეკონომიას გავწევთ, თუკი შევძლებთ ჩვენი აზრისა და პოზიციის დამაჯერებლად, არგუმენტირებულად და შთამბეჭდავად წარდგენას" (გოჩიტაშვილი, ფრუიძე).

ამრიგად, აკადემიური წერა კომპლექსური დისციპლინაა, რომელიც ენათესავება სხვა დარგებს და მათს ცოდნას იყენებს პრაქტიკული მიზნებისთვის; კურსი ემსახურება წერის საყოველთაოდ აღიარებული, უნიფიცირებული სტილის დანერგვას.

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რამ განაპირობა აკადემიური წერის პრიორიტეტი?
2. რატომაა აუცილებელი წერითი კომპეტენციის ამაღლება?
3. რას ეყრდნობა აკადემიური წერის კურსი?
4. რა არის აკადემიური წერის მთავარი პრინციპი?
5. რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს წერის ტექნიკის დაუფლება?
6. განმარტეთ ტერმინი ,,აკადემიური";
7. რა მიმართებაა აკადემიურ წერასა და გრამატიკის დარგებს შორის?
8. რა მიმართებაა აკადემიურ წერასა და სტილისტიკას შორის?
9. გადმოეცით აკადემიური წერისა და მეტყველების კულტურის ურთიერთკავშირი;
10. რა მიმართებაა აკადემიურ წერასა და პრაგმატიკას შორის?
11. როგორ და რა გზით შეიძლება კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბება?
12. რა მიზანს ემსახურება აკადემიური წერის სწავლება?
13. რატომაა აუცილებელი წერის საყოველთაოდ აღიარებული წესების დაცვა?
14. ჩამოთვალეთ ცოდნის დაუფლების საფეხურები;
15. დაახასიათეთ ცოდნისა და შეფასების ეტაპები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით.

დაიხსომეთ: საზოგადო არსებითი სახელის მართლწერა

თანხმოვანფუძიანი		ხმოვანფუძიანი	
უკუმშველი	კუმშვადი	უკვეცელი	კვეცადი
1. წიგნი, მერხი, სკამი	**1.ა-ს კუმშვა:** ხმლის, ხმლით, ხმლად; ქმრის, ქათმის, მამლის	**1. ო-ფუძიანნი:** დრო, კალო, კალო, უთო	**1. ა-ფუძიანნი:** მთა, ზღვა, თივა, ხმა....
2. შემოკლებით შეერთებული სიტყვები: ანბანი, ექთანი, ფინგანი	**2. ე-ს კუმშვა:** კედლის, კედლით, კედლად, ბეღლის,	**2.უ-ფუძიანნი:** ძუძუ, რუ, ბუ, კუ	**2. ე-ფუძიანნი:** დღე, კლდე, მზე
3. უცხოური სიტყვები: ლიმონი, ჟურნალი, დეკანი, კარდინალი	**3. ო-ს კუმშვა:** ა) სრულად: საპნის, ხოხბის, ფოთლის, გოდრის, გოდლის... **ბ) ო-ს დასუსტება:** მაწვნის, ნიგვზის, ნივრის, ივრის, მინდვრის, პომიდვრის	**3.-ა სუფიქსიანნი:** ეკალა, დედოფალა, ბიჭუნა, თაგუნა, ენძელა, კოდალა, ჭრიჭინა, ტოროლა...	3. დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ბიძია, ბიცოლა, ძიძა, დეიდა (საზოგადოდ)
4. თვალი (მხედვ. ორგანო) თვალის ტკივილი; თვალების დახუჭვა	**4. თვალი-** ბეჭდის თვლის, თვლები	**4. -ია სუფიქსიანნი:** დათუნია, თაგუნია, ნაცარქექია, კაციჭამია, მანჭია, ბრანჭია	
5. **წელი -** წელის ტკივილი	**5. წელი/ წელიწადი-** წლის მოსავალი	**5.უცხოური სახელები:** ა) ჰობი, ვისკი, ჟიური, რაგბი, ტაქსი, ბრენდი, კივი, სივი... ბ) კაფე, კაშნე, ტირე, იუბილე, ატელიე, კუპე, ჟელე, სუფლე... **6.** დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ბიძია, ბიცოლა, ძიძა, დეიდა (საკუთ. ნათესავები)	

კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელები
ფანჯარა, ქვეყანა, ქარხანა, მოყვარე, პეპელა, ბეგარა...

ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა	
ხმოვანფუძიანი	თანხმოვანფუძიანი

ორი ე’ ე+ ებ (ებ-იანი მრ.)	**ორი ი’** (-ია დაბ. ნათ. მოქმ.)	**ორი მ’** მ+ მა (მოთხ.)	**ორი ს’** ს+ ს (მიც.)	**ორი შ’** **შ+ ში’** (მიც.)	**ორი თ’** **თ+თან’** (მიც)	**ორი ზ’** **ზ+ზე’** (მიც.)	**ორი ნ’** ნ+ნ (ნართ. მრ.)
ხეები; დღე-ები.. **შეცდომაა:** კვირეები, წლეები	ბაჭი-ის, ბაჭი-ით...	ქათამ-მა, სკამ-მა, ურემ-მა	დმანი**სს**, ქუთაი**სს**, მაი**სს**...	ბალი**შშ**ი; კომ**შშ**ი...	სურა**თთ**ან, კალა**თთ**ან, ბარა**თთ**ან	ხა**ზზ**ე, კოვ**ზზ**ე, ვა**ზზ**ე	ბრძ**ენნ**ი ბრძ**ენნ**ო

თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები
ამბავი (ამბის, ამბით)... **ღმერთი** (ღვთის, ღმრთის), **ღვინო** (ღვინის, ღვინით) **ხუცესი** (ხუცის, ხუცით), **დრო** (დროის, დროით), ხბო (ხბოები//ხბორები), **მოწმე**/ მოწმად

საკუთარი სახელის მართლწერა

ბრუნვა	**სწორია**	**არასწორია**
მოთხრ.	**ა) თემურმა, ლევანმა, ზვიადმა, ვახტანგმა, მალხაზმა, გურამმა, ეთერმა, ივდითმა...** **ბ) აკაკიმ, ალექსიმ, ავქსენტიმ, ამბერკიმ, არკადიმ, გენადიმ, გივიმ, გიორგიმ, დიმიტრიმ, დომენტიმ, ევგენიმ, ევსევიმ, ევტიხიმ, ერასტიმ, ვალერიმ, ვახუშტიმ, ნელიმ, ლალიმ**	ა) თემურიმ, ლევანიმ, ზვიადიმ, ვახტანგიმ, ეთერიმ, მალხაზიმ, გურამიმ, ეთერიმ, ივდითიმ... ბ) ავქსენტმა, ამბერკმა, არკადმა, გენადმა, დომენ-ტმა, ევგენმა, ევსევმა, ევტიხმა, ერასტმა, ვალერმა, ვახუშტმა ...
მიცემითი	**ა) თემურს, ლევანს, ზვიადს, ვახტანგს, მალხაზს, გურამს, ეთერს, ივდითს...** **ბ)აკაკის, ალექსის, ავქსენტის, ამბერკის, არკადის, გენადის, გივის, გიორგის, დიმიტრის, დომენტის, ევგენის, ევსევის, ევტიხის, ერასტის, ვალერის, ვახუშტის, ნელის, ლალის**	ა) თემურის, ლევანის, ზვიადის, ვახტანგის, მალხაზის, გურამის, ეთერის, ივდითის... ბ) ავქსენტს, ამბერკს, არკადს, გენადს, დომენტს, ევგენს, ევსევს, ევტიხს, ერასტს, ვალერს, ვახუშტს ...
წოდებითი	**ა) ეთერ, ქეთევან, ნოდარ...** **ბ) პეტრე, შოთა, ნინო, ეკა, მზია...**	ა) ეთერო, ქეთევანო, ნოდარო... ბ) პეტრევ, შოთავ, ნინოვ, ეკავ, მზიავ...

გვარების მართლწერა

თანხმოვანფუძიანი		ხმოვანფუძიანი	
უკუმშველი	კუმშვადი	უკვეცელი	კვეცადი
ყველა	**გამონაკლისი -** წერეთელი, მაჩაბელი	**ა, ია, უა, ვა დაბოლოებიანი გვარები მხ/ რიცხვში** ფაღავა, ქიქავა, ჩიჩუა, ნაჭყებია, ქირია, ქებურია...	**ძე-დაბოლოებიანნი** ნინიძე, ბერიძე...

სავარჯიშო №1. დაწერეთ თემა: *ჩემი ოცნების ქალაქი.*

სავარჯიშო №2. წაიკითხეთ მოცემული ტექსტი, დასვით კითხვები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. შეაფასეთ ერთმანეთი.

ფსიქოლოგების აზრით, სიზარმაცე არის მდგომარეობა, როცა არ შეგვიძლია ვაიძულოთ საკუთარი თავი, გავაკეთოთ აუცილებელი საქმე, ასევე სურვილი, შევქმნათ ჩვენ ირგვლივ მყუდრო, სასიამოვნო და კომფორტული გარემო. ამასთანავე, თავს ვარიდებთ ყოველივე იმას, რაც ითხოვს ენერგიას და ძალისხმევას. უკონტროლო სიზარმაცის შედეგი ხშირად მტკივნეული შეიძლება აღმოჩნდეს: წარუმატებლობა კარიერაში, პრობლემები პირად ცხოვრებაში, დაბალი თვითშეფასება, ხშირად ყველა წამოწყება თავიდანვე განწირულია მარცხისთვის. სიზარმაცესა და მისი დაძლევის მეთოდებზე ფსიქოლოგები გვეუბნებიან, რომ ,,სიზარმაცეს ძირითადად გადაღლა იწვევს, ორგანიზმს დასვენება სჭირდება და როცა ვერ იღებს მას, გამოუმუშავდება სიზარმაცე. არის ტერმინი **პროკრასტინაცია,** რაც ყველა საქმის ხვალისთვის გადადებას ნიშნავს: – ხვალ ვისწავლი, ხვალ წავალ, ხვალ მოვამზადებ საჭმელს. ამას იწვევს დაგროვებული საქმის შიში და მისი გადადება ამსუბუქებს მდგომარეობას. მაგ.: გამოცდისთვის მომზადება: სტუდენტი ხვდება, რომ საგანი აუცილებლად უნდა მოემზადოს, შესაძლოა, ორი კვირა ჰქონდეს და მაინც ბოლო დღისთვის მოიტოვოს სასწავლი.

ქეთი ამბობს, რომ სიზარმაცის მიზეზი შეიძლება საქმისადმი უინტერესობაც იყოს: ხშირად საყვარელი საქმიანობაც შეიძლება გახდეს მომაბეზრებელი, თუკი ის სისტემატიურ სახეს მიიღებს.

,,ბავშვს უნდა დავავალოთ ისე, რომ თან გავახალისოთ. მაგალითად, შევთავაზოთ ერთად ნამცხვრის გამოცხობა, პატარა საქმე მასაც მივცეთ და ვუთხრათ, რომ გემრიელი ნამცხვარი გამოგვივა და მამიკოს მოეწონება. ბავშვებს უყვართ სათამაშოების დაყრა. ამ შემთხვევაში მუქარას და დასჯას აჯობებს ვუთხრათ, რომ ეზოში წვიმა მოვა და სათამაშოებს დააზიანებს. თუ არ აალაგებს, შეიძლება მართლა გაფუჭდეს სათამაშოები და თვითონვე დაზარალდეს, შემდეგისთვის კი აუცილებლად გაითვალისწინებს“, – გვირჩევს ფსიქოლოგი.

ფსიქოლოგის თქმით, ძირითადად ის ბავშვები ზარმაცობენ, რომლებიც ერთდროულად არიან გაწევრიანებული სხვადასხვა სტუდიასა და წრეში. ბავშვს ზედმეტად ბევრი საქმე უგროვდება და თავისთავად ბლოკავს თავს, ცდილობს საქმე ხვალისთვის გადადოს. ქეთი გვირჩევს, დავუნაწილოთ ბავშვს სამუშაო, რათა ამ საქმის შესრულება გახდეს მისთვის იოლი და სახალისო.

სიზარმაცის დასაძლევ რჩევებს სხვადასხვა ინტერნეტსაიტზეც შევხვდებით: 1. მიიყვანეთ ყველა საქმე ბოლომდე, რადგან დასრულებულ საქმეს აღიქვამთ, როგორც გამარჯვებას. თუ ვიცით, რომ საქმე არ გამოგვივა, საერთოდაც არ უნდა მოვკიდოთ ხელი, ან დავყოთ ნაწილებად. მაგ.: ვისაც უძილობა აწუხებს, ხშირად ურჩევენ, კი არ შეეცადონ დაძინებას, არამედ რამდენიმე დღეს სართოდ არ დაიძინონ. ამავე პრინციპით, იზარმაცეთ, არაფერი აკეთოთ, ბოლოს მოგბეზრდებათ და მოგინდებათ საქმის კეთება. და ბოლოს, გთავაზობთ სიზარმაცისა და გულმავიწყობის დაძლევის ხერხს: საღამოს ბლოკნოტში ჩამოწერეთ მომდევნო დღის გეგმები, გვერდზე მიუწერეთ დრო, რა პერიოდშიც უნდა შეასრულოთ სამუშაო, გამოყავით თავისუფალი დროც. საღამოს შესრულებულ საქმეებს პლუსები დაუსვით, რაც ძალიან გაგახალისებთ და მხნეობას შეგმატებთ.

თემა II. კითხვის სტრატეგიები; ეფექტიანი კითხვა; კითხვის საფეხურები; ტექსტის გაგება, ანალიზი; რეზიუმეს შექმნა

კითხვა თითქოს წერაზე უფრო ადვილია, თუმცა ლიტერატურული ნაწარმოების წვდომა ყველას ერთნაირად როდი შეუძლია. ყველა ნამდვილად ვერ იქნება კარგი მკითხველი. მაშასადამე, სხვადასხვა მკითხველი ერთსა და იმავე ტექსტს განსხვავებულად აღიქვამს.

კითხვა, ისე როგორც წერა, შემოქმედებითი პროცესია. მის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული ადამიანის წინსვლა, მით უფრო, სტუდენტის წარმატება. ამასთან დაკავშირებით ჩნდება სადისკუსიო კითხვები: **რა არის ზოგადად კითხვა? რა არის ეფექტიანი კითხვა და რით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი კითხვისგან? რა თავისებურებები ახასიათებს მას? ვინ შეიძლება ჩაითვალოს კარგ მკითხველად? კითხვის რა სტრატეგიები არსებობს? რა მიზნით ვკითხულობთ აკადემიურ ტექსტს? როგორი მკითხველები არიან სტუდენტები? როგორი მკითხველი ვართ თავად და რატომ ვფიქრობთ ასე?**

ეფექტიანი კითხვა მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული ინტელექტუალური პროცესია.

კითხვის ეფექტიანობა დამოკიდებულია ტექსტის სრულყოფილ გაგებაზე. ამ უკანასკნელის არსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ტექსტი ერთი მხრივ, თავად იძლევა მითითებებს, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ და მეორე მხრივ, ის დამოკიდებულია მკითხველის საბაზისო ცოდნაზე. კითხვის პროცესში კარგი მკითხველი ყურადღებას ამახვილებს არაარსებით მომენტებზეც და სწვდება ქვეტექსტსაც.

აკადემიურ გარემოში სტუდენტი ძირითადად სამი მიზნით კითხულობს. ,,იგი ცდილობს:

ა) ჩასწვდეს აკადემიური ტექსტის არსს, მის კონტექსტს, ავტორის ძირითად სათქმელს, იდეას. ის პასუხობს მისთვის მნიშვნელოვან კითხვებს: **რამდენად ზუსტად გავიგე ტექსტის აზრი? რა არსებით საკითხებს განიხილავს ავტორი და როგორია მისი პოზიცია? სად და როგორ შემიძლია გამოვიყენო მიღებული ინფორმაცია და ა. შ.**

ბ) კრიტიკულად შეაფასოს ტექსტი. მთავარი კითხვებია: **რაში ვეთანხმები ან არ ვეთანხმები ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, შეხედულებებსა და არგუმენტებს?**

როგორია ჩემი, საკუთარი დასკვნა?“ (შავთვალაძე, დუნდუა, 2013:).

სტუდენტი კითხულობს იმისთვის, რომ დაწეროს **ესე, რეზიუმე, ანოტაცია** და ა.შ. იგი საფუძვლიანად უნდა ჩასწვდეს ტექსტის არსს, გაერკვეს მის სტრუქტურაში, დააკვირდეს, რა საშუალებები (ენობრივი, მხატვრული, სტილისტიკური, რიტორიკული) გამოიყენა ავტორმა მკითხველზე შესაბამისი ზემოქმედების მოსახდენად.

კითხვის პროცესში სტუდენტს უვითარდება ლოგიკური და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, რაც მეტად საჭირო და აუცილებელია აკადემიური ტექსტის შესაქმნელად.

აქტიური და პასიური კითხვა

კითხვა ორი სახისაა: **აქტიური და პასიური.**

ეფექტიანი კითხვის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი აქტიური პროცესია, რომელიც თავისი ხერხებითა ან სტრატეგიებით უშუალოდ უკავშირდება რაიმე მიზანს.

პასიურია მხატვრული ნაწარმოების საკუთარი სიამოვნებისათვის კითხვა, წაკითხულისაგან მაქსიმალური სიამოვნების მიღება.

აქტიური ჰქვია ტექსტის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად კითხვას, ავტორის ნააზრევის საფუძვლიანი წვდომის აუცილებლობას, მიღებული ინფორმაციის აკადემიურ საქმიანობაში გამოყენებას.

კითხვის სამი საფეხური (ეტაპი) არსებობს:

შესავალი – (ტექსტში ორიენტირება);

ძირითადი – (ტექსტის სრულყოფილად გაგება და წვდომა);

დასკვნითი – (ტექსტის შეჯამება, ინტერპრეტაცია და კრიტიკა).

შესავალი ეტაპი. ამ ეტაპზე ზოგადი წარმოდგენა გვექმნება წერითი ნაშრომის დანიშნულებისა და მასში წარმოდგენილი არსებითი საკითხების შესახებ. კითხვის დაწყებამდე ვეცნობით ნაწარმოების სათაურსა და ავტორს, ვცდილობთ გავიგოთ დამატებითი ინფორმაცია ამ უკანასკნელის შესახებ, შემდეგ უნდა გავარკვიოთ ტექსტის მიზანდასახულობა, რისთვის ვკითხულობთ და რას უნდა მივაღწიოთ კითხვით.

რას მოითხოვს ჩვენგან კითხვა? ახალ ტექსტში სწრაფი ორიენტირებისთვის ეფექტიანია ამერიკელი პედაგოგის, **ბილ ქოსბის,** მეთოდი: თავდაპირველად „მთლიანად წაიკითხეთ თქვენ მიერ შერჩეული ტექსტის პირველი ორი აბზაცი. შემდეგ გადაიკითხეთ ყოველი მომდევნო აბზაცის პირველი წინადადება; დასასრულ კი, ყურადღებით წაიკითხეთ ბოლო ორი აბზაცი“ („როგორ ვიკითხოთ სწრაფად“, 1982, ნიუ-იორკი).

ამ ეტაპზე მკითხველი ზედმიწევნით აქტიურია, იგი ცდილობს გაიხსენოს ან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კითხვის ძირითადი ეტაპის დაწყებამდე მკითხველმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა: **რა ვიცი ნაშრომის შესახებ? როგორ მივაღწიო მომდევნო ეტაპამდე?**

კითხვის ძირითადი ეტაპი

ამ ეტაპის მთავარი მიზანია ტექსტის საფუძვლიანი ანალიზი და გაგება. საამისოდ სხვადასხვა ხერხი და მეთოდი გამოიყენება:

1. ტექსტის გეგმის, მონახაზის შედგენა, თეზისის და მთავარი წინადადების, საკვანძო სიტყვების გამოყოფა;

2. ტექსტზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა, მის სტრუქტურაში გარკვევა, მისი აბზაცებად დაყოფა. ეს ხერხი ტექსტის გაგების საუკეთესო საშუალებაა;

3. არგუმენტების გამოყოფა და წერის დროს მათი გამოყენება.

კითხვის დასკვნითი ეტაპი. დასკვნითს ეტაპზე წაკითხულს, გააზრებულსა და განცდილს ვაჯამებთ. ამ დროს დაისმის კითხვები: **რა გავიგე მე წაკითხული ნაშრომისგან? რა იყო ავტორის მიზანი და რა შთაბეჭდილება მოახდინა ტექსტმა ჩემზე, როგორც მკითხველზე?**

წარმატებული კითხვა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. კრიტიკული აზროვნება სწავლისა და მუშაობის უნარს აუმჯობესებს.

კრიტიკული კითხვის მეთოდებია:

წერა: კითხვის დროს შენიშვნების ჩაწერა;

გადახედვა: ტექსტის გადათვალიერება, თვალის გადავლება;

წაკითხვა: ტექსტის რამდენიმეჯერ გადაკითხვა, დეტალური კითხვა;

შეჯამება: ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება და ძირითადი იდეის გამოკვეთა;

კრიტიკული პასუხის ჩამოყალიბება: ანალიზი, სინთეზი, ინტერპრეტაცია, შეფასება.

რამდენჯერ და როგორ უნდა წავიკითხოთ ტექსტი? პირველად ვკითხულობთ სწრაფად, შეიძლება ითქვას, თვალს გადავავლებთ ტექსტს. ასეთი კითხვის დროს გვექმნება ზოგადი წარმოდგენა, ვიგებთ, თუ რაზე საუბრობს ავტორი, გვიყალიბდება პირველი შთაბეჭდილება ტექსტის შესახებ.

ხელმეორედ წაკითხვისას უფრო ყურადღებით ვკითხულობთ, ვცდილობთ დაწვრილებით ჩავსწვდეთ შინაარსს, მოვძებნოთ გაუგებარი ტერმინების განმარტებები, დავანაწევროთ ტექსტი, **გამოვიყენოთ მარტივიდან რთულისკენ სვლის პრინციპი** და ბოლოს, თემა მთლიანობაში აღვიქვათ**;** დანაწევრებული ტექსტი უფრო იოლად აღიქმება და ადვილად გასაგებია.

კითხვის სამივე ეტაპის (შესავალი, ძირითადი, დასკვნითი) დასრულების შემდეგ შესაძლებელია რეზიუმეს შექმნა.

რეკომენდაციები ტექსტის გასააზრებლად:

1. გაარკვიეთ, მეტყველების რომელ ტიპს მიეკუთვნება ტექსტი:

ა) თხრობა (narrative) გვიჩვენებს ამბის, მოვლენის ან მოქმედების განვითარებას დროსა და სივ-

რცეში. **მოვლენები ერთმანეთს მოსდევს ან ერთიმეორეს განაპირობებს;**

ბ) აღწერა (descriptive) არის პიროვნების, საგნის, მოვლენის დამახასიათებელი ნიშან-თვისების წარმოდგენა-აღნუსხვა;

გ) მსჯელობა (argumentative) არის აზრის, დებულების დადასტურება ან უარყოფა.

არსებობს სხვა **ტიპებიც**: პოლემიკური, დიდაქტიკური...

2. დაადგინეთ ტექსტის სტილი, ჩამოთვლილთაგან რომელია იგი:

ა) სამეცნიერო;

ბ) მხატვრულ-ლიტერატურული;

გ) ოფიციალურ-საქმიანი;

დ) პუბლიცისტური, თუ

ე) სასაუბრო.

3. დაადგინეთ ტექსტის ფორმა:

ა) მონოლოგი – საუბარი მიემართება საკუთარ თავს ან სხვას, მაგრამ მისგან საპასუხო რეაქციას არ მოითხოვს.

ბ) დიალოგი – ორი ადამიანის მონაცვლეობითი საუბარი;

გ) პოლილოგი – საუბარი რამდენიმე პირს შორის.

4. მოძებნეთ გაუგებარ სიტყვათა განმარტებანი ან ამოიცანით კონტექსტის მიხედვით

5. გამოკვეთეთ: ა) **თემა**; ბ) **იდეა** – რის თქმა სურს ავტორს; გ) ტექსტის **საკვანძო სიტყვა და თეზისი**, კატეგორიები და ქვეკატეგორიები; დ) **ქვეტექსტი** – დაფარული ინფორმაცია, რომელიც ტექსტში სიტყვასიტყვით არ წერია.

6. გამიჯნეთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია (ძირითადი ინფორმაცია უნდა იყოს ტექსტის დაახლოებით 10%).

ვიცოდი (✓)	გავიგე (+)	ბუნდოვანია (?)

7. დანომრეთ ტექსტში აბზაცები:

8. ამოიღეთ ცალკეული ფრაგმენტი, აბზაცის მთავარი სათქმელი გადმოეცით შემდეგნაირად:

აბზაცი	მთავარი სათქმელი	ფუნქცია
I		
II		
III		

9. დაადგინეთ აბზაცებს შორის მ ი მ ა რ თ ე ბ ა:

ა) მიზეზი – შედეგი; ბ) საკითხის დასმა – გაშლა; გ) საკითხის დასმა, დასაბუთება, დაზუსტება, დაკონკრეტება, შეჯამება.

10. გაარჩიეთ ვარაუდი და ფაქტი ერთმანეთისგან:

ა) ვარაუდი – რაც შესაძლოა მოხდეს მომავალში (მარკერები: **შესაძლოა, შესაძლებელია, ალბათ, სავარაუდოდ, მოსალოდნელია...**);

ბ) ფაქტი – რაც უკვე მოხდა, ნამდვილია, ფაქტია...

11. დაადგინეთ ტექსტში მოცემულ ინფორმაციასა და სხვა ჰიპოთეზებს შორის მიმართება;
12. გამოიყენეთ ტექსტში მოპოვებული ინფორმაცია სხვა პრობლემის გადასაჭრელად;
13. გამოიყენეთ მარკერები:განცდები, გრძნობები: ეეჰ, ოჰ, უჰ, უი, ერიჰა�ა...
მიმართვა: წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი...
მიზეზი: ამიტომ, ვინაიდან, რატომღაც, რადგან, ამის გამო, ვინაიდან..
მიზანი: ამისთვის, მაგისთვის, ამად, იმად, რომ, რათა, ამ მიზნით...
დროის აღნიშვნა: ადრე, გვიან, მაშინ, როცა, დიდი ხნის შემდეგ;
ადგილის აღნიშვნა: შორს, ახლოს, დიდ ქალაქებში, პატარა სოფელში...
შედეგი, შეჯამება: ამრიგად, აქედან გამომდინარე, ამდენად, მაშასადამე, და ბოლოს...

რეკომენდაციები კითხვებზე პასუხის გასაცემად:

1. კითხვებზე პასუხის გაცემა ტექსტის კარგად გააზრების და სემანტიკური რუკის აგების შემდეგ დაიწყეთ;

2. კითხვას ჯერ ზეპირად გაეცით პასუხი და ჩაინიშნეთ, შემდეგ მოძებნეთ ტექსტის შესაბამისი ადგილი (ზოგჯერ აბზაცის ნომერი მითითებულია, ზოგჯერ პასუხი არცერთ აბზაცს არ უკავშირდება);

3. **ნუ შემოხაზავთ პირველივე ვარიანტს, შემოიღეთ აღნიშვნა** (?,✓...) თუ უმალ გამორიცხავთ, დაუწერეთ (–). პასუხებიდან თუ ორი კითხვის ნიშანი გაქვთ, ამის შემდეგ შეუდარეთ ერთმანეთს;

4. მონახეთ ტექსტში თითოეული პასუხის მართებულობის თუ უმართებულობის დამადასტურებელი არგუმენტები;

5. პასუხი შეიძლება სწორი იყოს ლოგიკის თვალსაზრისით, მაგრამ უმართებულო მოცემული ტექსტის მიხედვით/ან ფაქტობრივად სწორია, მაგრამ მოცემულ ტექსტში არაა საუბარი**;**

6. თითოეული პასუხი ბოლომდე გულდასმით წაიკითხეთ, ზოგჯერ ის ნაწილობრივ სწორია, ან ერთი სიტყვაა არასწორად, ანუ მცდარია;

7. პასუხების ვარიანტთაგან ზოგი შეიძლება იყოს ძალიან ზოგადი ან კერძო (მაგალითი №1 კითხვა, მარკერები);

8. პერსონაჟის მრწამსი არაპირდაპირ გადმოცემა **ჟესტით, მიმიკით, მოძრაობით; თვითანალიზი, თვითჩაღრმავება კი ასე**: ,,ნუ ფიქრობ ასე, გამხნევდი, ცოტაც მოიცადე...“...

პერსონაჟის ფსიქიკური განცდებია: მწუხარება, სევდა, დანანება, წუხილი**...ავტორის შეფასება:** მზაკვრულად, ცბიერად, სასიამოვნო...

9. პასუხი არასწორია, თუ მასში გამოიყენება სიტყვები: **მხოლოდ,ზოგჯერ, ხანდახან...**

ტექსტის გააზრება: ნაწყვეტი მიხეილ თუმანიშვილის წერილიდან „მოდით, ვითამაშოთ“

თამაშობს ყველა. თამაშობენ ბავშვები, უფროსები. თამაშობენ ცხოველები. თამაშობდნენ პირველყოფილი ადამიანები. თამაშს თითქოს პრაქტიკული მიზანი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ისინი გაითამაშებენ სცენებს მომავალი ყოფიდან: მტაცებლები კვალის მიგნებას, თავდასხმას სწავლობენ, არამტაცებელნი – ფხიზლად ყოფნას, დროულად გაქცევას. ცხოველები ისეთ ვითარებებს „ამუშავებენ“, რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ. საიდან იციან მათ ეს? რაღაც კარნახობს მათ, ცხოვრებასთან შესახვედრად ამზადებს.

პალეოლითის ხანაში მონადირეები ძალზე რთულ სარიტუალო ცეკვა-თამაშებს, ,,პანტონიმას“ ასრულებდნენ. ბიზონებსა და ირმებზე ნადირობის წინ რამდენიმე დღის განმავლობაში მონადირეები მაგიურ „ბიზონთა ცეკვას“ განასახიერებდნენ. ერთნი ბიზონის ტყავსა და ნიღბებში გამოწყობილნი, მეორენი კი იარაღით ხელში ასრულებდნენ მომავალი ნადირობის ცეკვას: განასახიერებდნენ იმ მღელვარებას, დაძაბულობას, რომელიც ნადირობას ახლავს თან, გაითამაშებდნენ ცხოველთა მონადირების, მათი დახოცვის, ნადირობისას თვისტომთა დაღუპვისა და დატირების სცენებს: მომავალი ნადირობის „რეპეტიციას“ გადიოდნენ. მათ კიდევ ერთხელ უნდა განეცადათ უკვე განცდილი, ან წინასწარ განეცადათ სამომავლოდ განსაცდელი.

ადამიანს თამაშის მოთხოვნილება ყოველთვის ჰქონდა. ეს კარგად ჩანს სახალხო წეს-ჩვეულებებში (ბერიკაობასა და ყეენობაში) საქორწინო თუ რელიგიურ რიტუალებში, ევროპაში ყველიერის დასასრულს ქალაქსა თუ სოფელში რამდენიმედღიანი კარნავალი იმართებოდა. მასში დიდი თუ პატარა მონაწილეობდა. ლამაზ, უჩვეულო კოსტიუმებში გამოწყობილი მონაწილენი მხიარულობდნენ. ქალები მამაკაცურად გადაცმულნი, მამაკაცები კი კაბებში გამოწყობილნი სეირნობდნენ. ეს კარნავალის პრინციპია: ყოველივე აკრძალული ნებადართულია ნიღაბქვეშ, ყველაფერი თეატრალიზებულია.

წარსულში ეწყობოდა ე. წ. „სულელების დღესასწაულები," მასხარებისა და ცრუპენტელების სახალხო ზეიმები, სადაც ყველას შეეძლო ძლიერთა ამა ქვეყნისათა: მეფის, ხელისუფალთა დაცინვა-გაქილიკება. საგანგებოდ ირჩევდნენ ტუტუცების მეფეებს (საქართველოში – ყეენს). ბრბო დასცინოდა, მდინარეში აგდებდა „ხელისუფალს." ასეთ თამაშებში ჩანდა დამოკიდებულება ხელისუფალთა მიმართ. ეს დღესასწაულები იყო ხელისუფლების აკრძალვებისგან თავისუფალი ცხოვრება. თამაშის (კარნავალის) მონაწილეს ესმოდა, რომ ყოველივე შეფარდებითია და პირობითი.

სატურნუსის, მიწათმოქმედებისა და მევენახეობის მფარველი ღვთაების პატივსაცემად ძველ რომში აწყობდნენ ზეიმს, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ცენტრალური ფიგურა იყო ხარი (დოვლათიანობისა და ძლიერების სიმბოლო). ქუჩებში დაატარებდნენ ყვავილებით, გირლანდებით შემკულ ხარს, აწყობდნენ დოღს, ნიღბების აღლუმს, თეატრალურ წარმოდგენებს. ამ დღეებში იმპერატორი თუ მონა ისვენებდა, თავდებით უშვებდნენ პატიმრებს, არ სჯიდნენ მოწაფეებს, ათავისუფლებდნენ მონებს, მეტიც, მათ თავიანთი პატრონები ემსახურებოდნენ. კარნავალის მონაწილეები სოციალური შეზღუდვებისგან გასათავისუფლებლად სახეს ნიღაბქვეშ მალავდნენ.

ტექსტის გასააზრებელი კითხვები:

1. ტექსტში სიტყვა „ხელისუფალი" ბრჭყალებშია ჩასმული, რადგან იგი:

ა) კარნავალის მთავარ მონაწილეს აღნიშნავს;

ბ) ციტირებულია სხვა ნაშრომიდან;

გ) საკუთარი სახელია;

დ) საგანგებოდაა გამოყოფილი;

ე) პაროდირებულია;

ვ) გადატანითი მნიშვნელობითაა.

2. რას ნიშნავს: ნადირობის „რეპეტიციას" გადიოდნენ?

ა) ვარჯიშობდნენ ნადირობისათვის საჭირო მოძრაობათა შესრულებაში;

ბ) ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალურ ცეკვას;

გ) ბაძავდნენ სხვა მონადირეთა ცეკვა-თამაშებს;

დ) აწყობდნენ ნადირობის ინსცენირებას;

ე) დგამდნენ სპექტაკლ „ბიზონთა ცეკვას".

3. რა მნიშვნელობა აქვს თამაშს ცხოველებისათვის?

ა) ავითარებს მათ თანდაყოლილ ინსტინქტებს;

ბ) ასწავლის მათ კვალის მიგნებასა და ფხიზლად ყოფნას;

გ) ამზადებს რთული სიტუაციებისთვის, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში შეხვდებათ;

დ)ჰკარნახობს მათ, როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა რთულ ვითარებაში;

ე) ავლენს ცხოველთა ისეთ მოძრაობებს, რომლებიც მომავალში უნდა დაამუშაონ.

4. ქვემოთ მოცემულია ორ–ორი წინადადება (I წინადადება – I აბზაციდან, II წინადადება კი II აბზაციდან) რომელ პასუხშია დაწყვილებული ანალოგიური (მსგავსი) შინაარსის მქონე წინადადებები?

ა) ცხოველები ისეთ სიტუაციებს „ამუშავებენ,"რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ. მათ ერთხელ კიდევ უნდა განეცადათ უკვე განცდილი, ან წინასწარ განეცადათ სამომავლოდ განსაც-

დელი;

ბ)თამაშობს ყველა/ერთნი ბიზონის ტყავსა და ნიღბებში გამოწყობილნი, მეორენი კი იარაღით ხელში ასრულებდნენ მომავალი ნადირობის ცეკვას;

გ) თამაშობდნენ პირველყოფილი ადამიანები;

დ) რაღაც კარნახობს მათ, ცხოვრებასთან შესახვედრად ამზადებს/ ბიზონებსა და ირმებზე ნადირობის წინ რამდენიმე დღის განმავლობაში მონადირეები მაგიურ „ბიზონთა ცეკვას“ განასახიერებდნენ.

5. შემდეგთაგან აარჩიეთ ქართული ყეენობისა და ევროპული კარნავალის ყველაზე <u>არსებითი</u> საერთო მახასიათებელი:

ა) რიტუალში მასხარები მონაწილეობენ;

ბ) რიტუალის დროს მდინარეში აგდებენ ხელისუფალს;

გ) რიტუალის მონაწილეები უჩვეულო კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი;

დ) რიტუალი ერთსა და იმავე დროს ტარდება;

ე) რიტუალი აკრძალვებისგან თავისუფალ ცხოვრებას განასახიერებს.

6. ყველაზე კარგად რომელშია ჩამოყალიბებული ამ ტექსტის მოკლე შეჯამება?

ა) ბერიკაობის, ყეენობის თუ კარნავალის დროს ადამიანებისთვის ნიღაბქვეშ ყველაფერი ნებადართულია;

ბ) ყველა ხანაში ყოველ ცოცხალ არსებას აქვს თამაშის, რეალობის ,,თეატრალიზების“ მოთხოვნილება;

გ) პირველყოფილი ადამიანები უფრო მეტი რამით ჰგვანან თანამედროვეებს, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონიათ;

დ) თამაშით თავისუფლებიან მთელი წლის განმავლობაში ხელისუფალთა მიმართ დაგროვებული აგრესიისგან;

ე) ცხოველები თამაშით იძენენ გამოცდილებას, ემზადებიან რეალური ცხოვრებისთვის.

7. სატურნალიების შემდეგი მახასიათებლებიდან რომელი არ უკავშირდება ძირითად ტექსტის III და IV აბზაცებში აღწერილ დღესასწაულებს?

ა) პირობითობა-სიმბოლურობა-შენიღბვა;

ბ) სოციალური თანასწორობის ილუზია;

გ) ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემა;

დ) აკრძალვების მოხსნა;

ე) საყოველთაო მხიარულება.

8. დიმიტრი უზნაძის თანახმად, თამაშის (ისევე როგორც ზემოქმედებისა თუ უბრალოდ გალაღების) ფსიქოლოგიური არსია თვითაქტივობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება

ესაა ყოველი სულიერის თანდაყოლილი მისწრაფება ყველა შინაგანი ძალისა თუ შესაძლებლობის ამოქმედებისკენ (და სწორედ ამით აიხსნება მათი თითქოს „მომზადება“ თუ გავარჯიშება“). მას არ სჭირდება არავითარი გარე მიზეზი თუ მიზანი, დროდადრო თვითონ იღვიძებს სულში, ამიტომ თამაშობს ცხოველის ნაშიერიცა და ზრდასრული პიროვნებაც, რომელსაც აგრეთვე დროდადრო შემოქმედებისა და გალაღების მოთხოვნილებაც აქვს. ადამიანის ერთადერთი შინაგანი ძალა, მისი მეობა, მოითხოვს განფენა-განვითარებას, ეს კი თვითგანხორციელების მისწრაფებას წარმოქმნის.

ამის გათვალისწინებით მოიფიქრეთ, თუ რატომაა საწესო დღესასწაულების არსებითი შემადგენელი გარდა სახიობა-თამაშისა, წესების დარღვევა და გალაღება –აარჩიეთ შემდეგთაგან ყველაზე არსებითი:

ა) თამაშიცა და დღესასწაულიც ოდითგანვე განუყოფელია ადამიანური ყოფისა და კულტურისაგან;

ბ) წესები საზოგადოებაში ცხოვრებისთვისაა საჭირო, ხოლო ადამიანს ზღუდავს, ანევროზებს;

გ) თამაშ-დღესასწაულს (წარმართობის ნაშთს) საუკუნეთა განმავლობაში ამაოდ ებრძოდა

ქრისტიანობაც, ისლამიც;

დ) ორივე (თავისთავად და არა გამიზნულად) ხელს უწყობს სულდგმულის შინაგანი ძალების გავარჯიშებას;

ე) ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შემოქმედების ნიჭი, სარბიელი, სხვებს კი თამაში სჭირდებათ;

ვ) წესები სოციალურია, ისინი მუდმივად მეტ-ნაკლებად ძაბავს და ზღუდავს ადამიანს.

9. მერვე კითხვის პასუხებიდან მოძებნეთ:

I. ზედმეტი კატეგორიულობის გამო მცდარი ა); ბ); გ); დ); ე); ვ).

II. ზედმეტი ზოგადობის გამო არაფრის მომცემი ა); ბ); გ); დ); ე); ვ).

III. თავისთავად მართებული, მაგრამ აქ უადგილო ა); ბ); გ); დ); ე); ვ).

IV. ორი თავისთავადაც მცდარი, დ. უზნაძის თეორიის საპირისპირო ა); ბ); გ); დ); ე); ვ)

პასუხების განხილვა

კ ი თ ხ ვ ა №1.

<u>სწორი პასუხია</u> ვ) გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

აქ არც ციტატა გვაქვს, ის არც საკუთარი სახელია (ჟურნალ-გაზეთის დასახელება). იგი მართლა ხელისუფალს კი არ ნიშნავს, არამედ პაროდირებულს.

კ ი თ ხ ვ ა №2.

<u>სწორი პასუხია</u> დ) აწყობდნენ ნადირობის ინსცენირებას, რადგან ,,რეპეტიცია" უკავშირდება სცენას.

ეს წერია პირველ აბზაცში: ისინი გაითამაშებენ სცენებს მომავალი ყოფიდან... ცხოველები ისეთ ვითარებებს „ამუშავებენ", რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ.

კ ი თ ხ ვ ა №3.

<u>სწორი პასუხია</u> გ) ამზადებს მათ რთული სიტუაციისთვის, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში შეხვდებათ.

ა) ინსტინქტი ვერ ავითარებს;

ბ) ეს ძალიან კერძოა, მარტო ეს არაა თამაშის მიზანი;

გ) თამაში არაფერს კარნახობს;

დ) მცდარია – მომავალში უნდა დაამუშაონ.

კ ი თ ხ ვ ა №4.

<u>სწორი პასუხია</u> ა) ცხოველები ისეთ სიტუაციებს „ამუშავებენ," რომლებსაც შეიძლება შემდგომ შეეჯახონ. მათ ერთხელ კიდევ უნდა განეცადათ უკვე განცდილი, ან წინასწარ განეცადათ სამომავლოდ განსაცდელი.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ წინადადებაში საუბარია ცხოველების თამაშზე, მეორეში კი – ადამიანისაზე, ორივე მათგანში ერთსა და იმავეზე – თამაშის დანიშნულებაზეა საუბარი;

ბ) პირველი წინადადება ზოგადია, მეორე – კონკრეტული;

გ) პირველი წინადადება ასახელებს ფაქტს, მეორე – აკონკრეტებს, აღწერს მას, ამიტომ ამ ორ წინადადებას სხვადასხვა ფუნქცია აქვს;

დ) პირველ წინადადებაში თამაშის დანიშნულებაზეა საუბარი, მეორეში ასახულია კონკრეტული ფაქტი, ამიტომ ფუნქცია განსხვავებულია.

კ ი თ ხ ვ ა №5.

<u>სწორი პასუხია</u> ე) რიტუალი აკრძალვებისგან თავისუფალ ცხოვრებას განასახიერებს.

მოცემულ პასუხში არც ყეენობაზეა საუბარი და არც კარნავალზე, არამედ ზოგადად რიტუალის დანიშნულებაზე.

ბ) საქართველოში არაა; ყველა დანარჩენ პასუხში (ხელისუფლის მდინარეში ჩაგდება; კოსტიუმირება და დრო არ არის არსებითი მახასიათებლები).

კ ი თ ხ ვ ა №6.

<u>სწორი პასუხია</u> ბ) ყველა ხანაში ყოველ ცოცხალ არსებას აქვს თამაშის–რეალობის ,,თეატრალიზების" მოთხოვნილება.

აქ მოკლედაა შეჯამებული და განზოგადებული (ყველა, ყოველი...) თამაშის დანიშნულება.

ა) არაფერია ნათქვამი ცხოველების თამაშის შესახებ;

გ) პირველ რიგში გამოსარიცხია;

დ) დააკვირდით სიტყვას ,,მთელი წლის განმავლობაში," უნდა იყოს ,,მთელი ცხოვრების";

ე) არაფერია ნათქვამი ადამიანების თამაშის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა №7.

<u>სწორი პასუხია</u> გ) ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემა. ეს ყველა რიტუალი იმართებოდა გაზაფხულზე, როცა ბუნება იღვიძებს, იწყება თესვა და ა. შ. თუმცა ტექსტში აღნიშნულ ასპექტზე არაფერია ნათქვამი.

რიტუალებს უკავშირდება: ა) პირობითობა – სიმბოლურობა – შენიღბვა; ბ) სოციალური თანასწორობის ილუზიაც; დ) აკრძალვების მოხსნაც და ე) საყოველთაო მხიარულებაც.

კ ი თ ხ ვ ა №8.

<u>სწორი პასუხია</u> ვ) წესები სოციალურია, ისინი მუდმივად მეტ-ნაკლებად ძაბავს და ზღუდავს ადამიანის სულს.

აქ ჩანს მიზეზი, თუ რატომ სურს წესების დარღვევა ყველა სულდგმულს, ისინი მუდმივად მეტ-ნაკლებად ძაბავს და ზღუდავს ადამიანის სულს.

კ ი თ ხ ვ ა №9.

ა) ზედმეტად ზოგადია;

ბ) სიტყვა ,,ანევროზებს" ზედმეტად კატეგორიულია;

გ) აქ რელიგია არაფერ შუაშია;

დ) ასახელებს ფაქტს და არა მის გამომწვევ მიზეზს;

ე) დიმიტრი უზნაძის თეორიაში ამაზე არაფერია ნათქვამი.

დავალება №1. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტები:

1. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ზოგიერთი სახელმწიფო ბუფერის როლს ასრულებს. ბუფერულს, როგორც წესი, უწოდებენ ორ ან მეტ ძლიერ ქვეყანას შორის მოქცეულ პატარა სუსტ სახელმწიფოს, რომელსაც არა აქვს აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა და რომლის უპირველესი ფუნქციაა დაპირისპირებულთა გამიჯვნა და კონფლიქტის შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანა. ბუფერი შეიძლება იყოს დაპირისპირებულ სახელმწიფოებს და მათი გავლენის სფეროებს შორის მოქცეული მთელი რეგიონი ან ზონაც.

ტერმინი „ბუფერული სახელმწიფო" პირველად XIX საუკუნის ბოლოს გამოიყენეს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბუფერული ტერიტორიის ან ქვეყნის კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში ადრე არ არსებობდა. ძველი ეგვიპტის პოლიტიკა საშიში მეზობლების მიმართ ბუფერული ტერიტორიების არსებობას ითვალისწინებდა. ძველი რომის სახელმწიფო სპარსეთისაგან თავის დასაცავად ბუფერულ ზონად სირიას იყენებდა.

სახელმწიფოს ბუფერულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია წმინდა გეოგრაფიული ფაქტორი. ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციები ცდილობდნენ, ფიზიკურ-გეოგრაფიული ზღუდეები (მთები, უდაბნოები, ჭაობები) ერთმანეთისაგან გასამიჯნავად გამოეყენებინათ. დღეს, როცა განვითარებული სამხედრო ტექნიკა (თვითმფრინავები, რაკეტები)ბუფერული ტერიტორიის რელიეფის მნიშვნელობას თითქოს უნდა ამცირებდეს, ის უსაფრთხოების თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვანია, სამხედრო მოქმედებები დღესაც ძირითადად ტერიტორიის დაკავებას გულისხმობს. ბუფერული ქვეყნის რელიეფი განსაზღვრავს მის ხასიათს: თუკი რელიეფი სატრანსპორტო კომუნიკაციისათვის არაა ხელსაყრელი, მაშინ ქვეყანამ შეიძლება გამმიჯნავის ფუნქცია შეასრულოს, ხოლო თუ რელიეფი ხელსაყრელია გადაადგილებისათვის, ის აგრესორმა შეიძლება მეტოქეზე თავდასხმისათვის გამოიყენოს.

მ. უაითი გამოყოფს ბუფერული სახელმწიფოების სამ ტიპს: ტრიმეტრებს, ნეიტრალებსა და სატელიტებს. ტრიმერი ისეთი ბუფერია, რომელიც ერთმანეთთან დაპირისპირებულ ძლიერ მეზობლებზე გარკვეულ გავლენას, მათ წაკიდებას, მათ შორის მანევრირებას ახერხებს. ნეიტრალი ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც აქტიური საგარეო პოლიტიკა არ აქვს. ამის კარგ მაგალითად შეიძლება საფრანგეთ-გერმანიის და საფრანგეთ-იტალიის საზღვრების გასწვრივ განლაგებული პატარა

ქვეყნები მივიჩნიოთ. სატელიტი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც საგარეო პოლიტიკას სხვა უკონტროლებს. აღნიშნული ტიპის ბუფერებს შორის ზღვრის გავლება ხშირად ჭირს. ძალთა თანაფარდობის ცვალებადობამ ერთსა და იმავე ბუფერულ სახელმწიფოს შეიძლება მოკლე ისტორიულ პერიოდში სამივე როლი შეასრულებინოს.

ბუფერული ზონისა თუ სახელმწიფოს „თანდაყოლილი" თავისებურება ის არის, რომ იგი თავად შეიძლება იქცეს დაპირისპირებულ მეზობელთა ინტერესების ობიექტად და კონფლიქტის მიზეზად. მეტოქისაგან ბუფერული ქვეყნით გამოყოფილი ყოველი ძლიერი სახელმწიფო დაინტერესებულია, არ დაუშვას ბუფერის გაკონტროლება. ის შეეცდება, თავად გააკონტროლოს, ან შეუნარჩუნოს მას ნეიტრალურობა და სუვერენულობა. ამრიგად, ბუფერული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მეზობლების სურვილზე, შეინარჩუნონ იგი, როგორც ბუფერი, ასევე იმაზე, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს ძლიერ მეზობლებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას.

1. ბუფერად ყოფნის აუცილებელი პირობაა, რომ ქვეყანა:

ა) პატარა და სუსტი იყოს;

ბ) გარემოცული იყოს ძლიერი ქვეყნებით;

გ) არ ატარებდეს აქტიურ საგარეო პოლიტიკას;

დ) მდებარეობდეს დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის;

2. III **აბზაცის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ:**

ა) ძველ დროსთან შედარებით თანამედროვე ეპოქაში ბუფერის ძირითადი დანიშნულება რადიკალურად შეიცვალა;

ბ) დროთა განმავლობაში ბუფერული ქვეყნის რელიეფის ხასიათმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა;

გ) ბუფერულ ქვეყანაში ფიზიკურ-გეოგრაფიული ზღუდეების არსებობა-არარსებობა დღესაც განსაზღვრავს მის ფუნქციებს;

დ) სამხედრო მოქმედებები თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ ტერიტორიების დაკავებას გულისხმობს.

3. რა არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რაც მ.უაითის მიერ გამოყოფილ სამი ტიპის ბუფერულ ქვეყნებს ერთმანეთისაგან განასხვავებს:

ა) მათთვის დამახასიათებელი საგარეო პოლიტიკა;

ბ) მეზობელ ქვეყნებზე მათი გავლენის შედეგები;

გ) სხვა სახელმწიფოთა შორის მანევრირების მცდელობა;

დ) გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ხასიათი.

4. რატომ შეიძლება იქცეს ბუფერი დაპირისპირებულ მეზობელთა ინტერესების ობიექტად?

ა) ,,მეტოქისგან ბუფერული ქვეყნით გამოყოფილი ყოველი ძლიერი სახელმწიფო დაინტერესებულია, არ დაუშვას მეტოქის მიერ ბუფერის გაკონტროლება";

ბ) ,,ბუფერული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უწყობს ის ხელს ძლიერ მეზობლებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას";

გ) ,,ძლიერი სახელმწიფო... შეეცდება თავად გააკონტროლოს ბუფერული სახელმწიფო, ან შეუნარჩუნოს მას ნეიტრალურობა და სუვერენულობა." ეს არ იქნება დაპირისპირების საბაბი;

დ) ,,სახელმწიფოები ამჯობინებენ, ბუფერული ქვეყანა მათ შორის შექმნილ სტაბილურ ზონას წარმოადგენდეს."

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფუნქცია არა აქვს ბუფერულ ქვეყანას?

ა) დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის სატრანსპორტო დერეფნის I და III აბზაცები;

ბ) კონფლიქტში ჩართულ სახელმწიფოთა შორის შუამავალს;

გ) დაპირისპირებულ მხარეთა ერთმანეთისაგან დაშორების;

დ) კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობის მაქსიმალურად შემცირების.

6. ქვემოთ დასახელებულია სამი თემა, რომლებიც მიმოხილულია ტექსტში:

ა) გარკვეული პოლიტიკური მოვლენის ძირითადი ნიშნები და ფუნქციები;

ბ) გარკვეული პოლიტიკური მოვლენის სახეობათა აღწერა IV ტრიმერი, ნეიტრალი, სატელიტი;
გ) ექსკურსი გარკვეული პოლიტიკური მოვლენის ისტორიიდან II და III წარსულში როგორია.

7. რომელ აბზაცში ვითარდება თითოეული თემა ანუ პასუხის ვარიანტებიდან რომელია მართებული?

ა) 1– I, II, IV აბზაცები; 2 – III, IVაბზაცები; 3 –II, III აბზაცები;
ბ) 1– I, I I, IV აბზაცები; 2 –IV აბზაცი; 3 –I, II, III აბზაცები;
გ) 1– I, III,V აბზაცები; 2 –IV აბზაცი; 3 – II, III აბზაცები;
დ) 1– I, III,Vაბზაცები; 2 –II, III აბზაცები; 3 – II, IV აბზაცები.

2. ნატურმორტი მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრია. სიტყვა ,,ნატურმორტი" მკვდარ ბუნებას ნიშნავს. ნატურმორტი ასახავს უძრავ საგნებს: ყვავილებს, ხილს, ნანადირევს, მუსიკალურ საკრავებსა და ნებისმიერ სხვა საგანს. მე-19 საუკუნემდე ნატურმორტის თითქმის ყველა ავტორის მიზანი მაქსიმალური რეალისტურობის მიღწევა იყო. ყველაზე რეალისტური ნატურმორტები ცნობილია ,,ტრომპ ლ' ეის" სახელით, რაც ქართულად ,,თვალის მოტყუებას" ნიშნავს. ეს სურათები ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ჩვენ თვალწინ რეალური საგნებია და არა სურათის ბრტყელი ზედაპირი.

ნატურმორტი, როგორც ჟანრი, ანტიკურ საბერძნეთსა და რომში იღებს დასაბამს, სადაც ის მდიდართა სახლების კედლების მოსართავად გამოიყენებოდა. ერთი ბერძენი მწერლის თქმით, მხატვარმა ზევქსისმა დახატა ყურძნის მტევანი, რომელიც იმდენად ჰგავდა ნამდვილს, რომ ჩიტები მის აკენკვას ცდილობდნენ, მაგრამ ზევქსისს პარასიასმა აჯობა. მან ისეთი ფარდა დახატა, რომ ზევქსისმა მისი გადაწევა დააპირა. მოგვიანებით შუა საუკუნეებსა და რენესანსის პერიოდში, ნატურმორტები, ძირითადად, დიდი სურათების ნაწილს წარმოადგენდა. მაგალითად, ღვთისმშობელთან ერთად ხშირად გამოხატავდნენ ლარნაკს დუმფარებით, რომლებიც სიმბოლურად უმანკოებას განასახიერებდა. მხოლოდ XVII საუკუნეში იქცა ნატურმორტი დამოუკიდებელ ჟანრად. ამ დროს ის განსაკუთრებით პოპულარული იყო ჰოლანდიელ მხატვართა შორის, რომლებიც თავიანთ ტილოებზე, ჩვეულებრივ ასახავენ ფუფუნების საგნებს: ვერცხლის ჭურჭელს, ბროლის ფიალებს და ჭრელ თაიგულებს. ზოგჯერ ნატურმორტებით გარკვეული ფარული აზრები იყო გადმოცემული. მხატვრები ხშირად ისეთ საგნებს გამოხატავდნენ, რომელთაც ამა თუ იმ იდეის წარმოჩენა შეეძლოთ. მაგალითად, წიგნები ნიშნავდა ცოდნას, მუსიკალური ინსტრუმენტები – სიამოვნებას, ხოლო თავის ქალა – ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობას.

XIX საუკუნემდე კრიტიკოსები ნატურმორტებს არ სწყალობდნენ. მათ მხოლოდ ოსტატობის ასამაღლებელ საშუალებად მიიჩნევდნენ. ისინი არ საჭიროებდა მხატვრისგან არც ფანტაზიის უნარს და არც აზროვნებას.

XIX საუკუნეში ნატურმორტი თანდათან სცილდებოდა რეალობას. მხატვრებმა თავიანთი გრძნობების, განწყობილების გამოსახატავად ექსპერიმენტებს მიჰყვეს ხელი. ისინი ხშირად ისეთ საგნებს ირჩევდნენ, რომელთაც მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, და ისეთ სტილსა და ფერებს იყენებდნენ, რომლებიც მათ გრძნობებს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე – რეალობას. ფრანგი მხატვრის – ედუარდ მანეს თქმით, „ხილისა და ყვავილების მეშვეობით მხატვარს ყველაფრის გამოხატვა შეუძლია."

ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის, ვან გოგის, ერთ ნახატზე გამოხატულია სკამი. სკამზე ჩიბუხი დევს. ოთახის კუთხეში მდგარი ყუთიდან ხახვის მწვანე ღეროები მოჩანს, რაც ბუნებისა და განახლების სიმბოლოა. მხატვრის სკამი და ჩიბუხი –ეს უბრალო ნივთები ისეთივე წარმავალი და მიწიერია, როგორიც თვით ადამიანი. ვინსენტ ვან გოგის ეს ნატურმორტი ერთგვარი სიმბოლური ავტოპორტრეტია. საგნები მის ტილოებზე აისახება მხატვრის სულიერი მდგომარეობის შესაბამისად. ვან გოგი წერდა: „იმის ნაცვლად, რომ ზუსტად გამოვსახო ის, რასაც ვხედავ, ფერებს ჩემებურად ვიყენებ, რათა უფრო ენერგიულად გამოვხატო საკუთარი თავი." მას მიაჩნდა, რომ ფერებს

კონკრეტული ემოციური ფასეულობა აქვს. ყოველი ფერი მისთვის სულიერი განცდის სიმბოლო იყო. მაგ.:„მზესუმზირებში," რომელიც თავის მეგობარს, პოლ გოგენს, მიუძღვნა ვან გოგმა „ჰარმონიული" ნარინჯისფერი და ყვითელი ფერები მეგობრობის გამოსახატავად გამოიყენა.

1. XIX საუკუნემდე კრიტიკოსები ნატურმორტის ავტორთა მიზანი იყო:

ა)დამთვალიერებლისათვის ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს ტილოზე „მკვდარი ბუნებაა" ასახული;

ბ)ყვავილების, ხილის, ნანადირევის ასახვით მხატვრობის ახალი მიმართულების შექმნა;

გ) სურათის ბრტყელ ზედაპირზე უძრავ და არარეალურ საგანთა ასახვა;

დ) უძრავ საგანთა მაქსიმალურად რეალისტურად ასახვა.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არაა მართებული,</u> ტექსტის მიხედვით?

ა) ანტიკურ საბერძნეთსა და რომში ნატურმორტს დეკორატიული ფუნქცია ჰქონდა;

ბ) XVII საუკუნის ჰოლანდიელი მხატვრები ნატურმორტზე ხატავდნენ იმდროინდელი საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის ამსახველ საგნებს;

გ) შუა საუკუნეებსა და რენესანსის პერიოდში ნატურმორტი მხოლოდ სურათის ნაწილს წარმოადგენდა, შეიძლებოდა მას გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც ჰქონოდა;

დ) მხატვრებმა მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყეს ნატურმორტის მეშვეობით განყენებული იდეების სიმბოლურად გამოსახვა.

3. რა შეიცვალა ნატურმორტის გააზრებაში XIX საუკუნიდან?

ა) ნატურმორტებზე გაჩნდა ისეთი საგნები, რომლებიც უფრო შეესატყვისებოდა მათ ავტორთა გრძნობებს, განწყობილებას, ვიდრე – სინამდვილეს;

ბ) მხატვრებმა ექსპერიმენტებს მიჰყვეს ხელი: ცდილობდნენ გარე სინამდვილის შემეცნებას და მის რეალისტურად ასახვას;

გ) კრიტიკოსებმა ნატურმორტი მიიჩნიეს მხოლოდ ოსტატობის ასამაღლებელ, ხატვის ტექნიკის დასაუფლებელ საშუალებად;

დ) კრიტიკოსებმა დაამკვიდრეს აზრი: ნატურმორტის შექმნას არ სჭირდება აღქმულის გააზრება ან წარმოსახვის განსაკუთრებული უნარი.

4. ვან გოგის ერთ-ერთ ნატურმორტზე გამოხატულია უბრალო საგნები (მე-4 აბზაცი). ამ ნატურმორტის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორი არ იზიარებდა იმ ცხოვრებისეულ ღირებულებებს, რომლებზეც მიგვანიშნებს:

ა) შუა საუკუნეებისა და რენესანსის პერიოდის ნატურმორტები;

ბ) XVII საუკუნის ჰოლანდიელ მხატვართა ნატურმორტები;

გ) ფრანგი მხატვრის – ედუარდ მანეს ნატურმორტები;

დ) ვან გოგისავე ნატურმორტი „მზესუმზირები."

5. ჩამოთვლილთაგან რომელ მხატვართა ნამუშევრებს შეიძლება ვუწოდოთ „ტრომპ ლ' ეის"?

ა) ზევქსისისა და პარასიასის;

ბ) ზევქსისისა და ედუარდ მანეს;

გ) ვან გოგისა პარასიასის;

დ) ედუარდ მანესა და პოლ გოგენის.

6. ტექსტში მოყვანილია ორი მხატვრის ციტატა. რა აქვთ საერთო მათ ავტორებს?

ა) ისინი უმეტესად ჰარმონიული ფერებით ხატავდნენ ნატურმორტებს, რათა შეექმნათ სიმბოლური ავტოპორტრეტები;

ბ) მათთვის ფერებს კონკრეტული ემოციური ფასეულობა ჰქონდა, ამიტომ ისეთებს იყენებდნენ, რომლებიც ობიექტურ რეალობას შეესაბამებოდა;

გ) ისინი ცდილობდნენ გრძნობის, განწყობილების, სულიერი მდგომარეობის გამოხატვას უსულო საგნების მეშვეობით;

დ) ტილოზე ისინი გამოსახავდნენ, ძირითადად, უბრალო ნივთებს, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობაზე რომ მიენიშნებინათ.

7. ქვემოთ წარმოდგენილ წინადადებებში მოკლედაა ჩამოყალიბებული ამა თუ იმ აბზაცის შინაარსი (მათი რიგითი ნომერი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს ტექსტში აბზაცების თანმიმდევრობას):

1. მითითებულია ძირეული გარდატეხა ამ ჟანრის გააზრებაში;
2. დაზუსტებულია ამ ამ ჟანრის ახლებური კონცეფცია ერთ-ერთი მხატვრის შემოქმედების საფუძველზე;
3. მიმოხილულია ეპოქათა მიხედვით ამ ჟანრის დანიშნულების ცვლა;
4. განმარტებულია სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრის არსი.

8. რომელ აბზაცებს შეესაბამება ეს წინადადებები ანუ პასუხის ვარიანტებიდან რომელია მართებული?

ა) I აბზაცი – 3, II აბზაცი – 2, III აბზაცი –4, IV აბზაცი –1;
ბ) I აბზაცი – 4, II აბზაცი –2, III აბზაცი –3, IV აბზაცი – 1;
გ) I აბზაცი –3, II აბზაცი –2, III აბზაცი –2, IV აბზაცი – 4;
დ) I აბზაცი – 4, II აბზაცი –2, III აბზაცი –1, IV აბზაცი – 2.

რეზიუმე აკადემიური ტექსტის შეჯამებაა. იგი ძირითადი ტექსტის საფუძველზე იქმნება. მასში ავტორი საკუთარი სიტყვებით მოკლედ, შეკუმშულად გადმოსცემს ტექსტის მთავარ სათქმელს, ნაშრომის შინაარსს ან ძირითად დებულებებს. საამისოდ გამოიყენება თეზისი, თემატური წინადადებები.

რეზიუმე იწერება მშობლიურ და უცხო ენაზე.

რეზიუმეს შექმნის ძირითადი პრინციპებია:

1. სათაური;
2. შესავალი და დასკვნა რეზიუმეს არ სჭირდება;
3. რეზიუმეს სტილი შესაბამება ტექსტისას;
4. რეზიუმეში გადმოიცემა ნაშრომის მხოლოდ ზოგადი დებულებები;
5. რეზიუმეში არ აისახება ავტორის კომენტარები და შენიშვნები;
6. აუცილებელია ავტორისა და რეზიუმირების თარიღის მითითება.

კარგი რეზიუმეს მახასიათებლებია:

1. თეზისი რეზიუმეს შესავალ ნაწილშია გამოკვეთილი;
2. ნათლადაა წარმოჩენილი ავტორის იდეა და მიზანდასახულობა;
3. რეზიუმეში არ აისახება მეორეხარისხოვანი დეტალები;
4. რეზიუმე არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ტექსტში არაა წარმოდგენილი;
5. რეზიუმეში არ ჩანს ჩვენი, პირადი შეხედულება;
6. დაწერილია ჩვენივე და არა ავტორისეული სიტყვებით.

როგორ დავწეროთ თემის ან სტატიის რეზიუმე?

1. წაიკითხეთ სტატია. დაადგინეთ მისი დედააზრი, ძირითადი მოსაზრებანი და დებულებები;
2. შეადგინეთ სტატიის მონახაზი, გეგმა, რომელშიც ჩამოყალიბებულია თემის თეზისი, თანმიმდევრულად, მუხლებად იქნება ჩამოწერილი თეზისის განმამტკიცებელი ძირითადი მოსაზრებები და იდეები;
3. გვერდზე გადადეთ სტატია; შექმნილი მონახაზის საფუძველზე თქვენივე სიტყვებით დაწერეთ რეზიუმეს პირველი ვარიანტი;
4. გადაამუშავეთ და შეასწორეთ ტექსტი გრამატიკისა და სტილის თვალსაზრისით (შავთვალაძე, დუნდუა, 2013:93).

მაია კიკვაძე, ნანა ცეცხლაძე

მზესთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ქართულში

მზე ქართული კულტურის, მითოსისა და ფოლკლორის უმთავრესი სახე-სიმბოლოა. ის არის შემეცნების, ცოდნის, სილამაზის წყარო, გვხვდება სიხარულის თუ მწუხარების ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში (ხახიაშვილი, 2009:256).

,,მსოფლიოს ძველ კულტურულ ხალხთა შორის **მზის** განდიდება არსად ისეთი ძალით არაა ფიქსირებული, როგორც ჩვენს ქართულ ენაში, ქართულ მითოლოგიაში, კულტებში, ხელოვნებაში (**„მზეო, ამოდი, ამოდი, მზე შინა და მზე გარეთა,"„ლილეო"),** ცალკეულ სიტყვაში:**„მზეთუნახავი," „მზეჭაბუკი," „მზიური ", „პირიმზე,"** გამოთქმებში: , **„მზით გაცვეთა", „მზით გახარება,"„მზე პირს იბანს ...** კოლხეთის მეფე მზის შვილია, მზეა ქართულ ჩუქურთმებში, ტაძრებში"(გელოვანი, 1980:28).

ქართულში უხვადაა მზისგან ნაწარმოები კომპოზიტი: **მზეენაობა-**ენამზეობა(საბა); **მზეგრძელობა**– დღეგრძელობა; **მზისთუალი–მზე (ძვ.)** (ზ.სარჯვ.); **მზისაღმოსავალი (ძვ.) - აღმოსავლეთი (**იქვე); **მზისდასავალი (ძვ.) დასავლეთი** (იქვე); **მზისპირი**–მზიანი ადგილი (იქვე); **მზისიერი- განჯაფის (სამღერელი) თავი-ავთაფი (საბა); მზებბანებანი** (ფშ.) მწუხრი (გ.ცოც.); **მზედაკრული** (მთიულ.) – მზის მიერ გაფუჭებული (ლ.კაიშ.); **მზეკაბანი (ფშ.კახ.)** – ყანას რომ ქარი სხვადასხვა ფერს ადებს (ი.ჭყონ.); **მზემაქცია (იმერ.)** – საათი (ა.მაყ.); **მზენაქცევა (ქართლ.) -** 21-22 ივნისის შემდეგ გამოჩეკილი წიწილა (გ.შატბერ.); **მზესუჭვრიტა -** ლილიფარი; **მზეწვერება (თუშ.)** მზის ჩასვლის დრო (თ.უთრგ.); **მზეწვია (ფშ.)** – ჩიტი (ვაჟა); **გამზევება, გამზეურება** (ქეგლ); **მზვარე (თიან.)**–**მზიანი ადგილი** (საბა; ქეგლ; დ. ჩუბინაშვ.). **მზის ტიალი** (მზის ჩასვლა).

მზესვე უკავშირდება შემდეგი ანთროპონიმები: **მზევინარი, მზეონა, მზექალა, მზეხათუნი, მზია, მზიანა, მზისადარი, მზიური, გულთამზე, ქალთამზე და ა. შ.**

ქართულში **მზესთან** დაკავშირებული უამრავი ფრაზეოლოგიზმია. ხევსურეთში იტყვიან: **მზეზე დავას/იარების** (დადის), ე. ი. ცოცხალია (ალ. ჭინჭ.). **მზისთვის ყურებაც** სიცოცხლეს ნიშნავს:,,იასაც ...უნდოდა **მზისთვის ეყურებინა**" (ბარნ); ,,.. შენი რძალი ელისაბედი კი **მზეს უყურებდეს**"(ილია). საპირისპიროდ, **მზის დაბნელება/დადგომა/მზის შუქის ჩახდომა** სიკვდილზე მიანიშნებს.

მზის დაბნელება სიკვდილის მეტაფორაა: ჩვენებმა... **მზე დაუბნელეს"** (ბარნ.); ნუ **ბნელ იქმთ მზესა** თქვენითა **ბნელითა"** (ვტ.)**; ...დღე დამიბნელა მზიანი"**(ვაჟა); ,,გუგუა მალე **დაუბნელებდა მზეს**" (ყაზბ.); **მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი** (იქვე); ონისე ... ვისაც კი შაეყრებოდა**, მზისთვის დიდხანს არ აცქერინებდა"**(იქვე, 226). ნაადრევად გარდაცვლილის მეტაფორაა **მზით გაუმაძღარი:„**მოგვიკლეს კარიაული**, გაუმაძღარი მზისაო."**

სიკვდილის მეტაფორაა **მზის ჩასვენება და მზის ჩასვლაც: „15** აგვისტოს... **მზე ჩაესვენა** და 16-ს რუსეთის იმპერატორის **მზე ამოვიდა"** (მ. ჯავახ.); **„**ერთი დრო დაგიდგება, **რომ ჩაგივა მზე** (გ. ნათ.); **მოაწია ჟამი დღისა დალევნისაი და მზისა მის დავსებისაი**... ამბობს წმინდა ნინო სიკვდილის წინ.

მზე გვხვდება ,,წყევლის ფორმულებში (შიოშვილი, 2006:5): **ამომავალ მზეს არ გაყურებია ღმერთმა, გაგიშავდეს მზე,** გაგისკდა ეგ თვალები და **ჩიგიქცია მზე, დაგნატრულდეს სამზეო,'** ,,მოღალულმა **მზემ სინათლე ნუ განახვინოს, შე მზეჩასაქრობო," ,,შენ ჩაყევი ჩამავალ მზეს და არ ამოყევი ამომავალს".** მაჭახლურ წყევლებში გვხვდება: **„შენიმც მზე დაუბნელდება შენს დედ-მამასა, მზეზემც ნუ ივლის დიდხანსა".**

მზე იმედის წყაროცაა. ნ. დუმბაძის რომანში ,,მე ვხედავ მზეს" მზის კულტით მწერალი სიკეთეს, სათნოებას, სიყვარულს უმღერის. ქართულში გვაქვს იდიომი **სამზეოს გამოსვლაც** (გამოჯანმრთელება).

მზე უმთავრესი სიმბოლოა ქრისტიანულ სიმბოლიკაში. ,,**მზე სიმართლისა**" საინტერესო ტროპია და ნიშნავს ქართველი ღმერთისაგან ჩრდილში იყო მოქცეული, არ იყო განათლებული", ეწოდებოდა მას ჩრდილოეთი" (ქერქაძე, 1988:162). ,,ქართლის მოქცევაში" ვკითხულობთ: ,,ქვეყანასა მას ქართლისასა მიეფინა **მზე სიმართლისა"**(12,125); ,,და იყო ქვეყანაი ესე ჩრდილო მზისაგან სიმართლისა...(13, 337).

,,**მზე სიმართლისა**"– ქრისტეს ეს ეპითეტი მომდინარეობს წინაქრისტიანული მსოფლმხედველობიდან. ჯერ კიდევ ბაბილონურ-ქალდეურ რწმენაში მზე იყო მართალი. ეს დებულება გვხვდება ძველ აღთქმაშიც, სადაც **„მზე სიმართლისაა,"** რადგანაც იგი ყველასთვის ერთია, ყველას თანაბრად უნათებს, ყოველივეს მიეფინება (6, 155) (იქვე, 161). (შდრ. ,,ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინები

,,ვტ.“). ,,მზე ხატია ღვთაებისა, ღმერთი **„მზიანი ღამეა“:** ,,იტყვის: ,,ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს **მზიანისა ღამისად,** ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“. **მზე** განასახიერებს ჩვენს ცოდნას ღვთაებაზე, ხოლო ბნელი, ანუ ღამე, მის დაფარულობას (მურღულია, ალიბეგაშვილი, მაღლაფერიძე, 1992:194).

დ. გურამიშვილთან ადამიანური სიყვარული ღვთის ტრფობას უტოლდება, ქალის სიყვარული არის ,,ხიდი“ პიროვნების ღმერთთან ზიარებისა: ,,ვაიმე! მე ვინ მაღირსებს მის **მზის ყუდროში** დასმასა, მის ნათლით შვებას, სიხარულს, ართუ ჭამასა და სმასა.“

ქალი შეაძლებინებს პოეტს **„მზის ყუდროში“ მისვლას (ყუდრო - ქარუხვედრი ადგილი, საბა),** გურამიშვილთან **ყუდრო სამოთხეს** აღნიშნავს, **ე.ი. სამოთხეში მოხვედრას.**

მზე გვხვდება ფიცის ფორმულებშიც: **შენმა/თქვენმა მზემ.** ამ ტიპის გამოთქმებში გვაქვს რწმუნება-მტკიცება (კობახიძე, 1984:271). ის დასტურდება ,,ვისრამიანში,“,,ამირანდარეჯანიანში,“ ,,ვეფხისტყაოსანში“; ილიასთან. ასეთ გამოთქმებში გვხვდება სხვა სახელებიც: **ხელმწიფის მზემან** (საბა); **ქალბატონის მზემა** (ილია); **ნათლიას მზემ** (დ. ჭონქ.); **მამაჩემის სულის მზემა** (ნ.ლომ.); **ჩემი შვილების მზემა** და **ლხენამა** (ს. მგალ.). ასეთ გამოთქმებს ,,უფრო ფამილიარულ-ვულგარული ან სპეციფიკურ-კუთხური იერი დაჰკრავს (ჯორბენაძე, 1997:63).

ამრიგად, მზე ქრისტიანულ სიმბოლიკაში ღვთის ხატია. მისი სიმბოლიკა უნივერსალურია სხვადასხვა ხალხის ენაში, მითოსსა და კულტურაში, მაგრამ ქართული განსაკუთრებით მდიდარია მზესთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიით, წყევლისა და ფიცის ფორმულებით.

მაია კიკვაძე, ნანა ცეცხლაძე

მზესთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ქართულში

რეზიუმე

მზე ქართული კულტურის, მითოსისა და ფოლკლორის, ხელოვნების უმთავრესი სახე სიმბოლო, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ღვთის ხატია. მისი სიმბოლიკა უნივერსალურია სხვადასხვა კულტურაში, მაგრამ ქართული ენა ამ მხრივ განსხვავებულია.

სტატიაში განხილულია მზისგან ნაწარმოები სიტყვები თუ კომპოზიტები, წყევლისა და ფიცის ფორმულები, ასევე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ძირითადად სიკვდილ-სიცოცხლის სემანტიკას გადმოგვცემს. ზოგიერთი მათგანი ქრისტიანული მეტაფორაა-ღვთის სიმბოლოდაა ქცეული (მზიანი ღამე, სიმართლის მზე, მზის მყუდრო...).

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ტექსტი. ყოველი პაუზის დამთავრების შემდეგ იმსჯელეთ, რა მოხდება შემდეგ და შეუდარეთ საკუთარი ვარაუდი ტექსტს:

,,უკეთური“ (რუსულიდან თარგმნა ნინო ხოფერიამ)

დაცხავებული კატარღა ნაპირს მძიმედ მიადგა. შებოლილი თევზივით გამურული კატარღა სამ კვირას მოათრევდა სათავიდან უშველებელ ტივს, ახლა კი მაშვრალი კაცივით მინდობოდა ნაპირს და სულს ითქვამდა.

ტივზე ისლით გადახურული ქოხი იდგა, იქ მეტივეები ცხოვრობდნენ. შესასვლელთან ქალის საცვლები ეკიდა. იქვე პატარა ქერა ბიჭს ფეხები წყალში ჩაეყო და თევზაობდა.

– ნახვამდის, ძია! – მიაძახა ბიჭმა ხანში შესულ, ოდნავ მოკუზულ კაცს, მხარზე ზურგჩანთა რომ მოეგდო და ნაპირისაკენ მიალაჯებდა. კაცმა უკან მიიხედა, თავი დაუკრა და გზა განაგრძო. ბიჭუნამ ზურგჩანთას გააყოლა თვალი: ,,მთელ სამ კვირას ჩვენთან ცხოვრობდა, ნეტა ახლა საით მიდის?

კაცმა სოფლისაკენ კი არ აიღო გეზი, ნაპირს დაუყვა, მერე ტყისკენ მიმავალ გზას გადაუხვია, ნაბიჯი მძიმე ჰქონდა, თითქოს უშველებელ ტვირთს მიათრევსო. მიწა ამომშრალი ჭაობივით უტორტმანებდა ფეხქვეშ.

ტყეში ბინდი წამოეწია. ამ დროს უკვე ბილიკს მიჰყვებოდა. მერე ბილიკიც დაეკარგა და შამბნარში გზა ჯიქურ გააგრძელა. სადღაც ახლომახლო ნადირმა გაიშლიგინა. შემკრთალმა მიაყურადა: ,,დათვია თუ ცხენ-ირემი?“.

ისევ მიაგნო ბილიკს და შვებით ამოისუნთქა. შეჩერდა. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, ასანთის ალმა თვალი მოსჭრა, როცა ისევ შეეჩვია სიბნელეს, მაშინღა შენიშნა მუხნარის სიღრმეში მკრთალი, მოყვითალო შუქი. როგორც იქნა... ,,მეტყევის ჯიხური!“ გაიფიქრა სიხარულით და სინათლეს მიაშურა.

.....

კარები ღია დახვდა, სახელდახელოდ გამოჩირკნილ ჯორკოზე ბიბლიური სილამაზის მოხუცი იჯდა, წეკოს აპლაკუნებდა და თავისთვის ჩხირკედელაობდა.

– ვინ არის? – მოტრიალდა მოხუცი.

– ვერ მიცანი? – გაეპასუხა შემოსული, მე ვარ, მამაჩემო, მე!

მოხუცმა ლამპა კარს მიანათა.

– ნიკიტა!

– ჰო, მე ვარ.

– ჩრდილოეთიდან, ბოროვსკი თუ გაგიგია, თევზს ვიჭერდი იქ.

– აქამომდე სადღა იყავი?

– კოლონიის მერე? ბევრი ადგილი გამოვიცვალე, –ნიკიტამ ზურგჩანთა მოიხსნა და ჯორკოზე მძიმედ დაეშვა, – კამჩატკაზე გახლდი, იქაც თევზს ვიჭერდი.

.....

– რისთვის ჩამოხვედი?

– ისე, მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდით. მომენატრეთ კიდეც. შენ კი ალბათ ამომშალე ცოცხალთა სიიდან და დამივიწყე, არა?!

– აბა როგორ, შენს სასახელო საქმეს რა დამავიწყებდა?

– მას მერე რამდენმა წყალმა ჩაიარა, ეჰე-ჰე? ვიღას ახსოვს? – ნიკიტამ ზურგჩანთის თასმები შეათამაშა.

– დედილო მოკვდა?

– დიდი ხანია. თხუთმეტი წლის წინათ. შუაღამეზე მიაბარა უფალს სული. დილით ტყის შემოვლიდან რომ დავბრუნდი, ვხედავ, მაგიდის ფეხებთან წევს იატაკზე, საწოლიდან ჩამოცურებულა, გვერდით დაუმთავრებელი წინდა ეგდო, ქსოვდა ალბათ. სოფელში აღარ წამიყვანია, ეზოს ბოლოს სამი არყის ხე რომ დგას, იქ დავმარხე. ამ ეზოში გაატარა წუთისოფელი და აქვე იწვეს-მეთქი. მეც აქ უნდა დავიმარხო.

– დაბერებულხარ.

– სიბერეში რა ხეირია.

– სანადიროდ თუ დადიხარ?

– ეხ, რაღა დროს ჩემი ნადირობაა!..

– ამდენ საქმეს როგორღა უძღვები?

– ვახერხებ. პენსიასაც მაძლევენ. იოლად გავდივარ.

შუაღამეა. დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ნიკიტას თვალები ეხუჭება.

– ვასკა კრივოი სად არის?

მოხუცმა გაოცებისაგან პირი დააღო, წამწამები დააფახულა:

– ანიუტკაზე ანდა ეგორიჩზე აღარაფერს იტყვი?

– ვასკაზე მაშინ ხმა არ ამომიღია. განა არ იცი, მეგობრები ვიყავით, ენა როგორ მომიბრუნდებოდა!

– სტყუი! კომენდატურაში ვასკას რომ აწამებდნენ, მაშინ სად იყავი? გეტყვი, თუ გინდა, სადაც იყავი! უკანა კარიდან გაიპარე, თვალებში რომ არ შეგეხედა. ვასკამ სიკვდილის წინ ბარათი გამომიგზავნა. წავიკითხე - თვალებს არ ვუჯერებდი...

.....

– რა მექნა ... ისე გამოვიდა ... კომენდატი მემუქრებოდა ... პირველივე ჭიშკარზე ჩამოგკიდებ, მეკავშირეს თუ არ დაასახელებო. ფულს და ძროხას მპირდებოდა. სიკვდილი ვის უხარია? აი, შენ როგორ დაბერდი, საუკუნეს უკაკუნებ, მაგრამ რომ გკითხონ, სიკვდილი თუ გინდაო, უპასუხებ, ცოტა ხანს კიდევ მაცალეო. მე კი მაშინ რამდენის ვიყავი? ცხრამეტი წლის, გესმის, ცხრამეტის...

– პატიოსნად სიკვდილი ჯობია..

– ისევ წარსულს მახსენებ? რით ვერ დაივიწყე? ოცდაათი წელია ტყე-ღრე ვხეტიალებ. სასჯელი მოვიხადე - გამათავისუფლეს... მეგონა, გაგიხარდებოდა ჩემი მოსვლა... სეინერზე ცოტაოდენი ფული დავაგროვე, რვა ათას მანეთამდე... ვიფიქრე, ახალ ცხოვრებას დავიწყებდით, შენ კი...

მოხუცი ჩუმად იჯდა თავისთვის ბნელ კუთხეში, სახე არ უჩანდა. ნიკიტამ ერთბაშად დაღლილობა იგრძნო, ქუთუთოები დაუმძიმდა, თავი უნებურად საწოლისკენ გადაუვარდა და მაშინვე ჩაეძინა. მოხუცი დიდხანს ათვალიერებდა შვილს, ყურადღებით უსმენდა მის ხამუშ-ხამუშ სუნთქვას.

გათენდა. სიბნელე თითქოს ოთახის კუთხეებმა შეიწოვეს.

– ნიკიტა, ადექი!

ნიკიტა შეიშმუშნა, თვალები ხელისგულებით მოიფშვნიტა და მოხუცს მიაჩერდა.

.....

– ადექი, წასვლის დროა.

–სად? მოხუცი კარისაკენ მიტრიალდა...

–დედაჩემის საფლავი მაინც მანახვე.

მოხუცმა თავი ჩაქინდრა. მერე კარი გამოაღო, მოაჯირს დაეყრდნო და შვილს გამოსძახა:

– წამოდი!

ნიკიტა მამას მიჰყვა. ბილიკმა არყის ხეებისკენ გაუხვია.

– აი, აქაა! - მიუთითა მოხუცმა მუხის ჯვრებზე. ბალახით დაფარულ საფლავებზე ორი ჯვარი იდგა, მაღალი, საგულდაგულოდ შეკრული...

– აი, მაშასადამე, აქ წევს, – მოხუცმა ხვნეშით ამოაძრო ბორცვიდან რძიანა.

– ეს ვინღაა? – ნიკიტა მეორე საფლავს მიაშტერდა.

–ზედ აწერია... კითხვა ხომ არ დაგავიწყდა? აქ შენი საფლავია, აი, ამ ჯვრის ქვეშ. როგორც კი შევიტყვე შენი უკეთურობის ამბავი, მაშინვე დავდგი. ხედავ როგორ გაშავდა? ისე, მაგარი კია, კიდევ ას წელს გაძლებს. დედაშენიც გვერდზე მოგიწვინე. მახსოვს, მოვდიოდით ორივე შენს საფლავზე და ვიდექით, ჩუმად ვიდექით ხოლმე. ის ხანდახან წამოიტირებდა...

– კი, მაგრამ, მე ხომ ცოცხალი ვარ?

–არა, სულიკო, არა! იმქვეყნიდან არავინ ბრუნდება. მოხუცი ისევ დაიხარა რძიანას ამოსაგლეჯად. როცა გაიმართა, ნიკიტა აღარ ჩანდა. იგი ტყეს შერეოდა, სადაც განთიადის თეთრი ფთილები ბოლავდა.

სავარჯიშო №2. წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები: **„ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ და „ყალბი და ნამდვილი.“** ჯერ დაწერეთ თქვენი შეხედულებები და შთაბეჭდილებები ამ ორივე წერილის შესახებ, შემდეგ კი – რეზიუმე **(სულ 4 ქულა)** .

1. (2 ქულა) **შთაბეჭდილება:** ----------

(3 ქულა) **რეზიუმე:**

2. (2 ქულა) **შთაბეჭდილება:**

(3 ქულა) **რეზიუმე:**

<u>დაიხსომეთ:</u> პუნქტუაცია

პუნქტუაცია (გერმ. Puntkuation ← ლათ. Punctum = წერტილი) არის სასვენ ნიშანთა გამოყენებისა და დასმის წესების ერთობლიობა ხელნაწერსა თუ ნაბეჭდ ტექსტებში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს წერითი მეტყველების სრულყოფისათვის.

I. **წ ე რ ტ ი ლ ი (.)**	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
თხრობითი წინადადების ბოლოს	მზე ჩადის.
სიტყვის შემოკლებისას	**ა. წ.** (= ამა წლის); **ა. შ.** (= ასე შემდეგ); **ე. ი.** (=ესე იგი); **ე. წ.** (=ეგრეთ წოდებული); **სოფ.** (=სოფელი);
ტექსტის პუნქტებად დაყოფისას	1. , 2., ...; ა. , ბ. , გ. , და მისთ.
*** შენიშვნა: სათაურთან წერტილის დაწერა ქართულში შეცდომაა.**	

II. **მ ძ ი მ ე (,)**	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
მიჯნავს ერთგვარ წევრებს	გავიდა სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი
მიჯნავს თანასწორ წინადადებებს	მარტი გავიდა, გათბა დღე
განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან	იას, **ბნელ ხევში მოსულსა,** დიდი ჭადარი ფარავდა; 26 ივლისს, **12 სთ-ზე,** ბსუ-ს სააქტო დარბაზში გაიმართება სილამაზის კონკურსი
დანართთან	**1936** წელს ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ნორვეგიელი პროფესორის, **ჰანს ფოგტის,** ,,ქართული ენის გრამატიკა“
ჩართულთან	ეს, **რასაკვირველია,** თქვენ ვერ გაგაკვირვებთ
მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი კავშირების წინ	დღეს წავალ, რათა ხვალისთვის მოვემზადო
მაჯგუფებელი კავშირების გამეორებისას	ხან უგნური ვარ, ხან – ბრძენი
გამონაკლისები: მძიმე იწერება რომ-ის შემდეგაც: ასე რომ, ყველაფერი დამთავრდა; **მძიმე არ იწერება:** ,,მე რომ სიმღერა მჩოდნოდა, მთელი კახეთის ღვინო ვერ მომერეოდა“	

III. **წ ე რ ტ ი ლ-მ ძ ი მ ე (;)**	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
წინადადებათა პარალელური გადაბმისას	ახლა **საჭირო იყო** ნაფიქრის ასრულება; **საჭირო იყო** მოენახა მისი მხსნელი
რთულ წინადადებაში უკავშიროდ გაერთიანებულ წინადადებებს შორის	ავარდა კორიანტელი; ყველა მტვრით დაიფარა.
ჩამონათვალთან	**წერის ზოგადი მიზნებია:**1) მკითხველის გართობა; 2) მკითხველისათვის რაიმეს ახსნა.

IV. კითხვის ნიშანი (?)	
გამოყენება	**მაგალითი**
კითხვითი წინადადების ბოლოს	საიდან გაჩნდი აქ?
კითხვითი წინადადებებისგან შემდგარ რთულ წინადადებაში	რას გალობდა შაშვი? ნუთუ არ არის სიტყვები იმის გალობაში?
კითხვით წინადადებაში თუ მოუბარი თავის და სხვის ნათქვამს გადმოსცემს	ბოლოს ჰკითხა მან – ვინა ხარ, შვილო? ვინ არის აქ? – იკითხა მასპინძელმა
რამდენიმეკითხვიანი წინადადების ბოლოს	რა ვუთხრა, როგორ გავაგებინო, რას მივმართო?

V. ძახილის ნიშანი (!)	
გამოყენება	**მაგალითი**
ძახილისა და ბრძანებითი წინადადების ბოლოს	არცერთი ჭრილობა სასიკვდილო არაა! გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე!
მიმართვასთან	ძმებო! ამხანაგებო!
მძაფრი გრძნობით წარმოთქმულ შორისდებულ-თან, ნაწილაკთან	ვაიმე! ოჰ! ვა! კარგი, კარგი! ეგრე იყოს!

VI. კითხვა–ძახილის ნიშანი (?!)	
გამოყენება	**მაგალითი**
კითხვასთან გაკვირვების ან აღტაცების გამო-სახატავად	ნუთუ თვალები მატყუებენ?! დათვმა როგორ უნდა დამბეგვოს?!
წამოძახილებთან	რაო?! რაო?!

VII. მრავალწერტილი (...)	
გამოყენება	**მაგალითი**
გაწყვეტილი წინადადების ბოლოს	იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გი-ორგი...
რაიმე მიზეზით ენის მოკიდებისას	გიორგი მაჯობე... ვვდები. – სიზ...მარ...ში?
თავში ან ბოლოში გაწყვეტილ ციტატასთან	ილია წერდა: ,,... თუ მთქმელსა და გამგონეს ერთმა-ნეთის ენა არ ესმით, იქ არც თქმაა და არც გაგონება“...
ციტატაში სიტყვის გამოტოვებისას	,,მაჭანკალი ... გახლდათ ერთი მოხუცე-ბული, დარ-ბაისელი,_ლამაზი და ქვრივი დედაკაცი.“

VIII. ორწერტილი (:)	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
ერთგვარი წევრების წინ	ყველა მე ჩამომეკიდა: მამასახლისი, იასაული, გზირი.
წინადადების ბოლოს, რომელსაც მოსდევს პირდაპირი ან ირიბი ნათქვამი.	ყმაწვილმა კაცმა ჰკითხა: – თქვენ მართლა ეძებთ სადედინაცვლო ქალს?
ციტატის წინ	**რუსთაველმა გვიანდერძა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.**
თუ ახსნილია, დაკონკრეტებულია ის, რაზედაც შემდეგ იქნება საუბარი	„ქვეყანაზე ორი მოპირისპირე ძალა არსე-ბობს: სიმდიდრე და სიღარიბე, ძლიერი და სუსტი“

IX. დ ე ფ ი ს ი (-)	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
მრავალცნებიან კომპოზიტებთან	*მთა-ბარი, მისვლა-მოსვლა, ქართლ-კახეთ-იმერეთი...*
ზედსართავი, რიცხვითი სახელების, ზმნიზედების გაორმაგებისას	*ნაპირ-ნაპირ, ცხელ-ცხელი, ორ-ორი,*
ზოგ უცხოურ გეოგრაფიულ სახელში	*ნიუ-იორკი, სან-მარინო, სან-ფრანცისკო...*
-მეთქი და -თქო ნაწილაკების წინ	*ხომ გითხარი, არ გამოვა-მეთქი!*
რიცხვით სახელებზე აფიქსების დართვისას	*მე-2 რიგი, გიორგი I-მა, №120-ში...*

X. ტ ი რ ე (–)	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
გამოტოვებული წევრის ადგილას	ელფერობით ვარდი არის, სინაზით კი – მორცხვი ია.
განმაზოგადებელი სიტყვების წინ	კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ერი, მღვდელი – მისთვის სულ ყველა ერთი იყო.
დანართის წინ (თუ წინადადების ბოლოშია), ორივე მხრიდან (თუ შუაშია)	ჩემი ოჯახი – წინანდელი, აწინდელი და მომავალი იცოდე, საძირკველია ჩვენი ცხოვრებისა.
ჩართულ სიტყვებთან	ამას წინათ სულ ორი კვირა არ იქნება – კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ დაამწყვდია.
საპირისპირო აზრის გადმომცემ ორ წინადადებას შორის	იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და – ორივე მოჭრილი ჰქონდა.
დიალოგებში	– შენი სახელიც მითხარი – მკითხა მან. – აკი, გითხარი უკვე! – ახლა მე ვუპასუხე. სადაური ხარ? – ისევ მკითხა მან.

XI. ფრჩხილები ()[]	
გამოყენება	მაგალითი
სიტყვები და დამატებითი შენიშვნები	*ეს ხელობა (მასწავლებლობა) ძლიერ უყვარდა;* როგორ მომიწონებს კატო (კატო მოსეს მეუღლეს ერქვა სახელად)...
კვადრატული ფრჩხილები იწერება აღდგენილ (ან ჩამატებულ) ადგილას	*[ბერიძემ] უნდა გააბედნიეროს ხალხი.*
მსმენელთა დამოკიდებულებასა და აზრებთან (სტენოგრაფიულ ანგარიშში)	ორატორის გამოსვლა დასრულდა (მოძრაობა დარბაზში)
ავტორის დასახელებასთან	,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (რუსთაველი)
რემარკებთან	ანდუყაფარი (ოთახიდან) – ვინ ლაპარაკობს მანდა?
* შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულ წინადადებას აზრობრივი კავშირი არ აქვს ამ წინადადებასთან	

XII. ბრჭყალები „...“	
გამოყენება	მაგალითი
ციტატასთან	ილია წერს: ,, ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის.“
გაზეთების, ორგანიზაციების სახელწოდებასთან/ სათაურებთან	გაზეთი,,ალია“, ჟურნალი ,,სარკე“
ირონიულად გამოყენებული სიტყვებთან	ოსმა შეცდომა „შეისწორა“– მე წაგაქციეს, სენი წილი მე, მენა.
ბარბარიზმებსა და არქაიზმებთან	შემაწუხე ამდენი კითხვით, „პოჟოლუსტა“ დამეხსენი.

სავარჯიშო №1. წყვილში მუშაობა. დასვით სასვენი ნიშნები, შეუმოწმეთ ერთმანეთს ნამუშევრები:

1. ჩემი მიზანია შევისწავლო აქაურთა მეტყველება 2. ახლა რომ აქ ვიყო დაგეხმარებოდი 3. მზე ჩადის ფრინველები იბუდებენ 4. დაჰკრეს დაფს დოლს და დაირას 5. დუმს ყველაფერი ხე ქვა ტყე 6. საცა ვაზი არ იყო ვაზით გაივსო საცა წისქვილი არ იყო გაკეთდა 7. ეს რაღა თქმა უნდა აღარავის ესიამოვნებოდა 8. სესხს რომელიც გამოვიტანეთ მიზანმიმართულად მოვიხმართ 9. განა ქართველები მათზე ნიჭიერი არ არიან 10. რომელი ხარ მანდ მტერი თუ მოყვარე.

სავარჯიშო №2. წაიკითხეთ ტექსტი და დასვით სასვენი ნიშნები.

აი ასეთი იყო სახე იმ ოჯახისა სადაც მე სოფლიდან მომიყვანეს სასახლეში რომ გამომიყვანეს პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი დედამ შემნიშნა ეს მიმიჩინა პატარა ბიჭები და თავი დამანება მე ახალ ამხანაგებთან ერთად როგორც წინათა ვსთქვი დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავრბოდი დედაჩემი საღამომდე სულ ფეხზე იდგა საღამოს შემობრუნდებოდა სახ-

ლში და მაშინ ჩვენც დაგვიძახებდნენ დაანთებდნენ ბუხარში ცეცხლს ბუხრის წინ გაგვიშლიდ-ნენ ცხვრის ტყავს და დაგვსვამდნენ ზედ ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდნენ ზღაპრებს დედა იქვე იჯდა ტახტზე და წიგნს კითხულობდა ჩუმად კი ყურს გვიგდებდა ბიჭებს ურიგო რამე არ წამოსცდეს ყმაწვილებთანო ჩემ ამხანაგებში ერთი პატარა ბიჭი ერია დიდი გამო-ეშმაკებული მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა როცა დედა დაგვასწავლიდა საზეპირო ლოცვებს ეს ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა რომ სიტყვის გამეორებას ვერ ახერხებდა დედაჩემს ეს ძალიან უკვირდა (აკაკი).

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რას ნიშნავს ეფექტიანი კითხვა და რაში გვეხმარება იგი?
2. კითხვის რამდენი სახე არსებობს?
3. რა ეწოდება საკუთარი სიამოვნებისთვის კითხვას?
4. როდის აღვიქვამთ ტექსტს უკეთესად?
5. პირველად კითხვისას რას ვაღწევთ?
6. ხელმეორედ კითხვისას რაზე ვამახვილებთ ყურადღებას?
7. რატომაა აუცილებელი ტექსტის დაწვრილებით კითხვა?
8. როგორ მოვიქცეთ, როცა მასალა რთულია და დიდი?
9. რას ვაკეთებთ წაკითხული ინფორმაციის განსამტკიცებლად?
10. რას ნიშნავს რეზიუმირება?

თემა III. სტილის რაობა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი. ფუნქციური სტილი. სტილის დიფერენციაციის აუცილებლობა

3.1. სტილი

სტილი (ბერძნ. stylos, ლათ. stylus) ძველ საბერძნეთში ერქვა რკინის პატარა ჯოხს, რომლის წვეტიანი თავითაც ქაღალდის გამოგონებამდე ძველი ბერძნები და რომაელები წერდნენ გასანთლულ დაფაზე, ბლაგვით კი შლიდნენ. შემდგომ **სტილი** ლამაზ ხელს, კალიგრაფიას აღნიშნავდა, რითაც ცნობდნენ ამა თუ იმ გადამწერს.

სტილი პოლისემიური სიტყვაა და აღნიშნავს: 1. ხელოვნებაში ამა თუ იმ ეპოქის, ერის, მიმართულების ან ცალკეულ შემოქმედთა დამახასიათებელ გამომსახველობით ხერხთა, **მხატვრულ თავისებურებათა ერთობლიობას; 2. ენობრივ თავისებურებებს,** რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ჟანრს; 3. გადატანით: **ქცევის** ან მოქმედების მანერას (მუშაობის / თამაშის სტილი); 4. **წელთაღრიცხვის სისტემას** (ძველი სტილი იულიუსის კალენდარს მიჰყვებოდა, ახალი კი გრიგორიანულია (ქეგლ).

სტილი არის ერთი რიგის საგანთა და მოვლენათა მკვეთრად განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობა.

ჩვენ გვაინტერესებს სტილი, როგორც მეტყველების ნაირსახეობა, ენობრივ საშუალებათა თავისებური შერჩევა, მისი **სხვადასხვა** დანიშნულებით გამოყენება. თუ ვისთვის და რისთვის იქმნება ტექსტი, ეს წერის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს. განსხვავებული აუდიტორიის თუ სიტუაციისთვის იქმნება სხვადასხვა ტიპის, დანიშნულების, ხასიათის, ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი. სტილთა დიფერენციაციის საფუძველი არის ენის ფუნქციებიც და მისი ფუნქციონირების სფეროები: ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენება. ამას **ფუნქციური სტილისტიკა** სწავლობს.

3.2. მეტყველების ფორმა და სტილი

მეტყველება განსხვავებულია როგორც ფორმის (ზეპირი და წერითი მეტყველება), ისე სტილის (სასაუბრო და მწიგნობრული) მიხედვით. მართალია, ზეპირ მეტყველებას შეესაბამება სასაუბრო სტილი, წერითს კი – მწიგნობრული, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია (გაიგივება) არ შეიძლება: მწიგნობრული სტილის ნიმუში შეიძლება გადმოიცეს ზეპირადაც.

მწიგნობრული სტილისთვის აუცილებელია: ა) სიზუსტე; ბ) მკაფიო მეტყველება; გ) ლაკონიურობა; დ) სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა; ე) ნეიტრალური ლექსიკა ვ) ბუნებრიობა; ზ) სიტყვათა პირდაპირი წყობა. **სასაუბრო სტილში აუცილებელი არაა** სიზუსტე, ლოგიკურობა, სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა, ლაკონიურობა; ლექსიკა ემოციურია, სიტყვათა წყობა – თავისუფალი, გამოიყენება ჟესტები და მიმიკაც.

გამოყოფენ ხუთი სახის სტილს: **სამეცნიეროს, ოფიციალურ-საქმიანს, პუბლიცისტურს, მხატვრული ლიტერატურისას და სასაუბროს.** სტილის სახეობებს შორის არის მსგავსებაც და განსხვავებაც. მათ შორის **ჩინური კედელი** არაა, ერთი და იგივე ნიშანი გვხვდება რამდენიმე სტილში, მაგრამ შესაძლოა, ერთისთვის ნიშანდობლივი იყოს იგი, მეორისთვის – აუცილებელი, ერთისთვის სავალდებულო, მეორისთვის – სასურველი. მაგ.: ლოგიკურობა სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიან სტილთა აუცილებელი ნიშანია, სასაუბრო სტილში სასურველია, მაგრამ არაა აუცილებელი.

ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა სტილში სხვადასხვაგვარად რეალიზდება. თუ მას ფუნქცია არ აკისრია, მაშინ გადახრად მიიჩნევა (მაგ.: სასაუბრო სტილის ნიმუშების სამეცნიერო ან ოფიციალურ-საქმიან სტილში გამოყენება შეცდომაა, მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტურ

სტილში კი მათ სტილისტიკური ფუნქცია აკისრია). სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების, მწიგნობრული და სასაუბრო სტილის გაუმიჯნაობა სტილთაშორისი საზღვრების აღრევაა და მეტად აქტუალური პრობლემაა.

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რა არის სტილი და როგორ იქმნება იგი?
2. რას სწავლობს ფუნქციური სტილი?
3. რა არის სტილთა დიფერენციაციის საფუძველი?
4. ჩამოთვალეთ სასაუბრო მეტყველების მახასიათებლები;
5. ჩამოთვალეთ მწიგნობრული მეტყველების მახასიათებლები;
6. რატომ არ შეიძლება მეტყველების ფორმისა და სტილის გაიგივება?
7. დაასახელეთ სასაუბრო და მწიგნობრული სტილის განმასხვავებელი ნიშნები;
8. როგორ გესმით გამოთქმა: სტილის სახეობებს შორის ჩინური კედელი არაა?
9. რით აიხსნება ერთისა და იმავე ნიშნის სხვადასხვა სტილში გამოყენება?
10. რომელ სტილში გამოიყენება სასაუბრო სტილის ნიმუშები სტილისტიკური ფუნქციით?

3.3. სამეცნიერო სტილი

სამეცნიერო სტილი მეცნიერული ლიტერატურის, წიგნის, გამოკვლევების, სახელმძღვანელოების, მოხსენებებისა და მისთანათა ენაა. იგი განკუთვნილია სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ამ სტილის ნიმუშებია: საკვალიფიკაციო შრომა, ენციკლოპედია, გამოკვლევა, სტატია, სახელმძღვანელო, რეცენზია, ანოტაცია, რეფერატი, კონსპექტი, გამოხმაურება და სხვა.

სამეცნიერო სტილის უმთავრესი ფუნქციაა ინტელექტუალური კომუნიკაცია.

სამეცნიერო სტილის სახეობებია: საკუთრივ სამეცნიერო, სასწავლო-სამეცნიერო (საგანმანათლებლო) და სამეცნიერო-პოპულარული.

საკუთრივ სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია, დისერტაცია, მოხსენება) განკუთვნილია მკითხველთა ვიწრო წრისათვის, კონკრეტული დარგის ან მონათესავე სფეროს სპეციალისტთათვის. ის იწერება აკადემიური სტილით. მისი მიზანია სამეცნიერო წრეებისათვის მეცნიერული კვლევის შედეგების, სიახლეების გაცნობა (ინტელექტუალური კომუნიკაცია). ასეთ ნაშრომში მეცნიერული ტერმინები განმარტებული არაა, რადგან იგულისხმება, რომ მკითხველს (ადრესატს) აქვს საბაზისო ცოდნა.

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის დანიშნულებაა არაპროფესიონალთათვის სამეცნიერო მიღწევების გაცნობა-პოპულარიზაცია. ვინაიდან ადრესატს არ აქვს სათანადო ცოდნა, ნაშრომი არ უნდა იყოს გადატვირთული სპეციალური ტერმინებით, თუ ასეთი არის, მაშინ მას უნდა ახლდეს განმარტებაც.

სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომში ვლინდება ორივე ტიპის შრომათა მახასიათებლები. საკუთრივ სამეცნიერო სტილთან მას აკავშირებს ტერმინების გამოყენება, ოღონდ ისინი განმარტებულია, მასალა მეთოდურადაა დალაგებული, დაცულია მარტივიდან რთულისკენ სვლის პრინციპი, სამეცნიერო-პოპულარულ სტილს ჰგავს ენობრივ საშუალებათა მისაწვდომობით, ილუსტრირებით, ახლავს სავარჯიშოები.

სამეცნიერო სტილის სპეციფიკის განმაპირობებელი ნიშნებია:

1. ფორმობრივი ნიშანი: იგი ძირითადად **წერილობითია** (ასეთი ფორმა დიდხანს ინახავს ინფორმაციას, ეკონომიურია და იძლევა შესაძლებლობას, მკითხველი ბევრჯერ მიუბრუნდეს მას); მოხსენება **ზეპირია,** მაგრამ იქმნება სამეცნიერო სტილით.

2. შინაარსობრივი მხარე: ეს სტილი მონოლოგური და წერილობითია. სამეცნიერო სტილისათ-

ვის მთავარია: **სიზუსტე, ლოგიკურობა, თანამიმდევრული მსჯელობა, მტკიცებითობა, განზოგადება, დასკვნა.**

მსჯელობის აგების ეტაპებია:

ფაქტი (რა?): მთავარი მოვლენა ან აზრი, რომელიც უნდა უარვყოთ ან დავამტკიცოთ;

მოტივი (რატომ?): რატომ მოხდა ეს მოვლენა ან რატომ ვავითარებთ ამ აზრს;

არგუმენტი (საიდან ჩანს ეს?): დამადასტურებელი მაგალითი, ფაქტი;

შეჯამება (რის თქმის საშუალებას გვაძლევს არგუმენტი?);

დასკვნა (რა შეიძლება დავასკვნათ?) (შაბაშვილი, შარაშენიძე, 2008:7).

3. ენობრივი მხარე. სამეცნიერო სტილში **სიტყვები ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება,** იშვიათია მათი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება. მაგ.**: მანქანური/ საკეტელას/ ბერკეტის ენა.** აქ პრაქტიკულად არ გამოიყენება ისეთი ხატოვანი გამოთქმები, როგორებიცაა: **თავიდან გამოუვარდა, ცხოვრება დუღს...** ფრაზეოლოგიზმებს დაკარგული აქვს მეტაფორულობა, ისინი დემეტაფორიზებულია: **მზის გვირგვინი, ფრთიანი ფრაზა, მაგნიტური ქარიშხალი, მხატვრული ქსოვილი,** *მკურნალობის ტაქტიკა, სისხლძარღვთა კედლები, მანქანის ტვინი, თვალის ბროლი, თვითმფრინავის კუდი...*

სამეცნიერო ტერმინოლოგია. ტერმინი **ზუსტია და** ლოგიკურად **განსაზღვრული.** იგი 1. კონკრეტული პროფესიისთვისაა განკუთვნილი; 2. არ გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით; 3. არაა ექსპრესიული; 4. აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა.

ერთი და იგივე ტერმინი გვხვდება სხვადასხვა დარგში: **რეაქცია** ქიმიასა და პოლიტიკაში, **ასიმილაცია –** ფონეტიკასა და ეთნოლოგიაში.

სამეცნიერო სტილში პროდუქტიულია სხვადასხვა დაბოლოების საწყისი: **-ა** სუფიქსიანი: *შესწავლა, ქცევა, ცვენა;* **-ცია** *(ჰალუცინაცია, მოდიფიკაცია, არტიკულაცია),* -ობა, -ება *(განუსაზღვრელობა),* **-იკა** (სიმბოლიკა, სინონიმიკა)...

ვინაიდან ლოგიკური მსჯელობა მოითხოვს ფაქტების ახსნასა და დასაბუთებას, სამეცნიერო სტილში ხშირია ახსნა-განმარტება. ტერმინების სიჭარბე თავისთავად ითხოვს **დამხმარე ზმნებს, ნაწილაკებს, ნაცვალსახელებს, ასევე ზმნიზედებსაც. მათ** *ტრანზიტულ სიტყვებსაც* **უწოდებენ.** <u>ახსნა-განმარტება</u> მოითხოვს მაიგივებელ კავშირებს: **ანუ, ესე იგი,** <u>დასკვნა</u> - ჩართულ სიტყვებს: **ამრიგად, მაშასადამე, რასაკვირველია, როგორც ჩანს, როგორც დადასტურდა.** <u>წინა ნათქვამთან დაკავშირება</u> გადმოიცემა სიტყვებით: **ამის შედეგად, ამდენად, მსგავსად ამისა;** <u>მსჯელობის ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა</u> - **ჯერ ერთი, მეორე, მესამე, ერთი მხრივ, მეორე მხრივ და ა. შ.** კორელატებით.

ამავე სტილში გამოიყენება ნუმერაცია, ციფრები, სქემები, ფორმულები, დიაგრამები, ნახაზები.

სასაუბრო სტილში ძირითადად მშობლიური ენის სიტყვები გვხვდება, სამეცნიეროში კი დასტურდება ინტერნაციონალური ფუძეები, ნაწარმოები -**დი, - დია, - იზო- , -ცია, -იზმ, -ატ, -იტ, -ოიდ** სუფიქსებით *(ჰიბრიდი, პროსოდია, იზოტოპი, ჰალუცინაცია, კომპრომატი, ალკალოიდი და სხვა)* **მაგალითად:** *ნეფრიტი, ოტიტი, ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, დერმატიტი, სინუსიტი, ალექსანდრიტი, აპატიტი.*

გავრცელებულია წინსართები: **ალო** *-(ალომორფი, ალოფონი),* **მიკრო-, ანტი-, ინტერ-, ექსტრა-, მინი-, სუპერ-, ჰიპერ***-... (მიკროავტობუსი, ანტიეროვნული, ინტერნაციონალი, ექსპრეზიდენტი...)*

პროდუქტიულია ასევე **აფიქსები: -ობა, -ება (შეჯერება, გალღობა, ქმედითობა, მექანიზება...)**

სამეცნიერო სტილში გვხვდება აღწერითი ფორმები: **შესწავლილ იქნა, გაანალიზებულ იქნეს.** მეტწილად გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადებები.

სამეცნიერო ნაშრომის სათაური პირდაპირ გადმოგვცემს სათქმელს: მაგ.: **„ასპექტი ქართველურ ენებში“; „ჩვენი ენა ქართული“ და ა. შ.**

მეცნიერული აზროვნება ყოველთვის არ არის გადმოცემული აკადემიური სტილით. სამეცნიერო ნაშრომის **ხარვეზებია:**

1. შინაარსობრივი მხარე: 1) ახალი სამეცნიერო ინფორმაციის დეფიციტი; 2) ფაქტობრივი შეც-

დომები; 3) განზოგადებაზე დაუფუძნებლობა და უსაფუძვლო პარალელები;

2. შინაარსობრივ-სამეტყველო:ტერმინოლოგიაში არაა დაცული სიზუსტე, დარღვეულია ლოგიკა, არის ენობრივი შეცდომები;

3. სტილისტიკურ-ენობრივი: უმართებულოდ გამოიყენება სხვა სტილის ფორმები;

4. სტილისტიკურ-კომუნიკაციური: არაა გათვალისწინებული ადრესატის განათლება, სოციალური სტატუსი, ასაკი.

სამეცნიერო სტილის **სპეციფიკური ნიშნებია**:

1. სპეციალური ლექსიკა-ტერმინოლოგია;

2. ლაკონიურობა;

3. სიზუსტე;

4. ლოგიკურობა (მიზეზშედეგობრიობა);

5. ზმნების ნაკლებობა;

6. სავალდებულო ციფრების, სიმბოლოებისა და ნიშნების გამოყენება;

7. მტკიცებითობა;

8. სუბიექტური მომენტების უგულებელყოფა;

9. მხატვრული სტილის ელემენტების მაქსიმალური შეზღუდვა;

10. სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა.

ამრიგად, სამეცნიერო სტილის ფუნქციაა ინტელექტუალური კომუნიკაცია, რომელიც განზოგადებულია, არ მიემართება კონკრეტულ პირს.

სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ ტექსტი და გამოკვეთეთ სტილური ნიშნები. გამოყავით მსჯელობის განვითარების ეტაპები. ამოიწერეთ შესაბამისი ადგილები:

ჟურნალ ,,სელში" გამოქვეყნდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მეცნიერთა კვლევის შედეგები. მათ გამოარკვიეს, რატომ ჭაღარავდება ადამიანი. ფოლიკულების ღეროვანი უჯრედები მელანოციტებთან ერთად გამოიმუშავებენ თმის ფერს. აღმოჩენილია სასიგნალო ცილა Wnt, რომელიც კოორდინირებს ორი ტიპის უჯრედების პიგმენტაციას. მელანოციტების ღეროვან უჯრედებში სწორედ ამ ცილის ნაკლებობა იწვევს ჭაღარის გაჩენას.

პროფესორი მაიუამი ტიტო აცხადებს: თუკი გენეტიკის საშუალებით მოვახერხებთ მანიპულირებას სასიგნალო პროტეინებით, შესაძლებელი გახდება თმის გაჭაღარავების თავიდან აცილება. ჩვენ წარმატებით გამოვცადეთ აღნიშნული ტექნოლოგია მღრღნელებზე. ასევე ვიმედოვნებთ, რომ აღმოჩენა დაგვეხმარება არამარტო ჭაღარასთან გამკლავებაში, არამედ სინათლეს მოჰფენს დაავადებებს, რომლებიც მელანოციტებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, მელანომასაც.

სავარჯიშო №2. წაიკითხეთ ქვემომოყვანილი ტექსტები, შეადარეთ ერთმანეთს და გამოკვეთეთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები:

1. მისი უდიდებულესობა – მარწყვი

გემო და არომატი მარწყვის ერთადერთი ღირსება არ არის, მარწყვი ვიტამინებისა და მიკროელემენტების ერთგვარი ჭაა. მისი მთავარი სიმდიდრეა C ვიტამინი, რომელიც გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ნაოჭების წინააღმდეგ ბრძოლის ცნობილი საშუალებაა. მასში ბევრია I ჯგუფის ვიტამინი, რომლებიც განწყობას ამაღლებენ.

მარწყვი ფიტონციდების მაღალი შემცველობით გამოირჩევა. ამ ნივთიერებებს ბუნებრივ ანტიბიოტიკებს უწოდებენ, რადგან ნებისმიერი ინფექციის დამარცხება შეუძლიათ. სასარგებლოა მარწყვის ფოთლებიც, მასში C ვიტამინი უფრო მეტია, ვიდრე ნაყოფში, მინერალების მარაგი, რომელშიც შედის რკინა, თუთია, კობალტი, მაგნიუმი, კალიუმი, კალციუმი და ფოსფორი, ფოთლების ნაყენს სამკურნალო თვისებებს ანიჭებს. ის შესანიშნავი ზოგადგამაძლიერებელი საშუალებაა გაციების დროს, და გამწმენდი – ღვიძლისა და თირკმელების დაავადებების შემთხვევაში.

ფოთლების დაკრეფა უმჯობესია მცენარის ყვავილობის პერიოდში. თუ ჰიპერტონია და ათე-

როსკლეროზი გაწუხებთ, ქორფა მარწყვის ნაყენი თქვენთვის უებარი წამალია. წვენი და კენკრის პიურე საჭმლის მონელების დარღვევისა და კოლიტის საწინააღმდეგო კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა. თუ პროფილაქტიკა არ დაგეხმარათ, მაშინ დამატებით მარწყვის ფოთლებიც და ფესვებიც გამოიყენეთ. რამდენიმე ცალი კენკრის ჭამამ შეიძლება გაგათავისუფლოთ თავის ტკივილისგანაც. გამხმარ მარწყვს ადუღებულ წყალს ასხამენ და გაციების დროს სვამენ, ხოლო ფოთლების ნაყენს ანგინის დროს ყელში ივლებენ. მარწყვის ფოთლების ჩაი ცნობილია, როგორც სისხლის გამწმენდი, სისხლის წარმოქმნის ხელშემწყობი და დამამშვიდებელი საშუალება. მას სამკურნალო ეფექტი აქვს ჰემოროის, ელენთისა და ღვიძლის დაავადებების დროს.

ქორფა მარწყვის წვენი შესანიშნავი საშუალებაა ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად. თუ ალერგიული ხართ, მარწყვი შეიძლება ძლიერი ალერგენი აღმოჩნდეს, რისკის შესამცირებლად მარწყვს კეფირი ან რძე დააყოლეთ.

2. მარწყვი - FRAGARIA VERSAL.

მარწყვი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი 5- 20 (30) სმ სიმაღლის მრავალწლიანი ბალახია. ფესურიდან ერთი ან რამდენიმე ღერო ამოდის. სამყურა, გრძელყუნწიანი ფოთლები ღეროს ძირშია დაჯგუფებული. ფოთლების ფოთოლაკები ქვემოდან მუქმწვანეა, ქვემოდან კი ბაცი მწვანე მონაცრისფრო ელფერი დაჰკრავს.

ყვავილები ფარისებრადაა შეკრებილი კენწეროში. ყვავის თეთრი ყვავილებით მაის-ივნისში. ნაყოფი ივნის-ივლისში მწიფდება. იგი დიდი რაოდენობით გვხვდება დაბალი სიხშირის ტყეებში, განსაკუთრებით, ნაძვნარებსა და სოჭნარებში, წიფლნარებში, ტყეებში არსებულ მცირეფართობიან მდელოებსა და ტყისპირებში.

მარწყვი უხვ, ღალისმომცემ მცენარედაა აღიარებული. სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი, ღერო და ფოთლებიც. აგროვებენ ივნის-ივლისში.

მარწყვის ფოთლების ნახარშს ხმარობენ პირის ღრუში ცუდი სუნის მოსასპობად, სვამენ კუჭ-ნაწლავის ანთების და ღამით ოფლიანობის დროს, კუჭაშლილობის სამკურნალოდ, შარდმდენად და მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ.

ბოლო წლების გამოკვლევებით გამოირკვა, რომ მკურნალობის სხვა თანამედროვე მეთოდებთან ერთად მარწყვის ფოთლების ნახარშის დღეში ექვსჯერ მიღება (თითო ჯერზე 2-3 სუფრის კოვზი) დადებითად მოქმედებს ხორხის კიბოს დროს (ხიდაშელი, პაპუნიძე).

სავარჯიშო №3. წაიკითხეთ ტექსტი, მოძებნეთ სამეცნიერო ტერმინების განმარტებები.

ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების დაავადებათა შორის ფართოდაა გავრცელებული დისკინეზია და ანთებითი დაზიანება. ნაღვლის ბუშტის ანთებითი პროცესი, ჩვეულებრივ, ლორწოვანი შრის კატარული ანთებით იწყება. სუბიექტური და ობიექტური სიმპტომები დაკავშირებულია თამხლებ ფუნქციურ დარღვევებთან. ზოგადი მდგომარეობა უცვლელი რჩება, პერიფერიული სისხლის გამოკვლევით პათოლოგიური ცვლილებანი არ ჩანს.

ჰიპოტონიური ტიპის დისკინეზიების თანდართვისას აღინიშნება შეგუბებითი მოვლენები, მწარე გემო, გულისრევა... ობიექტურად, პათოლოგიის პერკუტორული და პალპატორული ნიშნები მცირედ ან საერთოდ არ არის გამოხატული.

ჰიპერტონიული ფუნქციური დარღვევის შემთხვევაში კლინიკური სურათი განსხვავებულია. ვითარდება შეტევითი ტკივილი, რომელიც სწრაფად ქრება მედიკამენტური თერაპიის გარეშეც. დისკინეზიის ამ ფორმას თან ახლავს პალპაციით ,,ნაღვლის ბუშტის წერტილის“ მკვეთრი მტკივნეულობა. დადებითია კერის და მერფის სიმპტომები. გამოხატულია, აგრეთვე, მტკივნეულობა მარჯვენა ნეკნთა რკალის მსუბუქი დარტყმით „შერხევისას“ (ორტნერის სიმპტომი), მახვილისებურ მორჩზე ზეწოლისას; მარჯვენა ლავიწზემო მიდამოში გენო დე მიუსის წერტილი მტკივნეულია.ზოგ შემთხვევაში ხერხემლის კისრის მიდამოს მარჯვენა პარავერტემბრული ზომის მტკივნეულობა აღინიშნება. ჩამოთვლილი სიმპტომები ტკივილის შეტევის ლიკვიდაციის შემდეგ ქრება, რაც დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტისა და სფინქტერული აპარატის სპაზმის შეწყვეტასთან.

დავალება. შეავსეთ ცხრილი სამეცნიერო სტილის მახასიათებლებით

ფორმობრივი მხარე	
შინაარსობრივი მხარე	
ენობრივი მხარე	

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. სამეცნიერო სტილის რამდენ ქვესტილს იცნობთ?
2. რით განსხვავდება საკუთრივ სამეცნიერო ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულისგან?
3. რით განსხვავდება საკუთრივ სამეცნიერო ნაშრომი სასწავლო-სამეცნიეროსგან?
4. დაასახელეთ სამეცნიერო სტილის ფუნქციები;
5. სამეცნიერო სტილის ფლობის რამდენ სახეს იცნობთ?
6. დაასახელეთ მსჯელობის აგების ეტაპები;
7. დაასახელეთ სამეცნიერო სტილის ხარვეზები;
8. გადმოეცით სამეცნიერო სტილის მახასიათებლები;
9. სამეცნიერო სტილში იშვიათად რატომ გვხვდება ფრაზეოლოგია?
10. დაასახელეთ ტერმინის აუცილებელი ნიშნები.

3.4. ოფიციალურ-საქმიანი სტილი

ოფიციალურ-საქმიანი ჰქვია საქმიანი ურთიერთობისათვის განკუთვნილი ოფიციალური დოკუმენტების ენას. კონსერვატიულობის გამო მას უწოდებენ **კანცელარიულ, საკუთარ თავში ჩაკე-**

ტილ სტილსაც (დაწვრილებით იხ. თემა XI).

ოფიციალურ-საქმიანი სტილის **ქვესტილებია: საკუთრივ ოფიციალურ-საქმიანი, იურიდიული დოკუმენტები და დიპლომატიური საბუთები.**

ოფიცილურ-საქმიანი სტილის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. ფორმობრივი მხარე. ის **ძირითადად წერილობითია.** ზეპირად გადმოიცემა საანგარიშო მოხსენება, დახასიათება, ბიოგრაფია, განცხადება და ა. შ. საქმიანი დოკუმენტების ენა სტანდარტულია. ტრაფარეტი გვეხმარება დოკუმენტის კლასიფიკაციაში. ზოგიერთი მათგანის წარმოების გასაადვილებლად შემოღებულია სპეციალური ბლანკები (კადრების აღრიცხვის ფურცელი, ცნობა, მოწმობა), თუმცა ცალკეული დოკუმენტის გაფორმება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

2. შინაარსობრივი მხარე. ამ სტილისათვის დამახასიათებელია აზრის კონკრეტულობა, სიზუსტე, კლიშეები, სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება, ლაკონიურობა (ენობრივ საშუალებათა ეკონომია), აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით, მოკლედ, ნათლად გადმოცემა.

3. ენობრივი თავისებურებანი: ლექსიკა ნეიტრალური, სტილთაშორისია. დამახასიათებელია პროფესიონალიზმების, სპეციალური ტერმინების, ციფრების გამოყენება. გვხვდება **ასევე მყარი გამოთქმები** *(პირადი შემადგენლობა, მატერიალური ღირებულებანი, ფულადი ნიშნები, სავაჭრო წერტილი, სატრანსპორტო საშუალებანი)* **შტამპები და კლიშეები** *(დღის წესრიგი, მოისმინეს, დაადგინეს; გაცნობებთ, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, ამასთან გაახლებთ, განცხადებას თან ერთვის...)* ამ სტილში ავტორის ინდივიდუალიზმი მინიმუმამდეა დაყვანილი. დაუშვებელია სასაუბრო სტილის ნიმუშების ხმარება.

ოფიციალურ-საქმიან სტილში ორგანული ფორმების ნაცვლად უპირატესობა ენიჭება აღწერით წარმოებას: *მონაწილეობას იღებს, მოთხოვნა წაუყენეს, გაგზავნილ იქნეს.* ხშირად გამოიყენება **სახელზმნები** *(მიღება, გაგზავნა, დადგენა, გატანა, შემოზიდვა, მიღებული, გაგზავნილი, დადგენილი....).* ამ სტილისთვის ნიშანდობლივია ნომენკლატურათა სიჭარბე: აზრი გადმოიცემა რამდენიმე აბზაცით, ნუმერაციით. სათქმელი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა გადმოცემული, მიუხედავად იმისა, ვინ გზავნის და ვის ეგზავნება (მოგმართავთ თხოვნით; გთხოვთ, დაგვრთოთ ნება).

საქმიანი დოკუმენტის რეკვიზიტებია: *ორგანიზაციის დასახელება, პირის თანამდებობა, წოდება; გვარი, ინიციალები; სათაური, ხელმოწერა, თარიღი.*

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ნიშნებია:

1. თემისა და აზრის კონკრეტულობა;

2. მიზნის გამოხატვის სიზუსტე და სიცხადე;

3. ლაკონიზმი და სიმშრალე;

4. სტანდარტულობა;

5. ენობრივი ფორმულები (კლიშე, შტამპი);

6. სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა;

7. ემოციებისა და ექსპრესიის შეზღუდვა, ობიექტურობა;

8. მარტივი კონსტრუქციებისა და აღწერითი ფორმების გამოყენება;

9. სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება;

10. რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, პირის თანამდებობა, წოდება; გვარი, ინიციალები (მობინადრე, მოქალაქე, კლიენტი, პაციენტი, სათაური, ხელმოწერა, თარიღი, შემოკლებები და აბრევიატურები; ტექსტის ოფიციალური დამოწმება.

ამ სტილის ხარვეზები არის:

1. ეტიკეტის დაუცველობა;

3. ალოგიკურობა;

4. ფამილიარული სტილი;

5. დოკუმენტის დაუმოწმებლობა;

6. დაუთარიღებლობა;

7. სტანდარტის დაუცველობა (მოცულობით დიდია). დავალება. შეავსეთ ცხრილი ოფიცია-

ლურ-საქმიანი სტილის მახასიათებლებით:

ფორმობრივი მხარე	
შინაარსობრივი მხარე	
ენობრივი მხარე	

<u>დაიხსომეთ:</u> რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა

კ ო მ პ ო ზ ი ტ ი

ერთად- ერთცნებიანი

** თავთავი, წამწამი,*
** გაქიბუქი, გრახაგრუხი;*
**პირდაპირ, თანდათან;*
**დედაენა, ქალიშვილი*
**სუპერმარკეტი, მინიკაბა*
**ზედამხედველი, თანაშემწე*
** ფეხქვეშ, თავქვეშ*
**ხუროთმოძღვარი, ცისკარი*
**ლუკმაპური, პურმარილი*

დეფისით - მრავალცნებიანი

**დედ-მამა, ცოლ-ქმარი,*
**ალალ-მართალი, სინდის-ნამუსი*
**დიდ-დიდი, ორ-ორი;*
**ნელ-ნელა, ჩქარ-ჩქარა*
**ექიმ-სტომატოლოგი, სახლ-მუზეუმი*
გამონაკლისები: *ვიცე-მერი, ვაი-მეცნიერი*

ცალ-ცალკე

თავზე ხელაღებული;
გალიშში თავჩარგული;
წელში მოხრილი;
მზრუნველობას მოკლე-ბული;

გამონაკლისები:
და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს, უფრო და უფრო უფრო, კვლავ და კვლავ

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ:

1. განმარტეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილი;
2. სად, რა ფუნქციით ვიყენებთ ოფიციალურ-საქმიან სტილს?
3. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილის ფორმობრივი ნიშნები;
4. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილის ლექსიკური თავისებურებანი;

5. როგორია სიტყვათა წყობა ოფიციალურ-საქმიან სტილში?
6. რა იგულისხმება ფამილიარულ სტილში?
7. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების სახეები;
8. რას ეწოდება შტამპი?
9. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილის ხარვეზები;
10. დაასახელეთ საქმიანი დოკუმენტის რეკვიზიტები.

3.5. პუბლიცისტური სტილი

პუბლიცისტური სტილი ეწოდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების (ჟურნალ-გაზეთების) ენის თავისებურებებს. ამ სტილის ნიმუშებია: *ნარკვევი, ჩანახატი, მოწოდება, ცნობა, ფელეტონი, პამფლეტი, რეპორტაჟი, მიმართვა, რეკლამა.*

საინფორმაციო ხასიათისაა: *ცნობა, განცხადება, რეპორტაჟი, ინტერვიუ, რეცენზია, ბიოგრაფია, ნეკროლოგი.*

ზემოქმედებითია: *ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი, მოწოდება, ლოზუნგი, მიმართვა, პოლემიკური წერილი.*

მისი ფუნქციაა მკითხველისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურის, მეცნიერებისა თუ ტექნიკის სიახლეების (კომუნიკაციური ფუნქცია) გაცნობა და საზოგადოებრივი აზრის გარკვეული მიმართულებით ფორმირება, მოქალაქეთა ინტერესისა და აქტიურობის გამოწვევა; აგიტაცია-პროპაგანდა; საზოგადოებრივი შეგნების, განათლების დონის ამაღლება.

ფორმობრივი დახასიათება. პუბლიცისტური მასალა ნაბეჭდია, წერილობითია, თუმცა იგი ზეპირადაც გადმოიცემა კრებებზე, სხდომებზე. ზეპირი სახისაა: *პოლიტიკური მოხსენება, აგიტაცია, პროპაგანდა.*

შინაარსობრივი დახასიათება. შინაარსობრივი მხარე განისაზღვრება მრავალფეროვანი თემატიკით, რომელიც უკავშირდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, მიზანს, მისწრაფებას. თხრობა ზუსტია და ცხადი, ფაქტები აისახება ადეკვატურად, მსჯელობა ლოგიკურია და თანამიმდევრული, სათქმელი გადმოცემულია სხარტად, რითაც მიიღწევა მკითხველზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა, დადებითი ან უარყოფითი განწყობილება.

ზემოქმედების მოსახდენად აუცილებელი პირობაა შესაფერისი სტილის შერჩევა. ზემოქმედება, ექსპრესიულობა არამხოლოდ ამსგავსებს მას მხატვრული ლიტერატურის სტილთან, არამედ ასხვავებს კიდეც მისგან: ჟურნალისტის პოზიცია ჩვეულებრივ, უშუალოდ და აშკარად გამოიხატება, მწერლისა კი იგი გასააზრებელია.

პუბლიცისტიკისთვის ნაკლად ითვლება მოჭარბებული ნეგატიური ინფორმაციის გადაცემა ან პირიქით, მიჩქმალვა. ყველაზე აქტუალური საკითხია ინფორმაციის სანდოობა.

ენობრივი თავისებურებანი. პუბლიცისტური სტილის ლექსიკას (ამბებისა თუ მოვლენების სოციალურ შეფასებას გამოხატავს) მომწოდებლური, დეკლარაციული ხასიათი აქვს. იგი მრავალფეროვანია: წიგნურ სიტყვებთან ერთად აქ სტილისტიკური მიზნებით იხმარება სასაუბრო ლექსიკაც. გაზეთისთვის ტიპობრივია ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინოლოგია და პროფესიული ლექსიკა.

ინტერვიუში, კორესპოდენციასა თუ რეპორტაჟში ბევრია ნასესხები, უცხო სიტყვა და ინტერნაციონალიზმი; ახალი ინფორმაციის ოპერატიული მიღება-გადამუშავებითაა გამოწვეული კალკების შემოჭრაც.

აქ უხვადაა შტამპი და კლიშე:*„დაპყრობითი პოლიტიკა“ ,,თანაარსებობა,“ ,,თეთრი სახლი,“ „ცივი ომი,“ ,,პატრინოტი,“* სიტყვათა მყარი შენაერთები: *თავდადებული შრომა, აქტიური მონაწილეობა, მაღალი მაჩვენებელები.*

პუბლიცისტურ სტილში განსაკუთრებით პოპულარულია უცხოური პრეფიქსებით (**იზმ, -ისტ,**

-ანტ., ასევე ანტი-, კონტრ-, დეზ-, ულტრა-, დე-, პოლ- და ა. შ.) ნაწარმოები სიტყვები: *დეზორგანიზაცია, დეზინფექცია, დემობილიზაცია, ულტრაიისფერი...*

პუბლიცისტურ სტილში ძირითადად გამოიყენება მარტივი თხრობითი ან ძახილის, კითხვა-ძახილის ან ბრძანებითი კილოს წინადადებები. ნიშანდობლივია წინადადების წევრთა ინვერსიული წყობა.

პუბლიცისტურ სტილში საგანგებო როლს ასრულებს **სათაური. ეფექტური სათაური** ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომელსაც ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

1. მკითხველის პირდაპირ და უშუალოდ ინფორმირება;

2. დაინტერესება;

3. აზროვნების გააქტიურება.

სწორად შერჩეული სათაურის მახასიათებლებია:

ა) ტექსტთან ბმულობა – უკავშირდება ძირითად სათქმელს;

ბ) ლაკონიურობა – მოკლეა, ტევადი, სხარტი, მოქნილი, სტილის შესაბამისი;

გ) ინფორმაციულობა – მიგვანიშნებს ავტორის ძირითად სათქმელზე;

დ) უნდა იყოს ინტერესის აღმძვრელი, მაგრამ არა – სკანდალური. სკანდალური სათაური ხშირად ეთიკური ნორმების დარღვევას, საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაღიზიანებას იწვევს და მკითხველს ნეგატიურად განაწყობს (გოჩიტაშვილი...).

სათაური არ უნდა იყოს დატვირთული სპეციალური ტერმინებით; არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი, როცა ავტორი **კონკრეტულ** საკითხს განიხილავს; ის ზუსტად უნდა მოერგოს საკითხს.

მკითხველს მეტად აღუძრავს ინტერესს კითხვითი სათაური **„რა გვიჯდება საკუთარი შვილი“?.**

პუბლიცისტური სტილის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. სხარტი და დინამიკური თხრობა;

2. თემის აქტუალურობა და ინფორმაციის სიახლე;

3. ახალი ლექსიკა-ტერმინოლოგიის გამოყენება;

4. საზოგადოებრივი პოზიციის, პოლიტიკური პათოსის გამოხატვა;

5. ენობრივი შტამპების, კლიშეების, სტერეოტიპული ფრაზების ხმარება;

6. სიტყვებისა და გამოთქმების მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება;

7. შემოკლებები და აბრევიატურა.

<u>**წაიკითხეთ ტექსტი, ამოიწერეთ პუბლიცისტური სტილის ყველა მახასიათებელი:**</u>

ჩვენი ენა ქართული!

„მისამართული“ მეტყველება

თანამედროვე საბაზრო ცხოვრებამ რეკლამას ფართოდ გაუღო კარი, რაღას არ გვაწონებენ მწარმოებელი თუ გამსაღებელი კომპანიები- იმას, რასაც რეკლამა საერთოდ არ სჭირდება და იმასაც, რეკლამითაც რომ არ იყიდება! კომპანიების მთავარი მიზანი საქონლის გასაღებაა, ამიტომ ხშირად ყურადღების ღირსად არ თვლიან ისეთ „წვრილმანს“, როგორიცაა ენობრივი ნორმების დაცვა. სატელევიზიო რეკლამა მოგვიწოდებს: განიცადეთ სისუფთავის შეგრძნება! არა მგონია, სისუფთავეს კიდევ განცდა სჭირდებოდეს. უკეთესი იქნება ჩვენზე მზრუნველნი ასე თუ მოგვმართავენ: „შეიგრძენით სისუფთავე!“

ენისადმი გულგრილ დამოკიდებულებას სამთავრობო ეშელონებშიც ავლენენ. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ბაგეთაგან ასეთი ფრაზა მოვისმინე: „თუ ადამიანი თვლის, რომ მისი უფლებები არასწორად არის შელახული, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს (?!) რა გამოდის? იჩივლოს, რათა უფლებები სწორად შეულახონ?! მე, ცხადია, ვხვდები, ამის წარმომთქმელი რასაც გულისხმობდა, მაგრამ კურიოზული ფრაზა კი გამოვიდა.

ჩვენ ახლო წარსულიდან გვახსოვს ქართული ენის რეფორმატული სრულყოფის ნიმუშები: „დაყაჩაღება,“ „კონსტიტუციის მუხლებით გავლა,“ დასჯადი ქმედება“ და ა. შ. აშკარაა, რომ იმ დროს

რეფორმატორებს ბოლომდე არ დაუძაბავთ გონება, რადგან ყურადღების მიღმა დარჩენიათ ისეთი ზესაინტერესო ზედსართავი, როგორიცაა ,,მისამართული.“ გვაქვს ქალაქი/ქალაქური, ქართველი/ ქართული, როგორც ჩანს, ,,მისამართიდან შექმნილი არ იყო აქამდე ზედსართავი და აწ რაღა გვიჭირს, რადგან უკვე გვაქვს ,,მისამართული!“ მაგალითად, წერილი შეიძლება უმისამართოც იყოს და მისამართულიც.

ენა ცოცხალ ორგანიზმს შეიძლება შევადაროთ. მისი ღვთით მოვლენილი მატარებელი ერია. როგორც სული სცილდება სხეულს ბიოლოგიური სიკვდილის დროს, ისე მშობლიური ფესვებისგან დაშორება ერისთვის, მისი თითოეული ინდივიდისთვის მორალური სიკვდილის ტოლფასია. დიახ, ენა სათუთი ფენომენია და მას მოფრთხილება სჭირდება! (მერაბ ნადირაშვილი).

<u>**დავალება. შეავსეთ ცხრილი პუბლიცისტური სტილის მახასიათებლებით:**</u>

ფორმობრივი მხარე	
შინაარსობრივი მხარე	
ენობრივი მხარე	

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რამდენ ქვესტილად იყოფა პუბლიცისტური სტილი?
2. რა არის პუბლიცისტური ტექსტების მიზანი?
3. როგორი უნდა იყოს პუბლიცისტური ტექსტების თემატიკა?
4. როგორია ამ სტილის ლექსიკა და ფრაზეოლოგია?
5. დაასახელეთ ეფექტური სათაურის მახასიათებლები;
6. რომელი სტილის ელემენტები იყრის თავს პუბლიცისტური სტილში?
7. დაასახელეთ პუბლიცისტური სტილის ფუნქციონირების სფეროები;
8. როგორ უნდა გადმოიცეს პუბლიცისტურ სტილში ნეგატიური ინფორმაცია?
9. რა არის კლიშე?
10. გადმოეცით პუბლიცისტური სტილის გრამატიკული თავისებურებანი;
11. რა ითვლება პუბლიცისტური სტილის ხარვეზად?
12. რა განაპირობებს პუბლიცისტური სტილის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას?
13. როგორ გამოიხატება პუბლიცისტურ სტილში ავტორისეული პოზიცია?
14. გაიხსენეთ პუბლიცისტური სტილის ნიმუში, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე;
15. გაიხსენეთ პუბლიცისტური სტილის ნიმუში, რომელმაც უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე.

3.6. მხატვრული ლიტერატურის სტილი

მხატვრულია სტილი, რომელიც სინამდვილეს მხატვრულად გვიხატავს. საამისოდ კი გამოიყენება მხატვრული ხერხები და საშუალებანი. ამით ის არსებითად განსხვავდება სამეცნიერო სტილისგან: მეცნიერება სინამდვილეს ასახავს ცნებებით, ლოგიკური მსჯელობით, მხატვრულ ლიტერატურაში კი ის მხატვრულადაა გარდასახული.

მხატვრული სტილის ჟანრებია: **ბელეტრისტიკა (მოთხრობა, ნოველა, რომანი, ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი), პოეზია (პოემა, ლექსი), დრამატურგია (დრამა, კომედია, ტრაგედია), იუმორისტულ-სატირული ნაწარმოებები.**

ამ სტილის მთავარი ფუნქციაა ესთეტიკურობა, გამომსახველობა, ექსპრესიულობა.

შინაარსობრივი მხარე. მხატვრული ლიტერატურის სტილში ადამიანის ტიპიზაციით აისახება ცხოვრებისეული (დადებითი და უარყოფითი, მისაბაძი და მანკიერი) მოვლენები.

ფორმობრივი დახასიათება. მეტყველების მთავარი ფორმა წერილობითია, მეტყველების სახეები **მონოლოგი და დიალოგი.**

ენობრივი მხარე. ამ სტილისთვის დამახასიათებელია ექსპრესიული ლექსიკა, რომელიც გადმოგვცემს სიხარულს, აღტაცებას, გაკვირვებას, აღშფოთებას, ზიზღს, დაცინვას. ნიშანდობლივია სიტყვათა არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება, ტროპების (მეტაფორის, მეტონიმიის, გაპიროვნების, ალეგორიის, სინეკდოქეს, ჰიპერბოლის, ლიტოტესის, პერიფრაზის), რიტორიკული ფიგურების, ასევე ეპითეტების, სინონიმების, ომონიმების, ანტონიმების, ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების სიხშირე. საგანგებო ფუნქცია ეკისრება დიალექტიზმებს, ბარბარიზმებს, ჟარგონებს და ა. შ.,

ამ სტილისთვის ნიშანდობლივია მრავლობითი რიცხვის ფორმათა გამოყენება მხოლობითის მნიშვნელობით, მხოლობითისა – მრავლობითის გაგებით; ზმნების ხმარება სხვადასხვა კილოში, პირსა და დროში; გამოიყენება ყველა ტიპის წინადადება; სიტყვათა წყობა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირია.

ენობრივ საშუალებათა მომარჯვება დამოკიდებულია შემოქმედის ინდივიდუალობაზე, მის მხატვრულ ნიჭზე.

მხატვრული ნაწარმოების სათაური შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

ა) ერთსიტყვიანი („არწივი,“ „ია ,“ „სინდისი“);

ბ) ორსიტყვიანი („ხმელი წიფელი,“ „მთის წყარო,“ „ჯაყოს ხიზნები“);

გ) და კავშირიანი („ომი და მშვიდობა,“ „წითელი და შავი,“ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“);

დ) წინადადება: „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა,“ „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარდა,“„კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მინდოდა?“.

სათაურით სათქმელი პირდაპირ ან მეტაფორულად გადმოიცემა.

მხატვრული ლიტერატურის სტილის ნიშნებია:

1. ექსპრესიულობა;

2. მხატვრული ხერხების გამოყენება, მხატვრული სახეებით აზროვნება;

3. ახალი სიტყვების შექმნა;

4. ავტორის მაქსიმალური ინდივიდუალიზმი;

5. სასაუბრო სტილის ნიმუშების გამოყენება.

დავალება №1. აიღეთ მხატვრული სტილის ნებისმიერი ნიმუში და გამოყავით მისი ყველა მახასიათებელი (5 ქულა).

3.7. სასაუბრო სტილი

სასაუბრო სტილი უპირისპირდება მწიგნობრულს. ამ სტილის **ჟანრებია:** საუბარი, დიალოგი, კამათი, თხრობა. მისი ძირითადი ფუნქციაა **აზრთა გაზიარება, კომუნიკაცია.**

ზეპირი მეტყველების დროს მოლაპარაკეს წინასწარ არ აქვს მოფიქრებული სათქმელი, ან მათი გადმოსაცემი ენობრივი საშუალებანი. მოკლედ, სასაუბრო სტილი **დაუგეგმავი** და **სიტუაციური, სპონტანურია,** მასში უპირატესობა ენიჭება მოკლე ფორმებს.

გამოყოფენ სასაუბრო სტილის **ორ სახეს: სასაუბრო-ლიტერატურულს და სასაუბრო-ფამილიარულს.** ზეპირ მეტყველებას განეკუთვნება: ლექცია, მოხსენება, რაიმე ამბის გამოცხადება, საჯარო სიტყვა, ისინი გადმოიცემა წერილობითაც და ტექნიკური საშუალებითაც, მაგრამ მათი სტილი მწიგნობრულია, დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები.

სასაუბრო სტილი ძირითადად **დიალოგურია ან პოლილოგური**, თუმცა აქ გვხვდება მოკლე მონოლოგები ან გაბმული თხრობაც.

სასაუბრო სტილში გვხვდება **არაენობრივი** ელემენტები: **ჟესტები** (კიდურების მოძრაობა) **და მიმიკა** (სახის ნაკვთების მოძრაობა). მათი ზომიერი გამოყენება მეტყველებას ექსპრესიულობას სძენს, გადაჭარბება კი ნაკლია.

სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო ლექსიკა, ფამილიარული (შინაურული, მოურიდებელი), ემოციის, ექსპრესიის გამომხატველი სიტყვები (შორისდებულები, ნაწილაკები).

სიტყვები აქ გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მნიშვნელობით. სალიტერატურო ენის ნორმები მეტწილად უგულებელყოფილია და ფართოდ გამოიყენება დიალექტიზმები, ჟარგონიზმები, ბარბარიზმები და ა. შ. დასტურდება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ინდივიდუალური მეტყველების თავისებურებაა. ზეპირი მეტყველების ნაკლია ე. წ. ,,სიტყვა-პარაზიტებიც". ამ სტილის ერთი განსაკუთრებული თვისებაა ის, რომ სასაუბრო ფორმების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ლიტერატურული, სამაგიეროდ, მიუღებელია სასაუბრო სტილის ნიმუშების სამეცნიერო სტილში გამოყენება.

ენობრივი თავისებურებანი. სასაუბრო სტილი უპირატესობას ანიჭებს ზმნის აქტიურ ფორმებს და ქართულისთვის ბუნებრივ თქმებს. დამახასიათებელია მარტივი ელიფსური და არასრული წინადადებები: პასუხში გამოტოვებული სიტყვები კითხვაში არის მოცემული.

ამ სტილში ხშირია **მეტონიმია,** ანუ გადარქმევა (საზღვრული სიტყვის გამოტოვება). მაგ.: **დიპლომი** – სადიპლომო შრომა, **დეკრეტი** – სადეკრეტო შვებულება; **ჩაბარება** – უნივერსიტეტში ჩაბარება, **დამთავრება** – უნივერსიტეტის დამთავრება, **რუსთაველზე ვცხოვრობ** (რუსთაველის გამზირზე ვცხოვრობ); **ვაჟაზე დაგელოდებით** (ვაჟა-ფშაველას გამზირზე დაგელოდებით); **მათემატიკა მოდის** (მათემატიკის მასწავლებელი მოდის); **მათემატიკა გაგვიცდა** (მათემატიკის გაკვეთილი გაგვიცდა)... ზოგჯერ გამოტოვებულია წევრი, მაგრამ მის მაგივრობას ეწევა სუფიქსი, რომელიც ხშირად არაქართულია. მაგ.: **მარშრუტკა** (ნაცვლად სამარშრუტო ტაქსისა), **გაზეროვკა** (ნაცვლად გაზიანი სასმელისა). მიუხედავად ამისა, გაგებინება არ ჭირს.

ზეპირი მეტყველება მიემართება კონკრეტულ ადრესატს. დიალოგი ორმხრივი აქტია, რომელშიც მუდმივად მონაწილეობენ და ცვლიან როლებს მოლაპარაკე და მსმენელი.

დიალოგს და მონოლოგს ერთმანეთისგან განასხვავებს **ავტომატიზმი, დაუგეგმავობა** და **უსრულო ხასიათი.**

აქვე უნდა განვიხილოთ წარმატებული საუბრის ხელოვნების საკითხი და მისი წარუმატებლობის მიზეზებიც. წარმატებული საუბრის საზომია გაგება, რომელიც ორმხრივი პროცესია. იგი დამოკიდებულია მათ მსოფლმხედველობრივ სიახლოვეზეც, და იმაზეც, თუ რამდენად ახერხებს მოსაუბრე მსმენლის დაინტერესებას.

სასაუბრო სტილის სტილური ნიშნებია:

1. არაოფიციალურობა;

2. სიტუაციურობა, დაუგეგმავობა;
3. სპონტანურობა;
4. სალიტერატურო ენის ნორმათა დაუცველობა;
6. დიალოგურობა;
7. ენობრივ საშუალებათა ეკონომია;
8. რეპლიკათა შერწყმა, უსრული წინადადებები;
9. ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკა.

დავალება № 1. მოიპოვეთ საინფორმაციო ტექსტი და აქციეთ სასაუბრო სტილის ნიმუშად. გამოყავით მისი ყველა მახასიათებელი.

შეავსეთ ცხრილი სასაუბრო სტილის მახასიათებლებით:

ფორმობრივი მხარე	
შინაარსობრივი მხარე	
ენობრივი მხარე	

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რა გავლენას ახდენს სასაუბრო ტექსტებზე სიტუაცია და ფონური ცოდნა?
2. დაასახელეთ სასაუბრო სტილის სახეები;
3. დაასახელეთ სასაუბრო სტილის ჟანრები;
4. დაასახელეთ მეტონიმიის მაგალითები:
5. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან დიალოგი და მონოლოგი?
6. რატომ ენიჭება ამ სტილში უპირატესობა შეკვეცილ ფორმებს?
7. რა არის მიმიკა? ჟესტები?
8. რატომ არ გამოიყენება სასაუბრო სტილში აღწერითი ფორმები?
9. რაზეა დამოკიდებული წარმატებული საუბარი?
10. დაასახელეთ წარუმატებელი საუბრის მიზეზები.

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ინფორმაცია და შექმენით ტექსტი ა. სასაუბრო; ბ. პუბლიცისტური; გ. ოფიციალური სტილით:

მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავი, რომელიც ამსტერდამი-კუალა- ლუმპურის ავიარეისს ასრულებდა, 17 ივლისს დონეცკთან საზენიტო-სარაკეტო დანადგარით ჩამოაგდეს. ბორტზე 295 ადამიანი იმყოფებოდა, 280 მგზავრი და ეკიპაჟის 15 წევრი დაიღუპა. უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ, მომხდარს ტერორისტული აქტი უწოდა, ვლადიმერ პუტინმა კი განაცხადა,

რომ ეს ტრაგედია არ მოხდებოდა, თუ უკრაინაში სიმშვიდე იქნებოდა. უკრაინის ამ წერტილში, დონეცკთან, პრორუსი მებრძოლები უკრაინის არმიას ებრძვიან. მომხდარის გამო მწუხარება გამოთქვეს საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მათ დაღუპულების ოჯახს მიუსამძიმრეს. 18 ივლისს კი თბილისში სოლიდარობის აქცია გაიმართა, მსგავსი აქცია გაიმართა კიევშიც, სადაც დაღუპულთა ხსოვნას მიაგეს პატივი.

სავარჯიშო № 2. ჯგუფური მუშაობა. წაიკითხეთ ტექსტები, განსაზღვრეთ სტილი, გამოყავით სტილური ნიშნები, შეურჩიეთ სათაური და აქციეთ სხვა რომელიმე სტილის ნიმუშად:

რამდენიმე ხნის წინ ლოს-ანჟელესში გამოიცა არტურ ბლოხის წიგნი **„მერფის კანონები“**. წიგნს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მკითხველებმა „მერფის კანონი“ უნივერსალურ ფილოსოფიურ პრინციპად მიიჩნიეს: **„თუ რამე უსიამოვნება შესაძლოა მოხდეს, – ის მოხდება“, „გაიღიმეთ ... ხვალ ხომ შესაძლოა უარესი მოხდეს“** . ამ გამონათქვამებს ამერიკელები ხშირად იყენებენ. განვიხილოთ „მერფის ფილოსოფია.“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აზროვნების პოზიტივიზმს ან ნეგატივიზმს განაპირობებს ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის პოლარულად განსხვავებული შეფასება და აღქმა. „ნეგატივიზმის პოლუსი“ ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რაც გვაკლია და გვაიძულებს ვიფიქროთ საფრთხეზე, ნაკლოვანებებზე; „პოზიტივიზმი ცდილობს ჩვენი ყურადღების ფოკუსირებას იმაზე, რაც უკვე გაგვაჩნია. პოზიტივისტი კონცენტრირებულია ოცნებებზე, ნეგატივისტი კი საქმეში მინუსებს ეძებს. თუ პოზიტივისტი პრიორიტეტს ანიჭებს დადებითი ეფექტის მიღწევას და არა უარყოფითი შედეგის თავიდან აცილებას, ნეგატივისტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს შესაძლო უარყოფითი შედეგის შემცირებას. პოზიტივისტი ასე მეტყველებს; „ამინდი კარგია! „ცა მოწმენდილია!“ ხოლო ნეგატივისტი – „ამინდი ცუდი არ არის,“ „ცაზე ღრუბელი არ ჩანს.“ პოზიტივისტი იყენებს მსგავსების კატეგორიებს, ნეგატივისტი კი განსხვავებულობისა და დაპირისპირებულობისას. ნეგატივისტი ამწვავებს ურთიერთობებს და ორჭოფობს.

პოზიტივისტი დადასტურებასა და დამტკიცებაში, ნეგატივისტი კი უარყოფაშია ძლიერი. დაკვირდით საკუთარ თავს და თქვენს მეგობრებს: პოზიტიურად მოაზროვნე ადამიანი უპირატესად იყენებს სიტყვებს: „დიახ,“ „უდავოდ“, „რა თქმა უნდა“, „და“, ხოლო ნეგატივისტი:–„არა,“ „მაგრამ,“ „ოღონდ,“ „არ მგონია,“ „არ ვფიქრობ,“ „სხვა“ და ა.შ.

პოზიტივისტი ნეგატივისტზე მეტად ენდობა უცნობ (ან უცხო) ადამიანს. ნეგატივისტი ყოველთვის ეჭვიანი და დაძაბულია. დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს: თუ პოზიტივისტი დარწმუნდება, რომ ამ ურთიერთობაში დაშვებული აქვს შეცდომა, ის ხშირად ვარდება უკიდურეს ეჭვიანობაში.

ნეგატივისტი უპირატესობას ანიჭებს შრომას მისთვის განკუთვნილ ადგილზე. პოზიტივისტი უთავსებს სხვადასხვა სახის საქმიანობას (შრომა და დასვენება, დაძაბულობა და მოდუნება).

გუნდური მუშაობის დროს პოზიტივისტი ყველას გადასდებს ენთუზიაზმს, ხოლო ნეგატივისტი ყველას დატანჯავს დიქტატორობისკენ მიდრეკილებით. მაგალითად, ნაპოლეონს მიაჩნდა, რომ მის გვერდით მდგომი ყველა გამარჯვებული და წარმატებული იყო. პოზიტივისტის ფსიქიკა მეტადაა მთლიანი, ნეგატივისტისა – წინააღმდეგობებით აღსავსე. ამის გამო ნეგატივისტი უფრო მეტად ავლენს მიდრეკილებას ფსიქიკის დეზინტეგრაციისკენ, იმავდროულად უფრო იტანს შინაგან კონფლიქტს. ნეგატივისტი აქტიურდება, როდესაც სიტუაცია არახელსაყრელია, მჭიდროვდება ვადები, ხოლო როდესაც საქმე კარგად მიდის, ის დუნდება. პოზიტივისტი კი აქტიურდება იმ დროს, როცა მას ყველაფერი გააჩნია.

პოზიტივისტს ურჩევნია დახუჭოს თვალი ცხოვრების „მუქ მხარეზე“ და გაამახვილოს ყურადღება მის „ნათელ ასპექტებზე.“ ნეგატივისტმა კი ძალიანაც რომ მოიწადინოს, მაინც გაუჭირდება საკუთარი ცნობიერებიდან განდევნოს არასასიამოვნო აზრები. ნეგატივისტი ფსიქოლოგიურ

პრობლემებს ამმაფრებს, პოზიტივისტისთვის უფრო ხელსაყრელია იყოს ოპტიმისტი, ხოლო ნეგატივისტისთვის-პესიმისტი. პოზიტივისტს შეუძლია ფსიქოლოგიური დაძაბულობის შერბილება. მისი კომუნიკაციური ფუნქციები პირობითად შეგვიძლია მოვნიშნოთ პლუსით, ნეგატივისტებისა კი მინუსით. თუ პოზიტივისტისთვის მისაღებია დიალოგი და საუბრის მანერა კითხვა-პასუხით, მეორე, ანუ ნეგატივისტისთვის – მონოლოგი და ამ პროცესში ნებისმიერი სახის შეკითხვის დასმა მიუღებელია. პოზიტივისტი იყენებს მოდელს **„მე“– „მე,“** ხოლო ნეგატივისტი – **„მე“ –„ის“** მიდგომას.

თუ პოზიტივისტი განიცდის ფიზიკური დამუხტვის მოთხოვნილებას, მისგან განსხვავებით ნეგატივისტისთვის აქტუალურია დაგროვებული ენერგიისგან განმუხტვა.

როგორ მოვიქცეთ?... ფსიქოლოგები გვირჩევენ:

ა) საუბრის დროს უარი ვთქვათ უარყოფაზე, მაქსიმალურად მოვერიდოთ და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ვიხმაროთ სიტყვა „არა“.

გვაძლევენ რეკომენდაციას, რომ ცხოვრებაში განსახორციელებელი ცვლილების დაგეგმვის დროს ჩამოვთვალოთ მხოლოდ სასურველი ფაქტორები და ავარიდოთ თავი ისეთებს, რომელთა დანახვა მომავალში არ გაგვახარებს. ზუსტად ამ მოსაზრებით ზოგი, უკვე გამობრძმედილი ნეგატივისტი ცდილობს დამალოს ნეგატივიზმის ნიშნები.

გ) ცალსახად ნუ მიჰყვებით „მერფის ფილოსოფიას“: „თუ რამე უსიამოვნება შეიძლება მოხდეს, ის მართლაც მოხდება“; „ყველაფერი რაც კარგად იწყება, ცუდად მთავრდება“; „რაც ცუდად იწყება, უფრო ცუდად სრულდება“ და ა.შ. დ) მხოლოდ საკუთარ თავს ნუ მიაწერთ ყველა უსიამოვნებას, არ დაიბრალოთ ყველა უსიამოვნო ფაქტი, ზოგი მათგანი პირადად ხომ არც გეკუთვნით, ან თქვენ გამო არ არის მომხდარი. ყველას თავისი ხედვა და საკუთარი გზა აქვს: „ფილოსოფია გვასწავლის, მშვიდად მოვეპყროთ სხვების წარუმატებლობას“ /ოსკარ უაილდი/.

და ბოლოს, ნუ აღიქვამთ ყველაფერს მხოლოდ პოზიტივად ან ნეგატივად, აღიქვით კომპლექსურად!

დავალება № 1: დახაზეთ ვენის დიაგრამა. გამოკვეთეთ სტილის სახეობათა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

ტესტები

1. რომელ სტილთათვისაა დამახასიათებელი ექსპრესიულობა?

ა. სამეცნიეროსთვის; ბ. სალაპარაკოსთვის; გ. პუბლიცისტურისთვის; დ. მხატვრული ლიტერატურის სტილის.

1. ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, ბ 5. გ, დ 6. ბ, გ, დ

2. რომელ სტილთათვისაა დამახასიათებელი როგორც მწიგნობრული, ისე სასაუბრო სტილის ნიშნები?

ა. სასაუბროსთვის; ბ. ოფიციალურ-საქმიანისთვის; გ. პუბლიცისტურისთვის; დ. სამეცნიეროსთვის.

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, გ, დ 4. ა 5. გ 6. ბ, გ. დ.

3. რომელ სტილთათვისაა ნიშანდობლივი ზმნის აღწერითი ფორმები?

ა. სასაუბროსთვის; ბ. ოფიციალურ-საქმიანისთვის; გ. პუბლიცისტურისთვის; დ. სამეცნიეროსთვის.

1. ა, ბ 2. ბ, გ 3. გ, დ 4. ა, ბ 5. ა, გ, დ 6. ა, ბ, დ.

4. რომელი სტილისთვისაა აუცილებელი ლოგიკურობა?

ა. სასაუბროსთვის; ბ. ოფიციალურ-საქმიანისთვის; გ. პუბლიცისტურისთვის; დ. სამეცნიეროსთვის.

1. ა; 2. ა, ბ; 3. დ; 4. ა, ბ, გ; 5. ბ, გ; 6. ა, გ, დ.

5. ჩამოთვლილთაგან რომელი არაა ოფიციალურ-საქმიანი სტილის სტილური ნიშანი?

ა. სიზუსტე; ბ. ექსპრესიულობა; გ. სტანდარტულობა; დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

1. ბ; 2. ა, გ; 3. ა, ბ, გ; 4. ა, ბ; 5. გ; 6. ბ, გ, დ.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშანი განასხვავებს ოფიციალურ-საქმიან სტილს სამეცნიეროსაგან?

ა. სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა; ბ. აზრის ლოგიკურობა; გ. სიმშრალე; დ. სიზუსტე.

1. ბ; 2. ა, გ; 3. ა, ბ, გ; 4. ა, ბ; 5. გ; 6. ბ, გ, დ.

7. ჩამოთვლილთაგან რომელია მხოლოდ ოფიციალურ-საქმიანი სტილის სპეციფიკური ნიშანი?

ა. სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება; ბ. ტრაფარეტულობა; გ. ლაკონიურობა; დ. სიზუსტე.

1. ა ; 2. ა, ბ; 3. ბ; 4. ა, ბ, გ; 5. ბ, გ; 6. ა, გ, დ.

8. ჩამოთვლილთაგან რომელია ოფიციალური დოკუმენტი?

ა. ლექცია; ბ. მოხსენება; გ. განკარგულება; დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

1. ბ; 2. ა, გ; 3. ა, ბ, გ; 4. ა, ბ; 5. გ; 6. ბ, გ, დ.

9. ჩამოთვლილთაგან რომელი არაა სამეცნიერო სტილის ფუნქცია?

ა. კომუნიკაცია; ბ. ზემოქმედება; გ. ესთეტიკურობა; დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

1. ბ; 2. ა, გ; 3. ა, ბ, გ; 4. ა, ბ; 5. გ; 6. ბ, გ, დ.

10. რომელ სტილში გამოიყენება სასაუბრო სტილის ნიმუშები სტილისტიკური ფუნქციით:

ა. სამეცნიეროში; ბ. ოფიციალურ-საქმიანში; გ. მხატვრული ლიტერატურის სტილში; დ. პუბლიცისტურში.

1. ა ; 2. ა, ბ; 3. გ, დ; 4. ა, ბ, გ; 5. ბ, გ; 6. ა, გ, დ.

<u>**დაიხსომეთ:**</u> **ზმნის პირთან დაკავშირებული მართლწერა**

სწუხს თუ წუხს? ჰქრის თუ ქრის?

1. ერთპირიან ზმნებში „ჰ“ და „ს“ ნიშნები ზედმეტია. გამონაკლისია: **სძინავს, გასტანს, გასწია, სჩადის, აღსდგა (ქრისტე), დასძინა...**

ჰმატებს თუ მატებს? შეჰხარის თუ შეხარის?

2.ვ, მ, ნ, რ, ლ, ზ-ს, ჟ-შ, ღ-ხ თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან **ჰ/ს** არაა საჭირო. სწორია: **მატებს, შეხარის, რგებს, შეღაღადებს** და ა.შ.

გონია თუ ჰგონია? ყავს თუ ჰყავს? მოწონს თუ მოსწონს?

3. „**ჰ**“ „**ს**“ ნიშანი აუცილებელია ორპირიან გარდაუვალ ზმნებში (თუ ზმნა არ იწყება ვ, მ, ნ, რ, ლ, ზ-ს, ჟ-შ, ღ-ხ თანხმოვნებზე), გარდამავალში-არა. გამონაკლისია: **ასწია, გამოსცა**

-

მიწერა თუ მისწერა?შეპირდა თუ შეჰპირდა?

4. სამპირიან ზმნებშიც „ჰ“ და „ს“ აუცილებელია, რადგან ასეთ ფორმებში ირიბი ობიექტი ყოველთვის გვაქვს: მისწერა, შეჰპირდა, ჰკითხავს, გადაჰპარსავს, მოსწყვიტა

5. პარალელური ფორმებია: ა) **შედგა და შესდგა; აღდგა და აღსდგა; ცვივა და სცვივა; ცდება და სცდება; დაწერა და დასწერა; მოწყვიტა და მოსწყვიტა...**

აქ ყველა ფორმა მართებულია, ოღონდ გასათვალისწინებელია პირიანობა. ერთპირიანში **ს** პრეფიქსი ზედმეტია, ორპირიანში კი – აუცილებელი. მაგ.: **ცივა** (გარეთ ცივა) და **სცივა** (მას სცივა); **ცხელა** და **სცხელა, ჭირს** (ბილეთები) **და სჭირს** (დაავადება); **ცვივა** (ფანტელი) და **სცვივა** (ხეს ფოთლები); **კიდია** (საათი) და **ჰკიდია** (ნაძვისხეს სათამაშოები)...**ცდება** იგი და **სცდება** იგი ზღვარს; **დის** წყალი, **სდის** მას სისხლი.

ბ) თუ ზმნა ორპირიანია და გარდამავალია, **ჰ** და **ს ზედმეტია,** თუ სამპირიანია – **აუცილებელი.** მაგ.: **დაწერა** (მწერალმა წიგნი) და **დასწერა** (მღვდელმა წყვილს ჯვარი); **მოწყვიტა** (ელენემ ყვავილი) **და მოსწყვიტა** (ბედმა ქეთო მშობლიურ გარემოს); **დასდო** (მან მას პატივი) **და დადო** (მან წიგნი); **გადასდო** (მან მას სენი) **და გადადო** (მან საქმე); **დაჰკიდა** (მან მას მედალი) **და დაკიდა** (მან პალტო); **ატეხა** (მან ჩხუბი) **და ასტეხა** (მან კუნძს ქერქი); **გაკრიჭა** (მან ბალახი) **და გაჰკრიჭა** (მან მას თმა); **ჩამოჰგლიჯა** (მან მას ნიღაბი), **ჩამოგლიჯა** (მან ფარდა); **ჩამოსტეხა** (მას კაკალმა კბილი), **ჩამოტეხა** (მან ყინული); **ტყორცნა** (სპორტსმენმა ბადრო) **და სტყორცნა** (მზემ ფანჯარას სხივი), **კვეთს** (ის გზას), **ჰკვეთს** (ის მას მას).

6. უნდა დავიმახსოვროთ პირის ნიშნის ქონა თუ არქონა ზოგ გავრცელებულ გამონათქვამში: ერთი მხრივ: თავს **დადებს**, ხანი **დაყო**, შედეგები **ცნო**, შეუძლებელი **შეძლო**, თავს **გაწირავს**, თავს **გამოყოფს**... მეორე მხრივ: გაკვეთილს **მოჰყვება**, კბილებში **გამოსცრა**, ბრალს **სდებს**, რას **სჩადის**, საკითხს **წამოსწევს**, მტერს **სძლევს**, თვალი ვერ **მოსწყვიტა**, ჩვენს ბედს ძაღლი არ **დაჰყეფს**...

სავარჯიშო 1. შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებშიც პირის ნიშნები სწორადაა გამოყენებული:

1. არა, მას არაფერი სჯობია;
2. ხარბად შევცქერი დავიწყებულ მზეს, ლურჯ ცას და თეთრ მიდამოს;
3. მამი, დაჰბერდი, მეურმობაში ვეღარ გამოდგები (ილია);
4. ბედი უნდა ყველაფერს, თორემ რითი ჯობდა გუცას ატამს ლადოს ატამი;
5. მხოლოდ ერთადერთი ბავშვი, დიდი ჩანთით ხელში, ინტერესით მიჩერებოდა მათ;
6. ნეტავი არავინ შესწყვიტოს ის უხილავი საბელი;
7. კარგია გაღვიძებული ადამიანი! მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა;
8. ბუღალტრის მოლოდინში ზედიზედ მოსწია სამი სიგარეტი;
9. ყველა გაჩუმდა, დაწყნარდა;
10. ამ სიტყვებზე აჩიკო დაღონდება და ბებოს შორიდან გასცქერის.

თემა IV. წერის პროცესის საფეხურები

4.1. წერის პროცესის მოსამზადებელი ეტაპი

წერა შემოქმედებითი, ინტელექტუალური პროცესია. იგი რთულია იმდენად, რამდენადაც ავტორს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს და არ არსებობს კლიშე, შაბლონი, რომლის მიხედვითაც უნდა ვწეროთ. მთავარია სტილის შერჩევა.

–როგორ დავეუფლოთ წერას? –არის თუ არა საჭირო წერის დროს რაიმე განსაკუთრებული ჩვევებისა და წესების ცოდნა?

წერის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს სასიამოვნო გარემო, სიტუაცია, რადგან წვრილმანებსაც კი შეუძლია განწყობის ამაღლება. ერთი სიტყვით, წერისთვის აუცილებელი გარემო ავტორმა თავად უნდა შექმნას საკუთარი გემოვნებისამებრ. წერაში ადამიანს უვარჯიშდება ხელი, უვითარდება დამოუკიდებელი აზროვნება.

მეოცე საუკუნის დიდი რომანისტი, **ტრუმენ კეპოტე (1924-1984),** ინტერვიუში აცხადებს, რომ მან წერა ადრეულ ასაკში დაიწყო: ,,ბავშვი ვიყავი, ათი-თორმეტი წლისა... პირველად ერთი რეალური ქალაქური ისტორია დავწერე... ადგილობრივი სკანდალი მხატვრულ ნაწარმოებად ვაქციე“...

მწერალი მიიჩნევს, რომ ნოველა ყველაზე ძნელი დასაწერია (რადგან მოკლეა):

,,ნოველა გაცილებით ძნელი დასაწერია, ვიდრე პროზის სხვა არსებული ფორმები. წერის მთელ ჩემს ტექნიკასა და მასალის კონტროლის უნარს სწორედ მას ვუმადლი“.

,,მასალის კონტროლის უნარში“ რომანისტი გულისხმობს სტილისტიკურ და ემოციურ მიუკერძოებლობას და გადმოცემის სიზუსტეს. ,,მოთხრობა შეიძლება ხუხულასავით დაიშალოს წინადადების არასწორი რიტმის, აბზაცის, ან სულაც პუნქტუაციის გამო,“ – აცხადებს იგი. წერის ტექნიკაში სრულყოფილების მისაღწევ მექანიზმად კი შრომას მიიჩნევს: ,,შრომაა ერთადერთი მექანიზმი. წერას თავისი კანონები აქვს, შუქ-ჩრდილები, როგორც მხატვრობას ან მუსიკას. კარგია, როცა იცი, რას გულისხმობს ეს კანონები და თუკი არ იცი, უნდა ისწავლო. შემდეგ უკვე შენს ნებაზე შეგიძლია მოირგო ისინი“...

კითხვაზე, არის თუ არა ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი,– რომანისტი პასუხობს:

,,მე ყოველთვის წინასწარ მაქვს მოფიქრებული დასაწყისი, შუაწელი და ფინალი, მაგრამ წერას ბევრი სიურპრიზი ახლავს ხოლმე“ (ტრუმენ კეპოტე, 2008).

წერის პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს მიზეზი და მიზანი: **რატომ ვწერთ? რას ვწერთ? რისთვის ვწერთ? რა ვიცით ამ თემის შესახებ? რა დამატებითი საკითხის შესწავლა გვჭირდება? რამდენად აქტუალურია ჩვენ მიერ შერჩეული თემა? რას ელოდება ჩვენგან მკითხველი?**

წერითი ნაშრომის შესაქმნელად აუცილებელია ცოდნის გაღრმავება, ახალი ინფორმაციის მოპოვება, დაჯგუფება, გაანალიზება, მიღებული ინფორმაციის გაგება-ინტერპრეტაცია, მისი პრაქტიკაში გამოყენება. საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული უნარ-ჩვევების ფლობაც.

წერის პროცესის საფეხურებია: თემის შერჩევა, ინფორმაციის შეგროვება, ნაშრომის დაგეგმვა, ორგანიზება, შავი პირის შექმნა და რედაქტირება.

4.2. თემა, მიზანი და აუდიტორია

<u>თ ე მ ა.</u> აკადემიური ნაშრომის შექმნაში ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა საგნობრივი სფეროს ამორჩევა, საკვლევი თემის შერჩევა. საამისოდ უნდა გავითვალისწინოთ მიზანი და კონკრეტული ამოცანები.

როგორ უნდა შევარჩიოთ თემა?

თემის შესარჩევად არსებობს ორი თეორიული შესაძლებლობა: ავტორი **1)** საკუთარი ინტერესებისამებრ, **თავად** ირჩევს საკვლევ თემატიკას; **2)** ან ნაშრომს ქმნის **სხვისი დაკვეთით** (ჟურნალისტი გაზეთის რედაქტორის დაკვეთით, სტუდენტი – ლექტორის დავალებით, მოსწავლე – მასწავლებლის ან უფროსების რჩევით და ა. შ.).

ასე იქმნებოდა წლების განმავლობაში სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნების მიხედვით განსხვავებული ხასიათის ტექსტები: ოფიციალური დოკუმენტები, სამართლის ძეგლები, კანონები, აქტები, მატიანეები და თვით მხატვრული ლიტერატურაც კი.

ხშირად სიტუაცია განსაზღვრავს წერითი ნამუშევრის მიზანს. უთხარით საკუთარ თავს: ,,დავალება უნდა შევასრულო, რადგან ვალდებული ვარ“ (გოჩიტაშვილი, ფრუიძე, 2008:107). წერის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ზოგადი საკითხის თანდათანობით დაყვანა კონკრეტულამდე.

ავტორი თავად ირჩევს საკვლევ თემას თუ სხვისი დაკვეთით წერს, უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მას, რათა მაქსიმალურ ეფექტს მიაღწიოს.

სტრატეგიები თემის შესარჩევად. თუ ავტორი თავად ირჩევს თემას, პირველ რიგში უნდა განსაზღვროს **ინტერესთა სფერო** და შეარჩიოს შესაბამისი **სტილი**, სტილს კი განსაზღვრავს **აუდიტორია** და **მიზანი**, ვისთვის და რა მიზნით წერს.

<u>**მ ი ზ ა ნ ი.**</u> აკადემიური ნაშრომის შექმნაში მთავარია წერის მიზნის გარკვევა. მიზანი გვეხმარება წერითი ნაშრომის შინაარსის, სტრუქტურის, ტონისა და სტილის შერჩევაში.

წერის მიზნებია: ინფორმირება, დარწმუნება ან გართობა.

ინფორმირება – ახსნა, ინსტრუქტაჟი, განმარტება, საგნის აღწერა;

დარწმუნება – ზეგავლენის მოხდენა, მკითხველის დარწმუნება;

გართობა – საზეიმო, ამაღლებული განწყობის შექმნა; გართობა, ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (შ. დუნდუა, ნ. შავთვალაძე).

ტექსტში შეიძლება გამოიკვეთოს ერთი ან რამდენიმე მიზანი.

<u>**ა უ დ ი ტ ო რ ი ა.**</u> წერის პროცესის დაწყებამდე უნდა გავითვალისწინოთ აუდიტორიის ინტერესები და სურვილები. სხვაგვარად არ მოხერხდება ინფორმაციის მიწოდება და საკითხით დაინტერესება.

ვისთვის ვქმნით ნაშრომს? წერის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

1. აუდიტორიის ასაკი ან სქესი;

2. საქმიანობა (სტუდენტი, კოლეგა, პენსიონერი);

3. სოციალური ან ეკონომიკური სტატუსი (მოზარდი, მყიდველი, გამყიდველი...);

4. განათლების დონე და ფონური ცოდნა (მოსწავლე, სტუდენტი, პროფესორი);

5. პოლიტიკური მრწამსი ან რწმენა;

6. ეთნიკური კუთვნილება (აფრიკელი, კავკასიელი);

7. ინტერესი (მონადირე, კოლექციონერი...);

8. მოლოდინი...

ამრიგად, წერა გაცილებით ადვილია, როცა ჩვენ:

1. კარგად გვესმის წერის საგანი (თემა და საკითხი);
2. გამოკვეთილი გვაქვს წერის მიზანი;
3. ვიცით, ვისთვის ვწერთ, ანუ ვიცნობთ აუდიტორიას.

სამი შეკითხვა		
რას ვწერთ?	რისთვის ვწერთ?	ვისთვის ვწერთ?
თემა	მიზანი	აუდიტორია

უპასუხეთ კითხვებს (5 ქულა):

1. დაასახელეთ წერის პროცესის საფეხურები:

---

2. როდისაა წერა ადვილი?

---

3. დაასახელეთ წერის მიზნები

---

4. რის მიხედვით განისაზღვრება აუდიტორია?

---

5. რა არის თემა?

---

6. რამდენი მიზანი შეიძლება გამოიყოს ტექსტში?

---

7. როგორ ვიგებთ აუდიტორიის მოლოდინს?

---

8. რა განსაზღვრავს ნაშრომის სტილს?

---

9. დაასახელეთ თემის შესარჩევი სტრატეგიები:

---

10. რა მნიშვნელობა აქვს აუდიტორიის ფონური ცოდნის გათვალისწინებას?

<u>დაიხსომეთ</u>: 1. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთნხმება

№	სახელი	ზმნა
1.	-ებ-იან მრავლობითში (სულიერი)	<u>მრავლობითში</u> **სტუდენტები** ლექციას **ისმენენ. ფრინ-ველები** თბილ ქვეყნებში **მიფრინავენ**.
2.	-ებ-იან მრავლობითში (უსულო)	<u>მხოლობითში</u> ხეები **ხარობს**
3.	-ებ-იან მრავლობითში (უსულო, მაგრამ განსულიერებ-ულია	<u>მრავლობითში</u> **ყვავილები** სიცოცხლეზე **საუბრობენ.**
4.	გადმოცემულია კრებითი სახელით	<u>მხოლობითში</u> **სტუდენტობა შეიკრიბა**
5.	ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი	<u>მხოლობითში</u> **ორმა კაცმა** ხე **დარგო**
6.	გადმოცემულია განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატ-ველი რიცხვ. სახელით ან ნაცვალსახელით	<u>მხოლობითში</u> **ყველა** ერთ ადგილზე **მოგროვდა. ბევრი** საქმე **მაქვს.**
7.	გადმოცემულია ორცნებიანი კომპოზიტით	<u>მხოლობითში</u> **და-ძმა გვესტუმრა** (მაგრამ სწორია: **<u>და</u>** და **<u>ძმა</u> <u>გვესტუმრნენ</u>**).

2. რიცხვში მონაცვლე ზმნები

ბავშვი ზის – ბავშვები სხედან; ბავშვი (მანქანაში) ჩასვა – ბავშვები **ჩასხა**; ქვა გდია – ქვები **ყრია**; ფურცელი დამივარდა – ფურცლები **დამიცვივდა;** ძაღლი გააგდო – ძაღლები **გაყარა;** თეფში გამიტყდა – თეფშები **დამემსხვრა;** ჩიტი მოკლა – ჩიტები **დახოცა;** ვაშლი აბია – ვაშლე-ბი **ასხია...**

4.3. ინფორმაციის შეგროვება

ა. ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყაროებია:

1. ზეპირი კონსულტაცია: ინფორმაციის მოსაპოვებლად შეიძლება დავეკითხოთ **კომპეტენტურ პირს**, რომელიც უფრო მეტადაა ინფორმირებული საკითხთან დაკავშირებით.

2. წერილობითი წყარო: ამის შემდეგ უნდა მოვნახოთ **სახელმძღვანელო**, სადაც აღნიშნული საკითხი იქნება განხილული;

3. სამეცნიერო ლიტერატურა: ასევე უნდა გავეცნოთ სპეციალურ ლიტერატურას, გამოცემულ **მონოგრაფიებს, პუბლიკაციებს;**

4. ინტერნეტი: და ბოლოს, მოვიძიოთ **ინტერნეტმასალებიც**, ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უკანასკნელი ხშირად არ არის სანდო. ინტერნეტში მასალების განთავსება 1995 წლიდან დაიწყო, მანამდე მომხდარი მოვლენების შესახებ ძალიან ცოტა რამ მოგვეპოვება, თანაც ვებგვერდები შეიძლება წლობით არ განახლდეს. გამოცდილი ჟურნალისტები ინტერნეტს დიდი სიფრთხილით ეკიდებიან (მენჩერი, 2013: 286).

ბ. ინფორმაციის მოპოვების დამატებითი წყაროებია:

1. ექსპერიმენტი;

2. ექსპედიცია;
3. ინტერვიუ;
4. პირადი გამოცდილება.

გ. სტრატეგიები ინფორმაციის შესაგროვებლად

ინფორმაციის შესაგროვებლად ვიყენებთ შემდეგ სტრატეგიებს და მეთოდებს: **გონებრივი იერიში, გონებრივი რუკა / „კლასტერი/ აბლაბუდა“, თავისუფალი წერა, ჩანაწერების ჟურნალი, სადისკუსიო შეკითხვები.**

გონებრივი იერიშის გულისხმობს ერთი სიტყვის ან ფრაზის საშუალებით აზრის ნებისმიერი მიმართულებით გაშლას. ჯერ უნდა ჩამოვწეროთ ყველა აზრი და ნებისმიერი იდეა, რასაც გავიფიქრებთ. ასე შესაძლებელია მაქსიმალურად დიდი ინფორმაციის შეგროვება, რომელსაც დასჭირდება მოწესრიგება და მათგან იმის შერჩევა, რაც საჭირო და აუცილებელია მსჯელობის განსავითარებლად და თემის ასაგებად.

გონებრივი იერიშის ალტერნატივაა **თავისუფალი წერა.** თემის სათაურის შერჩევის შემდეგ ვწერთ მოცემული თემის შესახებ ყველაფერს, მნიშვნელოვანს თუ უმნიშვნელოს. უნდა ვწეროთ შეუჩერებლივ, ყოველგვარი რედაქტირების გარეშე, რადგან როცა „შინაგანი რედაქტორი“ გვაიძულებს დრო დავკარგოთ შეცდომების თავიდან აცილებასა ან გასწორებაზე, შეიძლება აზრი გაგვეფანტოს; ნურც იმაზე ვიფიქრებთ, ერთი აზრი მეორეს მიჰყვება თუ არა. მთავარია იდეებს მოვუყაროთ თავი, შეცდომების გასწორება შემდეგაც მოხერხდება.

<u>**დაიხსომე:**</u> თემის დასაგეგმავად მთავარია ინფორმაციის შეკრება და მომზადება. საამისოდ უნდა გამოვიყენოთ კითხვითი სიტყვები და კითხვითი წინადადებები; შევეცადოთ, გავერკვეთ ტერმინებში; გამოვყოთ საკვანძო ტერმინები და კარგად გავიაზროთ ისინი.

- **ჩამოწერეთ იდეები თემასთან დაკავშირებით;**
- **დააჯგუფეთ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია;**
- **დაალაგეთ იდეები ლოგიკური თანმიმდევრობით.**

გონებრივი რუკა-კლასტერი/აბლაბუდა ანუ სემანტიკური ბადეები არის იდეების გრაფიკულად დაკავშირება.

ფურცლის შუაში, წრეში უნდა დავწეროთ თემის სათაური, შევეცადოთ წრის გარშემო აღვნუსხო ყველა ქვეთემა და გავიხსენოთ თემასთან დაკავშირებული ყველა იდეა, საკითხი თუ ფაქტი; გამოვკვეთოთ პრობლემები და დავსვათ კითხვები.



ჩანაწერების ჟურნალს მუდმივად ვატარებთ და მასში სისტემატიურად ვინიშნავთ ყველაფერს, მიუხედავად იმისა, სად ვართ, უნივერსიტეტში, ქუჩაში, საკონცერტო დარბაზსა თუ უცხო გარემოში.

ყოველივე ეს დაგვეხმარება ნაშრომის აგებაში. თუ ამ სამუშაოს თავს გავართმევთ, წერის პროცესის ერთი ეტაპი დაძლეულია, მაგრამ გველოდება უფრო მნიშვნელოვანი და რთული საფეხური.

4.4. ნაშრომის დაგეგმვა, ორგანიზება, შავი პირის შექმნა

ინფორმაციის შეკრების შემდეგ ვიწყებთ ფაქტობრივი მასალის დალაგებას, დამუშავებას, თემატური ნუსხის შედგენას. ეს შრომატევადი სამუშაოა: ამ დროს ავტორს გონებაში უამრავი აზრი უტრიალებს: რით დაიწყოს წერა, რა ინფორმაციაა საჭირო საიმისოდ, რომ მკითხველი დააინტერესოს. თემის მონახაზი არის თავებად და ქვეთავებად ჩამოყალიბებული ჩამონათვალი იმისა, რის დაწერასაც ვაპირებთ. მას ყოველთვის ვიყენებთ წერის პროცესში. გეგმა წინასწარ უნდა მოვიფიქროთ. მონახაზი თავდაპირველად შეიძლება სულ რამდენიმე სიტყვის ან წინადადებისგან შედგებოდეს, მაგრამ მისი გავრცობა შესაძლებელია.

წერითი ნაშრომის ასაგებად საჭიროა: **1. ნუსხის შედგენა; 2. იდეათა დახარისხება; 3. აბზაცებად დალაგება და 4. ესეს მონახაზის შექმნა.**

არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორი, **ჯეფ უილინგემი,** გვაძლევს **ათ რჩევას,** როგორ ვწეროთ:

1. **ყურადღება მიაქციეთ წერისთვის აუცილებელ ნივთებს.** ნატალი გოლდდერგი თვლის, რომ მწერლისთვის ფურცელი და კალამი იგივეა, რაც – მჭედლისთვის იარაღი. იარაღს კი ყურადღებით შერჩევა სჭირდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ძვირადღირებული უნდა იყოს, მაგრამ თუ ჩვენ მოგვწონს, რაზეც ვწერთ და რითაც ვწერთ, ეს ამაღლებს ჩვენს განწყობას. მოკლედ, წერის პროცესში წვრილმანებიც მნიშვნელოვანია.

2. ზოგჯერ დამწყებ ავტორებს სურთ, სწრაფად და ერთბაშად, მხოლოდ ერთ გაკვეთილში დაასრულონ სამუშაო. **დავალება უნდა დანაწევრდეს,** რომ შესაძლებელი გახდეს მისი ნაწილ-ნაწილ შესრულება.

3. წერა ნიშნავს, სიტყვები ფურცელზე დააფიქსირო, უფრო სწორად კი გადაიტანო ფურცელზე ის, რამაც თავში გაგიელვათ. არ უნდა მიაქციო ყურადღება შენს ,,შინაგან რედაქტორს", რომელიც უფრო შესწორებას ცდილობს და არა შექმნას. წერის პროცესი შეიძლება შევადაროთ ჩონჩხის ნაწილ-ნაწილ აწყობას: პირველ რიგში **,,ვალაგებთ ნაწილებს" (ვიწერთ აზრებს);** შემდეგ **,,ვაწყობთ ჩონჩხს" (ვალაგებთ აზრებს თანმიმდევრობით)**; ბოლოს **,,ვამოწმებთ კბილებს" (ვაზუსტებთ დეტალებს, რამე ხომ არ აკლია, ან პირიქით)**.

4. დაიწყეთ შედარებით მცირეთი. ჯერ უნდა გაიწაფო მარტივი დავალებების წერაში, თანდათან კი გადახვიდე რთულზე. უნდა დაიცვა რამდენიმე პრინციპი:

* წერო შეუჩერებლივ;* არაფერი ჩაინიშნო;

* ყურადღება არ მიაქციო გრამატიკულ, ორთოგრაფიულ შეცდომებს და სასვენ ნიშნებს (თუ ისინი გაგეპარება, მათი გასწორების საშუალება გექნება);

* ნუ იქნები დაძაბული;

* ,,ჩაიძირე" წერის პროცესში.

5. ოსტატობა გამოცდილებით მიიღწევა

ნატალი გოლდდერგი წერის პროცესს ადარებს სირბილს, რაც მეტს დარბიხარ, მით უკეთეს შედეგს აღწევ. ამასთანავე ის აღნიშნავს: არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სპორტსმენს წარმატების მისაღწევად ხანგრძლივი ვარჯიში სჭირდება, წერის სწავლისას ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია;

6. ნათლად და კონკრეტულად წერა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მკითხველს გა-

საგებად აუხსნა. აზრის ნათლად გამოსათქმელად კი აუცილებელია შესაფერისი სიტყვებისა და გრამატიკული კონსტრუქციების ცოდნა;

7. ის, ვინც წერას ეუფლება, კითხვასაც სწავლობს. ენი ლამოტის აზრით, წერის სწავლის კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ როდესაც ავტორი ხდები, სხვათა მიერ შექმნილ ტექსტებს ახლებურად კითხულობ.

8. წერას შეცდომებიც ახლავს. ენი ლამოტი პერფექციონიზმს (ინგლ. სრულყოფილი, უზადო) სრულყოფილებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. თითქოს შესანიშნავი თვისებაა, მაგრამ მეცნიერები **პერფექციონიზმს** „მაღალი სტანდარტების დაავადებას“ ანუ „ფრიადოსნების სინდრომს“ უწოდებენ). ავტორთა მტერს უწოდებს. ჯობია, წერო და შეცდომები გაგეპაროს, ვიდრე იმთავითვე მხოლოდ მათ თავიდან აცილებაზე ან კიდევ გასწორებაზე იფიქრო. პირველივე ვარიანტი არ შეიძლება იდეალური გამოვიდეს.

9. შემოქმედებითი იდეების ნუსხა. ნატალი გოლდდერგი გვირჩევს, შევქმნათ იდეების, საინტერესო თემების ნუსხა, რაც დაგვეხმარება შემოქმედებითი ნაშრომების შექმნაში. ნაწერი მაშინ არის ფასეული, თუ მასში ავტორის ინდივიდუალობა ჩანს.

10. წერა არც ისე იოლია. წერა მეტად რთულია, იგი მიზანსწრაფულობას მოითხოვს. ფასეულის მისაღებად დაუღალავი შრომაა საჭირო (ანთოლოგია, 2005-2007:9-11).

წერის აუცილებელი მოთხოვნებია:

ს – სიზუსტე;

ს – სიმოკლე, აზრის ლაკონიურობა;

ს – სიცხადე: ყველასთვის უნდა იყოს ნათელი, რაც მოხდა.

კარგი ნაწერი უნდა იყოს:

1. **ზუსტი** – ენა შეეფერება სიტუაციას;
2. **ნათელი** – ამბავი არაა ბუნდოვანი, ორაზროვანი;
3. **დამაჯერებელი** – ამბავი სარწმუნოა;
4. **შესაფერისი** – სტილი ბუნებრივი, თავისუფალია.

გასათვალისწინებელია ასევე:

1. სტრიქონთა შორის თითო ხაზი გამოვტოვოთ, რათა შესაძლებელი გახდეს ჩასწორება;
2. დავიცვათ მინდორი;
3. ვწეროთ მარტივი წინადადებებით, არ გამოვიყენოთ ორაზროვანი ფრაზები, ზერთული კონსტრუქციები, რაც აბუნდოვნებს აზრს. რაც მეტად ვართულებთ სათქმელს, მით მეტი შეცდომა მოგვდის;
4. თუ შეცდომა არ გაგვეპარა, წერას ვერასდროს ვისწავლით. თუ ჩვენ აკადემიურად შესრულებულ, სრულყოფილ ნაშრომს ვნახავთ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასე ვერასდროს დავწერთ. გამოჩენილი მწერლებიც კი რამდენჯერმე გადაამუშავებდნენ ნაწერს, ვიდრე მას საბოლოო სახეს მისცემდნენ;
5. ყოველი აბზაცის დაწერის შემდეგ გადავხედოთ ნაწერს, რომ არ ავსცდეთ მთავარ სათქმელს, არ დავარღვიოთ აზრის ლოგიკური განვითარება;
6. გამოვიმუშაოთ წერის დასრულების შემდეგ ნაწერის გულდასმით წაკითხვის ჩვევა (წარმოვიდგინოთ, სხვის ნაწერს ვკითხულობთ).

სავარჯიშო №1. ინდივიდუალური მუშაობა. გამოიყენეთ გონებრივი რუკა თემისათვის „ჩემი უნივერსიტეტი“, უპასუხეთ კითხვებს და შექმენით თემის გეგმა-მონახაზი (2 ქულა).

1. რა იცით თქვენი უნივერსიტეტის შესახებ? ----------

2. როდის დაიწყეთ ფიქრი უნივერსიტეტის შესახებ? ----------

3. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი? ----------

4. როგორ წარმოგედგინათ თქვენი პირველი დღე უნივერსიტეტში და რამდენად გაგიმართლდათ მოლოდინი? ----------

5. როგორ წარმოგიდგენიათ თავი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ? ----------

6. ფიქრობთ თუ არა, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ? ----------

სავარჯიშო №2. წყვილში მუშაობა. გამოიყენეთ „გონებრივი იერიშის“ მეთოდი თემისათვის: „სხვა საქართველო სად არის?!“.

პირველი ეტაპი: 5-10 წუთის განმავლობაში ჩამოწერეთ თემასთან დაკავშირებული რაც შეიძლება მეტი საკითხი თუ იდეა.

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

მეორე ეტაპი: დააჯგუფეთ მსგავსი აზრები და დაიწყეთ იდეებად დალაგება.

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

მესამე ეტაპი: შეადგინეთ გეგმა

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

მეოთხე ეტაპი: დაალაგეთ აბზაცები.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

4. შეურჩიეთ სათაური ქვემომოყვანილ ტექსტს:

,,ისმენს და ვერც გულით ხვდება, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ძეკაცის შესაცნობად და მისაღებად: უსმენდნენ, მაგრამ ვერ იგებდნენ, ხედავდნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, სწორედ ამიტომ ,,უსმენდნენ საღამოთა ხმას ტანჯვით და მოკრძალებით მაცხოვრის თვალები". საღამო იგივე სულიერი და სიბრმავე და სიყრუეა, ბნელში, წყვდიადში მოარული აჩრდილების სახით რომ ჩნდებიან მაცხოვრის თვალებში. ამ ყრუ, ბრმა და მძინარე ხალხის დასახსნელად ეცვა ჯვარს მაცხოვარი; ამ დაბნეულ, გაფანტულ, გზაკვალარეულ ცხოვართათვის დაღვარა ძე კაცისამ სისხლი".

.....

.....

.....

5. დაგეგმეთ ტექსტი, მოამზადეთ მონახაზი თემაზე ,,თანამედროვე მოდა“.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

6. გამოიყენეთ თავისუფალი წერის მეთოდი თემისთვის: **,,ჩემი ეტალონი“,** გამოკვეთეთ პიროვნების გარეგნული, პროფესიული თვისებები, პერსონალური უნარები, განსაკუთრებული თვისებები; დაალაგეთ იდეები და აბზაცები.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

უცხოურ ბგერათა გადმოცემა	
გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა	**მ ა გ ა ლ ი თ ი**
ბერძნ. ლათ **H**-ის – ქართ. **ჰ**	**ჰალუცინაცია, აბსტრაჰირება, ალკოჰოლი, ბეჰემოთი, ნიჰილიზმი, ჰაიმორიტი, ჰალსტუხი, ჰანიბალი, ჰარმონია, ჰერბარიუმი, ჰექტარი, ჰოსპიტალი, ჰუმანიზმი**
	შეცდომაა: აბსტრაგირება, ალკოგოლი, ალკოგოლიკი, ბეგემოტი, ნიგილიზმი, გაიმორიტი...
T – **ტ**:	**სერტიფიკატი, ეტიკეტი, მეტასტაზი, პლატფორმა, პორტფელი...**
	შეცდომაა: სერთიფიკატი, ეთიკეტი, მეტასთაზი, პლათფორმა, პორთფელი...
ბერძნ-ლათ. **X** - ქართ. **ქ**	**ანარქია, არაქისი, არქაიზმი, არქეოლოგია, არქივი, არქივარიუსი, ექოსკოპია, არქიტექტორი, ბრონქი, მელანქოლია, მექანიზმი, ტექნიკა, ფსიქიატრი, ფსიქიკა**
	შეცდომაა: ანარხია, არახისი, არხაიზმი, არხეოლოგია და მისთ.
გერმ. **ei** ქართ. - **აი**	**აინშტაინი, ბალეტმაისტერი, კონცერტმაისტერი, ლაიბნიცი, ლაიპციგი, პოლიცმაისტერი, რაიხსკანცლერი, რაიხსტაგი, ცაიტნოტი, ცვაიგი, ჰაინე** და მისთ.
	შეცდომაა: ეინშტეინი, ბალეტმეისტერი, რეიხსტაგი და მისთ.
	გამონაკლისია რუსულის გზით შემოსული სიტყვები: **ბრონშტეინი, ეიზენშტეინი, ეიხენბაუმი, ეიხენვალდი, რუბინშტეინი** და სხვ.
kt – **ქტ**	**აბსტრაქტული, ანტარქტიკა, არქიტექტონიკა, არქიტექტორი, არქტიკა, ასპექტი, აფექტი, აქტი, ბაქტერია, გალაქტიკა, დეტექტივი, დიალექტი, დიალექტიკა**
	შეცდომაა: არქიტეკტორი, არკტიკა, აფეკტი, გალაკტიკა და ა. შ.
kc – **ქც**	**აბსტრაქცია, ატრაქციონი, აუქციონი, აქცენტი, აქცია, აქციონერი, დედუქცია, ინდუქცია, ინფექცია, დიქცია, ვაქცინა...**
	შეცდომაა: ატრაკციონი, აკცენტი, დიკცია, ინსპეკცია და მისთ.
ps – **ფს**	**აპოკალიფსი, ელიფსი, ეპილეფსია, კაფსული, ლაფსუსი, პეფსინი, რაფსოდია, ფსევდონიმი, ფსიქიატრი, ფსიქიკა, შტეფსელი** და სხვა.
	შეცდომაა: აპოკალიპსი, ელიპსი, ეპილეპსია, კაპსული და მისთ.
ks – **ქს**	**ანექსია, ასფიქსია, აფიქსი, აქსესუარი, აქსიომა, ბოქსი, ექსკავატორი, ექსკურსია, ექსპერიმენტი, ექსპანსია, ექსპედიტორი, ვექსილი, ინდექსი, ინფიქსი, იქსი, კექსი, პრეფიქსი, რეფლექსი, სინტაქსი, ტაქსი, ტექსტი, ფენიქსი** და სხვ.
pc – **ფც**	**კონცეფცია, კორუფცია, ლაიფციგი, პერცეფცია** და მისთ.

რუსული **ё-** – ქართ. **იო**	**აქტიორი, ბოქსიორი, ბუდიონი, გასტროლიორი, გრავიორი, გრიმიორი, კოვალიოვი, მოროდიორი, მონტიორი, პოზიორი, ჟონგლიორი** და ა. შ. ხოლო **ж, ш, ч**-ს შემდეგ ქართულში **ё**-ს შემდეგ იწერება **ო: ჟოლტაია (მდინარის** სახელია), **ჩორნი რინოკი** (ადგილის სახელია) და სხვ.
რუს. Ля – ქართ. **ლა**	**აკუმულატორი, აპელაცია, ვენტილატორი, იზოლატორი, იზოლაცია, ინფლაცია, იუბილარი, კალკულატორი, კანცელარია, სიმულანტი, სპეკულანტი, ტრანსლაცია, ფორმულარი, ფუტლარი, ცირკულაცია...**
	შეცდომაა:აპელიაცია, აკუმლიატორი, ფუტლიარი და მისთ.
რუს. лю – ქართ. **ლუ**	**ალუმინი, ევოლუცია, ვალუტა, ილუზია, ლუსტრა, ლუქსი, პლუსი, რევოლუცია, სალუტი, ცელულოზა** და სხვ.
	შეცდომაა: ალიუმინი, ვალიუტა, ევოლიუცია და მისთ.
ks – **ქს**	**ანექსია, ასფიქსია, აფიქსი, აქსესუარი, აქსიომა, ბოქსი, ექსკავატორი, ექსკურსია, ექსპერიმენტი, ექსპანსია, ექსპედიტორი, ვექსილი, ინდექსი, ინფიქსი, იქსი, კექსი, პრეფიქსი, რეფლექსი, სინტაქსი, ტაქსი, ტექსტი, ფენიქსი** და სხვ.
რუს. **-ировать** – ქართ. გადმოჰყვება ამ სუფიქსისეული **ир**	**аннексировать- ანექსირება, апробировать- აპრობირება, ასიმილირება, გაზიფიცირება, დეკლამირება, დემონსტრირება, დიფერენცირება, დოზირება, დუბლირება...**
–изировать – ქართ. ენის მორფოლოგიური საშუალებები	**анализировать-გაანალიზება;** **балзамировать- დაბალზამება;** **консервировать-დაკონსერვება,** **пломбировать- დაპლომბვა...**
–изовать – -из	**დეტალიზება, იმპროვიზება, ლეგალიზება, მოდერნიზება, ორგანიზება, ლოკალიზება, მობილიზება, პარალიზება, სტერილიზება** და სხვა.
რუსულის გზით შემოსულ სიტყვები **кз** ქართულში **გზ** ექნებათ	**ეგზარქოსი, ეგზეკუტორი, ეგზეკუცია, ეგზემა, ეგზემპლარი, ეგზოტიკა** და სხვ. **შეცდომაა:** ეკზემპლარი, ეკზემა, ეკზეკუცია და მისთ.
რუს. გზით შემოსულ სიტყვებში **ея-** ქართულში – **ეა**	**შეცდომაა:** ასამბლეია, ბატარეია და მისთ.

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. დაასახელეთ წერის პროცესის საფეხურები;
2. რის მიხედვით შეირჩევა თემა?
3. რას ნიშნავს გონებრივი იერიში?
4. რას ვაკეთებთ თემის შერჩევის შემდეგ?
5. რა სტრატეგიები გამოიყენება ინფორმაციის შესაგროვებლად?
6. რა მიზნით ვიყენებთ გონებრივ იერიშს?
7. რას ნიშნავს კლასტერი-აბლაბუდა და როგორ ვიყენებთ მას აკადემიურ წერაში?
8. რას ნიშნავს თავისუფალი წერა?
9. რაში გეხმარებათ ჩანაწერების დღიური და ვინ იყენებს მას?
10. რატომ უნდა ,,გამოვრთოთ **შინაგანი რედაქტორი**" წერის დროს?
11. რაში გვეხმარება კლასტერი?
12. დაასახელეთ ინფორმაციის მოპოვების ძირითადი და დამხმარე წყაროები
13. რა ეწოდება ტექსტში ინფორმაციის შევსება-გამოკლებას და შეცდომების გასწორებას?
14. წერის პროცესის რომელიმე ეტაპის გაუვლელად რამდენად შესაძლებელია აკადემიური ნაშრომის შექმნა?
15. უილინგემის მიერ შემოთავაზებული რჩევათაგან რომელს იყენებდით აქამდე? რომელი გამოგადგებათ მომავალში?

თემა V. თეზისი; თეზისის განვითარება; ესეს შავი პირის შექმნა; არგუმენტი, ქვეარგუმენტი, კონტრარგუმენტი

5. 1. თეზისი. თეზისის განვითარება

აკადემიური ნაშრომის წერისას მთავარი ყურადღება ექცევა **თეზისის** გამოკვეთას, რადგან ესეს ძირითადი ნაწილის ყველა აბზაცი შინაარსობრივად სწორედ მას უნდა უკავშირდებოდეს. მას მკითხველი პირველ რიგში ეცნობა, რადგან მისი საშუალებით იგებს, რის თქმა სურს ავტორს, როგორია მისი პოზიცია, დამოკიდებულება მოცემული საკითხისადმი, მან რის შესახებ უნდა განავითაროს მსჯელობა ძირითად ნაწილში.

თეზისი ნაშრომის შესავალი აბზაცის ბოლოსაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. როცა წერას ვიწყებთ პირდაპირ პრობლემის აღწერით, ასეთ შემთხვევაში თეზისი ბოლოში გადავა და დასკვნის სახეს მიიღებს: **მაგ. თანამედროვე მსოფლიოში ბევრი ღარიბ-ღატაკია, რომლებსაც ცხოვრების ელემენტარული პირობები არ აქვთ. სოციალური დახმარება ზოგჯერ მათი ფიზიკური არსებობის ერთადერთი პირობაა. ოფიციალური მონაცემებით განვითარებულ ქვეყნებშიც კი უამრავი ადამიანია სიღარიბის ზღვარს მიღმა. შესაბამისად, სოციალური პრობლემების არსებობა აუცილებელია და მათი მნიშვნელობა დიდი ხანია განუზომელია (მ. ჩოხარაძე, 2011:9).**

თეზისი სამსჯელო საკითხთან დაკავშირებით ავტორისეული დასკვნაა. ვინაიდან თეზისი ავტორის ძირითად პოზიციას გამოხატავს, მისი გამოკვეთა განსაკუთრებით აუცილებელია არგუმენტირებული ესეს წერისას.

თეზისი აგებულია **საკვანძო სიტყვაზე.** მაგალითად, შევადგინოთ თეზისები სიტყვებისგან: ,,განათლება," ,,სპორტი"...

1. განათლება თვითდამკვიდრების აუცილებელი პირობაა;

2 . სპორტი ჯანმრთელობის საწინდარია.

,,განათლება", და ,,სპორტი" თემებია, ხოლო თეზისში ჩანს ავტორისეული დამოკიდებულება, შეფასება, შეხედულება...

ამრიგად, თეზისი უდრის თემას + ავტორისეული პოზიცია.

თეზისის ჩამოყალიბება არ შეიძლება კითხვის სახით, მაგრამ კითხვების დასმა თეზისის გაშლის საუკეთესო და ეფექტიანი საშუალებაა **(რატომ? რას გულისხმობს საკვანძო სიტყვა და საკვანძო წინადადება? რა არის მოცემული მონაკვეთის დედააზრი? რა არის წინა პლანზე წამოწეული? რა არის მნიშვნელოვანი და რატომ? არის თუ არა ამ კითხვის პასუხი ამ მონაკვეთში? უკავშირდება თუ არა მოცემული მონაკვეთი თეზისს? რა პარალელების გავლება შეიძლება?).**

არსებობს თეზისის ორი სახე: **მარტივი და რთული.**

რთულია თეზისი, რომელშიც აღნიშნულია საკითხის, ავტორის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით და ჩამოთვლილია მიზეზები, პუნქტები.

რთული თეზისი = ავტორის აზრი + მიზეზები, პუნქტები (შავთვალაძე, დუნდუა 2013: 56).

თეზისი უნდა გაივრცოს, გაიშალოს. მსჯელობის გასაშლელად და შესაჯამებლად გამოიყენება სათანადო ენობრივი საშუალებები **(იმიტომ, რომ... რადგან... ვინაიდან... იმდენად რამდენადაც... შეიძლება ვიფიქროთ... ვივარაუდოთ... ვიმსჯელოთ...ეს აიხსნება იმით... შეიძლება ითქვას, რომ...).**

თეზისი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ წერის პროცესის სხვადასხვა საფეხურზე: წერის დასაწყისშივე, თემის შერჩევის ან ინფორმაციის შეგროვების შემდეგ.

მაშასადამე, თეზისის შედგენა წერითი ნაშრომის შესრულების წინაპირობაა. მას უდიდესი როლი ენიჭება, ამიტომ **საკვანძო დებულებასაც** უწოდებენ.

საკვანძო დებულება უნდა განვასხვაოთ თემატური წინადადებისგან. პირველი გამოხატავს ესეს ძირითად იდეას, მეორე აბზაცის მთავარ სათქმელს.

საკვანძო დებულება გამოხატავს აზრს, შეხედულებას და არა ფაქტს, ამიტომაცაა სავალდებუ-

ლო მისი შემდგომი ახსნა-დასაბუთება. ამასთან, საკვანძო დებულება თემასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ იდეას გამოხატავს.

კარგი თეზისი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. უნდა იყოს ნაშრომის დასაწყისში, მის შესავალ აბზაცში. ჩვეულებრივ, ის შესავალი აბზაცის დასაწყისი ან ბოლო წინადადებაა;
2. თეზისი მხოლოდ ერთ თემას უნდა ეხებოდეს;
3. თეზისი არ უნდა იყოს ფაქტი, რომელსაც არ სჭირდება შემდგომი მსჯელობა და განვითარება;
4. არ შეიძლება თეზისის ჩამოყალიბება კითხვის სახით. თეზისი თვით უნდა წარმოადგენდეს პასუხს გარკვეულ კითხვაზე;
5. თეზისი უნდა გამოხატავდეს მთავარ აზრს, რომელიც უნდა განვავითაროთ ესეს ძირითადი აბზაცებით.

მაგალითად: თემა - ტურიზმის განვითარება საქართველოს მთიან რეგიონებში

თეზისი I: საქართველოს გამორჩეული მრავალფეროვანი ბუნების გამო მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი აქვს.

ძირითადი ნაწილი:

დღეს, როცა მკვიდრი საფუძველი ეყრება ტურიზმის განვითარებას, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს რამდენიმე მთიან რეგიონს კარგი პოტენციალი აქვს ტურისტების მოსაზიდად... აღმოსავლეთიდან აღსანიშნავია თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი, ხოლო დასავლეთიდან განსაკუთრებულია სვანეთი... სამწუხაროა, რომ უმრავლესობა ამ რეგიონებს, მათ ტრადიციებს აქ დაბადებული გენიოსების შემოქმედებიდან იცნობს... დღესდღეობით ერთეულებს თუ აქვთ მოვლილი საქართველოს მთიანი მხარეები. ამიტომაცაა პოპულარული და პრესტიჟული ტურიზმის მენეჯერის სპეციალობა და მას მეტი მონდომებით ეუფლებიან ახალგაზრდები.

დასკვნითი ნაწილი:

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ტურიზმი მეტად განვითარდება საქართველოს მთიანეთში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვა: წესრიგი

თეზისი: თითოეული ადამიანის მოწესრიგებულობა დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი პირობაა.

ლექსიკური რესურსი: კანონმორჩილება, ქაოსი, მოქალაქე, დაუმორჩილებლობა, ხასიათი, შინაგანი სამყარო, პატივისცემა, პუნქტუალურობა, დრო, კანონი, პედანტობა, ადამიანი, ვალდებულება, საზოგადოება, ოჯახი, დემოკრატიული.

შესავალი აბზაცი:

ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი მიზანი დემოკრატიული საზოგადოების შექმნაა. იგი იქმნება იქ, სადაც ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ პიროვნულ თავისუფლებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის შინაგანი სამყაროს წესრიგს. შესაბამისად, **თითოეული ადამიანის მოწესრიგებულობა დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი პირობაა.**

ძირითადი აბზაცი:

1. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიო ხალხები მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგიერთი მათგანისთვის მოწესრიგებულობა ცხოვრების წესია. ამ მხრივ, როგორც ამბობენ, გამოირჩევიან გერმანელები. პუნქტუალურობა, პედანტიზმი, კანონმორჩილება, პასუხისმგებლიანობა – ამ ხალხის ტიპური მახასიათებლებია. დასახელებული სახელმწიფოს ისტორიულ წარსულს თუ გავიხსენებთ და შევადარებთ დღევანდელობას, სრულიად ნათელია, რომ გერმანელი ხალხის შინაგანმა მოწესრიგებულობამ, შესაბამისად, მოწესრიგებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ, განაპირობა გერმანიის წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

2. ოჯახი ადამიანთა ჰარმონიულ თანაცხოვრებას გულისხმობს. ურთიერთპატივისცემა, პასუხისმგებლობა, ვალდებულება, წესრიგი – მყარი ოჯახის აუცილებელი პირობაა. დღეისათვის თანამედროვე ოჯახები ნაკლებად მყარია. ამის მიზეზი ადამიანური ურთიერთობების დეფიციტი, მოუწესრიგებელი ურთიერთობებია. დასახელებული დეფიციტის დაძლევა კი მყარი და მოწესრიგებული ოჯახების არსებობა, აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

3. მოწესრიგებული საზოგადოება თავად გულისხმობს მოქალაქის, ოჯახის კანონმორჩილებას, სადაც დაცულია ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპები. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი წარმატებული კომუნიკაცია.

დასკვნითი აბზაცი: ამრიგად, თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია ვცხოვრობდეთ დემოკრატიულ საზოგადოებაში, უნდა ვიყოთ მოწესრიგებული. ქაოსით დავშორდებით ცივილიზებულ სამყაროს. ყოველგვარი წესრიგი, დაწყებული თითოეული ადამიანით დამთავრებული ოჯახით, დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი პირობაა.

თეზისი II: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

შეავსეთ გონებრივი რუკა და განავითარეთ თეზისი



ძირითადი ნაწილი:

დასკვნითი ნაწილი:

სავარჯიშო № 1. მოძებნეთ საკვანძო სიტყვა და თეზისი.

უცხოელი მეცნიერების გამოკვლევის შედეგების თანახმად, მიოკარდიუმის ინფარქტის მთავარი მიზეზი ფიზიკური დატვირთვა ან სტრესი კი არა, დაბინძურებული ჰაერია. ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ აირესი ამბობს, რომ დაბინძურებულ ჰაერში არსებული ჭუჭყისა და ჭვარტლის ნაწილაკები ადვილად აღწევს ფილტვებში და იწვევს გულის თუ რესპირატორულ დაავადებებს.

სპეციალისტები ფეხით მოსიარულეებს ურჩევენ ერიდონ ცენტრალურ მაგისტრალებს, რადგან ტროტუარის კიდესთან დაბინძურებული ჰაერის მავნე ზემოქმედება 10-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე შენობების მახლობლად. კიდევ უფრო მავნებელია ველოსიპედით სეირნობა, სირბილის და ვარჯიშის დროს ადამიანი 2-3 ჯერ მეტ ჰაერს ჩაისუნთქავს. მავნე ნივთიერებების ზემოქმედებას 10 %-ით ზრდის ძრავის გვერდით ჯდომა.

აქროლად ორგანულ ნივთიერებებს უხვად გამოყოფს ასლგადამღები ტექნიკა, ამიტომ მისგან მოშორებით ჯდომა ჯობს. კარგი იქნება, თუ მოვაშენებთ ოთახის მცენარეებს, რითაც ხელს შევუწყობთ ჰაერის გასუფთავებას. და ბოლოს, მეცნიერები აქარწყლებენ მითს ზღვის ჰაერის მარგებლობის შესახებ. აირესი ირწმუნება, რომ ოზონმა, რომელიც მზის სხივების ზემოქმედებით წარმოიშობა, შესაძლოა ჯანმრთელობას ავნოს კიდეც.

სავარჯიშო № 2. მოცემული საკვანძო სიტყვებით შექმენით თეზისები:

ტყუილი ----------

ამპარტავნობა----------

კომპლექსი----------

მოხერხებულობა----------

სავარჯიშო 3. გამოიყენეთ სიტყვები: **ტყუილი, ამპარტავნობა, ჩვევა, ჩეულება** და დაწერეთ თემა: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“.

სავარჯიშო № 4. განავრცეთ მოცემული თეზისი სათანადო ენობრივი საშუალებებით.
ჯანსაღი კვება დღეგრძელობის საწინდარია

სავარჯიშო № 5. ზემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით შექმენით ტექსტები თემებზე:
ა) ტურიზმი

ბ) მწვანე ველოსიპედები ბათუმის ბულვარში

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

1. რა არის თეზისი?
2. სად არის განთავსებული თეზისი?
3. როდის ვადგენთ თეზისს?
4. დაასახელეთ მარტივი და რთული თეზისის მაგალითები;
5. რამდენი წინადადებით შეიძლება გადმოიცეს იგი?
6. შეიძლება თუ არა თეზისი წარმოადგენდეს კითხვას? რატომ?
7. რატომ უწოდებენ თეზისს საკვანძო წინადადებას?
8. რით განსხვავდება თემატური წინადადება თეზისისგან?
9. შეიძლება თუ არა თეზისით რამდენიმე იდეა გადმოიცეს?
10. როგორ უნდა გავშალოთ თეზისი?

დაიხსომე: რთული და ნასახელარი ზმნების მართლწერა

რთული ზმნა	**ნასახელარი ზმნა**
სახელადი ნაწილი + ვ+ ზმნური ნაწილი **შეურაცხ-ვ-ყოფ, ცხად-ვ-ყოფ, სრულ-ვ-ყოფ,** **უგულებელ-ვყოფ, უზრუნველ-ვყოფ,** **იავარ-ვ-ყოფ, თანა-ვ-უგრძნობ,** **უკუ-ვ-აგდებ...** **შეცდომაა:** ვ-სრულყოფ, ვ-ხელყოფ, ვ-ნათელყოფ, ვ-უთანაგრძნობ ვ-სრულ-ვ-ყოფ, შე-ვ-ურაცხ-ვ-ყოფ, ვ-ნათელ-ვ-ყოფ, ვ-ხელ-ვ-ყოფ	**ვ + ნასახელარი ფუძე** **ავადმყოფი – ვ-ავადმყოფობ;** **ხელმძღვანელი – ვ-ხელმძღვანელობ;** **გულდიდი – ვ- გულდიდობ;** **გულზვიადი – ვ-გულზვიადობ;** **ხელმძღვანელი – ვ-ხელმძღვანელობ;** **წინასწარმეტყველი – ვ-წინასწარმეტყველებ.** **შეცდომაა:** ხელ-ვ-მძღვანელობ, გულ-ვ-დიდობ, წინასვ-წარმეტყველებ.

5.2. ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘ, ᲥᲕᲔᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘ, ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘ

აზრის ლოგიკური განვითარება მოითხოვს ნათქვამის ჭეშმარიტების დამტკიცებას. აზრის დასაბუთების ან უარყოფის ლოგიკურ განვითარებას **მსჯელობა** ეწოდება. ჯერ ვასახელებთ რაღაც ფაქტს, მოვლენას და შემდეგ ვაყალიბებთ მასზე თვალსაზრისს, რომელიც უნდა დავასაბუთოთ. ეს აუცილებელია, რადგან თუ არ განვმარტეთ მოტივი, თუ არ გავეცით პასუხი კითხვას **რატომ?**

ამის გარეშე ვერ დავარწმუნებთ მკითხველს. საამისოდ კი დაგვჭირდება რამდენიმე ფაქტის, მაგალითის მოხმობა, დამოწმება.

არგუმენტირების მიზანია არა მხოლოდ ავტორის პოზიციის დაფიქსირება, არამედ მისი დასაბუთება, დამტკიცება და ამ გზით ჭეშმარიტების წვდომა.

ამრიგად, არგუმენტირება აუცილებელია თეზისის გასაშლელად, განსავითარებლად.

არგუმენტი (ლათ. საბუთი, საფუძველი) წარმოადგენს რისამე მტკიცების საფუძველს. ან კიდევ: **არგუმენტი** არის დებულება ან ლოგიკური მსჯელობის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცებას (გოჩიტაშვილი, შაბაშვილი, შარაშენიძე, 2009).

ყველანაირი არგუმენტი მსჯელობის დასასაბუთებლად ვერ გამოდგება: იგი მყარი და სანდო უნდა იყოს. რა კრიტერიუმით უნდა შევარჩიოთ არგუმენტი? თემასთან დაკავშირებულ ყველა იდეას და მონაცემს თავს რომ მოვუყრით, ამის შემდეგ უნდა გავაანალიზოთ, რომელი უფრო ლოგიკურად უკავშირდება ჩვენს მთავარ სათქმელს. უამრავი შესაძლებლობიდან უნდა ავარჩიოთ ყველაზე მკაფიო, ნათელი, საჭირო და ადეკვატური.

არგუმენტი შეიძლება იყოს **მთავარი** ანუ ძლიერი, **საშუალო** ანუ მეორეხარისხოვანი და **სუსტი.** ამ უკანასკნელს **ქვეარგუმენტსაც** უწოდებენ. რომელი არგუმენტიც მეტად გაამყარებს ჩვენს პოზიციას, რომელიც უფრო დამაჯერებელია, იგი მთავარია.

ქვეარგუმენტი არის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ლოგიკურად ან აზრობრივად არის დაკავშირებული არგუმენტთან და ავტორს ეხმარება განამტკიცოს თავისი პოზიცია და კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადოს ნათქვამი. შეიძლება ითქვას, რომ ქვეარგუმენტი არის არგუმენტის დასაბუთება, დაკონკრეტება და განმტკიცება შესაბამისი მაგალითებით (გოჩიტაშვილი, შაბაშვილი, შარაშენიძე, 2009:47).

არგუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ:

1. ისტორიული ფაქტი;

2. ცნობილი ჭეშმარიტება, აქსიომა; ანდაზა, აფორიზმი და ა. შ.

,,იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. ,,ხერხი სჯობია ღონესაო", – ძველთაგანვე თქმულა და მართალიც არის (ილია); ,, როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიაო", – ამბობს ქართული ანდაზა, როგორი პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც ... გამხილავიც შეხვდა (ილია); მარად ჭეშმარიტია ქართული ანდაზა: ,, კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდაო" (ილია).

3. სტატისტიკა (მთელს ევროპაში ესპანეთს უმუშევრობის მაღალი დონე აქვს. 20 წლის ასაკის ახალგაზრდების 40 % უმუშევარია);

4. ციტატა (ილია წერს, რომ გარკვეულ სოციალ-კულტურულ პირობებში სიტყვა ,,დედამ" მნიშვნელობა გაიფართოვა: ,,ქართველებისთვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც **,,დედა-ენას"** ეძახის, უფროსს ქალაქს – **,,დედაქალაქს",** მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას – ,,დედაბოძს", უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს – **,,დედაბურჯს",** სამთავრო აზრს – **,,დედააზრს",** გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – **,,გუთნისდედას".** რამდენადაც განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!"... (ილია).

5. სხვათა მოსაზრებები (ბედნიერებისთვის საკმარისი არაა პირადი კეთილდღეობა, ,,რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო," – ამბობს ერთი მეცნიერი);

6. პირადი გამოცდილება;

7. თქვენეული ლოგიკა (მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდაზე გასული პედაგოგი, წარმატებულიც და წარუმატებელიც, აბსურდული ისტორიის გმირია, რადგან დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: კარგი მასწავლებელი ამ გამოცდის გარეშეც კარგ მასწავლებლად დარჩება. მასწავლებელი ნ. ჯანელიძე).

კარგი არგუმენტის მახასიათებლებია:

1. თეზისთან უშუალო და პირდაპირი კავშირი;

2. მიზნის ადეკვატურობა;

3. სიცხადე (უნდა იყოს მკაფიო, სათქმელს ნათლად გადმოგვცემდეს);

4. სამსჯელო თემაზე ზუსტად მორგება: არც ზოგადი უნდა იყოს და არც კონკრეტული.

არგუმენტად არ გამოგვადგება არარაციონალური მოსაზრება, რომელიც პირადული, ემოციურია ან ადამიანის გემოვნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საკითხებზე დავა არასდროს გათავდება და ვერც ჭეშმარიტებას გამოავლენს.

არ არსებობს არგუმენტი, რომელსაც კონტრარგუმენტი არ მოეპოვებოდეს.

კონტრარგუმენტი არგუმენტის საწინააღმდეგო დებულებაა. ლოგიკური მსჯელობა ვერ აიგება მხოლოდ არგუმენტების მოხმობით. ავტორი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისებიც, საპირისპირო პოზიციაც, რომელსაც ისევე აქვს არსებობის უფლება, როგორც სხვას. არგუმენტირებულ მსჯელობაში **კონტრარგუმენტის** მოგერიება, გაბათილება **არგუმენტს** მეტ დამაჯერებლობას სძენს, ამიტომ მას თავი არასდროს უნდა ავარიდოთ.

რამდენი არგუმენტია საჭირო მოსაზრების დასასაბუთებლად, ამაზე ზუსტი მითითება არ არსებობს. თუ საამისოდ სამი ძლიერი არგუმენტი არ აღმოჩნდა საკმარისი, მაშინ ვერც ოცდახუთით დაამტკიცებ. რამდენადმე პირობითია არგუმენტს ვუწოდოთ მეორეხარისხოვანი ან სუსტი. შეიძლება რომელიმე მათგანმა მსჯელობის დროს განსხვავებული ფუნქცია შეიძინოს.

არსებობს არგუმენტების კომბინაციის რამდენიმე სქემა: 1. ძლიერი, საშუალო, სუსტი, 2. სუსტი, საშუალო, ძლიერი; 3. საშუალო, სუსტი, ძლიერი; 4. ძლიერი, სუსტი, ძლიერი, სუსტი, ძლიერი. მსჯელობის გაშლის ეს სქემები, ბუნებრივია, არაა ამომწურავი.

არგუმენტირებული მსჯელობა არგუმენტების მექანიკური ჯამი არაა, მათ დასაკავშირებლად საჭიროა **დამხმარე ენობრივი საშუალებანი:** აგრეთვე, ამასთანავე, შესაბამისად, არა მხოლოდ, ისე როგორც, ამის მსგავსად, მაგრამ, მაშინ, როცა ამიტომ ამდენად, ვინაიდან, რადგანაც მაგრამ, მაშინ როცა, ამისგან განსხვავებით, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, წესის თანახმად, მიუხედავად ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია..

მსჯელობის აგების ხერხები. მსჯელობის აგების ორგვარი მეთოდი არსებობს: ინდუქციური და დედუქციური. **ინდუქცია** აზროვნების ისეთი მეთოდია, რომელსაც კონკრეტული ფაქტებიდან, კერძო მაგალითებიდან საერთო კანონზომიერება გამოჰყავს. იგი არის გზა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქცია მსჯელობის აგების ისეთი ხერხია, როდესაც ზოგადი დებულებებიდან კერძო დასკვნა გამოიყვანება. იგი ზოგადიდან კონკრეტულისაკენ მიემართება.

სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ ტექსტი, გახაზეთ არგუმენტები და ქვეარგუმენტები.

ყვავილოვანი კომბოსტო მეტად სასარგებლო ბოსტნეულია. იგი მდიდარია კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით, რკინით, თუთიით, სპილენძით, მანგანუმით, ფტორით, კაროტინებით, C, K, B1, B2, B6 ვიტამინებით, ადვილად ასათვისებელი ცილებით. საკმარისია, 50 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო მივირთვათ, რომ უზრუნველყოფილი ვართ C ვიტამინის სადღეღამისო დოზით. გარდა ამისა, იგი დაბალკალორიულია, თუმცა კარგად ანაყრებს, ასე რომ, ეს ბოსტნეული თამამად შეიძლება მიირთვან მათ, ვისაც ზედმეტი წონა აშინებს. ყვავილოვანი კომბოსტო ადვილად მოსანელებელია, ამიტომ როგორც სამკურნალო-დიეტური საკვები, რეკომენდებულია ბავშვებისთვის და მოზრდილებისთვის, რომელთაც აღნიშნებათ საჭმლის მონელების დარღვევა, შაქრიანი დიაბეტი, ათეროსკლეროზი, ღვიძლის პათოლოგიები, ნაღველკენჭოვანი დაავადება, პოდაგრა და სხვა.

ყვავილოვან კომბოსტოს ხალხური მედიცინა უძველესი დროიდან იყენებს არა მხოლოდ საჭმლის მოსანელებლად, არამედ კანის დაავადებათა სამკურნალოდაც. მას საუკეთესო ეფექტი აქვს დამწვრობისა და ძნელად შეხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ.

სავარჯიშო №2. წაიკითხეთ ტექსტი, გამოყავით არგუმენტი, ქვეარგუმენტი და კონტრარგუმენტი.

ხალხმა გაკვირვებით შეხედა ხევისბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი, ხელში ეჭირა. მათ თვალწინ ონისე იდგა.

– შესდექ, ხევისბერო! გუგუა მართალია! – დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირებენო.

ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო. გოჩამ შეარყია დროშა ზარების ხმასთან ერთად ხმამაღლად მბრძანებლის კილოთი დაიძახა:

– იყუჩეთ! – და ამის ხმის გაგონებაზედ ერთბაშად ყველა გაყუჩდა.

– სთქვი, რას ამბობდი?

– გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასაჯავთ... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანერთის მოსისხლენი შევქმნილიყავით... ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ...

– ეგ ვიღამ გიამბო? – ერთბაშად წამოიძახა გუგუამ და ეჭვისაგან თვალები აენთო.

– ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული... რაიღა დავმალო? მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!... გუგუა უბრალოა! – ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა.

ზარდაცემული მოხუცი მთლად ცახცახებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.

ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

– მაშ, ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასგამ მოძულებულო, დედმამის საფლავიდგან ამომგდებო!... რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ!...

ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა: – მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!

კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

– გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

– მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუვა... ონისე ეხლავე მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა!

– გუჩაუ, – სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრამ პირგამეხებული ხევისბერი ცეცხლებსა ჰყრიდა თვალთაგან.

უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ...

მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისკენ და შესძახა:

– მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო; მოხუცის მახვილს მზერას შვილისათვის გული ორად გაეპო. ეს მოძრაობა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ უბედურების შეყენება ვერავინ მოასწრო.

ხალხი შემოიფანტა და ახლო ვეღარ მოჰკარებოდა მოხუცს, რომელსაც ძარღვები ძალზედ უღმეჭავდნენ და უცნაურად უთამაშებდნენ სახეს.

– გოჩა! – ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ ხელი გადაავლო მოხუცს.

– ჰაი? – ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მოიხედა. მის წინ იდგა გუგუა.

– გოჩავ, – გაიმეორა იმან ხმამაღლა, – წეღან გითხარ, რომ დამნაშავე არა ვარ-მეთქი, მაგრამ ერთხელ მაგგვარის ცილის შეწამების შემდეგ თავს აღარ ვიცოცხლებ-მეთქი... ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოკავს. მშვიდობით, ხალხო! ამ სიტყვებთან ერთად მან გაიძრო დამბაჩა, მიიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა...

(ალექსანდრე ყაზბეგი, ,,ხევისბერი გოჩა“)

რა მხატვრულ ხერხებს და ენობრივ საშუალებებს იყენებს ავტორი ზემომოყვანილ ტექსტში?

სავარჯიშო №3. მოცემულია კონტრარგუმენტი, დაწერეთ არგუმენტი.

ა) კონტრარგუმენტი: ყავა ორგანიზმს კალციუმს აცლის.

არგუმენტი:

ბ) არგუმენტი: გემრიელი საკვები უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

კონტრარგუმენტი:

გ) არგუმენტი: ,,შუშანიკის წამების" პერსონაჟი, ,,კაცი ვინმე სპარსი," მაზდეანია.

კონტრარგუმენტი:

დ) არგუმენტი: ბათუმის ნესტიანი ჰავა სასუნთქი გზებით დაავადებულთათვის საზიანოა.

კონტრარგუმენტი:

სავარჯიშო № 4. წყვილში მუშაობა. მოცემულ არგუმენტებს დაუწერეთ ერთი ან ორი ქვეარგუმენტი.

ა) განათლება თანამედროვე საზოგადოების წამყვანი პრიორიტეტია

ბ) ვაშლი სასარგებლოა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის.

გ) თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია კომპიუტერის გარეშე

დ) ბათუმ საფარ-ბეგს დანაშაული შეუნდო

სავარჯიშო № 5. ჯგუფური მუშაობა. მოცემულ საკითხზე შექმენი თეზისი, არგუმენტი და კონტრარგუმენტი:

ა) ცვლის თუ არა კინოფილმი წიგნს?

თეზისი ----------

არგუმენტი ----------

კონტრარგუმენტი ----------

ბ) ახდენს თუ არა მავნე ზეგავლენას მოზარდზე კომპიუტერული თამაშები?

თეზისი ----------

არგუმენტი ----------

კონტრარგუმენტი ----------

კონტრარგუმენტის გამაბათილებელი არგუმენტი ----------

კონტრარგუმენტი ----------

გ) აიკრძალოს უნდა თუ არა მოწევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?

თეზისი ----------

არგუმენტი ----------

კონტრარგუმენტი ----------

დავალება № 1. ააგეთ ერთი და იგივე ესე ორგვარად: ა) ჯერ არგუმენტები მოიყვანეთ და შემდეგ კონტრარგუმენტი; ბ) ჯერ კონტრარგუმენტი და შემდეგ – არგუმენტები.

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რა არის დებულება?
2. როგორი შეიძლება იყოს არგუმენტი?
3. რისთვის და რა მიზნით ვიყენებთ არგუმენტს?
4. რით განსხვავდება არგუმენტი ქვეარგუმენტისგან? ძლიერი არგუმენტი სუსტისგან?
5. რა არის ქვეარგუმენტი და რაში ეხმარება იგი ავტორს?
6. რა არ გამოდგება არგუმენტად?
7. რა არის კონტრარგუმენტი?
8. რამდენი არგუმენტია საჭირო ნათქვამის დასასაბუთებლად?
9. არგუმენტთა კომბინაციის რამდენ სახეს იცნობთ?
10. დაასახელეთ არგუმენტირებული მსჯელობის აგების ენობრივი საშუალებანი;
11. დაასახელეთ არგუმენტირებული მსჯელობის აგების ხერხები;
12. რა არის ინდუქცია?
13. რა არის დედუქცია?
14. თქვენ რომელ ხერხს ამჯობინებთ მსჯელობის დროს?
15. დაასახელეთ ინდუქციისა და დედუქციის მაგალითები.

დაიხსომეთ: შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა

–ინ სუფიქსი	-ევ-ინ სუფიქსი
-ებ, -ობ, -ოფ, -ემ, ერთთემიანი და ფუძედრეკადი ზმნები	-ავ, -ი თემისნიშნიანი ზმნები
სწორია: აკეთებინებს, აშრობინებს, აშენებინებს, ათბობინებს, აყოფინებს, ახნევინებს... **შეცდომაა:** აშენებიებს, ათბობიებს, აყოფიებს...	**სწორია: აზრდევინებს, ახნევინებს, აშლევინებს** **შეცდომაა:** აზრდევიებს, ახნევიებს, აშლიებს **სწორია: აქარგვინებს, ამალვინებს, აკერვინებს, ანახვა** **შეცდომაა:** აქარგინებს, ამალინებს, აკერინებს, ანახა

თემა VI. აბზაცი და მისი განვითარება; აბზაცის სახეები (შესავალი და დასკვნითი აბზაცი); თემატური წინადადება; წინადადებათა გადაბმის ხერხები

6.1. აბზაცი და მისი განვითარება; აბზაცის სახეები. თემატური წინადადება

ტექსტის ორგანიზებაში დიდი როლი ენიჭება აბზაცის გამოყოფას. ნაწერის შავი პირის შექმნის შემდეგ იწყება მათი დამუშავება. აბზაცი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ტექსტში ოდნავ შეწევით გამოიყოფა.

ტექსტში აბზაცების რაოდენობას განაპირობებს ნაწარმოების (მოთხრობის, მოხსენების, მეცნიერული, თუ სხვა სახის ნაშრომის) თემა, ჟანრი და მიზანი. აბზაცების საშუალებით ვიცავთ აზრის ლოგიკურ თანმიმდევრობას. მის ცალკეულ მონაკვეთზე გადასასვლელად სხვადასხვა ენობრივი საშუალება გამოიყენება.

ყოველი მომდევნო აბზაცი წინამავალისგან განსხვავებულ, ახალ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, ახალ თემას უნდა ეხებოდეს.

აბზაცი ერთსა და იმავე აზრთან და თემასთან დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობაა. ისინი ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს და მათ გარკვეული ფუნქცია ეკისრება. შესაბამისად, მათ ეწოდება **მთავარი, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები.** აბზაცის თემას, მის ძირითად აზრს გადმოსცემს **მთავარი წინადადება.** მას **წამყვან, თემატურ ან კონცეპტუალურ წინადადებასაც უწოდებენ.** მასში გამოკვეთილია ავტორის პოზიცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. წამყვანი წინადადებიდან ჩანს, რის შესახებ იქნება საუბარი, რომ ის შეემზადოს ინფორმაციის აღსაქმელად.

თემატური წინადადება აბზაცის თავშია (შეიძლება იყოს ბოლოშიც). თუ პირველ წინადადებაში მოცემულია აზრი, დებულება, მეორე ხსნის ამ თეზისს, მესამე ასაბუთებს მეორე წინადადებით გადმოცემულ აზრს. ბოლოს კი სათქმელი უნდა შეჯამდეს. აბზაცის იდეათა დასაკავშირებლად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები. მათ ტრანზიტულ -საკავშირებელ სიტყვებსაც უწოდებენ. ესენია: **ამის შემდეგ, თანდათანობით, სანამ, ბოლოს და ბოლოს, გარდა ამისა... ზევით, ქვევით, აქედან გამომდინარე, ამრიგად, მაშასადამე...**

ამრიგად, წამყვანი წინადადება ეხმარება ავტორს თვალსაზრისის ნათლად ჩამოყალიბებაში, ხოლო მკითხველს – მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურად აღქმასა და სწორად გაგებაში.

მთავარი წინადადება მარტივი უნდა იყოს, არ უნდა გადაიტვირთოს ტერმინებით. რთული კონსტრუქცია გააძნელებს აზრის გაგებას. ეფექტიანია კითხვის დასმა ან საყოველთაო ჭეშმარიტების მოხმობა.

ამხსნელი (განმავითარებელი) წინადადება ხსნის, განმარტავს, აზუსტებს მთავარ წინადადებაში გადმოცემულ აზრს. ეს კი შესაძლებელია შესაბამისი მაგალითების, არგუმენტების, სტატისტიკური მასალისა თუ სხვისი ნააზრევის დამოწმებით.

შემაჯამებელი წინადადება მიგვანიშნებს აბზაცის დამთავრებაზე და კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოკვეთს მთავარ სათქმელს, რაც სამი გზით მიიღწევა:

1. აბზაცში გამოთქმული ძირითადი აზრების შეჯამებით;
2. მთავარი წინადადების აზრის სხვა სიტყვებით გადმოცემით ანუ პერიფრაზირებით;
3 ორივე ხერხის ერთდროული გამოყენებით (გოჩიტაშვილი, შაბაშვილი, შარაშენიძე).

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ აბზაცი სამი წინადადებისგან შედგება. მასში შეიძლება ათი წინადადებაც იყოს, მაგრამ ყველა ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს, მომდევნო ხსნიდეს წინას და ბოლოს ყველაფერი შეჯამდეს.

შესავალი აბზაცი

აკადემიური ნაშრომი ლოგიკურად და სტრუქტურულად შეკრულია. ჩვეულებრივ, იგი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. საგანგებო ყურადღება ექცევა შესავალი აბზაცის ორგანიზებას, რადგან სწორედ აქ უნდა გამოიკვეთოს თემის აქტუალურობა, ავტორის პოზიცია, **თეზისი** და მკითხველს აღეძრას ინტერესი ნაშრომის წასაკითხავად, საკითხის შესწავლის ისტორიის გასაცნობად.

შესავალი აბზაცის განვითარების რამდენიმე ხერხი არსებობს: ზოგადიდან კონკრეტულისკენ გადასვლა, კითხვის დასმა, ციტატის, ფაქტის, სტატისტიკური მონაცემების მოყვანა.

შესავალი აბზაცის ნიმუში:

1991 წელს, ჩიკაგოში, ამერიკის საენათმეცნიერო საზოგადოების 65-ე შეკრებაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მსოფლიოში არსებული 6000 ენიდან ჩვენი საუკუნის დასასრულისთვის დაახლოებით ნახევარი შეწყვეტს არსებობას. მარტო ამერიკაში 300 ენიდან სიცოცხლე შეინარჩუნა მხოლოდ 175-მა. იზოლაციაში მყოფი პატარა ენები ქრება. დღეს ინგლისური 320 მილიონზე მეტი ადამიანისთვის მშობლიურია. მცირე ერების ენათა გაქრობა საუკუნეების განმავლობაში დაგროვებულ ცოდნასაც უქმნის საფრთხეს. წყნარი ოკეანის კუნძულებზე მცხოვრები ხალხები განასხვავებენ თევზის უამრავ სახეობას, ხოლო ამაზონიის მცხოვრებლები – მცენარეთა ჯიშებს. ეს მოვლენა დიდი დანაკლისია ენათმეცნიერებისთვისაც, რომელიც კარგავს ემპირიულ მასალას.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი – განმავითარებელი აბზაცი

ნაშრომის ძირითადი ნაწილი რამდენიმე აბზაცისგან შედგება. დანიშნულების მიხედვით აბზაცი არის **დამოუკიდებელი და დამხმარე.** პირველი გადმოსცემს ფაქტობრივ, კონცეპტუალურ ინფორმაციას, დამხმარე კი აერთიანებს ტექსტის ამა თუ იმ ფრაგმენტს. აქ ახსნილია ფაქტი ან მოვლენა, მოყვანილია ავტორის პოზიციის გასამყარებელი არგუმენტები, გაბათილებულია კონტრარგუმენტები, დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები და ა. შ. ასეთ აბზაცს **განმავითარებელიც** ჰქვია. მისი მახასიათებლებია: 1. თითოეული განმავითარებელი აბზაცი უნდა განიხილავდეს მთავარი თემის მხოლოდ ერთ ასპექტს; 2. განმავითარებელი აბზაცის წამყვანი აზრი უნდა უკავშირდებოდეს საკვანძო დებულებას; 3. იგი თანმიმდევრული, ლოგიკური უნდა იყოს და სხარტად იკითხებოდეს.

მაგალითად: როგორც წესი, იზოლაციაში მყოფ ენებს, რომლებზეც მცირერიცხოვანი მოსახლეობა მეტყველებს, უფრო რთული გრამატიკული სტრუქტურა აქვთ, ვიდრე ისეთ გავრცელებულ ენებს, როგორებიცაა: ინგლისური, ესპანური და არაბული. ენა, რომელიც ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება და სხვა ენებთან კონტაქტში შედის, თანდათან მარტივდება და ადვილად ათვისებადი ხდება.

ენა არის ხალხის სული. იგი მცირერიცხოვანი ერებისთვის იდენტიფიკაციის ძირითად პირობას წარმოადგენს.

როდის და რატომ კვდება ენა? გლობალიზაციის პროცესებში ენათა გაქრობა ის საფასურია, რომლის გადახდაც კაცობრიობას უწევს კომუნიკაციის გაფართოებისათვის.

რა უნდა გაკეთდეს, რომ კაცობრიობამ შეინარჩუნოს ენა? აუცილებელია რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ტექსტების ჩაწერა სხვადასხვა ტექნიკური ხელსაწყოს მეშვეობით, რაც დიდ თანხებს მოითხოვს. დიქსონის გამოანგარიშებით, ეს მთლიანად, დაახლოებით, 200 000 დოლარი ჯდება. მეორე, რაც შეიძლება გაკეთდეს, ეს არის ამ ენების აუცილებელი სწავლების შემოღება სკოლაში, როგორც ეს მოხდა ირლანდიაში, თუმცა ოჯახებში კვლავ ფუნქციონირებს ინგლისური, ირლანდიური კი უცხო ენის ტოლფას ენად რჩება.

დასკვნითს აბზაცში შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი მოსაზრება, რითაც მკითხველი კიდევ ერთხელ რწმუნდება ავტორისეული პოზიციის სისწორეში.

ამრიგად, დასკვნითს აბზაცს რამდენიმე კრიტერიუმით აფასებენ:

1. შეჯამებულია წერითი ნაშრომის მთავარი სათქმელი;
2. მასში არ უნდა იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არაა ნახსენები ძირითად ტექსტში;

3. დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები.

დასკვნითი აბზაცის ნიმუში:

ენა კვდება მაშინ, როცა ის წყვეტს ფუნქციონირებას საზოგადოებაში, მას სხვა ენა ცვლის, ან საზოგადოება წყვეტს არსებობას. ენას ვერ იხსნის ვერც სკოლებში სწავლება, ვერც მისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება; მას გადაარჩენს მხოლოდ გამოყენება.

6.2. წინადადებათა გადაბმის ხერხები

არსებობს წინადადებათა გადაბმის რამდენიმე ხერხი: **ჯაჭვური გადაბმა, პარალელური გადაბმა და გადაბმის ნარევი სახე.**

ჯაჭვური გადაბმისას ყოველი მომდევნო წინადადება ხსნის, განმარტავს წინას, ავითარებს წინამავალ წინადადებაში გამოთქმულ აზრს. აზროვნების თანმიმდევრულობის, მიზეზშედეგობრიობის დაცვა აუცილებელია სამეცნიერო სტილისთვის, სადაც ეს მოთხოვნები ემსახურება მტკიცებითობას, მკითხველისთვის სარწმუნოს ხდის კვლევის შედეგებს.

ამრიგად, ჯაჭვური გადაბმისას მთავარი წინადადება განმარტებულია მაგალითებით, სტატისტიკური მასალებით, ნათქვამი დამტკიცებულია არგუმენტებით, მოცემულია მოვლენის დეტალური ანალიზი და გამოტანილია ლოგიკური დასკვნა.

პარალელური გადაბმა გულისხმობს სხვადასხვა, მაგრამ თანაბარმნიშვნელიანი წინადადებების დაკავშირებას. ამნაირად აგებული ტექსტი დიდ შთაბეჭდილების ახდენს მკითხველზე, იგი ექსპრესიულია საჯარო გამოსვლებზე ან პუბლიცისტური ტექსტების შექმნისას:

,,იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ კითხულობს, სად პატიოსნება და სად მპარაობა?

აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა?

ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა?

სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად თვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს, სად სხვის უბედურობის და ნაკლის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა?

სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს, სად ტყუილი და სად სიმართლე?“ (ილია, ,,ყალბი და ნამდვილი“).

გადაბმის ნარევი სახე გულისხმობს წინადადებათა ჯაჭვური და პარალელური გადაბმის შენაცვლებას, მონაცვლეობას. ამნაირად აგებული ტექსტი სტილურადაც არაერთგვაროვანია. მას იშვიათად შევხვდებით, რადგან იგი საგანგებო მიზნებით იქმნება.

,,კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგვენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან კი, ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილ-უბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებელობა ადამიანის ღირსებისა?“ (ილია, იქვე).

სავარჯიშო 1. წაიკითხეთ ტექსტი და იმსჯელეთ წინადადებათა გადაბმის სახეებზე.

უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია! ჭკვიანი უცოდინარი ყოველთვის თავის ქერქშია რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინრობით ვერა სწვდება, აქ იგი მეტიჩრობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო რჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ გაიტარებს, ასწონ-დასწონის და ამნაირად თავის საკუთარ აზრს, ცოდნას გამონასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალისწინებს და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

ჭკვიანი უცოდინარი თავდაბალია, თავისი თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არ ჰბაქიობს, არ იკ-ვეხის, თვითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება, და სხვას მჩვარში არ ახვევს, მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას, ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენლისთვის თვალის ახვევას ცდილობს (ილია).

.....

.....

.....

.....

.....

წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან

აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონში, მდებარეობს ნეკრესის ნაქალაქარი. იგი განლაგებულია კავკასიის სამხრეთ კალთაზე მდიდარ გეოგრაფიულ ზონაში. მისი, როგორც ქალაქის, დაფუძნება ქართული წყაროებით უკავშირდება მეფე ფარნაჯომსძვ.წ.აღ. მეორე საუკუნეში. ნაქალაქარი საზოგადოებისათვის ცნობილია ადრექრისტიანული არქიტექტორული ძეგლებით. მათ შორის IV საუკუნის ეკლესიით. ნეკრესი პოპულარული გახდა აგიოგრაფიული ლიტერატურის ადრეული ძეგლით აბიბოს ნეკრესელის, ნეკრესის ეპისკოპოსის, ბრძოლა ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ, ქრისტიანობის დასამკვიდრებლად და მისი მოწამეობრივი სიკვდილი. ის ათცამეტ ასურელ მამათა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რომლებიც საქართველოში VI საუკუნეში მოღვაწეობდნენ.

ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 1984 წლიდან. გათხრილია III, IV საუკუნეების ცეცხლის ტაძარი, ანტიკური ხანის ქალაქის ზღუდის ნაწილი; IV, VI საუკუნეების ნაგებობის ნაშთები (სასახლე, მარანი), VI საუკუნის ეკლესია და სხვ. აღმოჩენათა შორის მეტად მნიშვნელოვანია IV, VIსაუკუნეებით დათარიღებული არქიტექტორული ნაგებობის კედლებში მეორადი გამოყენებით ჩატანებული ქვის ფილები ქართული უძველესი წარწერებით, რომელთა ხნოვანება განისაზღვრება IV საუკუნის ნაგებობის ქვეშ არსებული კულტურული ფენის კერამიკით ახ.წ. აღ.I-III საუკუნეებით. პალეოგრაფიული ნიშნებითაც ისინი უძველესი წარწერების რიგში ექცევიან. სულ დამადასტურებელი შვიდი წარწერიდან I-III საუკუნეებს მიეკუთვნება 5 წარწერა.

1999 წ. დადასტურდა კიდევ ერთი წარწერიანი ფილა. ის აღმოჩნდა ნაქალაქარის ტერიტორიის ცენტრში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ითხრება IV საუკუნის მონუმენტური ეკლესია. ქვა ეგდო ზედაპირზე, საურმე გზაზე. გამოჩენილია წყლის დინების შედეგად, არა თავის ადგილას.

წარწერიანი ქვა სიგრძით 41,5 სმ-ია. მისი სიგანე 10-10,5სმ.-ია, სისქე- 5,5 სმ. თავი და ბოლო მოტეხილი აქვს. განსაკუთრებით დასანანია ზედა ნაწილის დაზიანება, რამდენადაც დაიკარგა წარწერის დასაწყისი ნაწილი. წარწერა შესრულებულია ამოკაწვრის წესით. ასოების სიმაღლე მერყეობს 1,8-2,5 სმ. შორის სიგანე 1,0-2,0 სმ. შორის.

შემორჩენილია ორი დაზიანებული და ექვსი სრული სტრიქონი.

პირველი სტრიქონი: შემორჩენილია ბოლო ორი ასოს ქვედა ნაწილები.

მეორე სტრიქონი: შემორჩენილია პირველი ორი ასოს ქვედა ფრაგმენტები და ბოლო ორი ასო (ან).

მესამე სტრიქონი: (აზატ). ბოლო ჩამოტეხილია. შეიძლება აღდგეს (ი).

მეოთხე სტრიქონი (სი არის).

მე-5 სტრიქონი (ნუმ).

მე-6 სტრიქონი (ცავინ).

მე-7 სტრიქონი (ხრევ).

მე-8 სტრიქონი (ს).

წარწერა. ერთი მხრივ, აღნიშნავს დაკრძალულის ვინაობას და, მეორე მხრივ, თხოვნაა თუ მოწოდება: ნუ-

რავინ შეეხება მას, ნურავინ არევს (ნუმცავინხრევს).

წარწერა ასომთავრულია. გამოყენებულია ქართული ანბანის თოთხმეტივე ნიშანი: ა(4), ე(1), ვ(2), ზ(1), ი(2), მ(1), ნ(2), რ(2), ს(3), ტ(1), ვ(1), ო(1), ც(1), ს(1).

როგორც ირკვევა, საქმე გვაქვს წარწერიან საფლავის ქვასთან, რომელიც სტელის სახით იქნებოდა აღმართული საფლავზე. წარწერის დაზიანებულ ნაწილში, სავარაუდოა, აღნიშნული იქნებოდა დაკრძალულის სახელი. ნეკრესის სხვა წარწერებისაგან განსხვავებით აღნიშნულ წარწერას ორი სიახლე ახასიათებს. ის ხანმეტურია და მასში გვხვდება ძველი ქართული წყაროებისთვის უცნობი სოციალური ტერმინი აზატი. ეს ტერმინი ვარაუდით ქართულ ხანაში უნდა იყოს შემოსული. აღნიშნავდა - თავისუფალს. მეზობელი ქვეყნების - ირანისა და სომხეთის - მაგალითებით აზატები მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი მეომრები იყვნენ. არის ვარაუდი, რომ მასთან არის დაკავშირებული ქართული სოციალური ტერმინი აზნაური - მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლის სახელი, რომელიც დადასტურებული გვაქვს პირველივე ქართულ ლიტერატურულ ძეგლში „შუშანიკის წამება." წარწერის მიხედვით აზატის ინსტიტუტის არსებობა საქართველოში შეიძლება ახ.წ. აღ. პირველი საუკუნიდან ვივარაუდოთ. ადრეულ ქართულ ძეგლებში ის არ გვხვდება.

აღნიშნული წარწერა ნეკრესში აღმოჩენილ სხვა რამდენიმე წარწერასთან ერთად დღეისათვის ცნობილ ქართულ წარწერებს შორის ყველაზე უადრესია და ის ახ.წ. აღ. I-II-III საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამ წარწერიანი სტელის გარდა ნეკრესის ნაქალაქარზე, კერძოდ, ადგილ - „ნაგებებში" აღმოჩენილია 5 სხვა წარწერიანი ქვა, რომლებიც ჩატანებული ყოფილა IV საუკუნის სასახლის კედლებში, მეორადი გამოყენებით. წარწერების დათარიღებაში გვეხმარება არქიტექტორული ნაგებობების ქვეშ არსებული კულტურული ფენის არქეოლოგიური მასალა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნეკრესის წარწერებს აქვს ყველა პალეოგრაფიული გამორჩეული ნიშანი, რომლითაც თარიღდება ქართული წარწერების ყველა, ადრეულად მიჩნეული წარწერა (პალესტინა, ბოლნისი, ურბნისი). ეს ნიშნებია: თავშეკრულობა, მარცხნივ გაზიდული ხაზის და ქარაგმის არ არსებობა, კუთხოვნება. ნეკრესის წარწერაზე არ გვ ხვდება ტექსტის დასაწყისის და დასასრულის სტანდარტული, დაკანონებული ფორმები: „ქრისტე,"„ვედრება,"„უფალო,"„ღმერთო,"„იყავნ,"„იყავნ,"„ამენ"და სხვ. რაც დამახასიათებელია ქრისტიანული ხანის წარწერებისათვის.

დასკვნები:

1. ზემოთგანხილული წარწერა, ნეკრესის სხვა ხუთ წარწერასთან ერთად წინაქრისტიანული შემოქმედების ნაყოფია. არქეოლოგიურად ისინი თარიღდება ახ.წ. აღ.I-III საუკუნეებით. ყველა განეკუთვნება ცეცხლთაყვანისმცემელთა საფლავის ქვებს. ამგვარ დათარიღებას ეთანხმება წარწერაში დადასტურებული სოციალური ტერმინი „აზატი" და ტექსტის ხანმეტური ხასიათი.
2. წარწერიანი ქვა დაზიანებულია - მოტეხილი აქვს თავიც და ბოლოც. ასევეა დაზიანებული სხვა წარწერიანი ქვებიც, რაც შემთხვევითობას არ შეიძლება მივაწეროთ. ისინი განზრახ, წინასწარმოფიქრებული ღონისძიებით ჩანს დაზიანებული, რაც ქრისტიანობის გავრცელებისას, ცეცხლთაყვანისმცემლებთან დაპირისპირების დროს არის განხორციელებული. ამ დროს ე.ი.IV საუკუნის დასაწყისში მთელი სისასტიკით დაანგრიეს და გაძარცვეს მაზდეანთა ტაძარი - მეტად შთამბეჭდავი, მუნუმენტური არქიტექტურული ძეგლი, როგორც ჩანს. ეს იყო საერთო ღონისძიება მაზდეანთა წინააღმდეგ, როდესაც გაუნადგურებიათ მათი ტაძარსალოცავები ან გადაუკეთებიათ ქრისტიანულ ეკლესიებად; საფლავის ქვები დაუმტვრევიათ და დაუყრით, მოგვიანებით კი გამოუყენებიათ როგორც სამშენებლო მასალა.
3. ნეკრესის წარწერების აღმოჩენის შემდეგ, დღეს გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, ქართული ასომთავრულის განვითარება არ შეიძლება დაუკავშირდეს ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებას. იგი გაცილებით ადრეა მომხდარი სხვა სოციალური გარემოსა და რელიგიური მრწამსის პირობებში.
4. ჩვენი ვარაუდით, ქართული ანბანის შემოღება და დამწერლობის განვითარება დაკავშირებული შეიძლება იყოს მაზდეანური რელიგიის ტექსტების - ლოცვების, ჰიმნების და სხვათა სათარგმნელად და ქართველ მაზდეანთა საკუთარ ეროვნულ ენაზე აღნიშნული ტექსტებით უზრუნველსაყოფად, რიტუალის სრულყოფილი წარმართვისათვის.
5. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, მსგავსივე ღონისძიების განხორციელებას - რელიგიური წიგნების ქართულ ენაზე თარგმანის საქმეს ეკლესიის მესვეურნიცა და ქართველ ქრისტიანთა მრევლიც მომზადებული შეხვდნენ, რადგანაც მათ უკვე ჰქონდათ ეროვნული ანბანიცა და მწიგნობრობაც. ეს იმ დროს, როდესაც ქართველთა მეზობლები ამ დროს იწყებენ იმავე საქმიანობისათვის საკუთარი ანბანის შექმნას ქრისტიანული საღმრთო ჰიმნების სათარგმნელად (სომხები, ალბანელები).

6. ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზ მეფის მიერ (ძ. წ. აღ.III ს.) მწიგნობრობის გავრცელების შესახებ „და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“) ნდობით უნდა მოვეკიდოთ. ფარნავაზის დროს იწყება ცეცხლის კულტის განსაკუთრებული გავრცელება. მანვე დააფუძნა აჰურა მაზდას კულტი და თვით კი ღმერთის რანგში მოგვევლინა. „მწიგნობრობა“ პირველ რიგში უნდა გავიგოთ როგორც „წიგნის,“რელიგიური შინაარსის, სჯულის კანონთა კრებულის დოკუმენტური გაფორმები. „ბიბლია“ წიგნია, ისევე, როგორც „ყურანი“, „წიგნის ხალხი“ კი - გარკვეული სჯულის წიგნის მიმდევარი. „მწიგნობრობა“ პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, როგორც სჯულის კანონის წიგნის შექმნა. მაშასადამე მწიგნობრობის შემოღებაში პირველ რიგში საეკლესიო წიგნების თარგმნა იგულისხმება, კონკრეტულ შემთხვევაში კი „ავესტას“ წიგნების გადმოქართულება.

ლევან ჭილაშვილი
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

*ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი, ამოიწერეთ არგუმენტები.

*არგუმენტებს მოუძებნეთ კონტრარგუმენტები, თქვენი აზრით, რა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მოცემულ მსჯელობას?

* ტექსტიდან ამოიწერეთ მთავარი, ამხსნელი და შემაჯამებელი წინადადებები; დააკვირდით, წინადადებათა გადაბმის ხერხებს.

2. წაიკითხეთ ტექსტი, შეადგინეთ მთავარი და შემაჯამებელი წინადადებები.

.....

როჩესტერის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გამოავლინა წითელი ფერის ნეგატიური ზეგავლენა აკადემიურ შედეგებზე ტესტირებისა და გამოცდების დროს. ფერადოვანი ასოციაციები იმდენად ძლიერია, რომ ტესტირებულ პირთა შედეგებს წითელი ფერის უმნიშვნელო და ხანმოკლე ზემოქმედებაც კი აქვეითებსო,– ამტკიცებენ მკვლევრები ,,ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ჟურნალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. როცა ადამიანი თუნდაც მცირე ხნით წითელი ფერის ციმციმს უყურებს, მას უმალ შეცდომებსა და წარუმატებლობასთან აკავშირებს, ეს კი ტესტირებისას უარყოფითად მოქმედებს ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. როგორც მკვლევრები მიიჩნევენ, მსგავს ასოციაციას საფუძველი სასკოლო პერიოდში ეყრება, რადგანაც მოსწავლეთა შეცდომები წითელი ფერის კალმით სწორდება.

.....

.....

.....

სავარჯიშო №3. წაიკითხეთ საგაზეთო სტატია, ამოიწერეთ შესავალი, განმავითარებელი და დასკვნითი აბზაცები და შეაფასეთ ისინი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით.

1. შესავალი აბზაცი

ა) თემის აქტუალურობა: .....

.....

.....

ბ) ავტორის პოზიცია - თეზისი:

.....

.....

.....

გ) მკითხველს აღუძრავს ინტერესს:

.....

.....

.....

.....

2. განმავითარებელი აზზაცი

ა) განხილულია მთავარი თემის მხოლოდ ერთი ასპექტი:

.....

.....

.....

.....

ბ) წამყვანი აზრი უკავშირდება საკვანძო დებულებას:

.....

.....

.....

.....

გ) თანმიმდევრული, ლოგიკურია და სხარტად იკითხება:

.....

.....

.....

.....

3. დასკვნითი აზზაცი

ა) აქ შეჯამებულია წერითი ნაშრომის მთავარი სათქმელი:

.....

.....

.....

.....

.....

ბ) მასში არ არის ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული, ახალი ინფორმაცია:

.....

.....

.....

.....

.....

გ) დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები

.....

.....

.....

.....

.....

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ:

1. რა არის აბზაცი?
2. რა ეწოდება აბზაცში შემავალ წინადადებებს?
3. რას გადმოსცემს მთავარი წინადადება?
4. როგორი უნდა იყოს მთავარი წინადადება?
5. რაში ეხმარება მკითხველს მთავარი წინადადება?
6. რა ფუნქცია ეკისრება ამხსნელ წინადადებას?
7. რის საშუალებით შეიძლება მთავარი წინადადებით გადმოცემული აზრის დაზუსტება, ახსნა?
8. რაზე მიუთითებს შემაჯამებელი წინადადება?
9. როგორ უნდა გამოვკვეთოთ მთავარი სათქმელი?
10. წინადადებათა გადაბმის რამდენ სახეს იცნობთ?
11. წინადადებათა როგორ გადაბმას ეწოდება ჯაჭვური?
12. წინადადებათა როგორ გადაბმას ეწოდება პარალელური?
13. დაახასიათეთ წინადადებათა ნარევი გადაბმა; სად, რა ფუნქციით გამოიყენება ის?
14. რამდენგვარია აბზაცი დანიშნულების მიხედვით?
15. რა ფუნქციას ასრულებს დამოუკიდებელი აბზაცი? დამხმარე?
16. რა ფუნქცია აკისრია შესავალ აბზაცს?
17. როგორ უნდა განვავითაროთ შესავალი აბზაცი?
18. რა ფუნქციას ასრულებს ტექსტში დასკვნითი აბზაცი?
19. შეიძლება თუ არა დასკვნითს აბზაცში იყოს ახალი ინფორმაცია?
20. რა არის გადმოცემული დასკვნითს აბზაცში?

დაიხსომეთ: ზმნისწინის მართლწერა

ანვითარებს, ანცვიფრებს თუ ავითარებს, აცვიფრებს?

ზმნათა ერთ წყებაში, რომლებიც მომავალ დროს **აღ, გან, წარ** ზმნისწინების მეშვეობით იწარმოებს, ამ პრევერბების თანხმოვნითი ნაწილი ხშირად ახლანდელი დროის ფორმებში უმართებულოდ არის წარმოდგენილი: ანვითარებს, ანსახიერებს, ანზოგადებს, ანცალკევებს, ანცვიფრებს, ანთავისუფლებს, ღზრდის, აღფრთოვანებს, აღშფოთებს, ანრისხებს, ურდგენს, გაინვითარა, გაანცალკევა და ა. შ.

სწორია: **ავითარებს, აზოგადებს, აცალკევებს, ზრდის, აფრთოვანებს, აშფოთებს, არისხებს, უდგენს, აცვიფრებს, ასახიერებს, ათავისუფლებს და ა. შ.**

განაახლებს და გააახლებს, აღიზარდა და აიზარდა

განასახიერებს და გაასახიერებს, განათავისუფლებს და გაათავისუფლებს, აღიმაღლებს და აიმაღლებს და მისთანა ფორმები მნიშვნელობითაც განსხვავდება ერთმანეთისგან.

ავღნიშნავ, ავღწერ //აღვნიშნავ, აღვწერ?

სუბიექტური 1-ლი პირის ნიშანი ზმნაში ზმნიწინის შემდეგ იწერება: **ზმნისწინი+ ვ + ზმნის ფუძე,** ამიტომ შეცდომაა: ავღნიშნავ, ავღწერ, ავღნუსხავ...

სწორია: **აღვწერე, აღვნიშნე... გამონაკლისია: ვაღიარებ, ავღორძინდი...**

სავარჯიშო №1. ნახეთ თუ არის შეცდომები და გაასწორეთ:

1. ყველაფერს ვღნიშნავ და ვღრიცხავ, არაფერი გამომრჩება;
2. მაშ, ასე: ცუცქია მანთავისუფლებს;
3. კარგს და ცუდს ვერ ანსხვავებს ერთმანეთისგან, მტერს და მოყვარეს ვერ ამცალკევებს და ერთის დანაშაულს ყველაზე ანზოგადებს;

4. ქუჩაში კვლავ განვაახლეთ ტელევიზორის მყიდველისა და დაქირავებული მუშის როლი;
5. მე ამის შესახებ საგანგებოდ ავღნიშნე, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევია;
6. ლუარსაბმა არ იცოდა, რომ ამგვარი ქცევით ღმერთს ანრისხებდა;
7. ეს სახეობა ყველას ანცვიფრებს და აღფრთოვანებს;
8. მთავარ როლს ამ ფილმში კახი კავსაძე ანსახიერებდა;
9. ეს ტაძარი დღესაც ანცვიფრებს მნახველთ;
10. რექტორი დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის საპატიო სტუმრებს ურდგენს.

დაიხსომეთ: ზმნიზედის მართლწერა

ზმნიზედა დაერთვის ზმნას (ან ნაზმნარ სახელს) და გვიჩვენებს მოქმედების **ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს** და ა. შ.	
ვითარებითი ბრუნვის გაქვავებული ფორმები:	უცბად, კარგად, ცუდად, მარდად, პირველად, გაისად, აზიზად, ამაოდ, უსათუოდ, უთუოდ, სათითაოდ, ხელმეორედ, მთლად, ძველად, ერთბაშად, წყნარად, მწარედ, ფართოდ, ვიწროდ, ყრუდ, ცერად, ნაკლებად, ყოვლად, მშვენივრად, ლამაზად, სასახელოდ და მისთ. **შეცდომაა:** უცბათ, კარგათ, ცუდათ, მარდათ, პირველათ, გაისათ, აზიზათ, ამაოთ... **გამონაკლისია: უნებლიეთ.**
მოქმედებითი ბრუნვის გაქვავებული ფორმები:	ალბათ, ზევით, ქვევით, შიგნით, გარეთ, წინათ... **შეცდომაა:** ზევიდ, ქვევიდ, შიგნიდ, გარედ, წინად...
შერწყმული (კომპოზიტური) ზმნიზედები:	იწერება ერთად (უდეფისოდ): **ცალმხრივ, ყოველმხრივ, ყოველნაირად, მეტისმეტად, დიდხანს, ერთხმად, ათასფრად, ამრიგად, ერთბაშად, ერთსულოვნად, დროგამოშვებით** და მისთ.
ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები:	დეფისით იწერება **ნელ-ნელა, ჩქარ-ჩქარა, ნება-ნება, ქუჩა-ქუჩა, ტყე-ტყე, ხევ-ხევ, უკან-უკან, ნაჭერ-ნაჭერ, ნაკუწ-ნაკუწ, სოფელ-სოფელ...**
პარალელურ ფორმათაგან პირველი სალიტერატურო ნორმაა, მეორე კი – დიალექტური: **აგრემც||ასემც, ამაღამ||ამეღამ, არასგზით||არაგზით, არასდროს||არადროს, არსაიდან||არსიდან, აქა-იქ||იქა-აქ, აქედან||აქიდან, აქეთ||აქით, აქეთობას||აქითობას, აღარასოდეს||აღარაოდეს, ახლავე||ეხლავე, ახლანდელი||ეხლანდელი, იქიდან||იქედან, იქით||იქეთ, სადამდე||სადამდინ, სადაც||საცა, სადღაც||საღაცა, საიდან||საიდამ, სანამ||მინამ, სანამდე||მინამდე, ხანდახან||ხანდისხან.**	

თემა VII. ესე; ესეს სტრუქტურა, მოდელები და სახეები

7.1. ესეს რაობა

ესეს, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ჩამოყალიბება ფრანგი მოაზროვნის – მიშელ დე მონტენის (1533-1592) სახელს უკავშირდება. მან თავის წიგნს ,,les essais" (,,ცდები") დაარქვა. მონტენის შემდგომ სხვადასხვა მოაზროვნისა და მწერლის ხელში ეს ლიტერატურული ჟანრი როგორც სტილისტიკურად, ისე შინაარსობრივად შეიცვალა, მაგრამ აზროვნების მანერის სუბიექტურობა და თავისუფლება უცვლელი დარჩა.

წერის პროცესში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩვენი ასოციაციების, გრძნობების, პირადი დაკვირვებების და შთაბეჭდილებების შესახებ. მნიშვნელოვანია არა დაწვრილებითი აღწერა და განხილვა კონკრეტული დეტალებისა, არამედ საკითხის ან პრობლემის ფართო კონტექსტში გააზრება.

ესეს ენა მკითხველისათვის გასაგები და ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს. სასურველია, მოვერიდოთ სპეციფიკური და სპეციალური ტერმინოლოგიის ჭარბად გამოყენებას. წერის პროცესში უნდა გამოიკვეთოს ძირითადი პრობლემა და მასთან დაკავშირებული მოსაზრებები. საკუთარი თვალსაზრისი უნდა შევაფასოთ სხვადასხვა პოზიციიდან, შევეცადოთ მოკლედ და ლაკონიურად ჩამოვაყალიბოთ ძირითადი სათქმელი.

როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით ესე თავისუფალ ლიტერატურულ ჟანრს მიეკუთვნება.

შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ესეს რამდენიმე ტიპი:

ლიტერატურულ-პუბლიცისტური; კრიტიკული; ფილოსოფიური; ისტორიული; სამეცნიერო; ბიოგრაფიული; ფსიქოლოგიური; სოციოლოგიური და ა. შ.

7.2. ესეს სტრუქტურა

დღეს ესემ, როგორც ლიტერატურულ-პუბლიცისტურმა ტექსტმა, თავდაპირველი მნიშვნელობა შეიცვალა. ესე არის არც თუ ისე დიდი მოცულობის თხზულება, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა და სტრუქტურა. ნებისმიერი ტიპის ესე შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან.

I. შესავალი ნაწილი

იმისათვის, რომ ესეს შესავალი ეფექტური იყოს, სასურველია გავითვალისწინოთ:

1. მკაფიოდ გამოვკვეთოთ მიზანი, ანუ თავიდანვე გავაცნოთ მკითხველს, თუ რა საკითხის შესახებ გვსურს საუბარი. ტექსტი დავიწყოთ შესავლით;
2. დავსვათ ისეთი შეკითხვა, რომლის შესახებაც შეიძლება ვისაუბროთ ესეში;
3. შესავალი დავიწყოთ მკითხველისათვის ნაცნობი, ადვილად აღსაქმელი სიტუაციის აღწერით, რათა დავაინტერესოთ მკითხველი.
4. მოვერიდოთ შაბლონურ და პათეტიკურ წინადადებებს, რომლებიც დაბალ ენობრივ კულტურაზე მიანიშნებს და მკითხველში უარყოფით ემოციას იწვევს.

II. ძირითადი ნაწილი

ძირითად ნაწილში გადმოცემულია ავტორის მთავარი სათქმელი, განმარტებული და დასაბუთებულია შესავალში მოცემული მთავარი დებულებები, ლოგიკურადაა განვითარებული მსჯელობა, მოყვანილია არგუმენტები, ჩანს ავტორის შეფასებითი დამოკიდებულება.

III. დასკვნა

დასკვნა ერთგვარი შეჯამებაა ესეში გადმოცემული მოსაზრებებისა, რომლებიც მკითხველს კიდევ ერთხელ ხაზგასმით უკონკრეტებს ავტორის მიზანს, წარმოაჩენს თემის აქტუალობას და პერსპექტიულობას.

7.3. ესეს მოდელები

არსებობს ესეს ორი ძირითადი **მოდელი: 1. მიზეზ-შედეგობრივი და 2. შედარება-შეპირისპირებითი.**

მიზეზ-შედეგობრივი ესე აღწერს მოვლენის გამომწვევ მიზეზებს და მოსალოდნელ შედეგებს. შედეგი გამომდინარეობს მიზეზისგან და ორივე ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება. აქ გამოიყენება წინადადებათა ჯაჭვური გადაბმის ხერხი. უმიზეზოდ არ არსებობს შედეგი და პირიქით. მიზეზ-შედეგობრიობის დაცვა აუცილებელია ლოგიკური მსჯელობის ასაგებად. სტუდენტს უჩნდება უამრავი კითხვა (რატომ ხდება ასე? რამ განაპირობა ეს? რა არის მოსალოდნელი? რა შედეგებამდე მიგვიყვანს ცალკეული მიზეზი? და ა. შ.), რომელთაც ესეს წერისას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი.

მრავალმა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს ერთი შედეგი და ერთმა მიზეზმა – რამდენიმე შედეგი. საგნებისა და მოვლენების მეცნიერულმა შესწავლამ უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ ფაქტის გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები.

მაგალითად, **რა შეიძლება მოჰყვეს გარემოს დაბინძურებას?**

შედეგი 1. ეკოლოგიური პრობლემების გაჩენა;

შედეგი 2. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

შედეგი 3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლება;

შედეგი 4. კაცობრიობის გადაშენება.

სავარჯიშო № 1. დაწერეთ მიზეზ-შედეგობრივი ესე შემდეგი მონაცემის მიხედვით:
მიზეზი: მეცადინეობების სისტემატიური გაცდენა

შედეგი 1.

.....

.....

.....

.....

შედეგი 2.

.....

.....

.....

.....

შედეგი 3.

.....

.....

.....

.....

1. **დღესდღეობით საქართველოში თითქმის ყველა ოჯახი სხვადასხვა მიზეზის გამო სარგებლობს იპოთეკური სესხებით. იმსჯელეთ შედეგებზე**

შედეგი: 1.

.....

.....

.....

.....

შედეგი: 2.

.....

.....

.....

.....

შედეგი: 3.

.....

.....

.....

.....

2. **მშობლების ნაწილი უარს ამბობს ან თავს არიდებს აცრებს. იმსჯელეთ რა არის ამის მიზეზი**

მიზეზი:

.....

.....

.....

შედეგი:

.....

.....

.....

მიზეზი:

.....

.....

.....

შედეგი:

.....

.....

.....

3. **ადამიანებს უჭირთ საჯარო გამოსვლები და ცდილობენ თავი აარიდონ მას. იმსჯელეთ ამ ფაქტის მიზეზშედეგობრიობაზე**

მიზეზი:

.....

.....

.....

შედეგი:

.....

.....

.....

მიზეზი:

.....

.....

.....

შედეგი:

.....

.....

.....

მიზეზი:

.....

.....

.....

შედეგი:

.....

.....

.....

სავარჯიშო №.თქვენ მიერ წარმოდგენილი მიზეზებითა და შედეგებით ააგეთ არგუმენტირებული ესე.

_ _ _ _

კერძო სტრუქტურა – შეზღუდული სამუშაო ადგილები, მაღალი ხელფასი, განუსაზღვრელი სამუშაო დრო და ა. შ.

შედარებითი ესეს ნიმუში

შოთა ზოიძე

მიშელი, ტატო და ორი გენიოსის ერთი ბედისწერა

Гений умирают вовремя!

А. **Н. Скрябин**

მიხეილ ლერმონტოვი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თანამედროვენი იყვნენ, ორივე – გენიოსი, ორივე – რომანტიკოსი. მოფერებითა თუ სიყვარულით ლერმონტოვს მიშელს ეძახდნენ, ხოლო ბარათაშვილს – ტატოს. მიშელი 1814 წელს დაიბადა, ხოლო ტატო – 1817 წელს. მიშელი ტატოზე სამი წლით უფროსი იყო და სამი-ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა. მიშელი დაიბადა ქალაქ მოსკოვში, თავისი ქვეყნის, ანუ რუსეთის დედაქალაქში. ტატო დაიბადა ქალაქ თბილისში, თავისი ქვეყნის, ანუ საქართველოს დედაქალაქში.

ჩემი მიზანი როდია ორი დიდი პოეტის ბიოგრაფიული მომენტების გახსენება. ამ პარალელებით მინდა მკითხველს ვიზუალურად ვაჩვენო მათი ერთნაირი ბედისწერა.

ლერმონტოვი დაიღუპა თავისი სამშობლოდან შორს, მისთვის უცხო მხარეში, ქალაქ პიატიგორსკში. ბარათაშვილიც თავისი სამშობლოდან შორს, მისთვის უცხო მიწაზე, ქალაქ განჯაში გარდაიცვალა.

ლერმონტოვიცა და ბარათაშვილიც 27 წლისანი იყვნენ.

ლერმონტოვმაც და ბარათაშვილმაც იწინასწარმეტყველეს საკუთარი აპოკალიფსური აღსასრული. ერთიც და მეორეც გრძნობდა და წინასწარმეტყველებდა ტრაგიკულ ბედისწერას. ორივენი ბაირონივით თავად დაეძებდნენ სიკვდილს. ლერმონტოვს კავკასიის ბრძოლებში ყველაზე უფრო სახიფათო ბატალიებისაკენ მიუწევდა გული, ხოლო ბარათაშვილს –განჯის შემოგარენში ტყის ყაჩაღებთან ბრძოლა არგუნა ბედმა.

მიშელს თავის ადრინდელ ყმაწვილობისჟამინდელ რვეულში ანდერძივით ჩაუწერია: „...Положите камень и – пускай на нем ничего не будет написано, если одного имени моего не довольно будет доставить ему бессмертие».

წინასწარმეტყველური ტრაგიზმი თვალსაჩინოა ბარათაშვილის ლექსებსა და პირად წერილებში. ‚ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის/ ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის/ შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის/ და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას დამაყრისო. სულ მალე, რამდენიმე თვეში აუხდა ეს სულისშემძვრელი წინასწარმეტყველება.

ბარათაშვილი 1845 წლის აგვისტოში, ელისავეტოპოლში (იგივე მურუთი), ქალაქ განჯიდან 14 კილომეტრის დაშორებით, რუსული ეკლესიის გალავანში მიიბარა მისთვის უცხო მიწამ. ლერმონტოვმაც ნათესავებისაგან შორს, პიატიგორსკში (მაშუკის მთასთან) ძველ სასაფლაოზე ჰპოვა სამარე 1841 წელს. ერთიცა და მეორეც უცოლშვილოდ გადაეგო წუთისოფლიდან.

ლერმონტოვი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გადაასვენეს პიატიგორსკიდან თავის მშობლიურ მხარეში და დაკრძალეს საგვარეულო სასაფლაოზე, პენზის გუბერნიის სოფელ ტარხანში. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი 47 წლის შემდეგ დაუბრუნდა განჯიდან მშობლიურ მიწას. ჯერ თბილისში, დიდუბის პანთეონში, მოგვიანებით მთაწმინდის გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჰპოვა სამარე. ორივე პოეტის პირველი საფლავი დაკარგულად ითვლება. პიატიგორსკის ძველ სასაფლაოზე დგას ლერმონტოვის ობელისკი, მაგრამ არა იმ ადგილას, სადაც მისი საფლავი იყო.

არც ლერმონტოვის და არც ბარათაშვილის ფოტოსურათი შემოგვინახა ბედისწერამ. ლერმონტოვის სახე ფერწერულ ტილოებში გაცოცხლდა, როდესაც პეტერბურგში საიუნკრო სკოლა დაასრულა და ოფიცრის მუნდირი პირველად მოირგო, მისმა ბებიამ, ელიზავეტა არსენიევამ, მხატვარ ბუტკინს შვილიშვილის პორტრეტი შეუკვეთა. ამ შეკვეთამ ბუტკინი უკვდავებაში შეიყვანა. შემდგომ პოეტის პორტრეტები შექმნეს ზაბოლოდსკიმ, კლიუნდერმა, გორბუნოვმა და ბევრმა სხვამ. ეს ის დროა, როცა ახლად იდგამდა ფეხს ფოტოგრაფია. ლერმონტოვმა ვერ მოასწრო სურათის გადაღება. ბარათაშვილის

სახე აღბეჭდა დაგეროტიპმა. სამწუხაროდ, ისიც განადგურდა. XIX საუკუნის 70-იან წლებში პოეტის დამ, ნინომ, სტუმრად მისულ ილია ჭავჭავაძეს აჩვენა ტატოს ზემოთ ხსენებული სურათი. ილიამ იგი იმ დროისათვის თბილისში ცნობილ ფოტოგრაფ დუბელირს გასამრავლებლად მიუტანა. საუბედუროდ, იმ ღამით დუბელირის ფოტოატელიე ხანძარმა შთანთქა. ესეც გენიოსის ბედისწერა!

საბედნიეროდ, ბარათაშვილის სახე შემოგვინახა პოეტის სიყრმის მეგობრის, არაპროფესიონალი, უფრო სწორედ, დილეტანტი მხატვრის მიხეილ თუმანიშვილის ფანქრით შესრულებულმა ესკიზებმა. თანამედროვენი აღიარებდნენ, რომ ტატოს გაჭრილი ვაშლივით ჰგვანებია მისი და სოფიო. დიმიტრი ყიფიანის მეუღლე ნინო იგონებს: „Вот уговорите кн. Софию снятсья в фотографии, приделите ей усики и наденте ей сюртук и будет у вас портрет поэта.“ თუმანიშვილის ესკიზებსა და თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, გამოჩენილმა ლადო გუდიაშვილმა 50-იან წლებში შექმნა ტატოს პორტრეტი, რომელიც დაამტკიცა სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ. 1979 წელს ბარათაშვილის შესახებ ჩემთან საუბრისას ლადო გუდიაშვილმა ხაზი გაუსვა ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პორტრეტულ მსგავსებას, რაც მეტად საგულისხმოა.

ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი ლექსები დაბეჭდილი არ უნახავს. ვერც აღიარებას მოესწრო. ლერმონტოვმა გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე, 1837 წელს, დაიწყო ლექსების გამოქვეყნება და აღიარებაც თვალსაჩინო იყო. ორივე პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების ხანგრძლივობა 12-13 წელია. ლერმონტოვს თანამედროვეებმა რუსი გოეთე, ხოლო ბარათაშვილს – ქართველი ლერმონტოვი უწოდეს.

ბარათაშვილი ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე, მაგრამ კოჭლობის გამო (ბავშვობაში ფეხი მოიტეხა), სამხედრო სასწავლებელში არ მიიღეს. „ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქომამდენ და ახლაც ხანდახან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულშიო, – წერდა 1837 წელს გრ. ორბელიანს. ლერმონტოვიც ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე. ამ მიზნით მიატოვა მოსკოვის უნივერსიტეტი და პეტერბურგის სამხედრო სკოლა დაასრულა. შემდგომ იგი ჰუსართა პოლკის ოფიცერი გახდა.

ბარათაშვილი 1845 წლის ივნისში გააწესეს განჯაში, სადაც მალე გარდაიცვალა. ლერმონტოვი 1840 წელს გადმოასახლეს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მალე დაიღუპა.

ლერმონტოვი და ბარათაშვილი ერთდროულად გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს ის დროა, როცა პეტერბურგში სასტიკად გაუსწორდნენ დეკაბრისტულ მოძრაობას, ხოლო საქართველოში დარბეულია ცნობილი 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულება. ისტორიის ამ მონაკვეთს „უდროობის ხანა“ უწოდეს. იგი არანაკლებ მძიმე იყო ბარათაშვილისა და ქართველი ინტელიგენციისათვის.

პეტერბურგში ხუთი დეკაბრისტი ჩამოახრჩვეს, ხოლო თბილისში 1834 წლის 10 თებერვლის განჩინებით, შეთქმულების 10 მონაწილეს სიკვდილი მიუსაჯეს – ე. წ. четвертование – ჯერ ხელ-ფეხისა და შემდეგ თავის მოკვეთა. მალე ეს განაჩენი გადასახლებით შეცვალეს. შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი და მეგობარი სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში გადაასახლეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა; სოლომონ რაზმაძე – პენზაში, დიმიტრი ყიფიანი – ვოლოგდაში (მეორედ 1886 წელს, სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მეფის აგენტებმა 1887 წლის 24 ოქტომბერს ღამით მძინარე მოკლეს, ხოლო ვახტანგ ორბელიანი – კალუგაში. ტატოს თანამედროვე რომანტიკოსი პოეტები ვარაუდობენ, რომ შეთქმულების სამ მონაწილეს – ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანსა და სოლომონ დოდაშვილს 1829 წელს თბილისში ყოფნისას გასცნობია პუშკინი.

1837 წელს ლერმონტოვი საქართველოში გადმოასახლეს. ამ დროს გამოქვეყნებული აქვს „პოეტის სიკვდილი“ და სხვა ლექსები. ნათელია, რომ ქართველი რომანტიკოსები უკვე იცნობდნენ მათ. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი, რომელშიც ლერმონტოვი მსახურობდა, კახეთში იდგა. წყაროებით დასტურდება მისი მონაწილეობა თბილისში გამართულ სამხედრო აღლუმში, რომელიც ნიკოლოზ პირველის საქართველოში სტუმრობას მიეძღვნა. ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორს ზღაპრული ბალი გაუმართა, რომელშიც ლერმონტოვიც მონაწილეობდა დრაგუნთა პოლკის ოფიცრებთან ერთად. აქ იყვნენ ქართველი პოეტები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. პავლე ინგოროყვას ცნობით, იმპერატორს ბარათაშვილისათვის ხელი ჩამოურთმევია. ალ. ჭავჭავაძე ადრევე იცნობდა ლერმონტოვს, მაგრამ ძნელი სათქმელია, ამ ვითარებაში გაეცნენ თუ არა მას ორბელიანი და ბარათაშვილი.

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ბიოგრაფიაში ფიგურირებს კიდევ ერთი პიროვნება, ტატოს თანაკლასელი და მეგობარი, შემდგომში რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1869 წლიდან), კონსტანტინე მამაცაშვილი. იგი მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიის ომებში. სწორედ აქ დაუმეგობრდა მიხეილ ლერმონტოვს. ისტორიკოსთა ცნობით, მათ ერთად გადაუხდიათ მძიმე ბრძოლები და ძალიან კარგი

ურთიერთობა ჰქონიათ. უთუოდ საინტერესოა რუსულ ენაზე დაწერილი მამაცაშვილის „მემუარები“, რომლებიც პეტერბურგის პუშკინის სახლის არქივშია დაცული. დღესავით ნათელია, რომ მამაცაშვილი ლერმონტოვს მოუთხრობდა თავისი სიყრმის მეგობარი ქართველი პოეტის შესახებ.

ლერმონტოვი წუხდა: „Господа! когда-то русские будут русскими.“ ანალოგიური იყო ბარათაშვილის ფიქრი და სიზმრები ქართველებსა და საქართველოზე.

ორი გენიოსის რომანტიკული გზავნილი მკითხველისადმი დაუსაბამო ფიქრისა და განსჯის გენერატორი გახდა. აქ ლერმონტოვი ბარათაშვილზე მეტია და პირიქით, ბარათაშვილი მეტია ლერმონტოვზე. ლერმონტოვის რომანტიზმი სოციალური ბუნებისაა, ბარათაშვილთან კი სოციალურთან ერთად ეროვნული მოტივი წინაურდება. მეფის რუსეთის რეჟიმი ერთნაირად მძიმე იყო როგორც რუსი ხალხისათვის, ასევე ეროვნული უმცირესობებისათვის. ლერმონტოვისა და ბარათაშვილისათვის ერთნაირად ახლობელია გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ბედი, მიუხედავად მათი ეროვნული წარმომავლობისა.

გოგოლმა ლერმონტოვის ნაწერებს კეთილსურნელოვანი (Благоуханной), ხოლო ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილს დიდბუნებოვანი უწოდა.

სავარჯიშო 1. შეადარეთ ერთმანეთს: ა) ორი თანაკურსელი.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ბ) ორი პერსონაჟი: ოთარაანთ ქვრივი და თავსაფრიანი დედაკაცი;

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

გ) ფილმ „გარიგების“ ძველი და ახალი გადაღებანი. მსგავსება-განსხვავებანი ასახეთ ვენის დიაგრამაზე

დავალება. წაიკითხეთ ერთი ლექსის გააზრების ორი ნიმუში და დაწერეთ შედარება- დაპირისპირებითი ესე.

1. გალაკტიონის შედევრი **„მზეო თიბათვისა“** პოეზიის მოყვარულთა უმრავლესობამ ზეპირად იცის, მაგრამ ცოტაოდენს თუ შეუძლია გაიხსენოს, რომ თიბათვე ივნისია და თითქმის არავინ ინტერესდება იმით, რა იგულისხმება ივნისის მზეში. ნუთუ მართლაც თვეები იგულისხმება თიბათვესა და მკათათვეში? რით სჯობია ივნისის მზე, ვთქვათ, მაისის მზეს? და რატომ ევედრება მაინცდამაინც ივნისის მზეს მფარველობას? ჭეშმარიტება კი სულ სხვაა: აქ არც თვეები იგულისხმება და არც ასტრალური მნათობი: **თიბათვის მზე განკითხვის დღეა, მზე კი – მაცხოვარი.** თიბათვე მკათათვის ძველქართული სახელწოდებაცაა:ვრცელი შინაარსით მასში იგულისხმება ყანის მკაც. ბიბლიაში ვკითხულობთ: ,,ბოროტების თესლის მარცვალი ადამის გულშია დასაბამიდან ჩათესილი და რაოდენ უკეთურება წარმოშვა დღემდე და კიდევ წარმოშობს, ვიდრე მკის ჟამი მოაღწევდეს“ (მესამე ეზრა: 4, 29).

,,მოვიდა მკის ჟამი და მოიწია სამკალი ქვეყნად“ (გამოცხადება: 14, 5). მაცხოვარი ასე განუმარტავს მოციქულებს ღვარძლისა და თესლის ალეგორიას: ,,კეთილი თესლის მთესავი ძეა კაცისა. ყანა არის ქვეყანა; ,,კეთილი თესლი სასუფევლის ძე არს, ხოლო ღვარძლი – უკეთურისა. ღვარძლის მთესავი ეშმაკია, მკა – ქვეყნის დასასრული და მომკალნი – ანგელოზები (მათე: 13, 37-39).

ამგვარად, განკითხვის დღეზე მკა ითქმება და არა თიბვა, იმიტომ რომ თიბვისას იჭრება, იცელება ბალახი, მკისას კი არჩევენ, აცალკევებენ, ახარისხებენ, რომ ხორბალს არ შეერიოს ღვარძლი, სარეველა, საკვებად უვარგისი მცენარე. თიბვისას ვჭრით იმას, რაზეც შრომა არ დაგვიხარჯავს, არ დაგვითესავს, მკისას კი მზრუნველობით ვაგროვებთ, ვიღებთ მას, რაზედაც შრომა გავწიეთ, ოფლი, ჭირი ვნახეთ. ასე რომ, პირველად მკა და მკათათვე, რომლის სინონიმად პოეტი თიბათვეს იყენებს, გულისხმობს არა წელიწადის დროს, ე. ი. რომელიმე თვეს, არამედ ქვეყნიერების არსებობის ბოლო ეტაპს, მეორე მოსვლას, განკითხვის დღეს. რაც შეეხება მზეს, იგი, როგორც სიმბოლო ხშირად იხსენება საეკლესიო მწერლობაში, განსაკუთრებით, საგალობლებში, ლიტერატურაშიც... სპეციალისტები წერენ, რომ ,,ვეფხისტყაოსანში“ მზე არის ხატი ღმრთისა არა ფიზიკური მზე-მნათობი, არამედ ქრისტე, ლოგოსი, ძე, რომელიც არის ,,ხატი ღმრთისა უხილავისა“, ანუ მზიანი ღამისა, ,,ერთ არსებისა ერთისა“, ანუ ,,უჟამო ჟამისა“. მაცხოვრის მზედ წარმოსახვა ბიბლიიდან მოდის. გალაკტიონიც მაცხოვარს მზედ წარმოსახავს. გრაალი არის ის თასი, ის ფიალა, რომლითაც უკანასკნელ სერობაზე მაცხოვარმა ღვინო მოსვა და რომელშიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს შენ-

გრეული გვერდიდან გადმონადენი სისხლი და წყალი შეაგროვა.

მაშასადამე, პოეტი ძე ღმერთის მზიურ ხატებას მიმართავს, ევედრება გრაალის მისტიკურ ფენომენს, როგორც მაცხოვრის ღვთაებრიობის სიმბოლურ ხატს, რომ იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარეო. ფრთა სიმბოლოა ზეციურისკენ, ზეარსისკენ სწრაფვისა და ძალისა, იგი მაცხოვრის ბიბლიური ატრიბუტია.

მაშასადამე, **,,მზეო თიბათვისა" არის** განკითხვის დღის შესახებ დაწერილი, **ბიბლიური სულით გაჯერებული ლექსი,** რომელშიც პოეტი წუთისოფლის ზეციურ მსაჯულს ევედრება, დაიცვას და გადაარჩინოს იგი, ვინც უყვარდა (**მურმან ხომერიკი).**

2. ,,მზეო თიბათვისა" სავედრებელია, პოეზიის ენაზე აღვლენილი ლოცვაა შეყვარებულისა ღვთისადმი.

,,მზეო თიბათვისა", ,,მზეო თიბათვისა",
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები.

გალაკტიონი მზის სახით ღვთისადმი აღავლენს სათხოვარს. ლექსი მზისადმი მიმართვით იწყება, მზე კი ღვთის ხატია. იგი ღვთაებად იყო წარმოდგენილი წარმართულ ეპოქაში, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხებში. მზის კულტი, როგორც ღვთაება, შემორჩა ქართულ ზეპირსიტყვიერებას.

მზის კულტი ქრისტიანულ საქართველოში მოდერნიზებული სახით დარჩა. წარმართულ ღვთაებას მზეს, ჩაენაცვლა მზე, არა როგორც საკუთრივ ღმერთი, არამედ როგორც ხილული ხატი უხილავისა, ხატი ქრისტესი.

,,მზეო თიბათვისა" ალეგორიული ლექსია. ზემოთ მოგახსენეთ, რომ ლექსი ეს არის შეყვარებულის მიერ ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა. ლირიკული გმირი ევედრება უზენაესს, დაიცვას იგი, ვინც უყვარდა დიდი სიყვარულით. ბუნებრივია, თქვენ ეს ლექსი სატრფოს გადასარჩენად აღვლენილი ლოცვა გგონიათ და ტექსტშიც სწორედ ეს წერია სიტყვასიტყვით... მაგრამ მოდით, გავიხსენოთ, სატრფოს ალეგორიით სამშობლოს წარმოდგენა ხომ ქართული ლიტერატურის ტრადიციაა.

,,მზეო თიბათვისას" თუ პატრიოტულ-ალეგორიული ლირიკის ნიმუშად გავიაზრებთ, ეს ლექსი იძენს კიდევ მეტ განზოგადებას, სიმძაფრეს...

რა არის გრაალი? როგორ გაჩნდა ეს ფრაზა ტექსტში და რატომ ევედრება პოეტი ღვთის მიმართვის შემდეგ გრაალს?... გრაალი თასი, ბარძიმია, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს სიწმინდეს, სულიერებას. გრაალი სიმბოლოა ღვთისმშობლისა. გრაალის მცველნი იცავენ ქვეყნის სულიერებას, გრაალი თავის მხრივ მფარველია ქვეყნისა.

როგორც ოჯახისათვის კერია, კერიის ქვა არის სიმბოლო სითბოსი, სიყვარულის, ბედნიერებისა და მისი დაკარგვა ოჯახის იავარქმნის მაუწყებელია, ასევე გრაალი მთელი ერის კერიის ქვაა.

ნიშანდობლივია ლექსის ბოლო სტროფი:

,,ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები.
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები".

ლექსი 1917 წელსაა დაწერილი, რუსეთის რევოლუციის შემდეგ... რა გასაკვირია, თუ იმედგაცრუების შემდეგ ,,ცეცხლის ენებით" დაფარულ დროში, როცა ინგრეოდა იმპერია და ნანგრევებში ითრევდა სხვებსაც, თუ სწორედ სამშობლოს ბედის გამო წერდა პოეტი:

,,მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები" (**ნ. გრიგალაშვილი)**

ყურადღებით წაიკითხეთ ზემომოყვანილი ორი ტექსტი, მსგავსება-განსხვავებანი ასახეთ ვენის დიაგრამაზე

7.4. ესეს სახეები

ჩვეულებრივ, განასხვავებენ ესეს ორ სახეობას. ესენია:

I. **ახსნითი ესე**

1. აღწერითი;
2. განმარტებითი;
3. ილუსტრაციული;
4. ანალიტიკური.

II. არგუმენტირებული ესე

1. განსაზღვრებითი (არის სამეცნიერო ხასიათის, მოცემულია ცალკეული ცნებების არსი);

2. განვითარებითი // ევოლუციური (იწყება მარტივი, ყველაზე გამოკვეთილი არგუმენტით და მას მოსდევს რთული, ძლიერი არგუმენტები);

3. ინტერპრეტაციული ესე გულისხმობს ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის, პერსონაჟის მიმართ საკუთარი, სუბიქტური თვალსაზრისის გამოთქმას. მასში ძირითადად ლიტერატურული ნაწარმოებია განხილული და გადმოცემულია ერთი გმირის საქციელის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

1. აღწერითი ესე

აღწერით ესეში მოცემულია ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, პრობლემის, საკითხის შესწავლის მდგომარეობის აღწერა, ანალიზი ან ახსნა.

აღწერის საშუალებით ავტორი ქმნის მის მიერ ნანახისა და განცდილის ზუსტ ვერბალურ (სიტყვიერ) სურათს. ეს საშუალებას აძლევს მკითხველს წარმოიდგინოს ის, რაც ავტორმა დაინახა, მოისმინა ან შეიგრძნო (სუნი, გემო, შეხება). ამის შედეგად იქმნება საგნის ან მოვლენის ერთიანი განცდა და შთაბეჭდილება.

აღწერისათვის უნდა შეირჩეს შესაფერისი ენობრივი საშუალებები: განსაზღვრებები, შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები.

აღწერითი ტექსტი შეიძლება იყოს სამი სახის:

1. **პორტრეტი – ადამიანის გარეგნობის, იერსახის აღწერა;**
2. **პეიზაჟი – ბუნების სურათის აღწერა;**

3. **სცენა – მოქმედების აღწერა.**

ჩვენ მუდმივად გვიწევს სხვადასხვა აუდიტორიისათვის და განსხვავებული მიზნებით აღვწეროთ ადამიანების ზნე-ხასიათები, ადგილები, საგნები და მოქმედებები. დაზღვევის აგენტი აღწერს დამტვრეულ მანქანას, სტუდენტი-ბიოლოგი – მცენარის უჯრედს და მის აგებულებას, ექიმი – პაციენტის ჭრილობას ან ჩატარებულ ოპერაციას. მეცნიერი აკვირდება და დეტალურად აღწერს მისთვის მნიშვნელოვან ობიექტს. ჩვენც ასე ვიქცევით, როცა რომელიმე დარგში ნაშრომს ვწერთ. აღწერის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მკითხველს სამყაროს შესახებ ჩვენი ხედვა გავაცნოთ. თუ მკითხველი უკეთ გაეცნობა ჩვენს შეხედულებებს საკამათო საკითხის შესახებ, მეტია ალბათობა იმისა, რომ ის ყურადღებით მოისმენს შემდგომ მსჯელობასა და დაეთანხმება შესაბამის დასკვნას. აქედან გამომდინარე, რის შესახებაც არ უნდა ვწერდეთ, ყოველთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ აღვწეროთ შესაბამისი მოვლენები და გარემოებები.

აღწერაში ყოველთვის ჩანს აღმწერის პოზიცია (ვინ აღიქვამს, ვის და როგორ?), **სუბიექტური ან ობიექტური** მიდგომა.

ობიექტური აღწერის დროს ჩვენი ყურადღება მიმართულია თვით საგნისადმი და არა იმ განცდებისა და ემოციებისადმი, რომლებიც მან შეიძლება ჩვენში გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ საგნის ან მოვლენის ზუსტი სურათი, რომელიც თავისუფალი იქნება სუბიექტური მოსაზრებებისა და განწყობისაგან. ყოველგვარი სამეცნიერო, ტექნიკური ინფორმაცია, ბიზნეს-ანგარიში თუ შეფასება აღწერის საგნისადმი ზუსტ შესაბამისობასა და ობიექტურობას მოითხოვს.

მომდევნო აბზაცში მოცემულია აღწერითი ხასიათის ტექსტის ნაწყვეტი, რომელშიც საუბარია უძველესი პოპულარული ინსტრუმენტების შესახებ. ამ ნაწყვეტში მაქსიმალურად არის დაცული ობიექტურობა:

XVI საუკუნეში ბევრი ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი შეიქმნა. მეტი პოპულარობით სარგებლობდა ისეთი საკრავები, რომელთა დაკვრა განსაკუთრებულ ოსტატობას არ მოითხოვდა და მათი გამოყენება არაპროფესიონალ მუსიკოსებსაც შეეძლოთ.

ყველაზე მისაღები სიმებიანი, განსაკუთრებით კი ვიოლას ოჯახის საკრავები იყო. ვიოლა ვიოლინოს წინამორბედი ინსტრუმენტია, რომელიც ადვილი მოსახმარი იყო, რადგან კილოებიანი ფართო გრიფი ჰქონდა. იგი გამოსცემდა ძალიან მშვიდ და ნაზ ხმას, რომელიც სასიამოვნო მოსასმენი იყო ოჯახური შეკრებების დროს. მეორე ასეთი ინსტრუმენტი – ლუტნა (ბარბითი) ასევე სიმებიანი საკრავი იყო და ჟღერადობით დღევანდელ გიტარას წააგავდა.

ობიექტური აღწერისაგან განსხვავებით, **სუბიექტური აღწერისას** საგნები და მოვლენები, გარდა მათი რეალური, ობიექტური არსისა, იძენენ დამატებით, განსაკუთრებულ აზრსა და მნიშვნელობას. მოვიყვანთ მაგალითს ნოდარ დუმბაძის შემოქმედებიდან:

,,ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის, მარცხნივ – ლაშის ღელე, რომელიც სავსეა კიბორჩხლებით, ღორჯოებით და შარვალაკაპიწებული ბიჭებით. გუბაზოულზე ხიდია გადებული, რომელსაც ბოგას ეძახიან. ყოველ გაზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიაქვს ხიდი და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვრჩება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია გურიაში, მე იგი ყველა სოფელზე უფრო მიყვარს ამქვეყნად.

ამ ნაწყვეტში ავტორი იყენებს მხედველობითს შეგრძნებას, ცდილობს, მისცეს მათ ემოციური დატვირთვა და შექმნას სიმშვიდის დომინანტური განწყობილება.

ორივე, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიდგომა აღწერისადმი დამოუკიდებლად იშვიათად გამოიყენება. გამოცდილი ავტორი ცდილობს დაიცვას ზომიერება, ობიექტურობასა და სუბიექტურობას შორის გააკეთოს არჩევანი იმის მიხედვით, თუ ვისთვის, ან რისთვის და რა გარემოებებთან დაკავშირებით წერს.

2. განმარტებითი ესე

ასეთი ესე მკითხველს კარგად გაარკვევს საკითხის არსში. ამ ტიპის ესეში, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს იმ ცნებების არსი, რომელთა შესახებაც ვითარდება მსჯელობა. მაგალი-

თად, თუ ვმსჯელობთ საკითხზე - რა არის **ტოლერანტობა,** პირველ რიგში, აუცილებლად უნდა განისაზღვროს, თუ რას მოვიაზრებთ ცნება **„ტოლერანტში“** და შემდგომ შეიძლება განვითარდეს არგუმენტირებული და ლოგიკური მსჯელობა მოცემულ საკითხზე.

3. ილუსტრაციული ესე

ილუსტრაციული ესე მიზნად ისახავს მკითხველისათვის საკითხის შესახებ არსებული ყველა თვალსაზრისისა და თეორიის გაცნობას. ეს ე. წ. მიმოხილვითი ხასიათის ტექსტია, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ნაშრომებსა და პუბლიკაციებში, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ მიმოხილვას თუ ანალიზურ ტექსტებში. ამ ტიპის ესეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკა და სხვა ობიექტური მონაცემები. მასში ავტორი ნაკლებად წარმოაჩენს საკუთარ პოზიციასა და დამოკიდებულებას საკითხისადმი. შესაბამისად, პერსპექტივაც სწორედ ამ კონტექსტში წარმოჩნდება. ილუსტრირებული ესე სტრუქტურულად იმეორებს კლასიკური ესეს მოდელს.

4. ანალიტიკურ ესეში მოცემულია ამა თუ იმ საკითხის თეორიული ანალიზი, მეცნიერული ახსნა.

ესეში ავტორი მკითხველს აწვდის ფაქტის ან მოვლენის გამომწვევ მიზეზებს, უჩვენებს მოსალოდნელ შედეგებს და საკითხის არსის წარმოსაჩენად მოჰყავს სხვადასხვა მოსაზრება ან ფაქტი.

II. არგუმენტირებული ესე

თითქმის ყველა ჟანრის აკადემიური ნაშრომი არგუმენტირებას მოითხოვს, რათა მკითხველი დარწმუნდეს ავტორის ნათქვამის სისწორეში. არგუმენტირებულ მსჯელობაში იდეები თანმიმდევრულადაა გადმოცემული.

ნათქვამის დასაბუთებას ანტიკურ ხანაშიც ექცეოდა ყურადღება. ბერძნები და რომაელები არგუმენტების საშუალებით ადგენდნენ ჭეშმარიტებას.

აკადემიურ წერაში არსებობს არგუმენტირებული ესეს აგების ორგვარი მოდელი. ორივე მათგანი პოპულარულია დასავლეთ ევროპაში. პირველი ტიპის ნაშრომში მოყვანილია არგუმენტები, კონტრარგუმენტები და გაბათილებულია ისინი, მეორე ტიპისაში კი მხოლოდ საპირისპირო თვალსაზრისების გაბათილებაა. მართალია, ვერც საწინააღმდეგო თვალსაზრისების უკუგდება მოხერხდება არგუმენტების გარეშე, მაგრამ პირველი მოდელი მეტი უპირატესობით სარგებლობს.

არგუმენტირებული ესეს სათაური დასრულებული წინადადებაა, რომელიც აუცილებლად ორ ურთიერთდაპირისპირებულ პოზიციას შეიცავს. თუ რომელ პოზიციას ამტკიცებს ავტორი, ეს გამოჩნდება **თეზისში.** შესავლის პირველი წინადადება ასრულებს „კაუჭის ფუნქციას“ და მკითხველში აღძრავს ინტერესს.

აკადემიური წერის სპეციალისტები გვთავაზობენ არგუმენტირებული ესეს შესავლის ოთხ ძირითად ვარიანტს:

- ზოგადიდან კონკრეტულისკენ სვლა;
- დრამატული“ შესავალის გაკეთება, რომელიც პირდაპირ მოქმედების ცენტრში, სიუჟეტში „გადაისვრის“ მკითხველს;
- შესაბამისი ციტატის მოხმობა, რაც პირველი წინადადებებიდანვე ემსახურება ავტორის პოზიციის განმტკიცებას;
- კონტრარგუმენტით დაწყება, შემდეგ საკუთარი თეზისის შეთავაზება და მკითხველისთვის საპირისპირო პოზიციებს შორის არსებული კონტრასტის დემონსტრირება.

ნაშრომის ძირითად ნაწილში ავტორი ამყარებს საკუთარ თვალსაზრისს და უკუაგდებს კონტრარგუმენტებს. არგუმენტები, ბუნებრივია, ვერ იქნება ერთნაირი სიძლიერისა:

* **სიძლიერით** მეორე ადგილზე მდგომი არგუმენტი;
* ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
* ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
* ყველაზე ძლიერი არგუმენტი.

არგუმენტის გასამყარებლად საჭიროა ფაქტების, სტატისტიკური მონაცემების, ცნობილ ადამიანთა გამონათქვამების დამოწმება, სოციალურ მეცნიერებებში ასეთებად გამოდგება სტატისტიკური მონაცემები და ექსპერტთა დასკვნები.

ავტორის პოზიცია ძლიერი ვერ იქნება, თუ იგი მარტო არგუმენტებზე იმსჯელებს და თავს აარიდებს საპირისპირო მოსაზრებებს. თუ მკითხველი შენიშნავს ამას, სისუსტედ მიიჩნევს. შეიძლება მოინახოს კომპრომისული პოზიციაც. კ. როჯერსის თანახმად, რაც უფრო მეტად შეუტევ ოპონენტს, მით უფრო ძლიერია მისი მხრიდან წინააღმდეგობაც (წულაძე).

დასკვნაც შესავლის მსგავსად სამ ფუნქციას ასრულებს:

1. არგუმენტების შეჯამება თითო წინადადებით;
2. თეზისის სხვა სიტყვებით გადმოცემა;
3. პრობლემის განხილვა მომავლის ჭრილში, რაც მკითხველს საფიქრალს დაუტოვებს, როგორ გამოიყენოს მოცემული ესე ცხოვრებაში.

არგუმენტირებული ესე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

შესავალი უნდა იყოს მკითხველის დამაინტერესებელი;

გამოკვეთილი უნდა იყოს თეზისი, რომელიც ნათლად და კონკრეტულად გადმოგვცემს სათქმელს;

ესე ლოგიკური და შეკრულია;

დასკვნა საინტერესოა.

შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმები:

ნაშრომის სტრუქტურა (ორგანიზება);

პარაგრაფების განვითარება და ლოგიკა;

სტილი და ენა;

არგუმენტების დასაბუთება;

კონტრარგუმენტების გათვალისწინება და გაბათილება.

არგუმენტირებული ესეს წერის დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პუნქტები:

1.	**თემის აქტუალურობა**	რატომ ავირჩიე ეს თემა?
2.	**თეზისი**	ჩემი მტკიცე პოზიცია ამასთან დაკავშირებით
3.	**არგუმენტი (არგუმენტები)**	რატომ ვფიქრობ ასე?
4.	**მაგალითები**	საიდან ჩანს?
5.	**კონტრარგუმენტი**	რას მეტყვის ოპონენტი? რა წინააღმდეგობა მელის?
6.	**ძლიერი, კონტრარგუმენტის გასაბათილებელი არგუმენტი**	რატომ მაინცადამაინც ასე?
7.	**შეჯამება**	რის თქმის საშუალებას გვაძლევს არგუმენტი?
8.	**დასკვნა**	საბოლოოდ რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?

არგუმენტირებული ესეს ნიმუშები:

ა) 1980 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ,,იყიდენ მახვილი“ აკაკი ბაქრაძე წერდა: ,,გარკვეულ პირობებში ალეგორია არაკეთილსინდისიერი მწერლების თავშესაფარია. ალეგორიით ისინი იოლად ატყუებენ მიამიტ მკითხველებს. ბუნებითა და არსით რეაქციონერები თავს გვაჩვენებენ რე-

ვოლუციონერებად. თავს იკატუნებენ, მეტის თქმის საშუალება არ იყო და რაც მოვახერხე, ალეგორიით შევძელიო. მათ ხელისუფლებაც კმაყოფილი ჰყავთ და ხალხიც, ამიტომ ალეგორიულ ენას პატიოსანი მწერალი ფრთხილად უნდა მოეკიდოს, რომ უნებლიეთ თვალთმაქცების ბანაკში არ აღმოჩნდეს.

ბ) 1980 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ,,იყიდენ მახვილი" აკაკი ბაქრაძე წერდა:

,,მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც დღეს ქართულ მწერლობაში შეიმჩნევა და რაც დასაგმობად მიმაჩნია. თუ რომელიმე მხატვრულმა ნაწარმოებმა მოწონება დაიმსახურა, მის მიმართ ჩნდება ნეკროლოგიური მადლიერების განწყობილება. აღტაცებით ცრემლმორეული, ქუდმოხდილი შევყურებთ მას და, თუ რაიმე დავწერეთ ამ ნაწარმოებზე, მხოლოდ და მხოლოდ ხოტბა უნდა ვთქვათ. როგორც ნეკროლოგში მიგვაჩნია უხერხულად გარდაცვლილის ნაკლის აღნიშვნა, აქაც გვიჭირს ხარვეზებზე ლაპარაკი. ის კი გვავიწყდება, რომ მხატვრული ნაწარმოები ცოცხალი ორგანიზმია და, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, აქვს თავისი ავ-კარგი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრმა აღტაცება და ბრმა გმობა ერთნაირ შედეგს იძლევა – აზრის უმოძრაობას. ეს კი მწერლობის უბოროტესი მტერია".

სავარჯიშო 1. არგუმენტებით დაასაბუთეთ მოსაზრებები:

* მსჯელობისას არგუმენტებად მოიშველიეთ თქვენ მიერ შესწავლილი რომელიმე ნაწარმოები ან მასში გამოთქმული ერთი ან რამდენიმე თვალსაზრისი;

* ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ახსენით, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აკაკი ბაქრაძის ამ მოსაზრებებს).

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

სავარჯიშო 2. არგუმენტირებული მსჯელობით უარყავით ეს მოსაზრებები:

. მსჯელობისას არგუმენტებად მოიშველიეთ თქვენ მიერ შესწავლილი რომელიმე ნაწარმოები ან მასში გამოთქმული ერთი ან რამდენიმე თვალსაზრისი;

. ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია (ამჯერად თემა დაწერეთ საპირისპირო პოზიციიდან).

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

ქალი და დიაცი ,,ვეფხისტყაოსანში“

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ,,ვეფხისტყაოსანი“ აღიარებულია ქალის კულტის შემცველ ნაწარმოებად. თითქოსდა, რუსთაველმა იქადაგა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის იდეა.

როგორ აღმოცენდა ასეთი შეხედულება, რით ასაბუთებენ ამ საფუძველშივე მცდარ დებულებას მისი მომხრენი? ეს არის აფორიზმი: ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. ამის მთქმელნი არიან ვაზირები, ეუბნებიან როსტევანსა და გულისხმობენ მხოლოდ და მხოლოდ ლომის ლეკვს და არა ვეფხვის, ჯიქის, მგლის, დათვის ან, რომ არაფერი ვთქვათ, მელიის, ტურის, ძაღლისა და კატის ლეკვებსა და ცინდლებს.

ლომი მეფის სიმბოლოა. მაშასადამე, ლომში აქ როსტევანი იგულისხმება. ასე, რომ ვეზირები ამბობენ: მეფის შვილი, ქალი იქნებს თუ კაცი, სამეფო გვარეულობის სისხლისა, ორივე მეფის შვილია, ანუ ორივე ღვთის მადლითაა მირონცხებული. და თუ არ არის სამეფო გვარის მამაკაცი, მაშინ (ვიმეორებ: მხოლოდ მაშინ!) ქალს, როგორც მეფის შვილს, უფლება აქვს ტახტზე ავიდეს.

ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებები აქვთ ცალ-ცალკე, მაგრამ არა მაშინ, როცა ორივენი არსებობენ. თუ მეფეს ქალიცა ჰყავს და ვაჟიც, მაშინ ტახტზე ადის ვაჟი და არა ქალი. ეს ანბანური ჭეშმარიტება სამტკიცებელი გახდა იმიტომ, რომ ქართველი მამაკაცი ოდითგანვე გამოირჩეოდა ქალისადმი რაინდული დამოკიდებულებით, საქართველოს ჰყავდა მეფედ თამარქალი (რომელის მის სიცოცხლეშივე ღვთაების მეოთხე იპოსტასად შერაცხეს) და ,,ვეფხისტყაოსანშიც“ ნესტანისა და თინათინის სახით დახატულია საოცნებო და და სალოცავი ქალები!. ყოველივე ამან დაბადა მცდარი შეხედულება, რომ რუსთაველმა თითქოს იქადაგა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის იდეა. არადა, ყველაფერი პირიქითაა: პოემის გმირები უარყოფით კონტექსტში იხსენიებენ ქალებს, დიაცებს და ხაზს უსვამენ იმას, რომ ქალი ყოველმხრივ ჩამორჩება მამაკაცს.

რუსთაველს, უბრალოდ, არ შეეძლო ქალები და მამაკაცები თანასწორად დაეხატა, რადგან ამის უფლებას მას არ აძლევდა ,,ბიბლია“. ყოველივე და ყველაფერი ის ნეგატიური აზრი, რაც გამოთქმულია პოემაში, მომდინარეობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან. შემდეგ ამისა: ქალი სხვაა და ქალურობა სხვა, დიაცი სხვაა და დიაცობა სულ სხვა განზომილება. ,,ვეფხისტყაოსანში“ გაფეტიშებულია ქალურობა, როგორც ესთეტიკური კატეგორია, გაღმერთებულია ქალი, როგორც მშვენიერება, მაგრამ არა როგორც სოციალური ფუნქციის მატარებელი, არა როგორც საზოგადოების და ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი.

მურმან ხომერიკისეული არგუმენტები:

ნესტანის აზრი ქალებზე ,,ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“ ,,ჩემგანო“, ამბობს ნესტანი და ცხადია, თავის ქალობას გულისხმობს. მაშასადამე, ქალი ვალდებულია, სირცხილი და რიდი ჰქონდეს მამაკაცისა. რას ნიშნავს სირცხვილი და რიდი?

სირცხვილი: 1. შიში უბადოთა საქმეთა ზედა (საბა) უბადო: ცუდი, ავი (საბა) 2. უგვანოსა დასა-

თაკილო საქმისაგან შეკდემა, კდემულობა (ჩუბინაშვილი) **კდემა:** შიში გმობი მოლოდინსა ზედა (საბა) ფრიადი სირცხვილი, შიში გმობისა (ჩუბინაშვილი) რიდი: მორიდება, დარიდება (საბა) გაფრთხილება, მორიდება (ჩუბინაშვილი) მოკრძალება, მორიდება, პატივისცემა, კრძალვა (ქეგლ);

2. ,,თუმცა მართებს დედაკაცსა მამაკაცისა დიდი კრძალვა, მაგრამ მეტად უარეა არა თქმა და ჭირთა მალვა.“

კრძალვა: სიფრთხილე, გინა რიდება (საბა) გაფრთხილება ანუ დარიდებ (ჩუბინაშვილი).

ამგვარად: სირცხვილი, რიდი და კრძალვა, ანუ მოკრძალება, მორიდება, პატივისცემა უნდა ჰქონდეს ქალს მამაკაცის მიმართ და არა პირიქით: მამაკაცი ვალდებული არაა, სირცხვილისა და მოკრძალების გრძნობა ჰქონდეს ქალის მიმართ.

3. ,,ხამს დიაცი, დიაცურად, საქმე დედლად“.

4. ,,დიაცურად რად მოვღორდი? მე დავუწვავ ამით ალსა.“

დიაცი: დედაკაცი (საბა) გლეხის დედაკაცი (ჩუბინაშვილი) შემოკლებული სიტყვაა დედაკაცისა, დედაკაცი (ცოლი) მშიშარა, მხდალი, ლაჩარი, ჯაბანი (ქეგლ).

დედალი: ლაჩარი, მხდალი, ჯაბანი (ქეგლ).

მოღორება: მოტყუება, შეცდენა, მოცთუნება (საბა, ქეგლ) მოღორება არს ესე ვითარი, როგორითაც ღორს საჭმელს დაუყრიან, ისე მიიტყუებენ, მერე სახლში შეიტყუებენ და დაიჭერენ (თეიმურაზ ბაგრატიონი).

5. მაშასადამე, ნესტანი აღიარებს, რომ დიაცურობა დედლობაა, ანუ ლაჩრობა, სიმხდალე, მშიშარობა. ყოველი დიაცი დიაცურად მოქმედებს - ე. ი. არარაინდულად, არავაჟკაცურად და რაც მთავარია, დიაცებისათვის დამახასიათებელია მოღორება-მიამიტობა, გულუბრყვილობა, ადვილად დამჯერობა, მოტყუება სალაფავით, საკენკით, ანუ სასიამოვნო დაპირებით, ტკბილი სიტყვით, რაც მათი მდედრული ფსიქიკით, მდედრული ფიზიოლოგიით აიხსნება.

დავალება№ 1: მოცემული ნიმუშის მსგავსად ,,ვეფხისტყაოსნიდან“ მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები: ფატმანის//ტარიელის//ავთანდილის და ზოგადად, რუსთაველის აზრი ქალების შესახებ.

ჰერმან ჰესე ,,სიბერე“
მთარგმნელი რუსუდან დარჩიაშვილი

სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურია, რომელსაც, ისევე როგორც მის სხვა ეტაპებს, აქვს საკუთარი სახე, საკუთარი ატმოსფერო და ტემპერატურა, საკუთარი სიხარული და დარდი. ჩვენ, ჭაღარა მოხუცებს, ისევე როგორც ჩვენს უმცროს თანამოძმეებს, გვაქვს ამოცანა, რომელიც აზრს აძლევს ჩვენს არსებობას, ისევე როგორც სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფს, მომაკვდავსაც, რომლის სარეცლამდეც საეჭვოა, მიაღწიოს ხმამ ამქვეყნიური სამყაროდან – აქვს თავისი ამოცანა, მანაც უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე.

იყო მოხუცი, ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა, ისწავლო კვდებოდე (სიკვდილი) და სიკვდილი ისეთივე საპატიო ფუნქციაა, როგორიც სხვა ნებისმიერი, იმ ნებისმიერი პირობით, თუ ეს სრულდება სიცოცხლის აზრისა და სიწმინდის წინაშე მოწიწებით, კრძალვით. მოხუცი, რომლისთვისაც სიბერე, ჭაღარა და სიკვდილის სიახლოვე მხოლოდ საძულველი და საშინელია, ისეთივე უღირსი წარმომადგენელია თავისი ცხოვრების ამ ეტაპისა, როგორიც ახალგაზრდა და ძლიერი ადამიანი, რომელსაც სძულს თავისი საქმიანობა, ყოველდღიური შრომა და ცდილობს მისგან თავი დაიძვრინოს.

მოკლედ რომ ვთქვათ: სიბერეში შენი დანიშნულება რომ შეასრულო და თავი გაართვა შენს ამოცანას, შეთანხმებული უნდა იყო სიბერესთან და იმ ყველაფერთან, რაც მას თან მოაქვს, უნდა უთხრა **დიახ**. დიახის (დასტურის), იმის მზადყოფნის გარეშე, რომ მივეცეთ მას, რასაც ჩვენგან ბუნება ითხოვს, ჩვენ მოხუცები ვართ თუ ახალგაზრდები, ვკარგავთ ჩვენს დღეთა ფასეულობასა (მნიშვნელობას) და აზრს და სიცოცხლეს ვატყუებთ.

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ სიბერეს ახლავს ათასგვარი ტვირთი და რომ ის სიკვდილით მთავრდება. წლითიწლობით მსხვერპლი უნდა გაიღო და ბევრ რამეზე უარი თქვა. უნდა ისწავლო, აღარ ენდო შენს გრძნობებსა და ძალებს. გზა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შენთვის პატარა გასეირნება იყო, გრძელი

და რთული ხდება, და ერთ მშვენიერ დღეს ვეღარც შევძლებთ მის გავლას. უარის თქმა გვიხდება საჭმელზეც, რომელიც მთელი ცხოვრება გვიყვარდა. ფიზიკურ სიამოვნებასა და სიხარულს სულ უფრო იშვიათად განვიცდით და ამ სიამოვნებისთვის სულ უფრო ძვირი უნდა გადავიხადოთ. და შემდეგ, ყოველგვარი სნეულება და ავადმყოფობა, გრძნობების დაჩლუნგება, ორგანოების დასუსტება და ათასნაირი ტკივილი, განსაკუთრებით ღამღამობით, ხშირად ასეთი ხანგრძლივი და საშინელი... ამ ყველაფერს თავს ვერ დააღწევ, ეს მწარე სინამდვილეა, მაგრამ საცოდაობა და სამწუხარო იქნებოდა, რომ მარტოოდენ დაკნინების, დაცემის ამ პროცესს მისცემოდი და ვერ დაგენახა, რომ სიბერესაც აქვს თავისი კარგი მხარეები, უპირატესობა, თავისი სანუგეშო და სასიხარულო. როცა ორი მოხუცი ერთმანეთს ხვდება, მათ მხოლოდ წყეულ ნიკრისის ქარებზე, სხეულზე, რომელიც აღარ გემორჩილება და ქოშინზე, კიბეზე ასვლისას რომ გაწუხებს, კი არ უნდა ილაპარაკონ, არამედ სასიხარულო და სასიამოვნო შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებზე. ასეთები კი მრავლადაა. როცა შეგახსენებთ მოხუცთა ცხოვრების ამ დადებითსა და შესანიშნავ მხარეზე და იმაზე, რომ ჩვენ, ჭაღაროსნებს, გვსმენია ძალის, მოთმინების, სიხარულის ისეთი წყაროების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრებაში არავითარ როლს არ ასრულებენ, მე არ შემფერის ვილაპარაკო რელიგიისა და ეკლესიის ნუგეშისცემაზე. ეს მღვდლის საქმეა, მაგრამ შემიძლია, ჩამოვთვალო რაღაც-რაღაც საჩუქრები, რომლებიც ჩვენთვის სიბერეს მოაქვს. მათგან ჩემთვის ყველაზე ძვირფასია საგანძური იმ სურათებისა, რომლებიც ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ გონებაში აღგბეჭდვია და რომლებსაც, როცა შენი აქტიურობა ცხრება, სრულიად სხვა თანაგრძნობით უმზერ, ვიდრე ოდესმე წინათ. იმ ადამიანთა ხატებანი და სახეები, რომლებიც უკვე სამოცი-სამოცდაათი წელია წასულან ამ ქვეყნიდან, ისევ ჩვენთან არიან, გვიცქერენ ცოცხალი თვალებით. უკვე გამქრალ და სრულიად გადასხვაფერებულ სახლებს, ბაღებსა და ქალაქებს ვხედავთ ცოცხალთა და უვნებელთ, როგორც ოდესღაც, და შორეულ წლებში, ზღვისპირეთს, სადაც ათეული წლების წინ ვიმოგზაურეთ, ისევ მთელი თავისი ფერადოვნებით აღვიქვამთ ამ ჩვენს სურათებიან წიგნში.

მზერა, დაკვირვება, ჭვრეტა სულ უფრო მეტად გადადის ჩვევაში და განწყობილება და დამკვირვებლის პოზიცია განსაზღვრავს ჩვენს საქციელს... სურვილების, ოცნებების, გატაცებებისა და ვნებებისგან დევნილნი, ჩვენც, როგორც ადამიანთა უმრავლესობა, ჩვენი ცხოვრების წლებსა და ათასწლეულებში მივქროდით მოუთმენლად, ცნობისმოყვარეობითა და იმედებით, მტკივნეულად განვიცდიდით წარმატებებსა და იმედგაცრუებას, დღეს კი ჩვენი საკუთარი ცხოვრების დიდი, ილუსტრირებული წიგნის ფურცვლისას გვიკვირს, როგორი მშვენიერი და საამურია გამოხვიდე ამ რბოლიდან. აქ, მოხუცთა ამ ბაღში, ყვავის უამრავი ყვავილი, რომელთა მოვლაზეც კი არ გვიფიქრია. აქ ყვავის ყვავილი მოთმინებისა, მარცვალი კეთილშობილი, ჩვენ ვხდებით უფრო მშვიდნი, შემწყნარებელნი და რაც უფრო ნაკლები მოთხოვნილება გვაქვს ჩავერიოთ და ვიმოქმედოთ, მით მეტი უნარი გვეძლევა, დავაკვირდეთ და ყური მივუგდოთ ბუნების სიცოცხლესა და ჩვენს თანამოძმეთა ცხოვრებას, კრიტიკის გარეშე ვადევნოთ თვალი მის მსვლელობას და გვიკვირდეს მისი მრავალფეროვნება, ზოგჯერ – თანაგრძნობითა და ჩუმი სევდით, ზოგჯერ – სიცილით, ნათელი სიხარულით, იუმორით.

ამას წინათ ბაღში კოცონთან ვიდექი და ცეცხლში ვყრიდი ფოთლებსა და გამხმარ ტოტებს. ეკლიანი ღობის იქით ჩაიარა მოხუცმა ქალმა, რომელიც ალბათ 80 წლის იქნებოდა. იგი შეჩერდა და ყურება დამიწყო. მე მივესალმე, მაშინ მან გაიცინა და მითხრა:`სწორად მოიქეცით, კოცონი რომ გააჩაღეთ. ჩვენს ასაკში დროა, ნელ-ნელა შევეგუოთ ჯოჯოხეთს. ამან მისცა ტონი საუბარს, რომლის დროსაც ერთმანეთს შევჩივლეთ ათასგვარი ტკივილისა და გაჭირვების შესახებ, მაგრამ სულ ხუმრობით (ხუმრობის კილოთი).

საუბრის ბოლოს ვაღიარეთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ღრმად მოხუცები, სანამ ჩვენს სოფელში ცხოვრობს ყველაზე უხუცესი, რომელიც ასი წლისაა. როცა სრულიად ახალგაზრდები თავიანთი ძალის უპირატესობითა და გულუბრყვილობით ზურგს უკან იღიმებიან, სასაცილოდ ეჩვენებათ ჩვენი მძიმე სიარული და დაძარღვული ყელი, ჩვენ ვიხსენებთ, როცა ასეთი ძლიერები და ასეთივე მიამიტები ვიყავით, ოდესღაც ჩვენც ვიცინოდით, და სრულიად არ მიგვაჩნია, რომ დამარცხებულნი ვართ, არამედ გვიხარია, რომ ცხოვრების ამ საფეხურს გადავაბიჯეთ და გავხდით უფრო ჭკვიანნი და მომთმენნი.

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. ვის სახელს უკავშირდება ესეს, როგორც ლიტერატურული ჟანრის ჩამოყალიბება?
2. რა არის ესეს არსებითი და ამასთან, უცვლელი ნიშანი?
3. რას ნიშნავს ქართულად ტერმინი ,,ესე“?
4. რამდენი ნაწილისაგან შედგება ესე?

5. დაასახელეთ ეფექტური შესავლის მახასიათებლები;
6. ესეს რამდენი სახე არსებობს?
7. დაასახელეთ არგუმენტირებული ესეს ქვეტიპები;
8. დაახასიათეთ არგუმენტირებული ესე;
9. დაახასიათეთ ილუსტრირებული ესე;
10. რომელი ტიპის ესეებში არ ჩანს ავტორისეული პოზიცია?
11. ესეს რამდენ მოდელს იცნობთ?
12. რას გულისხმობს მიზეზშედეგობრივი ესე?
13. რას გულისხმობს შედარება-დაპირისპირებითი ესე?
14. რომელი ტიპის ესეში აისახება ავტორის განცდები და ემოციები?
15. რას გულისხმობს ინტერპრეტაციული ესე?

<u>დაიხსომეთ:</u> **მიზეზისა და მიზნის გარემოებათა აღრევა**

	მიზეზი	**მიზანი**
კითხვა	**რ ა ტ ო მ ?**	**რ ი ს თ ვ ი ს?**
ფორმა **(წევრ-კავშირი)**	ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ, ამად, მაგად, იმ-ად, ამის გამო, ამ მიზეზით...ვინაიდან **რ ა დ გ ა ნ**	ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, ამ მიზნით, მაგ მიზნით, იმ მიზნით. **რათა // რომ**
დრო	**წარსული**	**მომავალი**

სავარჯიშო № 1 გაასწორეთ შეცდომები:

1. თეიმურაზი თანდათან შეფიქრიანდა, რათა მის სვინდისს ყმაწვილი ქალის სახელი ჰქონდა მინდობილი; 2. სოფელს უთუოდ სჭირდებოდა ჭკვიანი და გამოცდილი თავკაცი, რადგან სოფლისათვის ცოტა შორიდან ეჭვრიტა; 3. მთვარის შუქში ხელები ხელებს ეძებს თრთოლვით, რადგან სიცოცხლე გაგრძელდეს ქვეყნად; 4. იმისთვის ვმღეროდი, რომ მემღერებოდა; 5. ამ ქვეყნად იმიტომ მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო; 6. მხოლოდ ერთი წამით შეაჩერა ჩაქუჩი, რადგან ხელის ზურგით თვალში ჩავარდნილი ქვის ნამცეცი ამოეწმინდა; 7. ძრწოლვით შევცქეროდი იმისთვის, რომ ამაზე ფიქრსა ბედავდა; 8. ერთი იმისთვის გარეზგა, რომ თმა წამოგზრდიაო და მეორეც იმისთვის, რომ მეტად ძირში მოგიჭრიაო; 9. არ ეშვებოდნენ სოფლელები, რათა ჯერ კიდევ ჰქონდათ მისი იმედი; 10. ეს ომი იმიტომ გადავიხადე, ყველას შეეტყო რომ მე აღარ მეშინოდა.

თემა VIII. ესეს ჩასწორება, შენიშვნები, ინფორმაციის ჩამატება, განტვირთვა, შეცდომების გასწორება

ცნობილია, რომ ტექსტის, წერითი ნაშრომის ჩასწორება დასრულებულად ვერასდროს ჩაითვლება. წერის პროცესის ერთიანი ციკლი ნაშრომის ჩასწორებითა და რედაქტირებით მთავრდება, რასაც ამ პროცესის ხანგრძლივობის ერთი მესამედი ეთმობა. ჩასწორების გარეშე შეუძლებელია აკადემიური წერითი ნაშრომის შექმნა.

ჩასწორება შეიძლება მაშინვე, როცა ამას საჭიროდ მივიჩნევთ, თუმცა უპრიანია მისი დაწყება წერითი ნაშრომის პირველი ვარიანტის დასრულებისთანავე; ობიექტური შეფასებისა და გულმოდგინედ ჩასწორების შემდეგ მივიღებთ სასურველ ეფექტს.

ესეს წერისას წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის შენიშვნა, რომლებიც შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს. ჩასწორების ეტაპზე უნდა წავიკითხოთ სამჯერ მაინც (სასურველია წავაკითხოთ სხვასაც), რადგან ჩასწორება **სამ დონეზე მიმდინარეობს** (ესეს, აბზაცისა და წინადადების დონე).

ესეს ჩასასწორებლად ვასრულებთ ოთხ მოქმედებას:

1. პირველად ვადგენთ ესეს ნაწილების **შესაბამისობას** მათ გამაერთიანებელ საკვანძო დებულებასთან. წერითი ნაშრომის პირველ ვერსიაში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი აბზაცი, რომელიც შინაარსობრივად არ უკავშირდება თეზისს. ზოგი აბზაცი კი, შეიძლება განსხვავებულ, თუმცა საინტერესო მოსაზრებას შეიცავდეს. ამ შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ არჩევანი, ან უარი ვთქვათ ესეს რომელიმე ნაწილზე, ან შევცვალოთ ესეს თეზისი ისე, რომ მასში აისახოს ახალი მოსაზრება;

2. ხშირად საჭირო ხდება ესეს რომელიმე ნაწილში ინფორმაციის დამატება, რათა მკითველმა უკეთ გააცნობიეროს და გაითავისოს სათქმელი, ამიტომაც ჩასწორებისას საჭიროა ე. წ. სუსტი ადგილების გამოვლენა და მათი **შევსება** შესაბამისი მასალით (წინადადება ან აბზაცი);

3. ეფექტური ჩასწორების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა ესეს ჭარბი ინფორმაციისაგან **განტვირთვა.** ზოგჯერ ერთ ნაშრომში თავს იყრის საკმარისზე მეტი მასალა, რომელიც არ არის მნიშვნელოვანი მთავარი აზრის განვითარებისათვის, რეალურად არაფერს მატებს ნაშრომს, შეიძლება იგი იყოს საინტერესო, მაგრამ არ უკავშირდებოდეს თემას.

4. ვარკვევთ, რამდენად **თანამიმდევრულადაა** ორგანიზებული ესე.

ესეს ვაფასებთ შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ესე ერთ მთლიან ნაშრომად აღიქმება;
2. იგი ერთი ძირითადი მოსაზრების თანამიმდევრული განვითარებაა და
   განკუთვნილია კონკრეტული აუდიტორიისათვის;
3. თეზისი ესეს დასაწყისშია და ზუსტად შეესაბამება მის შინაარსს;
4. ესეში მოყვანილი მასალა უკავშირდება თეზისს;
5. ესეში მოცემული მასალა აუცილებელია მისი ძირითადი აზრის გასაგებად; სხვა სახის ინფორმაციის (ფაქტის, მაგალითების და ა. შ.) დამატება საჭირო არ არის;
6. არ არის წარმოდგენილი უინტერესო ან არასრულფასოვანი მასალა;
7. ესეს ორგანიზაციის გადამოწმება აჩვენებს, რომ ნაწერი ადვილად იკითხება: მისი სხვადასხვა მონაკვეთი ერთმანეთთან შეერთებულია საკავშირებელი სიტყვებითა და გამოთქმებით.

ესეს სტრუქტურის ჩასწორება

1.1. შესავალი აბზაცი

1. მოცემულია თეზისი;
2. შეიცავს მკითხველისთვის საკმარის ინფორმაციას ესეს არსის გასაგებად;
3. დასმულია კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს;
4. იწყება ნაცნობი სიტუაციის აღწერით;

5. მკითხველს აღუძრავს ინტერესს ესეს წასაკითხად;

თავად თეზისი კი:

1. თეზისი განთავსებულია შესავალ აბზაცში;

2. არ არის კითხვა;

3. მასში მოცემული აზრის განვითარება შესაძლებელია;

4. იგი ავტორის სურვილს კი არ გადმოსცემს, არამედ მის მოსაზრებას ან პოზიციას;

5. ნათლად, კონკრეტულად და ლაკონიურად არის ჩამოყალიბებული.

1.2. ესეს ძირითადი ნაწილი ფასდება შემდეგნაირად:

1. დასაბუთებულია ესეს შესავალში მოცემული დებულებები;
2. ყველა აბზაცი სრულყოფილია და არაა საჭირო ინფორმაციის დამატება;
3. ყოველ აბზაცს ერთი ცენტრალური აზრი აერთიანებს;
4. ყოველი აბზაცი დაკავშირებულია წინა და მომდევნო აბზაცებთან;
5. მსჯელობა გამყარებულია არგუმენტებით და მოყვანილია კონტრარგუმენტებიც, რომლებიც საბოლოოდ ბათილდება.

1.3. დასკვნა

1. ლოგიკურად გამომდინარეობს ესეში განვითარებული მსჯელობიდან;
2. მასში შეჯამებულია ესეს მთავარი საკითხები;
3. პასუხი გაცემულია შესავალში დასმულ კითხვაზე;
4. მოცემულია პრობლემის გადაჭრის გზები და დასახულია პერსპექტივები.

II. აბზაცის ჩასწორება

აბზაცი შემდეგნაირად ფასდება:

1. აბზაცი ხასიათდება მთლიანობით: წინადადებები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება;
2. აბზაცი შეიცავს თემატურ წინადადებას, რომელიც გამოხატავს აბზაცის მთავარ აზრს;
3. ამხსნელი წინადადებები ასაბუთებს მთავარ წინადადებას;
4. შემაჯამებელ წინადადებაში პერიფრაზირებულადაა გადმოცემული მთავარი წინადადების აზრი;
5. საკავშირებელი სიტყვები სწორად არის შერჩეული.

III. **წინადადებებისა და სიტყვების ჩასწორება**

წინადადების შეფასების კრიტერიუმები:

1. თითოეული წინადადება ნათლად და კონკრეტულად გადმოსცემს აზრს;
2. წინადადება მოკლე, ლაკონიური და ტევადია;
3. არ გამოიყენება გაუგებარი სიტყვები და ფრაზები;
4. მოცემულია უცხო ტერმინების განმარტებანი;
5. გამოყენებულია მკითხველთა მიზნობრივი აუდიტორიისა და სიტუაციური გარემოებებისათვის შესაფერის ტონი;
6. გამოიყენება ხატოვანი გამოთქმები და მეტაფორები; კარგადაა მორგებული სტილთან;
7. ნაწერში არ არის ჭარბსიტყვაობა, ევფემიზმები, კლიშეები და არაკორექტული გამონათქვამები.

ურთიერთშეფასება

თანაჯგუფელთა ურთიერთშეფასება არის საუკეთესო ხერხი, პრაქტიკულად შევამოწმოთ საკუთარი ცოდნა და უნარი, როგორც ნაშრომის ავტორმა, როგორც კრიტიკულმა მკითხველმა და შემფასებელმა. ამ შემთხვევაშიც უნდა გავცეთ პასუხი კითხვებს:

1. რა არის ესეს მთავარი აზრი?

2. რა ძლიერი მხარეები აქვს ნაშრომს? რით ახდენს იგი კარგ შთაბეჭდილებას?

3. სად არის სუსტი მსჯელობა და როგორ შეიძლება მათი გამოსწორება?

4. რამდენად ზუსტად წარმოადგენს ესეს შემადგენელი კომპონენტები ნაწერის ძირითად იდეას და მის მიზნობრივ აუდიტორიას?

5. რა კითხვებისათვის არ გაუცია პასუხი ავტორს?

6. სად უნდა დაემატოს ტექსტს სხვა დეტალები და მაგალითები და რატომ?

7. ესეს რა მონაკვეთში დაგვეკარგა ან შეგვისუსტდა ინტერესი ნაწერისადმი და რატომ?

8. სად არის ესეს ორგანიზაცია გაუმართავი და რა შეიძლება გაკეთდეს ამის გამოსასწორებლად?

9. ნაწერის რომელი ადგილია ბუნდოვანი?

აკადემიურად შესრულებული ნაშრომი, ბუნებრივია, დაზღვეული უნდა იყოს გრამატიკული, სტილური და სტილისტიკური შეცდომებისაგან. წინადადების სტრუქტურასა და სიტყვათა შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს ესეს აღქმისა და სრულყოფილი წვდომისთვის.

ტექსტის **რედაქტირება** ბოლო ეტაპზე გულისხმობს ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური და სტილისტიკური შეცდომების გასწორებას. სულ ბოლოს ვასწორებთ ბეჭდურ შეცდომებს.

ორთოგრაფიული შეცდომები არის სიტყვის დაწერილობაში დაშვებული უზუსტობები; მორფოლოგიური შეცდომები კი გულისხმობს არსებით სახელთა კუმშვა-კვეცაში, საკუთარ სახელთა ბრუნებისას დაშვებულ შეცდომებს; ბრუნვათა არასწორ დაბოლოებებს; ზედსართავი, რიცხვითი სახელების და ნაცვალსახელების, კომპოზიტების, წარმოქმნილ სახელთა მართლწერის წესების უგულებელყოფას; ზმნური კატეგორიების წარმოების წესების დარღვევებს და სხვა...

სინტაქსური შეცდომებია: დარღვევები ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებასა და მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაში, კავშირების გამოყენებასა თუ სიტყვათა წყობაში.

დაიხსომეთ: სტილისტიკური შეცდომები

პლეონაზმი ერთი და იმავე ცნების გადმოსაცემად ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვების ხმარებაა.

პლეონაზმის გამოყენება მიუთითებს სიტყვის მნიშვნელობის უცოდინრობაზე. იგი გვერდიგვერდ იყენებს იმავე სემანტიკის ლექსემას.

პლეონაზმებია: **ზევით ავიდა, ქვევით ჩავიდა, შიგნით შევიდა.** ანალოგიურია: „ციხეს გალავანი ირგვლივ ჰქონდა გარშემორტყმული.“ აქ ზედმეტია „ირგვლივ“ *რადგან იმავე სემანტიკას გადმოგვცემს „გარშემო“. ან კიდევ: „ოდნავ შემწიფდა“ ან „ძალიან გადამწიფდა“.*

შეცდომაა: „ეს წიგნი ჩემი საკუთარი ბიბლიოთეკიდან წამოვიღე“; „ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა“. სიტყვები: **„ჩემი“, „პირადი“, „საკუთარი“** კუთვნილებაზე მიუთითებს და ერთი რომელიმე უნდა დავტოვოთ.

პლეონაზმებს ქმნის ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები. მაგ.: *ძალიან ულამაზესი, უფრო უარესი, უფრო უკეთესად* და ა. შ.

პლეონაზმის ერთ-ერთ წევრად ხშირად გვხვდება კომპოზიტი: „პირველი **პირმშო“;** „მთავარი **დედაქალაქი“.** პირმშო პირველი შვილია, დედაქალაქი **–** მთავარი ქალაქი (არ არსებობს მთავარი და არამთავარი დედაქალაქი).

პლეონაზმებია: **„მოხუცი დედაბერი“, „ხანში შესული მხცოვანი“ ანდა „ხანდაზმული მოხუცი“.**

შეცდომას უცხო სიტყვათა სემანტიკის უცოდინრობა უდევს საფუძვლად. სტილისტიკური ხარვეზის ამ ტიპს ზოგჯერ ფარულ ტავტოლოგიასაც უწოდებენ: **„პირველი დებიუტი“, „პირველი პრემიერა“, ადგილობრივი აბორიგენი“, „მკვიდრი აბორიგენი“, „მოულოდნელი სიურპრიზი“, „სასიამოვნო სიურპრიზი“, „ახალგაზრდა ტინეიჯერი“**.

ტავტოლოგია ერთ წინადადებაში, აბზაცსა თუ ახლო კონტექსტში ერთისა და იმავე სიტყვის ან გამოთქმის რამდენჯერმე გამოყენებაა. იგი თავიდან რომ ავიცილოთ, სიტყვა სინონიმით ან ნაცვალსახელით უნდა შევცვალოთ. ტავტოლოგიურად გამოიყენება მეტყველების თითქმის ყველა ნაწილი.

ტავტოლოგიის მაგალითებია: „მას წარმატებები უსურვეს როგორც პირად **ცხოვრებაში,** ისე საზოგადოებრივ **ცხოვრებაში".** ამ წინადადებაში ტავტოლოგიურადაა გამოყენებული სიტყვა „ცხოვრება". უნდა იყოს: „როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში"; „მათ იმსჯელეს როგორც ცალკეული საენათმეცნერო **საკითხების,** ისე ორგანიზაციული **საკითხების** შესახებაც". უნდა იყოს: „როგორც ცალკეული საენათმეცნიერო, ისე ორგანიზაციული საკითხების შესახებ".

კალკი სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის სიტყვასიტყვითი თარგმანია. ერთი ენის კალკირებული ერთეული მეორე ენის სტრუქტურული ასლია.

არ არსებობს ენა, რომელშიც კალკი არაა, იგი მისი ცვლილება-განვითარების მუდმივი და აუცილებელი თანამგზავრია. სხვა ენებთან კონტაქტები, ერთი მხრივ, ამდიდრებს ლექსიკურ ფონდს, მეორე მხრივ, თარგმნის პროცესში უამრავი კალკი შემოიჭრება ხოლმე. ბევრი მათგანი ქართულმა ენამ შეითვისა. ასეთებია გრამატიკული ტერმინები: ნაცვალსახელი (местоимение), დამატება (дополнение), გარემოება (обстоятельство), განსაზღვრება (определение), ქვემდებარე (подлежащее), ჟანგბადი, წყალბადი, თვითმფრინავი და ა. შ. ქართულში კალკირების გზითაა შემოსული ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: თანამზრახველი, თანამდებობა, გარემოცვა, წინამძღვარი, წინამორბედი და ა. შ.

კალკი მაშინაა დასაშვები, როცა ახალი ცნება შემოდის, რომლის შესაბამისიც მიმღებ ენაში არ იძებნება. ქართული აქტიური ფორმების ენაა. სწორედ, ამ თვისების წყალობით ქართული ფრაზა მოქნილი და სახოვანია. კალკური გამოთქმებია: **გაყიდვაშია, მიმალვაშია**, **შეტევაზეა და ა. შ.** კალკებია ასევე **გადარეკვა, გადაბეჭდვა, გადაფასება, გადაჯგუფება,** *მთვრალ მდგომარეობაში, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ფაქტი სახეზეა, რაშია საქმე,* **ადგილი** *აქვს.*

შტამპი ისეთი სიტყვაა ან სიტყვათა შენაერთია, რომელიც უცვლელად გამოიყენება ზეპირსა და წერითს მეტყველებაში. იგი ხშირად გამოიყენება ოფიციალურ-საქმიან სტილში. შტამპები მეტყველებას მოქნილობას, სილამაზეს უკარგავს, ამიტომ მათ არ იყენებენ სასაუბრო სტილში, სადაც, ჩვეულებრივ, დაცულია ფრაზის ბუნებრივი მდინარება. შტამპებია: **აწარმოებს მიღებას, ახდენს შეფასებას, კრებამ დასახა გარკვეული ღონისძიებანი, სათანადო სიმაღლეზე დგას.** მსაზღვრელები: **გარკვეული** და **სათანადო** ხშირად უფუნქციოა.

არასწორია	**სწორია**
სისრულეში მოიყვანა	შეასრულა, აღასრულა
წესრიგში მოიყვანა	მოაწესრიგა
შეცდომა დაუშვა	შეცდომა მოუვიდა// გაეპარა
შეცდომაში შევიდა	შეცდა
სასწავლებელში მოეწყო	სასწავლებელში ჩაირიცხა, შევიდა
ყურადღების გარეშე	უყურადღებოდ
სამუშაოდ გაანაწილეს	სამუშაოდ გააწესეს
ზიანი მიაყენა	დააზიანა
ხმარებაში შემოიღეს	გამოიყენეს

ატროფია სამედიცინო ტერმინია და ნიშნავს რომელიმე ორგანოს დასუსტებას, გადაგვარებას, გადატანით კი რისამე უნარის დაჩლუნგებას, დაკარგვას. სტილისტიკაში **ატროფია** ნიშნავს სიტყვის გრძნობის დასუსტებას, მის არასწორ და უმართებულო გამოყენებას. ატროფიის ნიმუშებია: **ჩურჩულით გადასძახა, ცუდი ავტორიტეტი, უსიამოვნო სიურპრიზი, ავი ბედი, სირბილით სეირნობს...**

სიტყვა **საოცარი** განსაცვიფრებელს, საკვირველს ნიშნავს; **სასტიკი** ულმობელი, დაუნდობელი, შეუბრალებელია; **საშინელი** – შიშისმომგვრელი. სტილისტიკურად გაუმართლებელია მოწონების, სიყვარულის გამომხატველ სიტყვებთან **საშინელის, სასტიკის** გამოყენება.

წყალობა, შემწეობა, მეოხება დადებითი სემანტიკის სიტყვებია. მათ ხშირად უმართებულოდ იყენებენ უარყოფითი სემანტიკის სიტყვებთან: **ავადმყოფობის წყალობით; უდარდელობის წყალობით.** თუ სათქმელისადმი ირონიული დამოკიდებულება არ იგულისხმება, შეცდომაა: უყურადღებობის//დაუდევრობის //უკონტროლობის// უამინდობის წყალობით.

უნდა იყოს: უყურადღებობის//დაუდევრობის//უკონტროლობის გამო//შედეგად

არასწორია	**სწორია**
აუტანლად შია	ძალიან შია
საშინლად მოსწონს	ძალიან მოსწონს
საშინლად უყვარს	ძალიან უყვარს
სასტიკად უყვარს	ძალიან უყვარს
საოცრად უხდება	ძალიან უხდება
საოცრად ლამაზია	ძალიან ლამაზია
დაუდევრობის წყალობით	დაუდევრობის გამო
სიზარმაცის წყალობით	სიზარმაცის გამო
ძალიან არ მოსწონს	სრულიად არ მოსწონს
ძალიან არ უხდება	სრულიად არ უხდება

პარონიმია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ,,ახლო სიტყვას". იგულისხმება შინაარსით სხვადასხვა, მაგრამ ბგერითი შედგენილობით მსგავსი სიტყვები, მაგ.: **ავსტრია** და **ავსტრალია, შვეცია** და **შვეიცარია, საცოლო** და **საცოლე, განჩინება** და **განაჩენი** და მისთ.

პარონიმებად მიჩნეულია როგორც ერთი ძირიდან მომდინარე, ბგერობრივად მსგავსი სიტყვები, ისე შემთხვევით, გარეგნულად მიმსგავსებულიც, რომელთაც სრულიად ან რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ, ამიტომაც ხშირად იყენებენ ერთის მაგივრად მეორეს. **საცოლეს** უწოდებენ ქალს, რომელიც ცოლად უნდა შეირთონ, ხოლო **საცოლო** კი ის ვაჟია, ვისაც ცოლის თხოვნის ასაკი შეუსრულდა, ვინც დასაქორწინებელია, ან ცოლი არ ჰყავს. მაგ.: მახარეს კარგი **საცოლე** ავუჩინოთ (შ. არაგვ.); ორმოცი წლის **საცოლო** თეიმურაზი შევიდა ქალების ამორჩევაში (ლ. არდაზ.). მოყვანილ მაგალითებში **საცოლე** და **საცოლო** სწორადაა ნახმარი. ამ სიტყვათა პარონიმია ჩანს ასეთ წინადადებაში: მშობლები მონახავენ ვაჟიშვილისათვის **საცოლოს** და ქალიშვილისათვის საქმროს (ე. ნინოშვ.).

ქართულში პარონიმულად ხმარობენ უცხო წარმოშობის სიტყვებს, როცა არ იცნობენ, ან კარგად არ იციან ასეთ ენობრივ ერთეულთა ზუსტი მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევას უფრო მეტად ვხვდებით თანამედროვე პუბლიცისტიკის ენაში, მაგალითად: **კამპანია//კომპანია, ექსპერტი//ექსპორ-**

ტი, ფაქტი//ფაქტორი, პენალი//პენალტი, ადრესატი//ადრესანტი, დიპლომატი//დიპლომანტი და მისთ.

სიტყვა **კამპანია-კომპანია** ფრანგულია და სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია, კერძოდ **კამპანია** ნიშნავს: ა. ლაშქრობას, საომარ მოქმედებას; ბ. ერთდროულად ჩატარებულ რაიმე ორგანიზებულ საქმიანობას (მაგ. საარჩევნო კამპანია); **კომპანია** კი ნიშნავს: ა. რამდენიმე პირს, რომლებიც ერთად ატარებენ დროს, თანამესუფრეებს; ბ. სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობას. ზოგჯერ აღრეულია მათი მნიშვნელობანი. მაგ.: დაიწყო ხელმოწერების **კომპანია** (უნდა **კამპანია);** ... სვამენ, თავს ვერ აღწევენ ცუდ **კამპანიას** (უნდა **კომპანიას)...**

ფაქტი ისაა, რაც სინამდვილეში ხდება, ნამდვილი, უეჭველი რამ, რაც დასკვნის გამოსატანად გვჭირდება. **ფაქტორი** კი ნიშნავს მოვლენის განმსაზღვრელს, მამოძრავებელ ძალას. პარონიმებია ასევე: **პენალი** და **პენალტი. პენალი** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს საკალმე ყუთს, **პენალტი** კი – ინგლისური და ფეხბურთში თერთმეტმეტრიან საჯარიმოს.

არც თუ იშვიათად პარონიმიას ვხვდებით ქართულ სიტყვებშიც, მაგ.: **სასმისი** და **სასმელი, აღქმა** და **აღთქმა, თარგმანი** და **თარგმნა, უებრო** და **უებარი, გონივრული** და **გონებრივი, თითქმის** და **თითქოს, იწყებს** და **იწყობს, აცხობს** და **აცხებს...** თითოეული მათგანის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ცვლის წინადადებით გამოხატულ აზრს, ამიტომ მათი ხმარებისას დიდი ყურადღება გვმართებს, მსგავსი სიტყვები უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. მაგ.: **შესახედაობა** გულისხმობს ადამიანის გარეგნულ მხარეს, **შეხედულება** კი – აზრს; **სწავლა** ცოდნის მიღებაა, **სწავლება** კი – მისი გადაცემა; **სასმისი** სხვაა, სასმელი – სხვა. **სასმისი** ჭურჭელია, რაშიც **სასმელს** ასხამენ; **აღქმა** შეთვისებას, შეგრძნებას, ასახვას გულისხმობს, **აღთქმა** კი – პირობის დადებას...

სავარჯიშო № 1 ა) ჯგუფში მუშაობა: გაასწორეთ და შეაფასეთ ერთმანეთის ნამუშევრები.

თავ-მოყვარეობა და პატივმოყვარეობა

ჩვენს თვალ-წინ თავმოყვარეობის პატივმოყვარეობად ტრანსფორმაციის საშინელი პროცესი მიმდინარეობს. თავ-მოყვარე კაცი მშვენიერებაა, პატივ-მოყვარე სიმახინჯე.

თუ ადამიანურ ბუნებას პატიოსნება გამოეცალა, ვაჟკაცობა იკარგება. პატიოსნება მთავარი პირობაა იმისთვის რომ კაცი იყოს რაინდი, ვაჟკაცი. ქართველი კაცის რაინდულ ბუნებას სულ პატიოსნება კვებავდა. პატიოსან კაცს რაც დაემართა 20-ე საუკუნეში, ეს უკვე ვთქვით. შეიძლება თქმული გააღრმაო, გაამდიდრო, გამოკლებით კი ვერაფერს ვერ გამოაკლებ. მოსალოდნელი იყო და მოხდა კიდეც ქართველის ვაჟკაცური ბუნების დეფორმირება. ის დარჩა გაბედულ, რისკიან კაცად, მაგრამ ეს გაბედულება და რისკია, თავხედ ადამიანსაც, რომ ამკობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მოგეჩვენებათ კიდეც, რომ ვაჟკაცურია. არ მოტყუვდეთ, ,,შუა უზის დიდი მზღვარი". როდესაც პატიოსნებას გამოვეთხოვეთ, ჩვენ ვაჟკაცობასაც გამოვეთხოვეთ.

თავმოყვარება აჩრდილივით დალასლასებს ქართველი კაცის სულში. უძველესი ტაძარის ფრაგმენტებად ნაფლეთებად დეტალებად შერჩენილი ფრესკების მკრთალ კონტურებს გვაგონებს იგი. სახვალიოდ სრული გაქრობა უწერიათ.

რამ დაგვაკარგვია თავმოყვარეობა თითეულს ცალკ-ცალკე!

ცხოვრების ნირმა მოიმოქმედა ეს! ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ყალბი ცხოვრებით ვიცხოვრეთ. თაღლითობისა და ყალთაბანდობის გზებით გავლიეთ საუკუნე და ამგვარ სვლას უკვალოდ არ ჩაუვლია. პირველი საქვეყნო ტყუილი რომ ვსთქვით, პირველი სისხლის წვეთი მაშინ გამოვაცალეთ თავმოყვარეობას. ჩვენ კი იმდენი ტყუილის თქმა დაქვჭირდა! ჩვენი ურთიერთობა ტყუილის შინაარსზე გავაწყეთ და თავმოყვარეობა რა ტინის კედელი უნდა ყოფილიყო, რომ რღვევა არ დაეწყო!

.....

.....

.....

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

სავარჯიშო № 2 გაასწორეთ შეცდომები.

ნაყინის ისტორია სამიათასი წლის უკან ჩინეთში დაიწყო... თავიდან ეს მხოლოდ ატამისა და ლიმნის ნაჭრებით მორთული ყინულის ნატეხები იყო. ალექსანდრე მაკედონელი თოვლის ღვინოს რძის თაფლის შერევას ახდენდა და ისე მიირთმევდა. თურმე რომის იმპერატორი ნერონი მონებს საგანგებოთ აგზავნიდა მთებში თოვლის ჩამოსატანად და მისგან საყვარელ ნუგბარს აკეთებდა კურკა გამოცლილ ატმებში ტენავდა და ისე მიირთმევდა. იტალიაში ნაყინის რეცეპტი მარკო პოლომ შეიტანა. თავიდან ნაყინის გასინჯვის უფლება მხოლოდ უფლისწულებს ქონდათ მე- 12-ე საუკუნეში მუსიე ჯოზეფმა შეიძინა ნაყინის რეცეპტი და პარიზში 1-ლი სანაყინე გახსნა ამერიკაში მოდური დესერტი ცნობილმა მეწარმემ ფილიპ ლენელმა შეიტანა მას არც უფიქრია ამ გემრიელი დესერტის დამზადების ტექნიკა საიდუმლოთ შეენახა თურმე ჯორჯ ვაშინგტონი თავისი საკუთარი ხელით ამზადებდა ნაყინს 1846 წელს ამერიკელმა დიასახლისმა ნენსი ჯონსონმა ნაყინის დამამზადებელი აპარატი გამოიგონა. ნაღების ნაყინი პირველად ნაპოლეონ მე-3-ის მართველობის დროს ქ. პლობიერ-ლებემბში შეიქმნა და ამიტომაც უწოდეს მას პლომბირი. 1919 წელს ქრისტიან ნელსონმა შოკოლადის მინანქარით ნაყინი გააკეთა, მას ესკიმოსის ღვეზელი უწოდა და ჯოხზე წამოაცვა. ალბათ გიყვართ ამ გემრიელი ნუგბარის კინო თეატრებში მირთმევა, მაგრამ ვინ იცის ვინ დამკვიდრა ეს ტრადიცია ერთხელ გადაწყვიტეს შოკოლადით მოჭიქული ნაყინი კინო-თეატრებში გაეყიდათ. ფილმს რომლის დროსაც ყველაზე უმეტესი ნაყინი გაიყიდა ესკიმო ერქვა სწორედ ამისთვის შეარქვეს ამ ნაყინს ესკიმო.

.....
.....
.....
.....

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

სავარჯიშო № 3. გაეცანით ერთ თემაზე („სიყვარული ყველას უნდა“) დაწერილ ორ ტექსტს. შეაფასეთ სტუდენტთა ნამუშევრები ზემომოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით და მიეცით მათ კონკრეტული რჩევები; ჩაასწორეთ შესაბამისი ადგილები, გააკეთეთ პრეზენტაცია (ჯგუფში მუშაობა).

ნიმუში №1. რა არის სიყვარული? ამ თემაზე უამრავ ფილოსოფოსს, მწერალს, მხატვარს, ჩვეულებრივ ადამიანებს, მათ შორის, დრამატურგებსაც კი უსაუბრიათ. ძალზედ რთულია ისაუბრო იმ გრძნობის შესახებ, როცა თავად არ გამოგიცდია იგი. ამბობენ, ის აღმაფრენაა, თავისუფლება და უაზროდ საინტერესო ჰარმონია. მასზე უსაუბრიათ, მასზე პოემები დაუწერიათ, მისთვის უგალობიათ და გუნდრუკიც უკმევიათ.

ამბობენ, ცოდვაა ის ადამიანი, რომელსაც არ ჰყვარებია, მართალიცაა, ვინაიდან სიყვარული თავად ღმერთია, სწორედ ამიტომ აქ დაშვებული ყოველი შეცდომა მიუტევებელია. „სიყვარულისთვის დაენარცხა ქვაზე ტაბიძე“ – იტყვის მწერალი თავის ლექსში. ნამდვილად იგია გრძნობა, რომლისთვისაც არ არსებობს მიუღწეველი და მიუწდომელი. ის არის ჩემთვის საოცარი, სიგიჟეების მკეთებელი ძალა, ძალა, რაც აშენებს, ძალა, რომელიც ანგრევს, განერვიულებს, გატირებს, ვით მეფე ლირი, ლირი, ყველასგან მიტოვებული.

სიყვარული ყველას უნდა, ვინაიდან ის იშვიათი მარგალიტია. იგი დილის ცვარია, დედის ნანაა, ქალის მანდილია, სვეტიცხოველია, სიწმინდეა. იგია თავად უფალი, შემქმნელი კაცობრიობის. მასზედ ოცნებობს დიდიც, პატარაც, მოხუციც, ახალგაზრდაც. ამბობენ, რომ ახალგაზრდებისთვის სიყვარული წამგებიანია, იმიტომ, რომ ისინი ივიწყებენ კარიერას, თავის ამბიციას და კარგავენ მიზანმიმართულობას, ხელი ეშლებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ყველა-ფერი ახალგაზრდებმა იციან, მაგრამ მათ სიყვარულს ხომ არაფერი დაუდგება წინ! აქიდან ჩანს, რომ იგია ყოვლის შემძლე ძალა, სინათლე სიბნელეში.

საიდან მოდის სიყვარული? ალბათ ზღაპრებიდან, ციდან, უფლიდან, იქნებ მარიტადანაც... არ

ვიცი, საოცარია, მაგრამ ყოველი, მცირე თუ დიდი, ბალახი და პეპელა, ქვიშა და კენჭი გაჟღენთილია სიყვარულით.

და დიახ, ,,დედამიწას სიყვარული ატრიალებს დომენიკო“.

ნიმუში № 2. დრო გადიოდა და ვფიქრობდი, რომ სიყვარული შეუცნობელი ხდებოდა, რომ მის ქვეშ მოქცევა თუნდაც მოკლე ხნით ჩემთვის დამღუპველი გახდებოდა, ამიტომაც ის ფიქრი, რომ ძირს დავვარდებოდი, ფეხით გავითელებოდი, თავიდან არ მშორდებოდა. ირგვლივ ლამაზად მიმოხედვასაც ვერ ვასწრებდი, ისე მშორდებოდა და გულს სიცივე ემჩნეოდა. რა იქნებოდა, რომ ბედნიერი სიყვარული მეც მწვეოდა და გავბედნიერებულიყავი.

მაგრამ, ეჰ, ცხოვრებავ, შენ ხომ ადამიანებს შენს ნებაზე ათამაშებ, შენ ხომ არ შეგიძლია გაიგო წუხილი, დარდი, სიხარული.

მეც მინდა სიყვარული, მინდა, მინდა, სიყვარული, სიყვარული ამოუცნობელი და სიყვარული მეოცნებე. მინდა, მაგრამ არ მაძლევ მას, მე ხომ მალე ძირს დაცემული აღმოვჩნდები და ვერ შევძლებ ისევ ვიხილო ის სიტკბოება, ის სიხარული, და ის ბედნიერება, რაც სიყვარულს მოაქვს.

მცივა, მეშინია, მე ხომ პატარა ვარ, მე ხომ არ შემიძლია გავუმკლავდე ცხოვრების ჭიდილს, მე ხომ არ ძალმიძს შევეჭიდო ცხოვრების მძიმე ტვირთს. მე ხომ პატარა და შეუმჩნეველი ვარ. ჩემ-ნაირი ხომ ათასი და მილიონია. ჩემო ტკბილო და ხანმოკლეო ცხოვრების ხანავ, რატომ არ მომეც საშუალება განმეცადა სიყვარულის ტკბილი გემო. ცოტა კიდევ მრჩება, ცოტას კიდევ ვიფარფატებ, ვინავარდებ და ეგება მეც გადმომხედოს ცხოვრებამ მოწყალე თვალით.

ვუყურებდი ფანჯრიდან ფიფქების ცვენას. და ეს ერთი პატარა ფიფქი ბევრ რამეებს მელაპარაკებოდა, მაგრამ უცებ იგი გაუჩინარდა, უკვე ვეღარ ვხედავდი და გული მეტკინა, ვიგრძენი, რომ სიყვარული ყველას უნდა, სულიერსაც და უსულოსაც, დიდსაც და პატარასაც. სიყვარულით ხომ ჩვენი გრძნობა ღია და გახსნილი ხდება. უსიყვარულოდ ადამიანი უპატრონოდ მიტოვებული, მიხავსებულები ვართ. და ვერ გვამჩნევენ, ვერ ხვდებიან, რომ ყველაფერს აქვს ენა, ყველაფერს ესმის, ყველაფერს სტკივა. მინდა, მინდა, მინდა, სიყვარული მინდა.

შეფასება

№1. _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

№2. _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რას ნიშნავს რედაქტირება?
2. რამდენჯერ უნდა წავიკითხოთ ნაწერის შავი პირი?
3. ესეს შეფასებისას რას ვადგენთ პირველ ყოვლისა?
4. რა მიზანს ემსახურება **შევსება?**
5. რა მიზანს ემსახურება ინფორმაციის **განტვირთვა?**
6. რა იგულისხმება ნაშრომის თანმიმდევრულად ორგანიზებაში?
7. რა და რა დონეების მიხედვით ვაფასებთ წერით ნამუშევარს?
8. რა კრიტერიუმებით ფასდება ესეს სტრუქტურა?
9. რა კრიტერიუმებით ფასდება აბზაცი?
10. რა კრიტერიუმებით ფასდება წინადადება?
11. რაში გვეხმარება ურთიერთშეფასება?
12. რა ტიპის დარღვევებია მორფოლოგიური შეცდომები?
13. რა ტიპის დარღვევებია სინტაქსური შეცდომები?
14. რა ტიპის დარღვევებია ორთოგრაფიული შეცდომები?
15. რა არის კორექტურა და წერითი ნაშრომის შესრულების რომელ ეტაპზე ვაკეთებთ მას?

თემა IX. ციტირება და პერიფრაზირება. პლაგიატი

ციტირება (გერმ. Zitieren< Zitat (ლათ.) სხვა ტექსტიდან რისამე უცვლელად, სიტყვასიტყვით ამოწერაა. ავტორი საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, დასასაბუთებლად იყენებს სხვათა მოსაზრებებსაც. ასეთ შემთხვევაში ციტატა არგუმენტის როლს ასრულებს.

თუ ციტატა სიტყვასიტყვითი ამონაწერია ტექსტიდან, **პერიფრაზირება** კი ავტორისეული მსჯელობის საკუთარი სიტყვებით გადმოცემაა.

ავტორისეული პოზიციის შესაჯამებლად აუცილებელია პერიფრაზირების წესების ცოდნაც. ტექსტის წაკითხვისა და გაგების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს მისი ცალკეული მონაკვეთების საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

პერიფრაზირებისთვის აუცილებელია გავიგოთ ნაწერის, ნაშრომის ძირითადი იდეა. შემდეგ უნდა გადავიკითხოთ იგი, რათა დეტალებიც დავიმახსოვროთ. ავტორის მთავარი სათქმელი ისე უნდა გადმოვცეთ, რომ კომენტარებისგან თავი შევიკავოთ. პერიფრაზირებისას მთავარი არგუმენტები ისე უნდა ამოვარჩიოთ, რომ დეტალებს არ ჩავუღრმავდეთ. როგორც წესი, საკვანძო იდეები თემატურ წინადადებაში არის ჩაქსოვილი, ის კი ყოველთვის აბზაცის თავშია მოცემული, ამიტომ ყურადღებით უნდა გადავხედოთ პარაგრაფების პირველ წინადადებებს, ასევე ანოტაციასა და დასკვნას. ქვესათაურებში ავტორი გადმოსაცემ შინაარსს თავად ყოფს ნაწილებად, ამიტომ ისინი გვეხმარება პერიფრაზირებისას.

კარგი პერიფრაზირების კრიტერიუმებია:

- წყაროს მითითება;
- ორიგინალის ზუსტი და კონკრეტული ინტერპრეტირება;
- არ უნდა შეიცავდეს დამატებით კომენტარებს;
- ყურადღების გამახვილება მხოლოდ ძირითად საკითხებზე და არა კონკრეტულ დეტალებზე;
- ავტორის იდეების საკუთარი სიტყვებით გადმოცემა (წულაძე, 2006).

როცა ნაშრომს ვწერთ, ჩვენ არაერთი ავტორის შეხედულების გაცნობა-დამუშავება გვიწევს, ამიტომ აუცილებელია ისინი კარგად გავიაზროთ და სხვათა მოსაზრებანი საკუთარი სიტყვებით გადმოვცეთ, საკუთარ ყალიბში მოვაქციოთ ... სხვათა ნააზრევი მკითხველს ნატურაში ვაჩვენოთ, მისი ,,მთელი ეშხი" (წულაძე 2006:33) დავანახვოთ და განვაცდევინოთ. ავტორი სათქმელს მეტად ექსპრესიულად, შთამბეჭდავად გადმოგვცემს. ,,მკითხველის ინტერესი მძაფრდება, როცა ტექსტში ბრჭყალებს მიადგება. მწერალი ელმორ ლეონარდო ამბობს, რომ ის უკანა პლანზე გადადის, მკითხველებს მათი მოსმენა სურთ, ჩემი კი არა (მენჩერი, 2012: 303). სწორედ ამ შთაბეჭდილების (პოზიტიური თუ ნეგატიური განცდების, ემოციების) მკითხველისთვის გასაზიარებლადაა საჭირო და აუცილებელი ციტირება, ტექსტიდან კონკრეტული ადგილის მოყვანა-დამოწმება. ამრიგად, ციტირების დანიშნულებაა ნათქვამის დასაბუთება ავტორისეული სიტყვებით. ,,ციტატები ჩვენთვის წმიდათაწმიდაა. თუ არის რაიმე საფუძველი და მათი გადაკეთების ცდუნება გიჩნდება, უნდა მოაცილო ბრჭყალები და საკუთარი სიტყვებით გადმოსცე" (ნიუ-იორკ ტაიმზი (მენჩერი, 2012:303).

ციტირების წესებია

ა) ციტატა, რომელიც 50 სიტყვას არ აღემატება, ტექსტში პირდაპირ ჩაერთვის და ბრჭყალებში ჩაისმება;

ბ) უფრო დიდი მოცულობის ციტატა შეიძლება ძირითადი ტექსტისგან გამოვყოთ ველის დავიწროებით; ბრჭყალები არაა საჭირო;

გ) თუ ავტორი თავად იყენებს ციტატას, მაშინ ეს მონაკვეთიც და ავტორის სიტყვებიც ბრჭყალებში უნდა ჩაისვას. მაგ.: ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ მსჯელობდა იმაზე, რომ უზნეობის მხილებას არ უნდა მოვერიდოთ სხვისი წყენინების შიშით, რადგან ეს ბევრნაირად საზიანოა: ,,ბაძით

ქვეყანა წახდებაო, ნათქვამია. მსჯავრდაუდებელი ბოროტი მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულთბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი ,,უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდება"".

დ) თუ მთლიანი ციტატის დამოწმება არ გვინდა, გამოტოვებულ ადგილას სამი წერტილი უნდა დავსვათ;

ე) თუ ციტატაში საკუთარი იდეის ჩართვა გვსურს, იგი ფრჩხილებში უნდა ჩავსვათ (ვიმოწმებთ წულაძის მიხედვით).

რაც შეეხება ციტატაში სასვენი ნიშნების გამოყენებას, წერტილი და მძიმე ყოველთვის ბრჭყალის შიგნითაა, დანარჩენი სასვენი ნიშნები კი – ბრჭყალს გარეთ, თუ რა თქმა უნდა, ისინი თავად ავტორის ციტატას არ ახლავს.

თუ ზედმიწევნით ზუსტად არ დავიცავთ ციტირება-პერიფრაზირების წესებს, ეს პლაგიატამდე მიგვიყვანს.

პლაგიატი (ფრანგ. plagiat) სხვისი იდეების საკუთარ მოსაზრებად გასაღებაა. ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით ევროპულ ენებში XVII საუკუნიდან გამოიყენება. რომაულ სამართალში plagium (სიტყვასიტყვით მიტაცება, ქურდობა) ნიშნავდა თავისუფალი ადამიანის უკანონო, დანაშაულებრივ გაყიდვას, რის გამოც დამნაშავე გაროზგვით ისჯებოდა. თავდაპირველად, ლიტერატურული საკუთრების ქურდობის აღსანიშნავად ხმარობდნენ ლათ. ტერმინს ,,plagium litterarium". ამ მნიშვნელობით ის გამოიყენება ვიქტორ ჰიუგოს რომანში ,,კაცი, რომელიც იცინის" ბავშვის გატაცების აღსანიშნავად.

ყველაზე ხშირად სტატიასა თუ მონოგრაფიაში სხვის თხზულებას, იდეას ან სხვისი თხზულების ფრაგმენტებს ავტორის დაუსახელებლად იყენებენ, თავისად ასაღებენ.

თუ ავტორობის მითვისება პლაგიატია, სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგების არამართლზომიერ გამოყენებას და პუბლიკაციის ავტორობის მითვისებას **,,პირატობა"** ჰქვია.

პლაგიატად მიიჩნევა სხვისი აზრების ისეთი გადმოცემაც, როცა სინონიმებს ვიყენებთ ან თუნდაც ერთ ფრაზას გადმოვიღებთ, ან კიდევ სიტყვათა წყობას ვიმეორებთ. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ ყველაფერი, რაც ჩვენი ნააზრევი არ არის; პერიფრაზირებისას საგანგებოდ უნდა გადავსინჯოთ წინადადებები, სიტყვებს მხოლოდ ხომ არ ვუცვლით ადგილს და მხოლოდ სინონიმებით ხომ არ ვანაცვლებთ, აუცილებელია დავტოვოთ მხოლოდ ავტორის იდეა და გადმოვცეთ საკუთარი სიტყვებით. მეტად საინტერესო ფაქტია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, კარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგის დისერტაციის უდიდესი ნაწილი სხვა წყაროებიდან იყო კოპირებული. მას ჩამოართვეს სამეცნიერო ხარისხი და თანამდებობიდანაც გადააყენეს.

პლაგიატის თავიდან ასაცილებლად ტექსტს რომ წავიკითხავთ, წიგნი უნდა დავხუროთ და ისე გადმოვცეთ დედააზრი. ამის შემდეგ პერიფრაზირებული მონაკვეთი უნდა გადავსინჯოთ, სადმე ხომ არ გამოგვიყენებია მსგავსი ფრაზები.

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ნაპოლეონ ბონაპარტეს წერილი ბოგარნესადმი და გააანალიზეთ ქვემოთ მოცემული პერიფრაზირების ნიმუშები. იმსჯელეთ, რომელი მათგანია პლაგიატი და გახაზეთ მისი ნიმუშები.

ჩემო ერთადერთო ჟოზეფინა! შენგან მოშორებულს მთელი სამყარო უდაბნოდ მეჩვენება, რომელშიც მე მარტო ვარ... შენ ჩემი სული დაიპყარი და უფრო მეტიც, შენ ჩემი ერთადერთი ფიქრი ხარ. როცა მომბეზრდებიან მოსაწყენი არსებები, ადამიანები რომ ჰქვიათ, როცა მზად ვარ სიცოცხლე დავწყევლო. ხელს გულზე დავიდებ, იქ შენი ხატება მაქვს, ვუყურებ მას, სიყვარული ჩემთვის აბსოლუტური ბედნიერებაა... რა ჯადოთი შესძელი დაგემორჩილებინა მთელი ჩემი უნარი და მთელი ჩემი სიცოცხლის ისტორია!

სიკვდილი ისე, რომ შენი სიყვარულით არ დავტკბე, ჯოჯოხეთური წამებაა, ეს არის სრული განადგურების ნამდვილი სახე. ჩემო ერთადერთო მეგობარო, ბედისაგან რჩეულო, რათა ერთად

გავიაროთ ცხოვრების ძნელი გზა. იმ დღეს, როცა ჩემი აღარ იქნები, სამყარო ჩემთვის მთელ თავის მშვენიერებას დაკარგავს.

1. ნაპოლეონ ბონაპარტეს, ჟოზეფინა ბოგარნესგან მოშორებულს, ცხოვრება უდაბნოდ ეჩვენება. სხვა ადამიანები მისთვის მოსაწყენი არსებები არიან, უმისოდ ცხოვრება აზრს კარგავს, მზადაა იგი დასწყევლოს.

შეყვარებული ნაპოლეონისთვის ჟოზეფინა ბოგარნე ერთადერთი მეგობარია, ბედისაგან რჩეულია, სიყვარული მისთვის აბსოლუტური ბედნიერებაა, სიკვდილი ისე, რომ მისი სიყვარულით არ დატკბეს, ჯოჯოხეთურ წამებად წარმოუდგენია.

2. გახაზეთ პლაგიატის ნიმუშები. შეეცადეთ, ისე გააკეთოთ პერიფრაზირება, რომ პლაგიატი თავიდან აიცილოთ

ამ წერილში გადმოცემულია ჟოზეფინა ბოგარნეს განშორებით გამოწვეული სევდა. ნაპოლეონი თავს ეულად გრძნობს, მისი სული ჟოზეფინას დაუპყრია, ის მისი ერთადერთი ფიქრია, თვალწინ მისი ხატება აქვს.

ჟოზეფინას სიყვარული ნაპოლეონს სრულ ბედნიერებას ანიჭებს. იგი გრძნობს მის უსაზღვრო ძალას. მისი აზრით, სიკვდილი ისე, რომ სიყვარულით არ დატკბეს, ჯოჯოხეთური წამებაა, ეს არის სრული გაქრობის ჭეშმარიტი სახე. იგი მზადაა მასთან ერთად გაიაროს ცხოვრების გზა და დატკბეს სამყაროს მშვენიერებით.

1.წერილში გადმოცემულია სატრფოს განშორებით გამოწვეული სევდა. როცა ნაპოლეონის გული სხვას უპყრია და ის მისგან შორსაა, ცხოვრება უაზრობად იქცევა, ირგვლივ ყველაფერი მოსაბეზრებელია, მისი სიყვარულით სულდგმულობს: ,,როცა მომბეზრდებიან მოსაწყენი არსებები, ადამიანები რომ ჰქვიათ, როცა მზადა ვარ სიცოცხლე დავწყევლო. ხელს გულზე დავიდებ, იქ შენი ხატება მაქვს, ვუყურებ მას“... გრძნობს რა სიყვარულის ძალმოსილებას, სრულ ბედნიერებას, უძლეველი მხედართმთავარი მიიჩნევს, რომ სწორედ იგი ანიჭებს მშვენიერებას სამყაროს და მასვე შეუძლია ადამიანის არსებობა სრული განადგურებისგან იხსნას.

სავარჯიშო 2. წაიკითხეთ ნაწყვეტი ილიას პუბლიცისტური წერილიდან ,,საქართველოს მოამბეზედ“. დაწერეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი, გამოიყენეთ ციტირება-პერიფრაზირების ნასწავლი წესები.

,,საქართველოს მოამბეზედ“

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფრისა. წესი, ჩვეულობა, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ ჭეშმარიტებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ, კიდეც გვიკვირს, ადრინდელ კაცს როგორა ჰსწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისთვის შავი დაერქმია და თეთრისთვის – თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, ,,სხვა სხვის ომში ბრძენიაო,“– ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარედ გამდგარვიყავით და გარემოებ-

ის თვალთდამაბნელებელ ხაოსში შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორიც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმისი მონები არიან. იმ დროის გარემოის მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა, – ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივს კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავისს თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცს უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

1. **სავარჯიშო № 3. ჯგუფში მუშაობა ქვემომოყვანილი ბრძნული გამონათქვამები დააჯგუფეთ, შეარჩიეთ თემა და გამოიყენეთ არგუმენტენტებად და კონტრარგუმენტებად.**

ბუმბულის ლეიბზე ნებივრობით დიდებას ვერ მოიპოვებ **(დანტე);** * შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე **(კ. გამსახურდია);** * ყვავილთა ფურცლების წყვეტით ვერ მოიხვეჭ მათ სილამაზეს; *შვილის სხეულში რომ შეძვრები, ზღვის ურჩხულზედაც უფრო საზარი შეიქნები **(შექსპირი);** * ადამიანი ერთი პატარა წყენა და ერთი პატარა სიხარულია **(ი. ნიკოლაძე);** * სიყვარული იქ მთავრდება, სადაც ერთმანეთს შეიცნობენ ადამიანები **(რემარკი);** * კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია; საქმის ნახევარი საქმე არ არის; * გულწრფელობა ადვილია მაშინ, როცა სრული სიმართლის თქმას არ აპირებ; * შესაძლებელმა ჰკითხა შეუძლებელს: ,,სად დაგივანიაო და უძლურის ოცნებაშიო"; *ადამიანი ბოროტებას რომ ეძებს ადამიანში, თავადაც ამ ბოროტებას ემსგავსება; * გონიერი მეგობრისკენ ისწრაფე, როგორც ოქროს ქისისადმი, სულელს კი ერიდე, როგორც გველს **(კასია);*** გიყვარდეს ყველა, ყველას ნუ ენდობი **(კასია);*** როგორც ბნელ სახლს არ აქვს ლაზათი, ისე მდიდარსაც, თუ მეგობარი არ გყავს **(კასია);** * ადამიანის სისუსტეებს შორის ყველაზე საინტერესო და ყველაზე საპატიებელი სიყვარულია **(ჩარლზ დიკენსი);*** ახალგაზრდა ადამიანს რომ სიყვარულისთვის უსაყვედურო, იგივეა, რაც დაავადებულ ადამიანს – ავადმყოფობისთვის **(შარლ დიუკლო);*** გაანადგურეთ სიყვარული და ჩვენი დედამიწა სამარედ გადაიქცევა**(რობერტ ბრაუნინგი);** *გიყვარდეს და ბრძენი იყო შეუძლებელია **(ფრენსის ბეკონი);** * ერთგული სიყვარული სიძნელეების გადალახვაში გვეხმარება

(იოჰან ფრიდრიხ შილერი); * ვერავითარი თავის მოკატუნება ვერ დამალავს სიყვარულს,თუ ის არსებობს **(ფრანსუა დე ლაროშფრუკო);** * ვერ შეიყვარებ ვერც იმას, ვისიც გეშინია, ვერც იმას, ვისაც შენი იშინია **(მარკუს ტულიუს ციცერონი);** * ვისაც არ ჰყვარებია, მას არც უცოცხლია **(მოლიერი);** *ადამიანი ადამიანობის ადამიანობით ადამიანობს...**(გოეთე);** *ყოველ ადამიანში მზეაოღონდ აცალეთ, რომ ანათოს **(სოკრატე);** ძალზე დამღლელია იმ ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის მართალია **(აგატა კრისტი);** მე მიყვარხარ, არა იმისთვის თუ ვინ ხარ შენ, არამედ იმისთვის, ვინ ვარ მე, როდესაც შენთან ვარ **(გაბრიელ გარსია მარკესი);** * ხშირად ადამიანი მარტოობისას გაცილებით ნაკლებად მარტოსულია **(ბაირონი);** * ყველაფრის შეცნობა შეიძლება, თუმცა ყველაზე ძნელი საკუთარი თავის შეცნობაა **(სტენდალი);*** საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მოკლე ჭკუის ნიშანია...; * ცხოვრებაში რაც არ უნდა დიდი გახდე, გახსოვდეს, რომ შენ პატარა დაიბადე...; * ფრთხილად აირჩიე ოცნება, ის შეიძლება მართლა ახდეს...; * *მეგობრობა სრულქმნის ბედნიერებას და აქარწყლებს უბედურებას, რადგან სიხარულს გვიორმაგებს და უბედურებას გვინახევრებს **(ჯოზეფ ედისონი);** *ღმერთმა მოგვცა ნათესავები... მადლობა ღმერთს რომ მეგობრებს ჩვენ თავად ვირჩევთ... **(ეთელ უორტს მამფორდი);** იმდენად მეგობრები არ გვშველიან, რამდენადაც იმის რწმენა, რომ ისინი გვიშველიან **(ეპიკურე);*** სიმამაცე ბოლომდე შეგნებული პასუხისმგებლობაა **(სოლონი);** ის, ვინც სწორად მიმითითებს ჩემს შეცდომებზე, ჩემი მასწავლებელია; ის, ვინც სწორად აღნიშნავს ჩემს უტყუარ საქციელს, ჩემი მეგობარია; ის, ვინც პირში მეფერება, ჩემი მტერია... **(პეტრე პირველი);** * გაზიარებული სიხარული ერთიორად მეტი სიხარულია, გაზიარებული მწუხარება ერთიორად ნაკლები მწუხარება... **(ტობენი);** *ყველაზე ძნელი და უწყალო მარტოობა გულის მარტოობაა **(ბუასტი);** *ნამუსი ყვავილია, რომელიც თუ მოწყდა, თავის დღეში აღარ ამოვა...ყველაზე ძნელია საკუთარი თავის შეცნობა,ყველაზე ადვილი სხვებისთვის რჩევის მიცემა **(თალესი);** *მამაცობაზე უფრო ხშირად ლაპარაკობენ ლაჩრები, ხოლო კეთილშობილებაზე გაიძვერები **(ტოლსტოი);** * სამს შეუძლია საიდუმლოს შენახვა, თუ ორი მათგანი მკვდარია **(ფრანკლინი);** უბედური გაჭყლეტილი მწერიც ისე იტანჯება, როგორც მომაკვდავი გიგანტი **(შექსპირი);** * ადამიანს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ზემოდან უყუროს მეორე ადამიანს, როცა წამოდგომაში ეხმარება მას **(გარსია მარკესი);** ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ აჯობო **(ერნესტ ჰემინგვეი)**; * შურიანი მოწყენილია მაშინ, თუ მას უბედურება ეწვევა, ან თუ სხვას გაუმართლებს **(ბიონი)**; * ძაღლისთვის მიგდებული ძვალი არ არის მოწყალება. მოწყალებაა, როცა ძაღლს გაუყოფ ძვალს, როცა ძაღლივით მშიერი ხარ **(ჯეკ ლონდონი);** * დაცემას მიეჩვიე, რომ ადგომის ფასი ისწავლო და ტირილი ისწავლე, რომ მიხვდე სიცილი რამხელა ბედნიერებაა; * მეგობარი არის ის კაცი, ვინც ყველაფერი იცის შენ შესახებ და მაინც უყვარხარ.

დავალება. წაიკითხეთ აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და დაწერეთ ესე. საგულისხმო ადგილები დაიმოწმეთ სიტყვასიტყვით ან პერიფრაზირებით. შეაფასეთ ერთმანეთის ნამუშევრები.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. რა არის ციტატა?
2. რისთვის, რა მიზნით გამოიყენება ციტირება?
3. რა არის პერიფრაზი?
4. რისთვის გამოიყენება პერიფრაზირება?
5. რა არის აუცილებელი პერიფრაზირებისათვის?
6. შეგვიძლია თუ არა პერიფრაზში საკუთარი კომენტარების ჩართვა?
7. როგორ დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას პერიფრაზირებისას?

8. როგორ ვიქცევით, თუ ციტატაში საკუთარი იდეის ჩართვა გვსურს?
9. როდის დაისმის ციტირებისას ორმაგი ბრჭყალები?
10. რა არის პლაგიატი?

დაიხსომეთ: პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მართლწერა

პირდაპირი ნათქვამი	**ირიბი ნათქვამი**			
ავტორის სიტყვა + ციტატა	**კავშირიანი**	**ნაწილაკიანი**		
	ავტორისეული სიტყვა **+რომ'**	**–მეთქი**	**–თქო [თქვა]**	**ო**
რუსთველმა ბრძანა: ,,რასაცა გასცემ, შენია,რაც არა – დაკარგულია“	რუსთველმა ბრძანა, **რომ** რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია	**I პირის ნათქვამის გამეორება (მხ. რიცხვში)** ხომ ვთქვი, მოვალ-მეთქი	**II პირი I პირის ნათქვამს III-ს გადასცემს** იას უთხარი, ნიას ფული მიეცი-თქო	**III პირის ნათქვამის გადმოსაცემად; I და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად (მრ. რ.)** გიამ თქვა მოვალო; ხომ დამიბარე მალე მოვალო

<u>**პირდაპირი ნათქვამი**</u>	<u>**ირიბი ნათქვამი**</u>
1.ავტორისეული სიტყვები წინ უსწრებს სხვათა სიტყვას და მის შემდეგ **ორწერტილი** დაისმება: **ბულბულმა თქვა: ,,მე არ ვარ მტაცებელი ფრინველი.“** **2.**თუ ავტორისეული სიტყვები **მოსდევს** სხვათა სიტყვას, ციტატის შემდეგ შემდეგ იწერება **მძიმე, ტირე** და შემდეგ – ავტორის სიტყვები: **,,გაფრინდება სიჭაბუკე შფოთიანი,“–სევდიანად ამბობდა პოეტი.** **3.** თუ ავტორისეული სიტყვები **ჩართულია** სხვათა სიტყვის შიგნით, 1-ლი ნაწილის შემდეგ **მძიმეა**, მერე კი – **ტირე**; ავტორის სიტყვებს მოჰყვება **მძიმეც და ტირეც:** **,,მართალი, – ამბობს ილია, –სხვის გულში ადვილი საპოვნელი არ არის“.**	**1.**სხვათა სიტყვის ნაწილაკი დაერთვის სხვისი ნათქვამის ბოლო სიტყვას; **2.** კითხვითნაწილაკიან სხვათა სიტყვასთან კითხვის ნიშანი არ დაისმის: **მამამ შემოგვითვალა, რას აპირებთო.** **3.** შეცდომაა **ო** ნაწილაკის და **რომ** კავშირის გვერდიგვერდ გამოყენება: **გითხარით, რომ არ მოხვიდეო;** **4.** ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებშია მაშინ, როცა ის ციტატაა. **ისევ გაიმეორა ვაჟას სიტყვები: ,,ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“.**
შენიშვნა: დ ი ა ლ ო გ შ ი სხვათა სიტყვა დაიწყება ტირეთი. – შენი სახელი? – გაბრიელ.	

სავარჯიშო №1. გაასწორეთ შეცდომები:

1. მაშ, თუ აგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძაღლზე-თქო;
2. მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა: ,,დაგესხათ თავს ლაფი, გინდოდათ, რომ მოგეტყუებიათ-ო?“;
3. შაოსანნი ჩურჩელებდნენ: ნამსახური კაცი რა გასაგდებია-მეთქი;
4. იწერება: ქრისტიანობა ამოვარდაო... წირვა-ლოცვა აღარ ისმის, ხატები შეურაცხყვეს და ტაძრები გააპატიურეს-ო;
5. მე ფალავნებს ვეჭიდავები და არა გოლიათებს-თქო, – მოახსენეს ქართველებმა;
6. არ გითხარი რომ ვერას დამაკლებ-თქო, გავუმეორე;
7. მოიკითხე, უთხარი, შემირიგდეს გიბრძანა-ო;
8. მოახსენე, ამ საათშივე მეახლები-მეთქი;
9. ვითამაშეთ და ქორმაც ჩვენ გაგვიტაცა-მეთქი, – ვუპასუხეთ სიცილით;
10. თვითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები რის მაქნისია, კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი, – უთხრა გიორგიმ.

თემა X. სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, საბაკალავრო ნაშრომის მთავარი მოთხოვნები; ანოტაცია, თეზისები, რეცენზია

სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ნაშრომი დასრულებული კვლევაა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. იგი სამეცნიერო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი, ეხება ამა თუ იმ აქტუალურ საკითხს და იქმნება სამეცნიერო სტილით.

სამეცნიერო ნაშრომები არის: მოხსენება, ლექცია, სახელმძღვანელო, დისერტაცია, მონოგრაფია და ა. შ. მისი მიზანია კვლევის შედეგების წარმოჩენა, სამეცნიერო წრეებისთვის სიახლის გაცნობა, ინტელექტუალური კომუნიკაცია.

ვინ ქმნის სამეცნიერო ნაშრომს? რა თქმა უნდა, სამეცნიერო კვლევით დაინტერესებული კომპეტენტური პირი, დარგის სპეციალისტი ან სპეციალისტები.

სამეცნიერო ნაშრომის მახასიათებლებია: სიზუსტე, ლოგიკურობა, თანმიმდევრული მსჯელობა, სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია, სტატისტიკური მონაცემები, სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა, ობიექტური დამოკიდებულება საკითხისადმი (სუბიექტური მომენტების უგულებელყოფა) და მხატვრული ელემენტების მაქსიმალური შეზღუდვა.

სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამეცნიერო ნაშრომის შესაქმნელად აუცილებელია:

1. საკვლევი საკითხის სიღრმისეული ცოდნა და სათანადო ლიტერატურის გაცნობა;

2. საკითხის აქტუალურობის, სიახლისა და პერსპექტიულობის წარმოჩენა;

3. საკითხთან დაკავშირებული ემპირიული მასალის და კვლევის შედეგების ჩვენება.

მეტად ეფექტური მეთოდია კითხვების დასმა:

- **რის შესახებ ვწერთ სამეცნიერო ნაშრომს? რა არის კვლევის მიზანი?**
- **რამდენად აქტუალურია პრობლემა და რა შედეგს მოიტანს კვლევა?**
- **რა მეთოდებს ვიყენებთ?**
- **რა გვეხმარება კვლევაში?**
- **ამომწურავად განვიხილეთ თუ არა ნაშრომთან დაკავშირებული ყველა საკითხი?**
- **რა დაგვრჩა განსახილველი?**

აი, იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებლად დაგვეხმარება სამეცნიერო ნაშრომის შექმნაში.

სამეცნიერო ნაშრომს აუცილებლად სჭირდება **სამეცნიერო აპარატი**: *სქოლიო, შენიშვნა, გამოყენებული ლიტერატურის დამოწმება, საძიებელი და შემოკლებათა განმარტებანი.*

1. სქოლიო გამოიყენება ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად (დამოწმებული სტატიის ან მონოგრაფიის სრული სახელწოდება და ავტორი; შენიშვნა; ავტორის განმარტება; დამატებითი ტექსტი).

სქოლიო განთავსებულია ძირითადი ტექსტის ქვეშ, გვერდის ან სტატიის ბოლოს. Microsoft Word -ის პროგრამაში ის იქმნება შემდეგნაირად:

1. ერთდროულად აკრიფეთ კლავიშები: Ctrl, Alt და F;

2. შედით მენიუში insert – reference – footnote.

გთავაზობთ სქოლიოს ნიმუშს:

1. ლ. კვანტალიანი ,,ჩართულის გავრცობის შეუძლებლობას თვლის სწორედ ჩართულისა და წინადადების მთავარი კომპონენტების განმასხვავებელ ნიშნად“.[11]

2. „მზის ცქერით გაძღომა ხალხურ მეტყველებაში ნიშნავს დიდხანს სიცოცხლეს, დედამიწაზე დიდხანს ყოფნას და ამ ყოფნით კმაყოფას“ (სახოკია, 1956:23).

---

1 ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ. 1986

2. დამოწმებულ სტატიას ან მონოგრაფიას შემდეგნაირად უთითებენ: ჯერ იწერება ავტორის გვარი, შემდეგ ინიციალი, სტატიის სათაური, გამოცემის ან კრებულის დასახელება, ადგილი, წელი და გვერდი.

ნიმუში:

1. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ნაწ. I, თბ.1973; ტექსტში იგი ასე შემოკლდება: შანიძე, 1973: 135;

2. ხახიაშვილი ნ., სიტყვა მზესთან დაკავშირებულ სახელთა სემანტიკური ანალიზი ქართულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“, 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერი (მასალები);

3. გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., აკადემიური წერა, პირველი გამოცემა, გამომც. „საიმედო“, თბ. 2009.

3. შენიშვნა: მითითებული სტატიის ან მონოგრაფიის ხელმეორედ გამოყენებისას შეიძლება მათი სათაური შევამოკლოთ.

ნიმუში: 1. გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., დასახ. ნაშრ. 120.

ნიმუში: 2. იხ. აგრეთვე შავთვალაძე ნ., დუნდუა შ., აკადემიური წერა, მესამე გამოცემა, თბ. 2011.

4. საძიებელი (სარჩევი) და შემოკლებანი სხვადასხვა ტიპის ნაშრომს ბოლოში ერთვის (სარჩევი ზოგჯერ გვხვდება თავშიც). ორივე ერთგვარი გზამკვლევი და დამხმარე საშუალებაა მკითხველისთვის.

დაიმახსოვრეთ! სიტყვა უნდა შემოკლდეს მხოლოდ თანხმოვანზე.

ნიმუში: ა) ავტორები: რ. ამაღლ.– რატი ამაღლობელი; ჭ. ამირეჯ.– ჭაბუა ამირეჯიბი; მ. მაჭავ. – მუხრან მაჭავარიანი; მ. ჯავახ. – მიხეილ ჯავახიშვილი.

ბ) ცალკეული გამოცემა და მასალები:

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი;
იკე – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება;
ქსკს– ქართული სიტყვის კულტურის საკითხები;
ხალხ.სიბრძ. – ხალხური სიბრძნე.

გ) პერიოდული გამოცემები: ,,ალია“ – გაზეთი ,,ალია“; ,,ახ.თაობა“ – გაზეთი ,,ახალი თაობა“; ,,თეატრი“ – ჟურნალი ,,თეატრი“.

დ) ელექტრონული წყაროები:

,,იკე“ – www. ice. ge
,,ვიკიპედია“ –ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია (www.ka.wikipedia.org)
,,ჰუმან“. – ვებპორტალი ადამიანის უფლებების შესახებ (www.humanrights.ge).

აკადემიური ნაშრომის შესაქმნელად უკანასკნელ წლებში აქტიურად გამოიყენება ამერიკული ფსიქოლოგიური ასოციაციის (**აფა**) სტილი. ის ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს. ესენია: 1. წერითი ნაშრომის **დაფორმატების ზოგადი წესი** (A4 ფორმატი, შრიფტი- (Sylfaen; Acadnusx), შრიფტის ზომა -11, პწკარებს შორის მანძილი (1.5), ველების დაცვა (2.54); 2. ნაშრომში გამოყენებულ წყაროთა მითითების (ციტირების) წესი.

თავფურცლის გაფორმება

ნაშრომის ტექსტი დაცილებული უნდა იყოს გვერდის მარჯვენა და მარცხენა კიდიდან 2,54 სმ მანძილზე.

თავფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში იწერება ე. წ. თანმდევი სათაური – სრული სათაურის შემოკლებული ვერსია, რომელიც შედარებით მცირე შრიფტით, დახრილად იწერება და ნაშრომის ყველა გვერდზეა მითითებული.

ნაშრომის სრული სათაური თავფურცლის შუა ნაწილის ზემოთ იწერება, სათაურის ქვემოთ კი ორი-სამი ინტერვალის დაშორებით ნაშრომის ავტორის სახელი და გვარია მითითებული, შემდეგ უთითებენ უნივერსიტეტს, ოთხი-ხუთი ინტერვალის დაშორებით იწერება ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა. თავფურცლის ბოლოს, შუა ნაწილში, მითითებულია ნაშრომის შესრულების ადგილი და თარიღი (წელი).

სწავლების თანამედროვე თეორიები

ავტორი: ნინო წიკლაური

რეფერატი შესრულებულია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
აკადემიური წერის კურსისთვის

ხელმძღვანელი: პროფესორი მამია ფაღავა

ბათუმი
2014

გთავაზობთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის გაფორმების მოთხოვნებს

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის შესრულება.

2. საბაკალავრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს დაცვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. თემა შეირჩევა სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერებით.

3. სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს აკინძული და ყდაში ჩასმული. დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა. ტექსტი უნდა აიკრიფოს **A 4 ზომის** სტანდარტულ ფურცელზე; ბ. **შრიფტი** - AcadNusx/sylfaen; გ. შრიფტის **ზომა** - 12; დ. სტრიქონებს შორის ინტერვალი- **1,5;** ე. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა - 1,5 სმ, ზემოთ - 2 სმ, ქვემოთ - 2 სმ;

4. საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 25 გვერდს.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, აკადემიურმა საბჭომ შეიძლება დაადგინოს კონკრეტულ მიმართულებაში საბაკალავრო ნაშრომის შესრულების განსხვავებული მოთხოვნები.

5. ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა. თავფურცელი სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდია. ზემოთ უნდა მიეთითოს:

I. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება: **ბათუმის** *შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.* უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 სმ-ით;

II. მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით იწერება **ფაკულტეტის დასახელება.**

III. შემდეგ აღინიშნება **სტუდენტის სახელი და გვარი,**

IV. შუაში კი – **ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16),**

V. **სპეციალობა და საძიებელი ხარისხი,** რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი.

VI. თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება თემის ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა და აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი.

VII. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ.: ბათუმი – 2014).

ბ. ანოტაციაში მოკლედ უნდა აღიწეროს ნაშრომის აქტუალურობა, მიზნები და ამოცანები, კვლევის ძირითადი შედეგები. იგი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. ანოტაცია ორ ენაზე (როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე) უნდა დაიწეროს;

გ. სარჩევში თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება და მიეთითოს გვერდების ნომრები;

დ. შესავალში უნდა გადმოიცეს საკვლევი თემის **აქტუალურობა**, მიზნები და დასმული ამოცანები, აღიწეროს გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე. ძირითადი ტექსტში უნდა აისახოს ნაშრომის შინაარსი. მასში უნდა გამოიყოს თავები (თუ საჭიროა, ქვეთავებიც) და პარაგრაფები;

ვ. დასკვნა გადმოგვცემს ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი კვლევის ძირითად შედეგებს;

ზ. გამოყენებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანის რიგზე;

თ. საილუსტრაციო მასალა (თუ ასეთი არსებობს).

,,აფას" სტილი ერთმანეთისაგან განასხვავებს **,,გამოყენებულ ლიტერატურასა"** (References : მხოლოდ ის წყაროები, რომელთაც ეყრდნობა კვლევა) და **,,ბიბლიოგრაფიას"** (Bibliography სხვა ლიტერატურასაც, რომელთა გაცნობაც სასურველია). გამოყენებული ლიტერატურის სია ნაშრომს ერთვის ბოლოში (ზოგჯერ წინაც).

სათაური – **გამოყენებული ლიტერატურა** იწერება შუაში. გამოყენებული ლიტერატურა *არ ინომრება.* **ლაგდება ანბანზე.** ჯერ იწერება ქართული, შემდეგ – უცხოენოვანი წყაროები.

არაქართულენოვან წყაროს ვიმოწმებთ ლათინურად, კვადრატულ ფრჩხილში ვათავსებთ წიგნის სათაურის თარგმანს. შიდატექსტური მითითებისას ის მხოლოდ პირველად მიეთითება ქართულად და წილადით – ლათინური ანბანით. თუ წყაროს ავტორი არ არის მითითებული, გამოყენებული ლიტერატურის სიაში მისი ადგილი განისაზღვრება სათაურის პირველი ასოს მიხედვით: მაგ. **ტრენინგის მასალები...**

➢ **ავტორთა ჩამონათვალი.** ჯერ ყოველთვის მიუთითეთ ავტორის გვარი, შემდეგ კი – ინიციალი. თუ წიგნს 5 და 5-ზე ნაკლები ავტორი პირველი მითითებისას სრულად იწერება; თუ 6-ზე მეტი ავტორი ჰყავს, პირველი ექვსის ვინაობის დასახელების შემდეგ იწერება **,,და სხვანი"**.

➢ **კორპორაციული ავტორები.** კორპორაციის დასახელება მიეთითება ავტორების ნაცვლად (დიდი ასოები საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება პირველი სიტყვებისათვის). დაცული უნდა იყოს იერარქიის პრინციპი: ორგანიზაციის დასახელება წინ უნდა უსწრებდეს ქვეგანყოფილებებს.

რედაქტორები. თუ წიგნს ავტორი არ ჰყავს, მის ნაცვლად რედაქტორის/რედაქტორთა მონაცემები მიუთითეთ (გვარი, სახელის ინიციალი), რომელსაც დაერთვება ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა (რედ.).

გამოყენებული ლიტერატურის სიის გაფორმებისას უნდა გვახსოვდეს:

➢ **პუნქტუაცია.** მძიმეებს ვსვამთ ავტორთა გვარების ჩამოთვლისას; ორი წერტილი გამოიყენება წიგნის გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის სახელებს შორის.

➢ **ნომერი, გამოცემა, გვერდის დასახელება.** პერიოდული გამოცემები (გაზეთი, ჟურნალი) ასე

მიეთითება: 69, 10–22; კონკრეტული ნომერი – 69 (3), 10-22. შემოკლება **„გვ.“** გამოიყენება საგაზეთო სტატიებისათვის; **ელექტრონულ გამოცემებს** გვერდების ნომრებს ვერ ვუთითებთ, რადგან არ აქვს; თუ ელექტრონული ვერსია არის სრული ასლი რაიმე გამოცემისა (რაც ხშირია), უნდა მიეთითოს გამოცემა (გვერდების ჩათვლით) და ბოლოს ელექტრონული ვერსიის მისამართი.

ქართული ანბანის ტრანსკრიფცია

ა	A a	მ	M m	ღ	
ბ	B b	ნ	N n	ყ	Q q
გ	G g	ო	O o	შ	Š š
დ	D d	პ	P p	ჩ	
ე	E e	ჟ	Ž ž	ც	C' c'
ვ	V v	რ	R r	ძ	Ž ž
ზ	Z z	ს	S s	წ	C c
თ	T' t'	ტ	T t	ჭ	
ი	I i	უ	U u	ხ	X x
კ	K k	ფ	P' p'	ჯ	
ლ	L l	ქ	K' k'	ჰ	H h

1. **სავარჯიშო: დაალაგეთ გამოყენებული ლიტერატურა ანბანის რიგზე და გაასწორეთ შეცდომები:** არისტოტელე, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები. II გამოცემა. თბ., 1979; გელენიძე ლ. ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით, ქსკს წიგნი, გამომცემლობა ,,მეცნიერება“ 4. თბ., 1984; გოჩიტაშვილი, შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., აკადემიური წერა, გამომცემლობა ,,საიმედო“, თბ., გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., ფუნქციური წერა ,,საიმედო“, თბ., 2011; მ.,მენჩერი ახალი ამბების გაშუქება და წერა: მე- 12 გამოცემა, გამომცემლობა ,, დიოგენე“, თბ. 2013; შავთვალაძე ნ., დუნდუა აკადემიური წერა, მეორე გამოცემა: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013; შარაშენიძე ნ., როგორ ვწეროთ უკეთესად, ,,დიოგენე“, 2008. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., სტილისტიკა გამომცემლობა ,,ივერონი“, თბ.: 2014; Luria, A. R. Cognitive Development: Its Cultural and Social Foundations. Cambridge, MA: Harvard University Press, 1976

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

.....

.....

.....

.....

.....

ანოტაცია სამეცნიერო ნაშრომის პრობლემატიკის აქტუალურობის, თემის პერსპექტიულობის მოკლე მიმოხილვაა. იგი იწერება მონოგრაფიის სატიტულო გვერდის შემდეგ, მარცხენა მხარეს. ანოტაციიდან მკითხველი ეცნობა არის თუ არა ნაშრომში განხილული მისთვის საინტერესო საკითხები. ის უნდა დაიწეროს ნათელი და მკაფიო ენით, რათა მან შეასრულოს სარეკლამო-საინფორმაციო ფუნქცია და დააინტერესოს მკითხველი.

ნიმუში:

სტუდენტ ქ. გიორგაძის საბაკალავრო შრომის – „ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ფოლკლორული წყაროები“ (ხელ-ლი: ასოც. პროფ. გ. ბახტაძე)

ანოტაცია

რომანტიზმი ქართული ეროვნული სულის ნაწილია. რაც დრო გადის, კვლევა-ძიებითი ინტერესების ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო ფართოვდება ცნება „ქართული რომანტიზმით“ ოპერირების მასშტაბები.

XIX საუკუნეში ახალი ქართული ლიტერატურის შესაქმნელად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის გათავისუფლებას სპარსულ-აღმოსავლური ტრადიციებისაგან და ხალხურ წყაროებთან დაახლოებას. ქართველმა რომანტიკოსებმა თავიანთი ნაწარმოებები გაამდიდრეს მრავალფეროვანი ფოლკლორული მასალით, სხვა ხიბლი და ლაზათი შემატეს მას. მათი შემოქმედების ფოლკლორული წყაროები ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ხანგრძლივ და ტრადიციულ ურთიერთობას ასახავს.

ფოლკლორული ცნობიერება სპეციფიკურ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ სისტემაში მისი გარდატეხის შემდეგ ახალ სახეს იღებს. ლიტერატურასა და ფოლკლორში მხატვრულ სიტყვას, ესთეტიკურის გარდა აქვს საინფორმაციო და კომუნიკაციური ფუნქციებიც.

ლიტერატურა და ფოლკლორი განსხვავდება დასამუშავებელი თემების შერჩევით, მათი შინაარსობრივი ხორცშესხმით, შემოქმედებითი პროცესითა და პოეტიკით.

რომანტიკოსთა შემოქმედებაში მხატვრული სახეები: *მნათობი, ვარსკვლავი, მზე, მთვარე, ვარდი* და ბევრი სხვა მეტაფორული სახე თუ შედარება-ეპითეტი ახალ თვისებებს იძენს, განსაკუთრებულ ფუნქციებს ასრულებს.

თეზისები სამეცნიერო ნაშრომის, მოხსენების თუ ლექციების მოკლე საკვანძო დებულებებია. იგი სრულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს კვლევის შედეგების, ავტორისეული პოზიციის, მეცნიერული სიახლის (და არა სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გავრცელებული შეხედულების) შესახებ. უმჯობესია თეზისები გადმოიცეს პუნქტობრივად, სათქმელი მოკლედ და კონკრეტულად გამოიხატოს. მასში არ უნდა იყოს ციტირება, პერიფრაზირება და სქოლიო (თუ რომელიმე მკვლევრის ნააზრევის დამოწმება გვსურს, მაშინ მსჯელობისას უნდა მოვიხსენიოთ).

თეზისები უნდა დაიწეროს სამეცნიერო ენით.

ნიმუში:

თეზისები

ჟარგონის სელექციის პრობლემა განმარტებითსა და ორენოვან ლექსიკონებში

დალი ფანჯიკიძე

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟარგონი საერთო-სახალხო ენის მარკირებულ შრეს მიეკუთვნება, მაგრამ იგი სხვა ასეთ შრეთაგან ცვალებადობის მაღალი კოეფიციენტით განსხვავდება, რაც აბრკოლებს მის დამკვიდრებას ლექსიკონებში.

ჟარგონის დანიშნულებას მისი ელექტორატი განსაზღვრავს. ეს არის ახალგაზრდული ენა, მისი ერთი ნაწილი აღმოცენდება ეპოქის ერთი მონაკვეთისთვის დამახასიათებელი ყოფითი მოვლენების ფონზე, შინაარსობრივად მეტად გამჭვირვალეა და მხოლოდ ერთი თაობისთვის არის გასაგები და ემოციის აღმძვრელი.

ხანმოკლე ჟარგონიზმები, აგრეთვე დიალექტებიდან შემოსული ენობრივი ერთეულები, ყველაზე გონებამახვილურია, ფართოდ ვრცელდება ენაში, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმებთან შეუთავსებლობის გამო ძირითად ლექსიკურ ფონდში იშვიათად მკვიდრდება ხოლმე.

ჟარგონის დამკვიდრების წინაპირობაა შიდაენობრივი ფორმის გამჭვირვალობა და დაბალი სპონტანურობა, რაც მისი ,,მარადიულობის" საწინდარია. იგი ეყრდნობა ცნობიერების მკაფიოდ გამოხატულ ვერბალურ ფორმებს, ემოციურად დატვირთულია და დროის მოკლე მონაკვეთზეა ორიენტირებული.

განმარტებით თუ ორენოვან ლექსიკონში ჟარგონის ჩართვის მექანიზმი ემყარება სელექციის მეთოდს, რომელიც, თავის მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს ეფუძნება.

რეცენზია

რეცენზია [ლათ. recensio განხილვა, გამოკვლევა] ეწოდება ლიტერატურული, მეცნიერული ნაშრომის, სპექტაკლის, კინოსურათისა და სხვათა გარჩევას, კრიტიკულ შეფასებას.

რეცენზირება მეტად საპასუხისმგებლოა. მას ასრულებს კომპეტენტური პირი, დარგის სპეციალისტი.

სტრუქტურა

* ჯერ იწერება ნაშრომის სათაური, ფორმატი, შემდეგ აღიწერება სტრუქტურა;

*რეცენზენტი პირველ რიგში წარმოაჩენს სარეცენზიო ნაშრომის დადებით მხარეს, მის ღირსებებს;

* რეცენზიის მეორე ნაწილში იწერება შენიშვნები, რომლებიც უნდა იყოს ობიექტური, დასაბუთებული და ტექსტიდან სათანადო ადგილებით დამოწმებული.

*რეცენზიაში არ გამოიყენება სქოლიოები, არც სამეცნიერო ლიტერატურა მიეთითება, თუმცა რეცენზენტი აუცილებლად აღნიშნავს, რამდენად სრულყოფილადაა შესწავლილ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა და მიუთითებს იმაზეც, კიდევ რა ნაშრომის გაცნობა იქნებოდა აუცილებელი ან სასურველი.

რეცენზია შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, თუმცა ორივე შემთხვევაში რეცენზენტს ევალება მეცნიერული ეთიკის დაცვა.

რეცენზია იქმნება როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ისე ფართო აუდიტორიისთვის. პირველი იწერება სამეცნიერო სტილით, სათაურიც შესაბამისი აქვს და იბეჭდება დარგის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში, მეორე კი იქმნება პუბლიცისტური სტილით, რამდენადმე ექსპრესიულია, სათაურიც ხატოვანია და იბეჭდება პრესაში.

ნიმუში:

საყურადღებო ნაშრომი

,,შავშეთი“ კომპლექსური გამოკვლევაა. იგი ორი ნაწილისა და შვიდი თავისგან შედგება. I ნაწილში მოცემულია, თუ როგორაა აღწერილი ისტორიული შავშეთი მოგზაურთა და მეცნიერთა ჩანაწერებში. აქვე განხილულია ორი დიდი სახელმწიფოს გარემოცვაში მოქცეული სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა XV-XVI საუკუნეებში.

ნაშრომში მოცემულია ძვირფასი ცნობები შავშეთის ყოფის შესახებ. ცალკე თავები ეთმობა შავშეთის მატერიალური ძეგლების აღწერას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს.

ჩვენთვის, ლინგვისტებისთვის ფრიად საყურადღებოა შავშური კილოს ფონემატური სტრუქტურა, ფონეტიკური მოვლენები, ზმნის კატეგორიები, საწყისის, მიმღეობის თუ უდეტრების თავისებურებანი, სიტყვაწარმოებითი მოდელები. აქვე განხილულია სინტაქსის საკითხებიც, მოცემულია შავშური ლექსიკა, რომელსაც აჩნია თურქულის კვალი.

განსაკუთრებით საინტერესოა შავშეთის ტოპონიმიკა და მისი სტრუქტურულ- სემანტიკური ანალიზი. ტოპონიმებში გამოიყოფა ქართულ-თურქული ფუძეები თუ მაწარმოებლები.

ენათმეცნიერთათვის ყველაზე ძვირფასი და ღირებულია შავშური დიალექტის მასალები, ფოლკლორის ნიმუშები, რომელთაც ერთვის შენიშვნები, ვარიანტები და ლექსიკონი. იგი მზა მასალაა ლინგვისტებისთვის და კომპლექსური კვლევის საგნად შეიძლება იქცეს.

,,შავშეთი“მკვლევართა თავდაუზოგავი შრომის, შეუნელებელი მეცნიერული ინტერესის და დიდი ენთუზიაზმის დასტურია. იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს ეროვნულ სულიერ მემკვიდრეობაში.

ნანა ცეცხლაძე, მაია კიკვაძე, ნათია ფარტენაძე, მზია ხახუტაიშვილი.

სავარჯიშო №1. დაწერეთ თავისუფალი ესე თემაზე ,,გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ .

დავალება. წაიკითხეთ ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ და დაწერეთ რეცენზია.

ცოდნის შესამოწმებელი კითხვები:

1. დაასახელეთ სამეცნიერო ნაშრომები:
2. რისთვის გამოიყენება სქოლიო?
3. რას ნიშნავს სამეცნიერო აპარატი?
4. ვისი კომპეტენციაა სამეცნიერო ნაშრომის შექმნა?
5. დაასახელეთ სამეცნიერო ნაშრომის მახასიათებლები;
6. რა არის აუცილებელი სამეცნიერო ნაშრომის შესაქმნელად?
7. როგორ ვუთითებთ დამოწმებულ სტატიას ან მონოგრაფიას?
8. როგორ ვაფორმებთ საბაკალავრო ნაშრომის თავფურცელს?
9. რა არის ანოტაცია?
10. რა არის თეზისები?
11. რამდენი სახის რეცენზიას იცნობთ?
12. დაასახელეთ კარგი რეცენზიის მახასიათებლები.
13. რას გულისხმობს მეცნიერული ეთიკის დაცვა?
14. რით განსხვავდება ერთმანეთისგან სამეცნიერო და ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი რეცენზიები?
15. როგორ უთითებენ რეცენზიაში შენიშვნებს?

თემა XI. საქმიანი ქაღალდები

საქმიანი ქაღალდები გამოიყენება პირების, პირისა და უწყების, პირისა და სახელმწიფოს, ორგანიზაციების, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისას.

საქმიანი ქაღალდებია: **განცხადება, მოხსენებითი ბარათი, ახსნა-განმარტებითი ბარათი, რეკომენდაცია, დახასიათება, სამოტივაციო წერილი, მოკლე ბიოგრაფია (CV), საქმიანი წერილი, ოქმი, ანგარიში, ცნობა, ხელწერილი, პროექტი და ა. შ.**

ოფიციალურ-საქმიან სტილს არ ახასიათებს ემოციურობა, სუბიექტური შეფასება და სამეტყველო სტილის ელემენტები. ამით უახლოვდება ის სამეცნიერო სტილს, მაგრამ განსხვავდება მისგან იმით, რომ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს ავტორი ან ავტორები და ინდივიდუალურობა ასე თუ ისე შესამჩნევია. ოფიციალურ დოკუმენტში, პუბლიცისტური და მხატვრული სტილის ტექსტებისაგან განსხვავებით, არ ჩანს ავტორის ინდივიდუალურობა, წერის მანერა. დოკუმენტის სარწმუნოობაზე მიანიშნებს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

I. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განცხადება საქმიანი ქაღალდია, რომლითაც გადმოიცემა თხოვნა, მოთხოვნა, საჩივარი ან რაიმე შეტყობინება.

განცხადებაში სათქმელი ლაკონიურად და მკაფიოდ უნდა გადმოიცეს, რათა ადრესატისათვის ადვილად აღსაქმელი იყოს.

სტრუქტურა: 1. განცხადება შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. პირველ ბლოკში მოცემულია ინფორმაცია ადრესატისა და განცხადების ავტორის შესახებ.

პირველ სტრიქონზე, მარჯვენა მხარეს, იწერება ადრესატის მონაცემები- დაწესებულების ან ორგანიზაციის დასახელება, ადრესატის თანამდებობა, მისი სახელი და გვარი.

2. მომდევნო სტრიქონზე, ზევით, მარჯვენა მხარეს, იწერება განმცხადებლის გვარი, სახელი, თანამდებობა და, საჭიროების შემთხვევაში, ზუსტი მისამართი.

მცირე ინტერვალის შემდეგ დოკუმენტის შუაში იწერება სიტყვა ,,გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა“.

მეორე ბლოკში იწერება განცხადების შინაარსი. ის იწყება აბზაცით და სამი ნაწილისაგან შედგება: ა) შესავალი (რატომ იწერება განცხადება);

ბ) ძირითადი ნაწილი (მიზეზის დასაბუთება);

გ) დასკვნითი ნაწილი (რას ითხოვს იგი).

3. მარცხენა მხარეს, ქვემოთ მიეთითება თარიღი;

4. ბოლოს, თარიღის გასწვრივ – განმცხადებლის ხელმოწერა.

დავალება №1. შეადგინეთ განცხადებები შემდეგ თემებზე:

1. გამოცდის გადატანა; 2. აკადემიური შვებულების აღება საზღვარგარეთ გამგზავრების გამო.

1. ----------

ნიმუში:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს, პროფესორ .....

ამავე ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის

სპეციალობის I კურსის სტუდენტ

ნ ი ნ ო დ ი ა ს ა მ ი ძ ი ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ინგლისური ენის II (A2 დონე) ჯგუფში. გადატვირთული სასწავლო პროგრამის გამო ვეღარ ვამზადებ მასალას და მაქვს დაბალი აკადემიური მოსწრება. გთხოვთ, გადამიყვანოთ IV (A1 დონე) ჯგუფში.

25. 10. 2015. ნ. დიასამიძე

2.---

განცხადება ეწოდება ისეთ დოკუმენტსაც, რომლითაც ესა თუ ის პირი ან დაწესებულება იუწყება ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების (**კრება, თათბირი, სხდომა, კონფერენცია, ექსკურსიის მოწყობა, საღამოს გამართვა, ფილმის ჩვენება, დისპუტი და ა. შ.**) შესახებ. ასეთ განცხადებას **საინფორმაციო** ეწოდება. ის შედგება რამდენიმე ნაწილისგან:

- სათაური (განცხადება);
- ღონისძიების ჩატარების დრო;
- ღონისძიების ჩატარების ადგილი;
- განცხადების შინაარსი;
- განცხადების ავტორთა დასახელება.

ნიმუში:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს, შაბათს, 12 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 238-ე აუდიტორიაში ჩატარდება შეხვედრა ახალგაზრდა პოეტებთან.

უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი

დავალება №2. შეადგინეთ საინფორმაციო განცხადებები შემდეგ თემებზე:

1. საქველმოქმედო ღონისძიების გამართვა; 2. დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

1. ----------

---

2. ----------

II. მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოხსენებითი ბარათი ვრცელი და ინფორმაციული დოკუმენტია, რომლის მიზანია, გააცნოს ადრესატს ავტორის (ავტორთა) სურვილი, მოთხოვნა, პოზიცია, შეხედულება, გადაწყვეტილება და ა. შ. ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. იგი შედგება რამდენიმე ბლოკისგან:

1. **პირველი ბლოკი.** ფურცლის დასაწყისში, მარჯვნივ, იწერება ადრესატის თანამდებობა, სახელი და გვარი, ორი ინტერვალის შემდეგ – ავტორის ვინაობა, ამავე დაშორებით, შუაში იწერება მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი (სასურველია გამუქება);

2. **მეორე ბლოკში** იწერება შინაარსი. მაგ.: უწყებაში არსებული პრობლემები ან არსებული სიტუაცია, მათი გამომწვევი ლოგიკური მიზეზები, გადაჭრის გზები და საშუალებები. ამ უკანასკნელმა უნდა დაარწმუნოს ადრესატი აღნიშნული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაში. **განცხადებისაგან განსხვავებით, მოხსენებითს ბარათში არ არის აუცილებელი ადრესატისადმი თხოვნით მიმართვა.** მოხსენებითი ბარათი სასურველია დაიწყოთ ფრაზით: **მოგახსენებთ, რომ** ან **როგორც მოგეხსენებათ.**

3. **მესამე ბლოკში** მოცემულია ავტორის (ავტორთა) ხელმოწერა და თარიღი. ფაქსიმილეს (ხელმოწერის) გარეშე დოკუმენტს იურიდიული ძალა არ აქვს.

ნიმუში:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

კანცლერს, ბატონ .....

ამავე უნივერსიტეტის სტუდკავშირის

თავმჯდომარის - გ ი ო რ გ ი ბ ე რ ი ძ ი ს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ სტუდენტური კონფერენციის წარმატებულად ჩასატარებლად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა - 350 (სამას ორმოცდაათ) ლარი, რითაც შევიძინეთ კალმები, რვეულები, საქაღალდეები, მარკერები, დაიბეჭდა პროგრამები. კონფერენციაში მონაწილეობენ ქუთაისის, თბილისის, გორისა და თელავის უნივერსიტეტების სტუდენტებიც, ამიტომ ლანჩისთვის საჭირო გახდა 200 ლარის დამატება.

იმედი გვაქვს, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შესაძლებელი იქნება სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის სტუდკავშირის

თავმჯდომარე გ. ბერიძე

12. 11. 2015.

დავალება №1. შეადგინეთ მოხსენებითი ბარათები შემდეგ თემებზე:

1. ანტინარკოტიკული მოძრაობის მოწყობის შესახებ; **2.** უნივერსიტეტში სპორტული შეჯიბრების გამართვის შესახებ.

1. ----------

2. ----------

III. ახსნა-განმარტებითი ბარათი

ახსნა-განმარტებითი ბარათი სტრუქტურითა და შინაარსით ჰგავს მოხსენებით ბარათს, თუმცა ეს უკანასკნელი იწერება ავტორის ინიციატივით და მიზნად ისახავს წინასწარ ინფორმირებას, ახსნა-განმარტებითი ბარათი კი – **ხელმძღვანელი პირის ან ზემდგომი ინსტანციის მოთხოვნით.** მასში ახსნილია მომხდარი ფაქტის (სამსახურში დაგვიანების, გაცდენის, კანონის, წესის დარღვევის და ა. შ.) გამომწვევი მიზეზები.

ახსნა-განმარტებითი ბარათის პირველი ბლოკი მოხსენებითი ბარათისნაირია, ოღონდ აქ ძირითად ბლოკში მოკლედ და კონკრეტულადაა გადმოცემული მომხდარი ფაქტის გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. მოხსენებითი ბარათის მსგავსად ამ დოკუმენტის დაწყებაც შეიძლება შემდეგი ფრაზით: მოგახსენებთ, რომ...., გაცნობებთ, რომ..., მინდა გაუწყოთ, რომ....

ნიმუში:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს, ქალბატონ მარინა გიორგაძეს
ამავე ფაკულტეტის I კურსის I სასემინარო ჯგუფის
სტუდენტ მაია პაიჭაძის

ახსნა-განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ ამა წლის 29-31 ოქტომბერს I კურსის სტუდენტებისთვის დაგეგმილი იყო რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი. ნაშრომი შევასრულე ყველა მოთხოვნის დაცვით. შაბათს გავემგზავრე სოფელში და კვირას ვაპირებდი დაბრუნებას, მაგრამ ბათუმი-ქედის მაგისტრალზე, კოკოტაურთან ჩამოწვა ზვავი, რის გამოც მოძრაობა შეფერხდა და რეფერატის წარმოდგენა ნახევარი საათით დამაგვიანდა. გთხოვთ, დაუშვათ ჩემი რეფერატი კონკურსში.

2. 11. 2015. მ. პაიჭაძე

დავალება №1. შეადგინეთ ახსნა-განმარტებითი ბარათები შემდეგ თემებზე:

1. უნივერსიტეტში მოწყობილი კონკურსის შესახებ;
2. უნივერსიტეტში გამართული საიუბილეო ღონისძიების შესახებ.

1. ----------

---

2. ---

IV. რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

რეკომენდაცია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია (ვაკანსიის დასაკავებლად, დაფინანსების, სხვადასხვა სახის მატერიალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, სამსახურის შეცვლის დროს, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისას და ა. შ.), რომელსაც გასცემს რომელიმე ორგანიზაცია ან ავტორიტეტული პირი. რეკომენდატორმა მოკლედ, კონკრეტულად და დამაჯერებლად უნდა დაახასიათოს ის პირი, რომელსაც უწევს რეკომენდაციას, სრულყოფილად გადმოსცეს მისი შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები.

რეკომენდაცია შეიძლება დაიწეროს ბლანკზე. სათაურის შემდეგ იწყება ძირითადი ტექსტი, რომელშიც აუცილებელია:

• სარეკომენდაციო პირის წარდგენა;

• ინფორმაცია რეკომენდატორისა და სარეკომენდაციო პირის საქმიანი ურთიერთობის შესახებ;

• რომელ საქმიან თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას რეკომენდატორი და რა არის მისთვის მნიშვნელოვანი;

• ნათქვამი დასაბუთებულია მკაფიო და დამაჯერებელი არგუმენტებით. მაგ.: თუ აღნიშნავთ, რომ სარეკომენდაციო პირს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, აუცილებელია მის მიერ შესრულებული სამუშაოს მითითებაც;

• სარეკომენდაციო პირის პიროვნული დახასიათება: გუნდური სამუშაოს შესრულებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მის კომუნიკაბელურობაზე, კოლეგიალურობაზე. თუ ხელმძღვანე-

ლი პოსტის დაკავება სურს, უნდა მიეთითოს ორგანიზატორულ ნიჭზე, მენეჯერისათვის აუცილებელ თვისებებზე და ა. შ.

• რეკომენდაციის ბოლოს აუცილებელია ნათქვამის შეჯამება და რეკომენდაციის გაწევის მიზნის ხაზგასმით აღნიშვნა.

ნიმუში:

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ნინო ბალაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის IV კურსის წარჩინებული სტუდენტია. იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით. ნინო მუდმივად იღრმავებს ცოდნას, ხვეწს შესაძლებლობებს და ყოველთვის აღწევს მიზანს. აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ თვითშემოქმედებაში, სამეცნიერო კონფერენციებში და ფლობს პირველი ხარისხის დიპლომებს.

ნინო ავტორიტეტით სარგებლობს მასწავლებლებსა და თანატოლებში. იგი გაწონასწორებული, სანდო და სამართლიანია. მას სიამოვნებს მეგობრებისთვის დახმარება და თანადგომა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ ნინო ბალაძეს სასულიერო სემინარიაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

ბსუ ასოც. პროფესორი
ნათია ფარტენაძე
ტელ.: 271797 სამსახური
მობ.: 577179744
ელ. ფოსტა: natia-71@list.ru
14 მაისი, 2015.

დავალება №1. გაუწიეთ რეკომენდაცია თქვენს თანაკურსელს, რათა დაინიშნოს ჯგუფის ხელმძღვანელად.

V. დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

დახასიათება ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული პირის სამსახურებრივი საქმიანობისა და პიროვნული თვისებების შესახებ; ადასტურებს მის რეპუტაციას, საზოგადოებრივ აქტიურობას, უნარებს, სანდოობას, კომუნიკაბელურობას და ა. შ.

დახასიათება უნდა დაიწეროს ორგანიზაციის, უწყების ან ფირმის ბლანკზე, დადასტურდეს დახასიათების გამცემი პირის ხელმოწერით და ბეჭდით. თუ დახასიათებას გასცემს არაოფიციალური პირი ოფიციალურ უწყებაში წარსადგენად, ავტორის ხელის მოწერა უნდა დადასტურდეს ნოტარიულად ან რომელიმე უწყების პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დახასიათებას იურიდიული ძალა არ ექნება.

სტრუქტურა: დახასიათებაში გამოიყოფა რამდენიმე შინაარსობრივი ბლოკი:

- სათაური;
- საანკეტო მონაცემები;
- მონაცემები პირის სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ;
- სამსახურებრივი უნარების შეფასება;
- პიროვნული თვისებების წარმოჩენა;
- დასკვნითი ნაწილი.

ნიმუში:

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

სალომე ვახტანგის ასული ქავთარაძე, დაბადებული 1990 წელს, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის ბაკალავრია. იგი 2007 წლიდან სწავლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობაზე. სალომე გულმოდგინედ ასრულებს ყველა სამუშაოს. აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ ღონისძიებებში. აქვს უცხო ენების დაუფლების განსაკუთრებული ნიჭი.

სალომე დაჯილდოებულია განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით. ის ყოველთვის მხარში უდგას კურსელებს, არის კომუნიკაბელური და მეგობრული, რის გამოც თანაკურსელთა შორის ავტორიტეტით სარგებლობს. მიზანსწრაფულობისა და გულმოდგინების წყალობით ის ყოველთვის აღწევს დასახულ მიზნებს. არის უკონფლიქტო, ჰუმანური და თვითკრიტიკული. სალომე ობიექტურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს. იგი აქტიური სტუდენტი და ბევრი კარგი საქმის ინიციატორია.

კურსის კურატორი
ასოც. პროფესორი მ. კიკვაძე
ტელ. 577 72 82 48
8. 05. 2015.

დავალება №1. დაახასიათეთ თქვენ გვერდით მჯდომი ამხანაგი:

VI. სამოტივაციო წერილი

სამოტივაციო წერილის მიზანია, დაარწმუნოს პოტენციური დამფინანსებელი ან დამსაქმებელი, რომ მისი ავტორი ვაკანსიის შესაფერისი კანდიდატურაა.

სამოტივაციო წერილი იძლევა სხვადასხვა ტიპის კონკურსსა თუ გასაუბრებაში საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის და დასაბუთების საშუალებას. სამოტივაციო წერილი იწერება: ა) ვაკანსიის დასაკავებლად ბ) სტიპენდიის მოსაპოვებლად გ) პროექტის დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის დროს.

კარგი სამოტივაციო წერილი სრულყოფილად წარმოაჩენს კონკურსანტის განათლებას, სხვადასხვა უნარ-ჩვევას, ინტერესების სფეროს, აზროვნების დიაპაზონს.

სტრუქტურა: სამოტივაციო წერილი სამი ნაწილისაგან შედგება:

1. განმარტეთ, რაზე აკეთებთ განაცხადს და საიდან მიიღეთ ინფორმაცია;
2. ჩამოაყალიბეთ არგუმენტები თქვენი საქმიანი თვისებების და გამოცდილების შესახებ, რითაც შეიძლება დაინტერესოთ ადრესატი;
3. შეიძლება საკუთარ სუსტ მხარეებზე მითითებაც. გულწრფელი აღიარება და ნაკლის გამოსწორების სურვილი თუ მცდელობა დადებითად განაწყობს მკითხველს, ოღონდ აუცილებელია ზომიერების დაცვა.
4. აუცილებლად უნდა მიეთითოს, რატომ დაინტერესდით (პროფესიული ინტერესები, სამომავლო პერსპექტივა, გამოცდილების შეძენა, მატერიალური მხარე და სხვა). ამ კონკრეტული ვაკანსიით.
5. წერილის ბოლოს მოკლედ შეაჯამეთ თქვენი სათქმელი.

დავალება №1. დაწერეთ სამოტივაციო წერილი, რომ გსურთ დაიწყოთ მუშაობა რომელიმე დაწესებულებაში (გაქვთ უმაღლესი განათლება; გავლილი გაქვთ შესაბამისი ტრენინგები და აკმაყოფილებთ მოთხოვნებს).

ნიმუში:

სამოტივაციო წერილი

ვებგვერდზე www. bsu. edu.ge განთავსებულია ინფორმაცია, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად.

ვფიქრობ, ჩემი სტუდენტური გამოცდილება, მაღალი აკადემიური მოსწრება, პასუხისმგებლობა, სოციალური უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები ამ კონკურსს შეესაბამება.

ვარ ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, სტუდენტური ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი.

აქტიურად ვმონაწილეობ სტუდენტურ კონფერენციებში, მაქვს პირველი და მეორე ხარისხის რამდენიმე დიპლომი და სერტიფიკატი. მიმდინარე წელს მონაწილეობა მივიღე ქუთაისში სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში. მოხსენება დაიბეჭდა ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში.

ყოველწლიურად ვმონაწილეობ სტუდენტურ დღეებში, ვარ ვოკალური ჯგუფის სოლისტი.

ვფლობ რუსულსა და ინგლისურს, ამჟამად ვეუფლები თურქულ ენას.

აღნიშნული კონკურსით ჩემი დაინტერესება რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული. უპირველესად, გამეზრდება პასუხისმგებლობა; სტიპენდია მეტ სტიმულსაც მომცემს და დამეხმარება ზოგი პრობლემის მოგვარებაშიც: შევიძენ საჭირო სახელმძღვანელოებს და შევისწავლი ენებს.

ვფიქრობ, შევძელი სათქმელის მკაფიოდ ჩამოყალიბება და შესაძლებლობების თუ პიროვნული თვისებების წარმოჩენა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
III კურსის სტუდენტი **ნინო თურმანიძე.**
14. 04. 2015.

VII. ავტობიოგრაფია (CV)

CV (კურიკულუმ ვიტაე) შეიცავს ინფორმაციას პიროვნების ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტების, განათლების, სამუშაო გამოცდილების, მიღწევებისა და სპეციფიკური უნარების შესახებ.

სტრუქტურა:

1. თავდაპირველად იწერება სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, საფოსტო ინდექსის ჩათვლით, ტელეფონი (ბინის, სამსახურის, მობილური), ფაქსი, ელ. ფოსტა;
2. პირველ ბლოკში თავსდება პერსონალური ინფორმაცია (დაბადების თარიღი, ადგილი. ოჯახური მდგომარეობა...);
3. მეორე ბლოკში იწერება ინფორმაცია განათლების შესახებ (გავლილი ტრენინგები და კურსები ჩამონათვალი, მინიჭებული აკადემიური (ბაკალავრი, მაგისტრი) ან სამეცნიერო ხარისხი (დოქტორი);
4. მესამე ბლოკში დეტალურად უნდა აღიწეროს პირის სამუშაო გამოცდილება (დაკავებული თანამდებობები და მოვალეობები);
5. ცალკე ბლოკი ეთმობა მიღწევებს, ჯილდოებს, მოპოვებულ სტიპენდიებს, მიღებულ გრანტებს და ა. შ.;
6. ბოლოს აღიწერება სპეციფიკური უნარები (კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, უცხო ენების ცოდნის დონე, სოციალური უნარები და ა. შ.).

7. საჭიროების მიხედვით, CV-ში შეიძლება მივუთითოთ გამოქვეყნებული ნაშრომები, სადიპლომო ან სადოქტორო ნამუშევრები;

8. CV-ს განსაზღვრული ფორმა აქვს. მარცხნივ იწერება თარიღი, მარჯვნივ- სათანადო ინფორმაცია.

ნიმუში:

მარიამ აბაშიძე
მისამართი: ბათუმი, 6010, მელიქიშვილის ქ. №22. ბ. 18. ტელ.: +995 55 65 43 28 (მობ.); 278674 (ბინა) ელ, ფოსტა: mariabashidze@yahoo.com
დაბადების თარიღი: 1985 წლის 23 აპრილი, ბათუმი.
განათლება: 1990 - 2001 – ბათუმის მე-8 საჯარო სკოლა; 2001-2005– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრი. 2005-2007–ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრი; 2007 –ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, პირველი-მეორე დონე, ბათუმი. 2008-დან დღემდე ბათუმის მე-2 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; 2011–პედაგოგთა გადამზადების ტრენინგი, ასოციაცია ,,სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“.
კომპიუტერული უნარ-ჩვევები: • ვორდი; • ინტერნეტი; • სწრაფი ბეჭდვა.
ენების ცოდნა: ქართული – მშობლიური; რუსული – თავისუფლად; ინგლისური – კარგად; თურქული – საშუალო დონეზე.
ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი
შრომები: საბაკალავრო შრომა: საკუთარი სახელების წარმოება საშუალ ქართულში; სამაგისტრო შრომა: ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება ქართულში.
ინტერესები: კლასიკური მუსიკა; კულინარია.
27. 07. 2015 მ. აბაშიძე

დავალება №1. დაწერეთ თქვენი მოკლე ბიოგრაფია

მისამართი:
დაბადების თარიღი:
განათლება:
სამუშაო გამოცდილება
გავლილი ტრენინგები:
კომპიუტერული უნარ-ჩვევები:
ენების ცოდნა:
ოჯახური მდგომარეობა:
შრომები:
ინტერესები:

VIII. ცნობა

ცნობა პირის სტატუსის, სამსახურებრივი მდგომარეობის, ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის ერთგვარი მოწმობაა. ამ ტიპის დოკუმენტი შეიძლება გასცეს სახელმწიფო ორგანიზაციამ, საჯარო სკოლამ, უმაღლესმა სასწავლებელმა და ა. შ.

სტრუქტურა:

- სათაური;
- ძირითადი ნაწილი (ინფორმაცია პირის შესახებ, მისი სტატუსი და სად უნდა წარადგინოს მან ეს ოფიციალური დოკუმენტი);
- ბოლოს დოკუმენტის გამცემი ოფიციალური პირის ხელმოწერა.

ნიმუში:

ცნობა

ნატო ბერიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტია. ბაკალავრიატში მას დაგროვებილი აქვს 90 კრედიტი.

ცნობა ეძლევა არასამთავრობო ორგანიზაციაში წარსადგენად.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანი, პროფესორი /მ. გიორგაძე/

10.04.2015

დავალება №1. დაწერეთ ცნობა უნივერსიტეტიდან ან სამსახურიდან ამერიკის საელჩოში წარსადგენად.

IX. ხელწერილი

ხელწერილი იწერება რაიმე მატერიალური ღირებულების მქონე საგნის ან დოკუმენტის (ტექნიკა, ფული, ინვენტარი...) მიღებისას. მისი დაწერა შეუძლია როგორც კერძო, ისე იურიდიულ პირს. მას იურიდიული ძალა აქვს, ამიტომ ნებისმიერი დეტალი ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული.

სტრუქტურა:

• სათაური;

• ხელწერილის ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა (თუ იგი ოფიციალური პირია) და საპასპორტო მონაცემები (დაბადების თარიღი, პასპორტის ნომერი);

• იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, რომელსაც ეძლევა ხელწერილი (თუ ხელწერილი კერძო პირს ეკუთვნის, მისი გვარი, სახელი, მამის სახელი);

• ხელწერილით ჩაბარებული თანხის რაოდენობა იწერება სიტყვიერად (ფრჩხილებში მიეთითება ციფრებით), ხოლო ნივთი უნდა აღიწეროს სრულად.

• უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზნითა და პირობებით არის მიღებული ნივთი თუ ფული; სესხის სახით, მუდმივ სარგებლობაში, სხვა პირისა თუ ორგანიზაციისათვის გადასაცემად;

• ხელწერილის გაცემის თარიღი;

• ხელწერილის გამცემი პირის ხელწერა.

ნიმუში:

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, **მარიამ კეკელიძემ** (დაბადებული 1969 წლის 21 სექტემბერს. პირადობის მოწმობის № გ 287653; პირადი №610010987654; მცხოვრები ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №28) მუდმივი სარგებლობის უფლებით მივიღე გამომცემლობა ,,დიოგენესგან“ რვაასი (800) ლარის ღირებულების წიგნები.

აღნიშნული წიგნები დაიდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომლითაც ისარგებლებენ სტუდენტები.

19. 05. 2015. მ. კეკელიძე

დავალება №1. დაწერეთ ხელწერილი ფაკულტეტის სამდივნოდან თქვენი სკოლის ატესტატის დროებით გატანის შესახებ.

X. მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მინდობილობა იურიდიული დოკუმენტია, რომელსაც წერს კერძო ან იურიდიული პირი რაიმე მატერიალური, ფინანსური ან მორალური სახის ინფორმაციის დასადასტურებლად. მისი ნებისმიერი დეტალი ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული.

სტრუქტურა:

• სათაური;

• მინდობილობის ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა (თუ იგი ოფიციალური პირია);

• ინფორმაცია, რის შესახებაც იწერება მინდობილობა;

• იმ პიროვნების ვინაობა, ვისაც ვანდობთ (მისი გვარი, სახელი, მამის სახელი);

• მინდობილობის გამცემი პირის ხელწერა;

• ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ხელმოწერა;

• მინდობილობის გაცემის თარიღი.

ნიმუში:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მარიამ გიორგის ასული მიქელაძე, კუთვნილ ხელფასს, 830 (რვაას ოცდაათ) ლარს ვანდობ და ყოველთვიურად მისი გამოტანის უფლებას ვაძლევ ჩემს დას, მანანა მიქელაძეს.

(ხელის მოწერა) მ. მიქელაძე

ხელმოწერას ვადასტურებ ნოტარიუსი ვ. ნინიძე

(ხელის მოწერა) ვ. ნინიძე

28. 09. 2015.

დავალება №1. დაწერეთ მინდობილობა, რომ თქვენს კუთვნილ ავტომობილს ანდობთ მეგობარს.

XI. ა ნ გ ა რ ი შ ი

ანგარიში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანი დოკუმენტია. მასში აღწერილი და შეჯამებულია პირის ან ორგანიზაციის ამა თუ იმ საქმიანობის შედეგები, რომლებიც შესაბამის სტრუქტურას უნდა მიეწოდოს.

ფიზიკურმა პირმა შეიძლება წარადგინოს ანგარიში მივლინების, აქტივობების, წლიური მუშაობის და ა. შ. შესახებ, ხოლო ორგანიზაცია ადგენს წლიურ ანგარიშს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობის, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ.

სტრუქტურა: ფიზიკური პირის ანგარიში რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

- პირველი ბლოკი, განცხადების მსგავსად წარმოადგენს მიმართვას ადრესატისადმი, სადაც მოცემულია ინფორმაცია მისი სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ (თუმცა არ არის სავალდებულო ასეთი დაწყება);
- დოკუმენტის შუა ნაწილში იწერება სიტყვა ა ნ გ ა რ ი შ ი;
- ძირითადი ბლოკი ორ ნაწილად იყოფა:

ა) ავტორის საქმიანობის დეტალურად ასახვა; მოვლენის ან ფაქტის აღწერის მიზანი,

ბ) საქმიანობის შედეგებისა და პერსპექტივების აღწერა (თუ ფინანსურ მხარდაჭერას ეხება, უნდა შედგეს დეტალური ხარჯთაღრიცხვაც);

- დოკუმენტის ხელმოწერა და დათარიღება.

წლიური ანგარიში ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

ა) მონაცემები ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის შესახებ;

ბ) ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის მიღწევების, როლის, ჩატარებული ღონისძიებების შესახებ და სხვა.

წლიური ანგარიშში წინა პლანზე წამოწეულია მხოლოდ ფაქტები და არა ავტორის სუბიექტური პოზიცია.

ნიმუში:

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს,
ქალბატონ ნანა ცეცხლაძეს

2014 წლის 21-26 მაისს ვმონაწილეობდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტში ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების მიერ დოქტორანტებისა და სტუდენტე-ბისთვის გამართულ სემინარში: **თანამედროვე ტექნოლოგიები საზოგადოებრივ ცხოვრებაში**. სემინარს ესწრებოდნენ აჭარის განათლების მინისტრი, უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორ-მასწავლებლები. სხდომა გახსნა განათლების მინისტრმა, რომელმაც წარ-მოადგინა ვრცელი მოხსენება თანამედროვე ტექნოლოგიების როლის შესახებ. სემინარი ჩემთვის, როგორც დოქტორანტისთვის, მნიშვნელოვანი იყო, მივიღე ბევრი საინტერესო ინფორმაცია, ჩავერთე დისკუსიაში და გავიღრმავე ცოდნა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი \შ. ლორთქიფანიძე\

10. 07. 2015.

დავალება №1. დაწერეთ სამეცნიერო მივლინების ანგარიში.

XII. პ რ ო ე ქ ტ ი

პროექტი იწერება რომელიმე აქტუალური ამოცანის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანი ღონისძიების განსახორციელებლად ან სამეცნიერო პრობლემის შესასწავლად, გამოსაკვლევად.

პროექტი არის დეტალურად აღწერილი შეთავაზება, რომლითაც პარტნიორი უნდა დარწმუნდეს, რომ თქვენ თეორიულ ცოდნასთან ერთად გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და დასახული ამოცანის პრაქტიკულად განხორციელების უნარი.

სტრუქტურა: პროექტს, ისევე როგორც ნებისმიერ დოკუმენტს, აქვს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა, რის დაცვაც აუცილებელია. არასრულყოფილი პროექტი შეიძლება საერთოდ არ განიხილონ, თუმცა არსებობს გამონაკლისი, როცა გრანტის გამცემი ორგანიზაცია თავად სთავაზობს ავტორებს მზა სააპლიკაციო ფორმას.

პროექტში აუცილებელია იყოს:

- სატიტულო ფურცელი;
- პროექტის ანოტაცია (არა უმეტეს ორი გვერდისა);

• სახელწოდება;
• პრობლემის აქტუალობა;
• პროექტის მიზნები (მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიო და რეალური);
• პროექტის ამოცანები (უნდა ჩამოთვალოთ ის ეტაპები და სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია თქვენი პროექტის განსახორციელებლად: ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება; მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა; არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრაქტიკული სამუშაოების დაწყება; კონკრეტული ამოცანების განხორციელება; ჩატარებული სამუშაოების შეჯამება; დასკვნის გამოტანა ან შესრულებული სამუშაოს შეფასება).
• კვლევის მეთოდები;
• მოსალოდნელი შედეგები;
• ბიუჯეტი;
• დეტალურად აღწერილი სამუშაოები და ვადებისა და შემსრულებლების მითითებით.

დავალება: დაწერეთ პროექტის ანოტაცია თქვენს რეგიონში მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პრობლემის მოგვარების შესახებ.

ნიმუში: სატიტულო ფურცელი

პროექტის სახელწოდება: **ორგანიზაციის დასახელება:** **მისამართი, ტელეფონი:** **ბანკის რეკვიზიტები:** **თანადამფინანსებელი ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში):** **პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია):** **პროექტის მენეჯერი (სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია):** **პროექტის შემსრულებლები (სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია):** **პროექტის განხორციელების არეალი:** **პროექტის განხორციელების ვადები:** **პროექტის ღირებულება:**	

პროექტის ანოტაცია:
პროექტის სახელწოდება:
პრობლემის აქტუალურობა:
პროექტის მიზანი:
პროექტის ამოცანები:

კვლევის მეთოდები:
მოსალოდნელი შედეგები:
პროექტის ბიუჯეტი:

	თანხა	% წილი
პროექტის მთლიანი ღირებულება		
თანადაფინანსება		
დამფინანსებელი ორგანიზაციის წვლილი პროექტის დანერგვაში		

ხარჯების დეტალური აღწერა

1.	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				
8.				
9.				
10.				
11.				
12.				
	სულ:			

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი:

№	საქმიანობა	I	II	III
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

XIII. ოქმი

ოქმი იწერება სხდომის, კრების, საქმიანი შეხვედრის, თათბირის, კომისიის მუშაობის დროს. იგი ოფიციალურად შედგენილი წერილობითი დოკუმენტია, რომელიც გვაწვდის ზუსტი ინ-ფორმაციას კრებაზე განხილული საკითხებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების შესახებ.

ოქმი ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულო იურიდიული დოკუმენტია. მასში შესული ინფორმაცია საჯაროა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი.

სტრუქტურა:

- სათაური (იმ ორგანიზაციის მითითება, სადაც შეკრებაც იმართება. აქვე უნდა დაიწეროს სხდომის თარიღი და ოქმის ნომერი);
- **ძირითადი ნაწილი**

დღის წესრიგი;

დამსწრეთა სია;

ძირითადი ინფორმაცია,დასმული და განსახილველი საკითხები და მომხსენებლები;

კრებაზე სიტყვით გამომსვლელთა სახელ-გვარის, თანამდებობის მითითება და მოსაზრებანი.

დასმული საკითხის შეჯამება, დადგენილება.

- ბოლოს კრების თავმჯდომარისა და მდივნის სახელ-გვარი და ხელმოწერა;
- კრების ოქმის შედგენის თარიღი და ორგანიზაციის ბეჭდით დადასტურება.

ნიმუში:

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის სხდომის
ოქმი №7, 29.06.2016

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. მ. ფაღავა, პროფ. მ. ჩოხარაძე, პროფ. თ. შიოშვილი, პროფ. რ. ხალვაში, პროფ. შ. მახაჭაძე, ასოც. პროფ. ნ. ცეცხლაძე (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სხდომის თავმჯდომარე), ასოც. პროფ. ე. მაკარაძე, ასოც. პროფ. გურამ ბახტაძე, ასოც. პროფ. ნ. ფარტენაძე, ასოც. პროფ. ნ. ტრაპაიძე, ასოც. პროფ. მ. ბარამიძე, ასისტ. პროფ. მ. ხახუტაიშვილი, ასისტ. პროფ. ლ. ხალვაში, ი. ხოროიშვილი (მდივანი)

დღის წესრიგი:

1. მ. თანდაშვილის „ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლების“ სახელმძღვანელოდ აღიარების შესახებ;
2. მ. თანდაშვილის „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“ სახელმ-ძღვანელოდ აღიარების შესახებ.

ნ. ცეცხლაძემ აღნიშნა: 2015 წელს ბათუმის უნივერსიტეტის ინიციატივით პირველად შეიქმნა მაინორი პროგრამა ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის დიგიტალურ ჰუმანიტარიაში, რომელიც ამ დარგში პირვე-ლი აკრედიტირებული პროგრამაა საქართველოს მასშტაბით. პროგრამაზე უკვე გვყავს 3 სტუდენტი.

რ. ხალვაშმა აღნიშნა: დიგიტალური ჰუმანიტარიის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და ამოქმე-დების წინაპირობა ბათუმის საზაფხულო სკოლამ შექმნა, რომელიც 2012 წლიდან ყოველწლიურად ტა-რდება ფრანკფურტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. სულ ჩატარდა 4 საზაფხულო სკოლა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ელექტრონული ლექციების ბანკი. ეს ლექციები eLecture-ს თანამედროვე ფორმატშია ჩაწერილი და განთავსებული ფრანკფურტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://electure.studiumdigitale.uni-frankfurt.de/index.php?cat=2&sem=9&videolist=715). ამავე სკოლის ფარგლებში შეიქმნა და დაიბეჭდა პირ-ველი ელექტრონული სახელმძღვანელო კორპუსლინგვისტიკაში: „კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენა-თმეცნიერებაში“. სახელმძღვანელო სპეციალურად ჩვენი მაინორი პროგრამისთვის შეიქმნა. მისი ავტორები

არიან ფრანკფურტში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეები მ. თანდაშვილი და ზ. ფურცხვანიძე.წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება:

1.კორპუსლინგვისტიკის თეორიული საფუძვლები;

2.სტატისტიკა კორპუსლინგვისტიკაში;

3.გლოსარიუმი, რომელშიც მოცემულია კორპუსლინგვისტიკის ძირითადი ცნებების ვრცელი განმარტებები.

წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული ბაზის შექმნა, კერძოდ, უკვე არსებობს და ხელმისაწვდომია ბათუმის საზაფხულო სკოლისა და ბაკურიანის ზამთრის სკოლის მასალები:

1. სალექციო რიდერი, პრეზენტაციები და ელექტრონული ლექციები

http://electure.uni-frankfurt.de/index.php?cat=2&sem=8&videolist=646

ამას გარდა სამუშაო და სასწავლო ველს ქმნიან თვითონ კორპუსები ქართულ ენაზე:

1. TITUS; 2.ARMAZI ; 3.GEKKO თანამედროვე ქართული ენის კორპუსი; 4.GNC ქართული ეროვნული კორპუსი; 5.GDC ქართული დიალექტური კორპუსი.

ამჟამად წარმოგიდგენთ 2 ახალ სახელმძღვანელოს, რომლებიც მ. თანდაშვილმა მოამზადა სპეციალურად ჩვენი მაინორი პროგრამისათვის:

1. „ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები“ (239 გვერდი)

2. „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“ (222 გვერდი)

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებთან.

ორივე სახელმძღვანელომ ელექტრონული ფორმით აპრობაცია გაიარა ბათუმის საზაფხულო სკოლაში. გარდა ამისა, ორივე მათგანი უკვე რედაქტირებულია ცნობილი სპეციალისტების მიერ (ნ. შარაშენიძე, მ. ლომია, რ. ხალვაში, მ. უთურგაიძე). ამის მიუხედავად, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ წიგნის რეცენზირება ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ და სახელმძღვანელოების შეფასება ვთხოვეთ ასოც. პროფ. ნ. ცეცხლაძესა და ასისტ. პროფ. მ. ხახუტაიშვილს.

ასოც. პროფ. ნ. ცეცხლაძე: წარმოადგინა რეცენზია წიგნზე „ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები“ (იხ. დანართი 1).

ასისტ. პროფ. მ. ხახუტაიშვილი: წარმოადგინა რეცენზია წიგნზე „ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები“(იხ. დანართი 2).

ასოც. პროფ. ნ. ცეცხლაძე: წარმოადგინა რეცენზია წიგნზე „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“ (იხ. დანართი 3).

ასისტ. პროფ. მ. ხახუტაიშვილი: წარმოადგინა რეცენზია წიგნზე „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“(იხ. დანართი 4).

პროფ. მ. ფაღავა: როგორც დავინახეთ, ორივე სახელმძღვანელო სიახლეა ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. ისინი დაწერილია სპეციალურად ჩვენი მაინორი პროგრამისთვის, სილაბუსების შესაბამისად. მათი სახელმძღვანელოდ აღიარება და გამოცემა გადაუდებელ და საშურ საქმედ მიმაჩნია, რადგან დიგიტალური ჰუმანიტარია, როგორც ახალი დარგი, განიცდის ქართულენოვანი სახელმძღვანელოების დეფიციტს.

დაადგინეს:

1. პროფ. მ. თანდაშვილის „ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები“ აღიარებულ იქნეს სახელმძღვანელოდ დიგიტალური ჰუმანიტარიის საგანმანათლებლო (მაინორი) პროგრამისათვის;

2. პროფ. მ. თანდაშვილის „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“ აღიარებულ იქნეს სახელმძღვანელოდ დიგიტალური ჰუმანიტარიის საგანმანათლებლო (მაინორი) პროგრამისათვის;

3. ეთხოვოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობა ბსუ აკადემიურ საბჭოსთან, რათა აღნიშნული წიგნები აღიარებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და დაიბეჭდოს ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

სხდომის თავ-რე **ასოც. პროფ. ნ. ცეცხლაძე**

მდივანი **ი. ხოროიშვილი**

დავალება №1. შეადგინეთ ოქმი თქვენი კურსის სხდომისა, რომელსაც ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სტუდენტები.

განიხილეს: 1. ჯგუფხელის შეცვლის საკითხი

XIV. ბრძანება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება №----------

---------- ---------- 2016 წელი ქ. ბათუმი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტ **თამარ მაჭუტაძის** სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნის და სადისერტაციო კომისიის შექმნის

შესახებ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების **მე-7 მუხლის 1-8** პუნქტების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (**2.02.2016, ოქმი №1**) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის (**3.02.2016, შიდა #90939**) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტ **თამარ მაჭუტაძის** სადისერტაციო ნაშრომის - „ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებების გამოხატვა ფრანგულ და ქართულ ანდაზებში (პარემიების თარგმანის მაგალითზე)" (ლინგვისტიკა) დაცვა დაინიშნოს **2016 წლის 4 მარტს** 13 საათზე №55 აუდიტორიაში.

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

<u>პროფესორი მამია ფაღავა</u>
<u>პროფესორი მარინე გიორგაძე (თავმჯდომარე)</u>
<u>ასოც. პროფესორი ნანა ცეცხლაძე (მდივანი)</u>
<u>ასოც. პროფესორი ქეთევან სვანიძე</u>
<u>პროფესორი მარინე არუშიძე</u>
<u>ასოც. პროფესორი ნელი ახვლედიანი</u>
<u>ასოც. პროფესორი ნინო დვალიძე</u>
<u>პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი</u>
<u>პროფესორი თინა შიოშვილი</u>
<u>პროფესორი თამარ სირაძე</u>
<u>ასოც. პროფესორი თეა შავლაძე</u>
<u>ასოც. პროფესორი ნათელა ფარტენაძე</u>
<u>ასოც. პროფესორი ზეინაბ გვარიშვილი</u>

<u>**უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,**</u>
ასოც. პროფესორი: **მერაბ ხალვაში**

პროექტი მოამზადა:
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
თავმჯდომარე, პროფესორი: **მამია ფაღავა**

შეთანხმებულია:
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი **ჟ. ჯიბლაძე**

რექტორის მოადგილე სამეცნიერო
დარგში, პროფ. **ნ. წიკლაშვილი**

ბიბლიოგრაფია

1. **არაბული ა.,** *ქართული მეტყველების კულტურა,* გამომცემლობა „ უნივერსალი“ თბ., 2005;

2. **არისტოტელე,** *პოეტიკა,* პროფ. ს. დანელიას თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები. II გამოცემა. თბ., 1979;

3. **ბასილაია ნ.,** *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა,* გამომცემლობა „ განათლება“, თბ., 1991;

4. **გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ.,** *აკადემიური წერა,* გამომცემლობა „საიმედო“, თბ., 2009;

5. **გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ.,** *ფუნქციური წერა,* გამომცემლობა „საიმედო“, თბ., 2011;

6. **გოჩიტაშვილი ქ., ფრუიძე ნ.,** *რა არის აკადემიური წერა?* ქართული სიტყვა, სამეცნიერო მეთოდური ჟურნალი, I ელექტრონული გამომცემლობის პოლიგრაფიული ცენტრი, თბ., 2008;

7. **გრიგალაშვილი ნ.,** *სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები,* გამომცემლობა „წიგნი“, თბ., 1997;

8. **კაჭარავა ლ., მარწყვიშვილი ხ., ხეჩუაშვილი ლ.,** აკადემიური წერა დამწყებთათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ., 2007;

9. **კუხალაშვილი მ., ლომთაძე თ., მიქაძე მ., რუსაძე ი., ქაცარავა მ., ფხაკაძე ნ.,** თანამედროვე *ქართული ენა (პრაქტიკული სტილისტიკა),* აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, მ. მიქაძის რედაქციით. ქუთაისი, 2010;

10. **კვარაცხელია გ.,** *ფუნქციური სტილის ზოგადი დახასიათება,* იკე XXVI, გამომცემლობა

11. „მეცნიერება“ თბ., 1987;

12. **მენჩერი მ.,** *ახალი ამბების გაშუქება და წერა,* XII გამოცემა, გამომცემლობა „ დიოგენე“, თბ. 2013;

13. **ფაღავა მ., მიქელაძე ნ.,** *ქართული ენის პრაქტიკული კურსი და სტილისტიკის საკითხები,* ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2005;

14. **სერგია ს.,** *ტექსტის ლინგვისტიკა,* ალ.ღლონტის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება,“ თბ., 1989;

15. ტრენინგის მასალები, სტრატეგიები სხვადასხვა საგანში, პროგრამა „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“, მასალა მოამზადა ჩარლზ თემფლმა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი, გამომცემლობა „ნიუ-იორკი,“ 2001;

16. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი III გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ., 1980;

17. **შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ.,** *წერის ტექნიკა,* გამომცემლობა „დიოგენე ,“ თბ., 2008;

18. **შავთვალაძე ნ., დუნდუა შ.,** *აკადემიური წერა,* მეორე გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013;

19. **შარაშენიძე ნ.,** *როგორ ვწეროთ უკეთესად,* გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2008;

20. ჩოხარაძე მ., *ფუნქციური წერა,* მასალები წიგნისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011;

21. **წულაძე ლ.,** *აკადემიური წერა,* ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ., 2006;

22. **ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ.,** *სტილისტიკა* გამომცემლობა „ივერიონი“, თბ. 2014;

23. **ხომერიკი მ.,** *ლიტერატურული წერილები, ესსეები,* გამომცემლობა „ალიონი“, თბ., 2005;

24. **Балли Ш. ,** ***Французская стилистика,*** **Москва, 1961;**

25. **Васильева А. Н.,** ***Курс лекции по стилистике русского языка,*** **Москва. 1976.**

26. **Кожина М. Н.,** ***Стилистика Русского языка.,*** **Москва. 1977;**

27. **ტრუმენ კეპოტე,** *მწერლები მწერლობის შესახებ,* სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი „ქართული სიტყვა“ № 1, I ელექტრონული გამომცემლობის პოლიგრაფიული ცენტრი, თბ., 2008;

28. Luria, A. R. *Cognitive Development*: Its Cultural and Social Foundations. Cambridge, MA: „Harvard University Press“, 1976.

შინაარსი

რედაქტორისაგან ---------- 3
შესავალი ---------- 4

თემა I. აკადემიური წერის საგანი, მიზნები და ამოცანები.
მისი მიმართება მეცნიერების სხვა დარგებთან;
აკადემიური წერის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ---------- 10
1.1. აკადემიური წერა ---------- 10
1.2. აკადემიური წერის მიმართება მეცნიერების სხვა დარგებთან ---------- 12

თემა II. კითხვის სტრატეგიები; ეფექტიანი კითხვა; კითხვის
საფეხურები; ტექსტის გაგება, ანალიზი; რეზიუმეს შექმნა ---------- 19

თემა III. სტილის რაობა. მწიგნობრული და სასაუბრო სტილი.
ფუნქციური სტილი. სტილის დიფერენციაციის აუცილებლობა ---------- 41
3.1. სტილი ---------- 41
3.2. მეტყველების ფორმა და სტილი. ---------- 41
3.3. სამეცნიერო სტილი ---------- 42
3.4. ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ---------- 46
3.5. პუბლიცისტური სტილი ---------- 49
3.6. მხატვრული ლიტერატურის სტილი ---------- 52
3.7. სასაუბრო სტილი ---------- 53
ტესტები ---------- 57

თემა IV. წერის პროცესის საფეხურები ---------- 59
4.1. წერის პროცესის მოსამზადებელი ეტაპი ---------- 59
4.2. თემა, მიზანი და აუდიტორია ---------- 59
4.3. ინფორმაციის შეგროვება ---------- 62
4.4. ნაშრომის დაგეგმვა, ორგანიზება, შავი პირის შექმნა ---------- 64

თემაV. თეზისი; თეზისის განვითარება; ესეს შავი პირის შექმნა;
არგუმენტი, ქვეარგუმენტი, კონტრარგუმენტი ---------- 73
5.1. თეზისი. თეზისის განვითარება. ---------- 73
5.2. არგუმენტი, ქვეარგუმენტი, კონტრარგუმენტი ---------- 78

თემა VI. აბზაცი და მისი განვითარება; აბზაცის სახეები (შესავალი და
დასკვნითი აბზაცი); თემატური წინადადება; წინადადებათა გადაბმის ხერხები - 85
6.1. აბზაცი და მისი განვითარება; აბზაცის სახეები. თემატური წინადადება ---------- 85
6.2. წინადადებათა გადაბმის ხერხები ---------- 87

თემა VII. ესე; ესეს სტრუქტურა, მოდელები და სახეები ---------- 94
7.1. ესეს რაობა ---------- 94
7.2. ესეს სტრუქტურა ---------- 94
7.3. ესეს მოდელები ---------- 95
7.4. ესეს სახეები ---------- 103

თემა VIII. ესეს ჩასწორება, შენიშვნები,
ინფორმაციის ჩამატება, განტვირთვა, შეცდომების გასწორება ---------- 112

თემა IX. ციტირება და პერიფრაზირება. პლაგიატი---------- 122

თემა X. სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, საბაკალავრო ნაშრომის
მთავარი მოთხოვნები; ანოტაცია, თეზისები, რეცენზია ---------- 130

თემა XI. საქმიანი ქაღალდები ---------- 141
I. განცხადება---------- 141
II. მოხსენებითი ბარათი---------- 144
III. ახსნა-განმარტებითი ბარათი ---------- 146
IV. რეკომენდაცია---------- 147
V. დახასიათება ---------- 149
VI. სამოტივაციო წერილი---------- 150
VII. ავტობიოგრაფია (CV)---------- 151
VIII. ცნობა---------- 154
IX . ხელწერილი ---------- 154
X. მინდობილობა ---------- 156
XI. ანგარიში---------- 157
XII. პროექტი---------- 158
XIII. ოქმი ---------- 161
XIV. ბრძანება ---------- 164

ბიბლიოგრაფია---------- 165

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

აკადემიური
წერა

გამომცემელი: გამომცემლობა „ივერიონი“

მისამართი: თბილისი, კოსტავას 6, III სართ.

თბილისი
2016